ბევპაზინი

მარიამი

მოთხრობა

სპარსულიდან თარგმნა ნანა ჩხეიძემ

●

რა იქნება, ჩემი დარდი ჩემს გულში რომ დაიმარხოს? ამ უკაცრიელ ღამეში მხოლოდ მან, ერთმა იცოდეს ჩემი საიდუმლო? თქვენ მეც მიცნობთ და მარიამსაც, — ასე თუ ისე იცით ჩვენი ამბავი. მაშ, რატომღა მაიძულებთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ? ნუთუ ასე გაინტერესებთ, თუ როგორ შევუყლდით, ან რატომ გავეყარეთ ერთმანეთს? — ესაა ჩვენი სინამდვილეო, — იტყვით ალბათ მერე, — სწორედ ამ წვრილმანების წინაშე ვართო უმწეონი. კეთილი და პატიოსანი. მე არ ვაპირებ თქვენს გადარწმუნებას. ბოლოს და ბოლოს ყველას აქვს თავისი აზრი და ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთი. მხოლოდ ჩემი საბუთია, როგორც ვხედავ, თქვენთვის მიუღებელი და ამიტომ, მინდა თუ არა, ამ სალამოს ჩემი ძველი დარდი უნდა გავიხსენო.

მარიამს ბავშვობიდან ვიცნობდი. ვიცნობდი კი არა, უბრალოდ, ხშირად მესმოდა მისი სახელი. იგი ჩემს უმცროს დასთან ერთად სწავლობდა სკოლაში. გაკვეთილების შემდეგ ხშირად მოდიოდა ჩვენთან, ჩემი და და ის საათობით თამაშობდნენ ერთად, ჩაისა და ხილს შეექცეოდნენ, მერე კი დიდხანს ეთხოვებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. დღემდე თვალწინ მიდგას ამ სუსტი, შავგვრემანი გოგონას სახე: მისი დიდრონი ყვრიმალები, სქელი ტუჩები, გრძელი შავი წამწამების ქვემოდან გამომზირალი, უკვე ქალური ცეცხლით ანთებული, ბრიალა თვალები.

იმ დროს ყმაწვილკაცობაში ახალფეხშედგმული გახლდით, ძარღვებში სისხლი მიდუღდა, უგუნური და უთვალავი სურვილი მიწიწკნიდა გულს და მთელი არსებით ოცნებაში ვიყავი გადავარდნილი.

ყოველი შეხვედრა მარიამთან რაღაც გაურკვეველ სურვილს მიღვიძებდა, ყოველი მისი სიტყვა სიმღერასავით ჩამესმოდა ყურში. მისი სიახლოვე ჩემს სულში იმედს ბადებდა და მოლოდინით მავსებდა. მისი გამოხედვა ქალური სითბოთი და სიკეკლუცით აღსავსე მთელი სამყარო იყო ჩემთვის. მაშინ იგი მხოლოდ ცხრა წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ აღგზნებული გონება მის ნაზ, ბავშვურ ნაკვთებს საოცარ ფერებში მიხატავდა.

დრო გავიდა და ამ ამბავს, ტკბილი სიზმრის მსგავსად, ცალკეულ მოგონებათა გარდა არაფერი დაუტოვებია ჩემს გულში.

მერე ის იყო ატესტატი მივიღე და რამდენიმე ჩემს თანატოლთან ერთად ევროპაში გავემგზავრე. ექვს წელიწადს ვცხოვრობდი ტულუზაში, გრენობლსა და პარიზში. დიდ მონდომებასა და სიბეჯითეს ვიჩენდი. დროდადრო ფრანგ გოგოებთანაც ვერთობოდი. ექვსი წლის თავზე ინჟინრის დიპლომი მივიღე და სამშობლოში გამოვემგზავრე. ცოდვა გატეხილი სჯობიაო, — ამ ხნის მანძილზე მარიამი ერთხელაც არ გამხსენებია.

ირანში რომ დავბრუნდი, გულისტკივილით უნდა ვთქვა, სხვა აღმოსავლელი ახალგაზრდებისა არ იყოს, მეც გამაოცა ჩვენს ქვეყანაში გამეფებულმა უწესრიგობამ და უსუფთაობამ. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ტრადიციული განდეგილობისა და ქედმაღლობისა, ევროპული ცხოვრების წესი იმდენად გამჯდომოდა ძვალსა და რბილში, რომ საკუთარ ქვეყანაში თავი მეტისმეტად უცხოდ ვიგრძენი.

შემძულდა ის გარემო, სადაც დავიბადე და სადაც წარმოიშვა მთელი ჩემი თაობა. იმდენად დიდი იყო ეს სიძულვილი, იმდენად დიდი იყო სურვილი ამ გარემოსაგან თავის დაღწევისა, რომ მხოლოდ შორეული წარსულის მოგონებასღა ვახერხებდი უმტკივნეულოდ. გონიერსა და ჭკუადამჯდარ ირანელებს ხომ ადვილად ვერაფერს გამოაპარებ! — ისინი ჩვენ არარაობად გვთვლიან და ალბათ აქვთ კიდეც ამისი უფლება.

მელანქოლია მომეძალა და ორი წელიწადი, თუ არაფერს ვიტყვით იმ იშვიათ შემთხვევებზე, როდესაც დაუოკებელი ახალგაზრდული ენერგია თავისას მოითხოვს, სრულ მარტოობაში გავატარე. ქალებს, რაც შემეძლო, ვერიდებოდი, მაგრამ ყოველთვის მაინც ვერ ვახერხებდი თავის დაღწევას მათი ალერსისაგან; და მაშინ მათ საქციელში, ხუმრობაში, მიხვრა-მოხვრაში ევროპელი ქალების უბრალოებასა და სითამამეს ვეძებდი; რაღა თქმა უნდა, რომ ყოველთვის გაწბილებული ვრჩებოდი. მერე ჩემსავე თავს ვკიცხავდი ამის გამო.

ირანში დაბრუნების შემდეგ მარიამს სულ რამდენჯერმე შევხვდი. ერთიორჯერ ჩემს დასთან ერთად კინოშიც წავიყვანე. ამ რვა-ცხრა წელიწადში მარიამი ერთობ დამშვენებულიყო; ფერ-ხორცით გავსებულიყო, საოცრად შუქიანი თვალები ჰქონდა და კოხტა ტან-ფეხი. ჩაცმითაც ყოველთვის სუფთად და გემოვნებით იცვამდა. მაგრამ — გამოუცდელობის ბრალია-მეთქი, ვფიქრობდი — ძალიან ჩუმი და მორცხვი იყო და ამის გამო მიძნელდებოდა მასთან დაახლოება. ხანდახან რაღაც შინაგანი ძალა მეწეოდა მისკენ და მინდოდა მისთვის გული გადამეშალა, მაგრამ მისი ეს სიმორცხვე და კიდევ ერთგვარი, თოჯინისებური, ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებული გამოხედვა ხელს მიშლიდა და სულიერ სიმშვიდეს ისევ მარტოობაში ვეძებდი.

ახლა კი მესმის, როგორ ვცდებოდი, როცა რაღაცას განსაკუთრებულსა და არაჩვეულებრივს მოვითხოვდი მისგან. მაშინ არ ვიცოდი, რომ ასეთი რამ სრულებითაც არ არის აუცილებელი ოჯახური ბედნიერებისათვის.

ერთ მშვენიერ დღეს სეფაჰის ქუჩაზე დავინახე გზად მიმავალი. მარტო იყო; მეც მარტო ვიყავი. ფეჰლევის ქუჩის კუთხეში დავეწიე და მივესალმე. მორცხვად გამიღიმა და ღაწვები შეეფაკლა. შინ მივდივარო, მითხრა. მეც იქით მქონდა საქმე და დავემგზავრე. ერთმანეთი მოვიკითხეთ და სათქმელიც აღარაფერი დაგვრჩა. მაინცდამაინც დიდი მჭევრმეტყველი არ გახლავართ, მით უფრო თუ ჩემი თანამოსაუბრეც დუმილს ირჩევს. მაგრამ იმ დღეს დიდად არ განვიცდიდი ამ ამბავს, პირიქით — მიხაროდა კიდეც, რომ ტყუილი ლაპარაკით თავს არ ვიწუხებდით. მე მარიამის სილამაზით ვიყავი მოხიბლული, მიხაროდა, რომ ასე მოულოდნელად შევხვდი მას, და ეს ჩემთვის სავსებით საკმარისი იყო, რომ თავი ბედნიერად მეგრძნო.

სალამოს თეატრში წავიდეთ-მეთქი, — ვთხოვე, როდესაც უკვე მის სახლს ვუახლოვდებოდით. მცირე ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა. მერე ერთხანს მისი სათუთი, მსუბუქი ხელი მეჭირა ხელში. გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, სწრაფად გამომტაცა ხელი და სახლისკენ გაიქცა.

სალამოს შინ რომ გავუარე, ჩაცმული დამხვდა. დედამისისაგან ნებართვა ავიღეთ და თეატრში წავედით. ვხედავდი, როგორი აღტაცებით უყურებდნენ გზაში მამაკაცები, ახალგაზრდებს კი მის დანახვაზე სიტყვა უწყდებოდათ.

რა თქმა უნდა, ამას მარიამიც ამჩნევდა. ალბათ სიამოვნებდა კიდეც, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობდა და ისე შემომყურებდა, თითქოს. ჩემგან ელოდა ხსნას. იმ დღეს მაინც საოცრად ლამაზი იყო. მის შემყურეს მუხლებში ძალა მერთმეოდა, თავბრუდახვეული მივყვებოდი გვერდით. აზრის მოკრებას ვერ ვახერხებდი, რამე რომ მეთქვა. ან კი რა უნდა მეთქვა? მოჯადოებული ვიყავი მისი სილამაზით. ისევ მარიამმა მიხსნა გასაჭირისაგან:

— გიყვართ თეატრი?

— რაც ირანში ჩამოვედი, ჯერ არ ვყოფილვარ თეატრში... ვნახოთ... თქვენ თუ ყოფილხართ?

— კი, დედასთან და მამასთან ერთად.

— ნახეთ რამე საინტერესო?

— რატომაც არა!.. ბოლოს და ბოლოს აქ სპარსულად ლაპარაკობენ. ხალხს ყველაფერი ესმის.

თეატრში რომ შევედით, ცოტათი გამოვცოცხლდი. ჩვენი ადგილები მოვძებნეთ. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რა წამოდგენას ვუყურეთ. მახსოვს მხოლოდ, რომ ძალიან დავიღალე. პიესა გარითმული პროზით იყო დაწერილი. საბრალო მსახიობები. საადის „გოლესთანს“ კითხულობენო, იფიქრებდით. მარიამი სმენად და მზერად იყო ქცეული. ვხედავდი, რა ყურადღებით უსმენდა ყოველივეს და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. თვითონ მას რომ ასე ავუხსნა სიყვარული. ნეტა რას იტყვის-მეთქი, — გამიელვა თავში. — დამცინებს თუ, პირიქით, მოეწონება? საინტერესოა, მაინც რას იზამს? დავიჯერო, ამ უნიჭო მსახიობებივით თავს ჩალუნავს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მეტყვის: — ო, მოღალატე ბულბულო! განა ვერ ხედავ, რომ ბაღში ვარდი შენ გელოდება?

ყველაფერი ეს ისე ნათლად წარმოვიდგინე, რომ თავი ველარ შევიკავე და ხმამაღლა გადავიხარხარე.

საუბედურო, ჩემი სიცილი სრულიად უადგილო გამოდგა. ყველა მე მომაჩერდა. მარიამის შეწუხებული სახე რომ დავინახე, ჩემი დამემართა. წავიდეთო,— მთხოვა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, მაყურებლები ატეხენ-მეთქი აურზაურს.

თეატრიდან რომ გამოვედით, შევთავაზე, კაფეში შევიდეთ, რამე დავლიოთ-მეთქი. არ ისურვა. შემეხვეწა, მითხარით, რატომ გადაიხარხარეთო. ვუთხარი, როგორც იყო საქმე — ბევრი იცინა.

მშვენიერი საღამო იდგა, ქუჩაშიც არ იყო მაინცდამაინც დიდი ხალხმრავლობა და ფეხით წამოსვლა ვამჯობინეთ. მარიამმა საბოლოოდ მომაჯადოვა. სულ იმის ცდაში ვიყავი, რითიმე გამემხიარულებინა.

იმ დღიდან ჩვენმა მეგობრობამ სულ სხვა ელფერი მიიღო. ვგრძნობდით, რომ ჩვენ უკვე რაღაცა გვაკავშირებდა ერთმანეთთან.

ყოველთვის ვპოულობდით საბაბს, რომ გვენახა ერთმანეთი. ჩვენი ამბავი რომ იყო, ისეთი ალბათ სხვა არც ახსოვს სიყვარულის ისტორიას. მთელი წელიწადი ერთმანეთს თვალებში შევციცინებდით. უკვე ვიცოდით, რომ ტკბილიცა და მწარეც ერთი ფიალიდან უნდა გვესვა მთელი ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ამ საიდუმლოს მაინც ჯიუტად ვინახავდით.

გვინდოდა, რომ ყველაზე უფრო ბედნიერი, თავისუფალი და უზრუნველი შეყვარებულები ვყოფილიყავით. თუმცა არა, მგონია, ცოტა გადავაჭარბე — „გვინდოდა“ კი არა, „მინდოდა“ უნდა მეთქვა. დიახ, მე მინდოდა, რომ თავისუფალი და უზრუნველი ვყოფილიყავი. ჩემი გული უკვე მთლიანად მარიამს ეკუთვნოდა, ბედნიერება ჩემთვის მასთან სიახლოვეს ნიშნავდა, მაგრამ რაღაც იდუმალი ხმა მაინც გამუდმებით ჩამძახოდა ყურში: მარიამი შენ ვერ გაგიგებს, ვერ აგიბამს მხარს; შენ ისეთი ვინმე უნდა მოსძებნო, ვინც ყოველდღიურად გაიზრდება, ამაღლდება, წინ წავა და შენს სურვილებსა და მისწრაფებებს თავისად იგულვებს.

მაგრამ თავს ასე ვიმშვიდებდი: მარიამი ჯერ ახალგაზრდაა, იმდენი არ მოეთხოვება, შეიძლება ბევრი რამ არ იცოდეს, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან დამყოლია და მოსიყვარულე-მეთქი.

ასე გადიოდა დრო. ერთმანეთს ძალიან ხშირად ვხვდებოდით. მარიამი საოცარ სათნოებას ამჟღავნებდა. მე ახალშეძენილ მეგობრად მივაჩნდი. მასთან ყოფნისას ბავშვობის უზრუნველი და მხიარული დღეები მახსენდებოდა. ხან ვაცინებდი, ხან ვატირებდი; ვიბუტებოდით კიდეც, მაგრამ შერიგებაც მალე ვიცოდით. მალე ამიღო ალღო მარიამმა: გაიგო, რა მწყინდა და რა მიხაროდა.

ერთ დღეს დედაჩემმა მიხმო და მარიამზე ჩამომიგდო სიტყვა. მარიამი ძალიან მომწონსო, — მითხრა, — და შენს ღირსეულ საცოლედ მიმაჩნიაო, მაგრამ მეშინია, თქვენი ამბავი მეზობლების გასაჭორი არ გახდესო.

დედაჩემის ლაპარაკიდან მივხვდი, რომ მარიამის მშობლები შეშფოთებულნი იყვნენ და ჩვენი ამბის დაზუსტება სურდათ. მათი სიფრთხილე სავსებით გასაგები იყო. სიზმარში მეგონა თავი.

— ცოტა მაცალეთ, მარიამის აზრიც ხომ უნდა ვიცოდე? — ეს, რასაკვირველია, სიტყვის მასალა იყო. რამდენიმე დღე აფორიაქებული დავდიოდი. ბოლოს, როგორ იქნა, დავიმარტოხელე მარიამი.

მე და მარიამი ერთმანეთს უკვე კარგად ვუგებდით, შეიძლება ითქვას, შეხმატკბილებულნი ვიყავით ერთმანეთთან და ისიც, რაც ახლა უნდა მეთქვა მისთვის, ორივეს ძალიან გვჭირდებოდა, მაგრამ რატომღაც ენა მებმოდა და სათქ-

მელს თავს ვერ ვუყრიდი. მარიამის წინაშე გამოუცდელი ყმაწვილივით ვიდექი, პირველად რომ აპირებს სიყვარულის ახსნას. ბოლოს მაინც, სხვა გამოსავალი რომ ვერაფერი ვნახე, გადავწყვიტე, ჯერჯერობით არაფერი მეთქვა და დრო სიცილ-ხუმრობაში გამეტარებინა.

განშორების დრო რომ დადგა, მაშინღა გამოვიდე თავი. მოულოდნელად ვეცი და ხელზე ვაკოცე; ვაკოცე კი არა და, როგორც იტყვიან, ხარბად დავეკონე. მარიამმა თავისი დიდრონი, მომნუსხველი თვალები მომაპყრო, ერთხანს ასე მიყურა და მერე გულიანად გადაიკისკისა:

— ეს იყო შენი სათქმელი?

შემრცხვა და ხელი ცივად გავუშვი.

— რა გაცინებს?

მაგრამ მარიამი უკვე აღარ იცინოდა, დატუქსული ბავშვივით იდგა ჩემ წინაშე. შეკითხვა რომ გავუმეორე, ესღა მითხრა:

— მეც არ მიკვირდა?! თავიდანვე ისეთი უცნაური მეჩვენე დღეს... სულ რაღაცას ხუმრობდი ვითომ... იცინოდი...

— მართლა?

— არა, ახლა ყველაფერი გასაგებია.

სხვა ახსნა-განმარტება აღარ მითხოვია. მისმა უშუალო და მოსიყვარულე კილომ დამამშვიდა. ვიდექი და აღტაცებული ვფიქრობდი ჩემთვის: რა მიხვედრილები არიან-მეთქი ქალები, როდესაც საქმე სიყვარულის ახსნაზე მიდგება. ტვირთი შემიმსუბუქდა... რას ვიფიქრებდი, რომ ეს თოჯინასავით გოგო ყველაფერს ასე უცებ გაიგებდა. ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა:

— ჰო, გენაცვალე, შენ კარგად მიმიხვდი. რაღაც მინდა გითხრა... მინდა გკითხო: თანახმა ხარ ცოლად გამომყვე?

მარიამმა მშვენივრად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ეს უნდა მეთქვა მისთვის, მაგრამ არ ეგონა, ასე ერთბაშად თუ მივახლიდი. სირცხვილისაგან პირისახე აელეწა, თავი ჩაღუნა და გაიტრუნა. წელზე ხელი მოვხვიე, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩემკენ მივიზიდე და მისმა სხეულმა მაგრძნობინა მისი პასუხი. პირველმა ამბორმა თავბრუ დამახვია. გული სიამის გრძნობით ამევსო და ცხოვრებას სულ სხვა თვალით დავუწყე ყურება. დიახ, მარიამი იყო ყველაზე სანუკვარი იმ ქალებში, ვინც მე ოდესმე გულში ჩამიკრავს.

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, ადგილს ვერ ვპოულობდი. ჩემს ფიქრსა და ოცნებას საასპარეზოდ აღარ ჰყოფნიდა სახლი და ბაღი. მარიამი გულში ჩავიკარი და ჩურჩულით ვუთხარი:

— ხვალ დედაჩემი მოვა შენს დასანიშნად.

უბრალო ქორწილი გადაგვიხადეს; ჩვენ ასე ვისურვეთ. მახსოვს, ხეთბეს * შემდეგ მარიამი გვერდზე მომისვეს. პირდაპირ, სარკეშიც მას ვხედავდი. სწორედ რომ ფერიას ჰგავდა; ეს ცნობისმოყვარე საზოგადოება რომ არა, მის წინ მუხლს მოვიყრიდი და კალთას ცრემლებით დავუნამავდი. ერთთავად თეთრ სამოსელში გამოწყობილი — პოეზიისა და ხელოვნების სამყაროდან მოვლენილს ჰგავდა. ხელზე ხელი მოვუჭირე და გულში ვთქვი:

— ოჰ, მარიამ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ?

მეგობრების დაჟინებით ტუჩებში ვაკოცე. მარიამმაც პეპელასავით ნაზი ამ-

---

* საქორწინო რიტუალი.

ბორით დამაჯილდოვა. ტკბილეულს შევექცეოდით უხმოდ. ბედნიერება სახეზე გვეხატებოდა.

ევროპაში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ დამავიწყა, მაგრამ ირანული ქორწილის ბავშვური, გულუბრყვილო ტრადიციები მაინც ძველებურად მიზიდავდა. მინდოდა მარიამი სულ ასე მორთულ-მოკაზმული მჯდარიყო ჩემ გვერდით, სულ ასე მეყურებინა მისთვის სარკეში. მინდოდა სარკესთან ყოველთვის ყოფილიყო ანთებული სანთლები და ჩვენც, ნაცნობ-მეგობრებით გარშემორტყმულთ, ტკბილეულით სავსე სუფრასთან მუტრიბთა გალობა გვესმინა განუწყვეტლივ: „ბადა, ბადა, ბადა...“

ორი თვის შემდეგ ჩვენ ერთ კოპწია სახლში დავბინავდით, ამირიეს ქუჩაზე. მე რომ ასეთი მეოცნებე და თავკერძა კაცი არ ვყოფილიყავი და მარიამი ასე ერთბაშად არ მომეგლიჯა ქალიშვილი ქალის ყოფას, ალბათ, უფრო ბედნიერები ვიქნებოდით.

ჩვენი ბედნიერება ხუთ თვეს გაგრძელდა. გარძელდა მანამდე, სანამ სიყვარულს ჯერ კიდევ შესწევდა ძალა ოცნების ფერადი სამოსელით მოერთო ჩემი ანგელოზივით მეუღლე.

მარიამი საოცრად სათნო და ტკბილი მეუღლე გამოდგა. გაგიჟებით მიყვარდა და ამიტომ მის ნაკლს კაი ხანს ვერც კი ვამჩნევდი. ისიც სავსებით იზიარებდა ჩემს სიყვარულს. მაგრამ ვაი რომ, როგორც საფრანგეთში იტყოდნენ, „ადამიანი მარტოოდენ სიყვარულითა და ცივი წყლით როდი ცხოვრობს“. ასეთი თავბრუდამხვევი გრძნობა მხოლოდ სამოთხეს თუ დამშვენდებოდა, ჩვენ კი დედამიწაზე ვცხოვრობდი და ისიც... ირანში.

მარიამს საოჯახო საქმიანობისა არაფერი გაეგებოდა. ვერ ერკვეოდა იმ წვრილმანებში, მამაკაცს ოჯახური ცხოვრების სიტკბოს რომ განაცდევინებს. ამაში მარიამს არ ვადანაშაულებდი, ეს ირანული აღზრდის ბრალი იყო: თითქოს ახალგაზრდებისათვის რაიმე ზიანის მოტანა შეეძლოს ცხოვრებისეული წვრილმანების ცოდნას. მისი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ჩემს კანონიერ სურვილებს ალღო ვერ აუღო. ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის ვცხოვრობდით!

საოჯახო საქმეები მოხუც მოსამსახურეს ჰქონდა მინდობილი, იგი მარიამს მოჰყვა თან. ასე რომ მარიამს თავისი ოთახიდან ფეხის გამოდგმაც კი არ უხდებოდა. სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, ყოველთვის ეძინა. თითქოს ცოლქმრობა მარტო ძილი და სიყვარულობია ყოფილიყოს.

თავიდან სათქმელს გადაკვრით ვეუბნებოდი ხოლმე. ერთი-ორჯერ ხელმოკიდებული შევიყვანე სამზარეულოში და ჩემი საყვარელი კერძების დამზადება ვასწავლე. მერე სიცილითა და ხუმრობით ხელში ცოცხი და მტვრის ტილო მივაჩეჩე. მარიამს ეს მართლა ხუმრობა ეგონა და ჩემს დასანახავად ხანდახან სიამოვნებით ერთობოდა ხოლმე ამით, მაგრამ სხვა დროს არც იფიქრებდა, რომ ეს საქმე გაეკეთებინა.

მერე ნელ-ნელა საყვედურებზე გადავედი. მარიამი მისმენდა, მაგრამ სახეზე არაფერი ეხატებოდა, თითქოს ჩვენ შორის ქვის კედელი იყო აღმართული. მინდოდა პატიება ეთხოვა, ან მოემიზეზებინა რაიმე, დამნაშავედ ეგრძნო თავი... ნურას უკაცრავად. ყურადღებით მომისმენდა ხოლმე, ლაპარაკს რომ დავამთავრებდი, მოვიდოდა და ნაზად მეტყოდა:

— კი, მაგრამ... ასეთი კარგი სახლი გვაქვს, ასეთი ტკბილი ცხოვრება, სხვა რაღა გინდა?

მტვრიან ავეჯზე, აბლაბუდებზე და დაუუთოებელ თეთრეულზე რომ მივუთითებდი, სიცილით მეტყოდა:

— ო, როგორ გიყვარს ქალის საქმეში ჩარევა!

სხვა რა გზა მქონდა, მეც ვიცინოდი და ყველაფერს ხუმრობაში ვატარებდი. მეორე დღეს მარიამი ცდილობდა ყველაფერი ერთბაშად გაეკეთებინა. აი, ასეთი ხასიათი ჰქონდა, ძნელ საქმეს დიდი გატაცებით შეეჭიდებოდა ხოლმე, ყოველდღიურ წვრილმანებს კი გვერდს უვლიდა.

თავდაპირველად მარიამის ასეთი საქციელი ჩემს გრძნობებზე სრულიად არ მოქმედებდა. საკმარისი იყო გულში ჩამეკრა და მის ვნებიან ტუჩებს დავწაფებოდი, რომ უსაზღვრო ბედნიერების შეგრძნება მეუფლებოდა და ქვეყნად აღარაფერი მახსოვდა. მიკვირდა, საიდან ჰქონდა ამდენი სითბო და ასეთი ძლიერი ტემპერამენტი ამ გამოუცდელსა და ერთი შეხედვით სუსტ ქმნილებას. იგი იმდენ სიამოვნებას მანიჭებდა, ასეთი მომთხოვნი და უმადური ხასიათი რომ არ მქონოდა, უთუოდ ჩვენზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ იქნებოდა.

მარიამის ქარაფშუტობამ და ჩემმა თავისებურმა ხასიათმა სულ სხვანაირად წაიყვანა საქმე.

ერთ დღეს, — ზუსტად არ მახსოვს რა მოხდა, არ ვიცი, კერძი იყო უგემური. თუ სახლი არ იყო დალაგებული, — ის იყო საყვედურის თქმას ვაპირებდი, რომ მარიამმა უცებ იფეთქა:

— შენ ჩემს საყვედურებს არაფერი გირჩევნია!

— ჩემო კარგო, შენ რომ შენი საქმე იცოდე, სასაყვედურო, აბა, რა მექნებოდა?

მარიამმა ცრემლები გადმოყარა.

— განა მაძლევ გასაქანს, რომ ჩემი საქმე ვაკეთო? ძიძასავით დამდევ უკან და მასწავლი, ეს ასე გააკეთე და ის ისეო.

თვალს და ყურს არ ვუჯერებდი. ნუთუ ეს იყო ჩემი მარიამი, ბრაზისაგან ერთთავად აკანკალებული, მწარე-მწარე სიტყვებს რომ მესროდა და ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები? განა ისეთი რა ჩავიდინე? რა მოვითხოვე ვითომ უსამართლოდ?

მარიამის ცრემლებმა გული შემიკუმშა. გაოცებას ვიყავი. ღმერთო დიდებულო, რა მექნა, არ ვიცოდი. ავდექი და გულში ჩავიკარი, თვალები დავუცოცნე.

— მარიამ, გენაცვალე, რა საჭიროა ჩვენ შორის ასეთი ლაპარაკი? — ტახტზე დავსვი და გვერდით მივუჯექი. ნაზად ვუსვამდი ხელს მის რბილსა და გიშერივით თმას. ჭექა-ქუხილით შეშინებული ბავშვივით მეკვროდა მკერდზე და მისი სხეულის სითბო საამოდ მეღვრებოდა მთელ ტანში.

ამ ცრემლებისა და უსიამოვნების მერე ჩვენი ალერსი კიდევ უფრო ტკბილი იყო; მაგრამ იმ დღიდან ჩვენ შორის რაღაც ყრუ კედელი აღიმართა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ზოგიერთ რამეზე თვალი უნდა დამეხუჭა.

თავიდანვე სულ იმის ცდაში ვიყავი, ოჯახში სიყვარული და ურთიერთგაგება ყოფილიყო, მაგრამ არაფერი გამივიდა. ჩვენი ცხოვრება ძალიან მდორედ და ერთფეროვნად მიედინებოდა. ზოგჯერ საათობით ვისხედით ერთად და ერთმანეთისათვის სათქმელი არაფერი გვქონდა. მე უფრო ხშირად ვკითხულობდი ან ვწერდი რამეს, ის კი მეტწილად უსაქმოდ იჯდა და უსიცოცხლო მზერით ერთ წერტილს მისჩერებოდა. დროდადრო თავის თლილ თითებს ათვალიერებდა და ამით ერთობოდა, ხან კიდევ ჩემს გაყინულ სახეს დააცქერდებოდა. ხანდახან,

როცა ასე მოწყენილს დავინახავდი, გული ამიჩუყდებოდა, ყველაფერს თავს დავანებებდი, გვერდზე მივუჯდებოდი და ანეკდოტებს ან ევროპის ამბებს ვუყვებოდი. მარიამიც მისმენდა და იცინოდა თავისი გულიანი, უდარდელი სიცილით.

მალე ჩვენი ცხოვრება ძალიან მოსაწყენი გახდა. ეს გულის გამაწვრილებელი სიმშვიდე, რასაც ბოლო არ უჩანდა, ჩემზე საშინლად მოქმედებდა. პირადად ჩემს მარცხად მიმაჩნდა ეს ამბავი, ნუთუ არ შეიძლებოდა-მეთქი, — ვეკითხებოდი ჩემს თავს, — ასეთი მოსიყვარულე ქალი მეოჯახე ცოლიც დამდგარიყო?

ერთ საღამოს დროზე ადრე დავბრუნდი შინ. მარიამი სადღაც წასულიყო. მოსამსახურემაც არაფერი იცოდა. ალბათ დედამისთან წავიდა-მეთქი, — ვიფიქრე, ჩემს ოთახში შევედი და კითხვა დავიწყე. სიცარიელის გრძნობა დამეუფლა. სახლი უდაბნოდ მომეჩვენა. ჩემსავე თავზე მეცინებოდა ამის გამო.

მარიამი ერთი საათის შემდეგ მოვიდა. ფერწასული მეჩვენა, ეტყობოდა, რომ სიარულიც უჭირდა. მეგობარი ქალი, ხანუმ ქიავანდი შემოჰყვა. ცოტა არ იყოს შემეშინდა, ასეთი მისუსტებული რომ დავინახე. მაშინვე ლოგინში ჩავაწვინე და ექიმის მოყვანა დავაპირე, მაგრამ მარიამმა და მისმა მეგობარმა შორს დაიჭირეს, — არ არისო საჭირო. ძალა არ დამიტანებია, ისედაც არ ჰქონდა ლაპარაკის თავი. ხანუმ ქიავანდმა აკოცა მარიამს და გამოგვემშვიდობა. მარტონი დავრჩით. მარიამს ჩემთვის არაფერი უთქვამს. მეორე დღესაც რომ აღარ მოიკეთა, სხვა გზა არ იყო და ექიმს გამოვუძახე. ყველაფერი უცებ გამოირკვა. თურმე მარიამს ჩემი ნებართვის გარეშე მოუშლია მუცელი. ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო. თითქოს ცა ჩამომექცა თავზე, ექიმის საყვედურებს ვისმენდი და გული ბოღმით მევსებოდა.

„ღმერთო ჩემო, რამ აფიქრებინა ამისი გაკეთება? ვინ გააბედინა? ხანუმ ქიავანდმა? იმ ტუტუცმა დედაკაცმა? კი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა გინდათ, ქალებო? მხოლოდ ტუჩები უნდა შეიღებოთ და „კაიზერის“ წინდა ჩაიცვათ?... ეს ხომ სისულელეა! ბავშვი არ გინდათ, ბავშვი? აბა, რისთვის ცხოვრობთ ამქვეყნად?“

მარიამს ძალზე გულამღვრეული მივუახლოვდი. დავაპირე მეთქვა, თუ რა უაზრობა იყო მასთან ცხოვრება; მაგრამ მისი ფერმკრთალი სახის შემხედვარემ თავი შევიკავე, საწოლზე ჩამოვჯექი და გაყინულ ხელზე ხელი მოვკიდე. ხმა არ გაუღია. თვალში ცრემლი უბრწყინავდა. ო, რა საყვარელი იყო მაშინ!

მარიამის ავადმყოფობა ყველამ უცებ გაიგო. შეშინებული დედამისი მაშინვე მოვარდა. ეს სათნო ქალი საკუთარ დედაზე მეტად მიყვარდა, მაგრამ კარი გავუღე თუ არა, მოთმინებამ მიღალატა და ყველაფერი ერთბაშად მივახალე. ხმა მიწყდებოდა. არ ვიცი, როგორ აღმომხდა:

— ხანუმ, მერწმუნეთ, ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება.

გაოგნებულმა მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა:

— ხომ არ გაგიჟდი?

იქნებ მართლაც გავგიჟდი? ასე იყო თუ ისე, ჩემს თავისუფლების მოყვარე გულს მეტის ატანა აღარ შეეძლო.

სიმართლე გითხრათ, განშორებაზე ადრეც მიფიქრია. მომბეზრდა ეს ერთფეროვანი, უინტერესო ცხოვრება. ცოლქმრობის ულელი ძალიან მძიმე ტვირ-

თად მაწვა. გამოსავალს მხოლოდ განშორებაში ვხედავდი. მაგრამ აქამდე ეს შეუძლებლად მიმაჩნდა.

მარიამის სახეზე ასეთი გამომეტყველება არასოდეს მენახა, სინანულის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. დედამისის საყვედურები აბრაზებდა და პირს კედლისაკენ იბრუნებდა.

— კი, მაგრამ, შვილო, მე რა, მკვდარი ვიყავი? ვინ გირჩია? ეს რა ჩაიდინე?

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მარიამს ჩემი და დედამისის საუბარი ესმოდა. გაოცებას ვიყავი: ნუთუ შეიძლებოდა, რომ მარიამი — შორიდან ასეთი ნაზი და დამყოლი, სინამდვილეში ასეთი გულქვა ყოფილიყო? გული სიძულვილით მევსებოდა, ვუყურებდი და ვფიქრობდი:

— არა, უნდა დავშორდეთ, აუცილებლად უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.

წამოვდექი, გამოვეთხოვე დედამისს და გარეთ გამოვედი.

თავი მისკდებოდა. მთელი ტანი მეწვოდა სიცხისაგან. უცებ მამაჩემის სახლთან ამოვყავი თავი.

მარიამის ავადმყოფობა ახალი გაგებული ჰქონდათ და დედაჩემი წამოსასვლელად ემზადებოდა. მე რომ დამინახა, შეშინდა:

— რა მოხდა... მითხარი, რა მოხდა?

— არაფერი, ახლა უკეთაა.

— კიდევ კარგი. რატომ გამოიყურები ასე მგლოვიარედ?

— რატომ მგლოვიარედ?.. გავცილდი, — ვუთხარი დაბნეულმა.

არ ვიცი, რას ვფიქრობდი, როცა ასეთ ტყუილს ვამბობდი. ძალიან დავიღალე. სულით ვიყავი დაცემული. დედაჩემმა, რასაკვირველია, არ დამიჯერა. ისე მიყურებდა, მგონი, გიჟი ვეგონე.

— როდის, როდის გაეყარე? საბრალო მარიამი! არა, არა, შენ სტყუი... თქვი, თქვი, რომ სტყუი!

კრიჭა შემეკრა და ველარაფრის თქმა ველარ მოვახერხე. თითქოს აღარ ვიყავი ამქვეყნად. დედაჩემი ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. ბოლოს ხელი მომკიდა და მითხრა:

— აბა, წავიდეთ!

წამოვდექი და სიტყვის უთქმელად გავყევი უკან. ზამთრის პირი იყო და უკვე საკმაოდ გრილოდა, მაგრამ მე ერთიანად ოფლში ვცურავდი. როგორც იქნა, სახლამდე მივაღწიეთ.

მარიამი ლოგინში იწვა. ოთახში ნათესავები ფუსფუსებდნენ. დედაჩემი დარწმუნდა, რომ ვიცრუე. თავისუფლად ამოისუნთქა. მარიამთან მივიდა და მოეფერა, თან ჩემზე ანიშნა:

— როგორ შემაშინა ამ ბავშვმა!

ყველამ თანაგრძნობით შემომხედა. ჩემს გამოუცდელობაზე იცინოდნენ და ამბობდნენ:

— რას დაემსგავსა გუშინს მერე, როგორ უყვარს ცოლი!

მართლაც ძალიან შეშლილი სახე მქონდა. ნელ-ნელა ქალების ყურადღებამ კვლავ მარიამზე გადაინაცვლა, მე კი ჩემს ოთახში შევედი, კარი ჩავიკეტე და ფიქრებში ჩავიძირე.

ისეთი მოქანცული ვიყავი, რომ აზრებს თავი ვერ მოვუყარე. ქვეყანა ბნელეთად მეჩვენებოდა. თავში მხოლოდ ერთი ნათელი აზრი მიტრიალებდა: „განქორწინება, განქორწინება, განქორწინება“. ბოლოს და ბოლოს ძილმა მიხსნა ამ სატანჯველისაგან.

დილით. რომ გავიღვიძე, უკვე ვიცოდი — ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი წარსულს ჩაბარდა. მოსახდენი მოხდა.

ძალიან მშიოდა. მოსამსახურეს საჭმელი ვთხოვე და, ალბათ არც კი დაიჯერებთ, ძალიან მადიანად გეახელით.

მარიამმა ექვსი დღე იავადმყოფა. ამ ხნის მანძილზე მისთვის მზრუნველობა არ დამიკლია, მაგრამ, ეტყობა, მარიამს ქალური წინათგრძნობა რაღაცას კარნახობდა. ერთთავად მოწყენილი იყო, მწარე-მწარე სიტყვებს მესროდა ხოლმე და ამით კიდევ უფრო მაღიზიანებდა. სხვა ხერხი. რომ ეხმარა, იქნებ საქმე უკეთ წასულიყო.

დრო მოვიდა და მარიამს გავუმხილე ჩემი გადაწყვეტილება. ისე მიჭირდა ლაპარაკი, თითქოს, სიკვდილმისჯილი ვიყავი და ჩემს საბოლოო სიტყვას ვამბობდი. მარიამს ზაფრანის ფერი ედო, სუნთქვაშეკრული იჯდა და მისმენდა. თითები უთრთოდა... მაგრამ სათქმელი უკვე ითქვა... მარიამი წამით ჩაფიქრდა, ამოიოხრა და ესღა მითხრა:

— ისე მოიქეცი, როგორც სიმართლე გიკარნახებს...

არ უნდოდა ცრემლები ეჩვენებინა ჩემთვის, სწრაფად წამოდგა და გავიდა ოთახიდან.

□

ITALIAS GRAMATIKA

შენ მოკვდი ადამი

მოთხრობა

ლიტვურიდან თარგმნა ფიროზ მაჩურიშვილმა

ლამე. საავადმყოფოს პალატა. საოცრად დიდი და ლამაზი. ასეთ ღამეში აქ თავგზა აგებნევა უთუოდ. მთვარემ დაამხო თეთრი კედლები და ირგვლივ დადგა ჯერ არნახული, სრულიად ახალი სამყარო: მისმა სხივებმა თავგამეტებით გაატანა ყოველგვარ საგანში და უმოწყალოდ გარდასახა მათი ფორმა. შემაშფოთებელი სიზმრები უხვად განფინა ყოველ კუნჭულში. ჩვენ ვუმზერთ უზარმაზარ აჩრდილთა დენას, რომლებიც ჰგვანან წამებულ და უცნაურ სახეებს, კაცთა აჩრდილებს, — რომელ კაცთა ან სადაურთა? ჩვენ ეს ვვიკვირს და უკვე ვივიწყებთ, რომ ვიმყოფებით ფსიქიატრიული საავადმყოფოს ჩვეულებრივ პალატაში. ამ პალატას გისოსიანი ფანჯრები აქვს. საწოლები შიგნით ორ მწკრივადაა განლაგებული. აჰ, აქ ხომ დღისით ყველაფერი სხვანაირად გვეჩვენება!

ავადმყოფებს სძინავთ. თითისწვერებზე ვიაროთ, მძინარე სულებს ნუ შევაშფოთებთ და, თუ ისინი ერთმანეთს არ გააღვიძებენ, მაშინ ის ღამე წყალობაა, ცით ბოძებული. მეთვალყურენი და სანიტრები ძილს მისცემიან. დამაშვრალ ექიმს ფრთხილად სძინავს სამორიგეო ოთახში, სადაც ტელეფონი სიკვდილს ყველაზე უწინ აუწყებს ხოლმე; ძილს მისცემია თავად სიგიჟეც.

შესდექით. რომელიღაც ავადმყოფს ჯერ არ სძინავს. საწოლიდან წამოიწია, წინ წამოძაბა ხელის გაფარჩხული თითები და ბიჯი წარსდგა ნათლის სილრმეში. იქნებ მთვარეულია. ო, არა. იგი მთელი სხეულით კანკალებს, ხელები ალაპყრო და ძახილს მოჰყვა:

— ა-ა-ა!!!

ეს ხომ ადამია. მას სინდისი ჰქენჯნის. ჩვენთვის ეს სავსებით გაუგებარია.

ამ ადამიანს მხრებზე აწევს პასუხისმგებლობა, რომლის მემილიონედ ნაწილსაც ვერ გავუძლებდით ჩვენ.

— კიდევ ერთხელ ვიცვალე გვერდი კუბოში! — ამოიკვნესა მან.

ზოგიერთებს უკვე გამოელვიძათ, მძიმე-მძიმედ წამოსწიეს თავი და გულგრილად აბუზღუნდნენ.

პალატა ცისფერ ნათელში იძირებოდა. ძილი ჯერ კიდევ წარბ-წამწამებში ეხლართებოდათ ძილ-ღვიძილის ზმანებებში მინაზებულ მწოლიარეებს.

ადამს კვლავ მაღლა ამართული ეპყრა ხელები:

— ის ქალი ასეთივე თვალით უყურებდა თავის შვილებს... ათასეული წლები წარვიდნენ... ა-ა! მე ვუბოძე მათ არაჩვეულებრივი ძალა და თავის ქალაში ჩავუდე. ვუბრძანე: შვილნო ჩემნო, ჰქმენით საქმენი სასიკეთონი და გიყვარდეთ სოფელი ესე! მათ კი რა ჰქნეს?! ყოველი ახალი თაობა ჰკლავდა ხოლმე თავის მოძმეს და სასაფლაოდ გარდაქმნეს მიწა.

— აიღეთ ჯოხი და ჩასცხეთ თავში, — მთქნარებით თქვა ერთმა ავადმყოფმა.

— რომელი ჯოხი? — იკითხა მეორემ.

— პაპაჩემის ჯოხი.

— ის მარადიული ჯოხი?

— არავითარი მარადიული ჯოხი არ არსებობს.

ყველა ავადმყოფი დაინტერესა ჯოხის ამბავმა.

— მე გითხარი, უბრალო ჯოხი-მეთქი.

— აქ არავითარი ჯოხი არ არის.

— მაშ არ უნდა ილაპარაკო ჯოხზე, თუ ის არ არის.

— არა, ხალხო, არაფერი არ გვიხსნის. დიდი ხანია, რაც ადამი უთავბოლოდ დაბიჯებს ამ ქვეყანაზე.

— ჯვარს მაცვით, დამსაჯეთ. — კვნესით ეუბნებოდა ადამი, — მამათ დასჯა შვილთა ცოდვათა გამო — ყველაზე სამართლიანი სასჯელია. მამათა პასუხისმგებლობა უსასრულოა, მარად უსასრულო. მე ცოდვიანი ვარ. მე დავუდე სათავე ადამიანთა მოდგმას. თქვენ ჩემი ცოდვის სიდიდის წარმოდგენაც არ შეგიძლიათ. თქვენ სასჯელსაც კი ვერ მოიგონებთ. ყველა თაობა ჰკლავდა და სპობდა თავის მოძმეს. — მე ამნაირად მსჯიდნენ ისინი! ამის გამო კუბოში ათასჯერ მოვიქცეე გვერდი. ძირს დაცემული უსულო მსხვერპლი პირველი სიტყვით მე მარისხებდა ხოლმე. სიკვდილი არაა საშინელება, მაგრამ მკვდარი კუბოში გვერდს რომ მოინაცვლებს!.. ა-ა-ა!!.არა არის რა უსაშინლესი ამაზე მეტად. შეიძლება მთები დაიქცეს და ვარსკვლავებმა ცით იწყონ ცვენა, — სულერთია, სხვა მიცვალებულები მშვიდ ძილში არასოდეს შეშფოთდებიან, ხოლო ვინც კაცთა მოდგმა დაიწყო, ვერასოდეს ვერ მოისვენებს. ჯვარს მაცვით! ნაწილ-ნაწილ დამფლითეთ! შვებას ვიგრძნობ.

— საიდან მოეთრია ნეტავ ასეთი? — ჰკითხა ვიღაც ავადმყოფმა მეზობელს.

— მოვიდა.

— საიდან?

— წარსულის უკვდავთა სასაფლაოდან. მან თვითონ ასე თქვა.

— გზა ვინღა აჩვენა?

— კარმა.

— ამ კარმა?

— არა. მომავლის კარმა. თვითონ ასე თქვა.

— ახლა ცხოვრება ისეა სავსე ყოველგვარი სისულელეებით, რომ ძნელია გაარჩიო — სად არის ჭეშმარიტება და სად — სიცრუე.

— ექიმები რას ფიქრობენ? — წამოიძახა ვიღაცამ.

— ჩვენ რას ვფიქრობთ? — გამოეხმაურა სხვა.

— ასე ცხოვრება შეუძლებელია.

ახლა კი შფოთვამ მოიცვა მწოლიარენი. მათ ძარღვებში გაიშრიალა პირველმა ნიავმა, ქარიშხლის წინ რომ შეათამაშებს მთვლემარე ფოთლებს. ადამი განაგრძობდა ლაპარაკს. რაღაც უსაშინლესი ჩვენებიდან უკან-უკან იხევდა და ეუბნებოდა მათ... არა, თავადაც არ იცოდა, ვის.

— მე ვხედავ, ყველაფერს ვხედავ! ვხედავ ჯვარცმულ კაცს. გილოტინის ნაჯახზე ვხედავ ჯერ კიდევ შეუმშრალ სისხლს, ასე საშინლად რომ ეწებება ჩემს თითებს, სახრჩობელებს და ინკვიზიციის კოცონებს ვხედავ, მობრიალე კოცონებს, წარწერებს ვხედავ სახრჩობელებზე: მხოლოდ ჩვენ ვართ უკვდავნი! მხოლოდ ჩვენ ვიცით ადამიანის ნამდვილი ფასი! ბორკილებს ხელებზე, ხუნდებს ფეხებზე, უღელს კისერზე, ურდულებს ქალაქთა ბჭეებზე ტირანთა გულგასახარად, — ყველაფერს ვხედავ! ყველაფერს!.. აა!!. მესმის მათი კივილი, ვგრძნობ მათ ტკივილს, საშინელს, აუტანელს... სიგიჟემდე... მათი სატკივარი ჩემი სატკივარია, ჩემი სატკივარი — მათი! ყველასი... ჩვენი... აა!!. გიბრძანეთ: გიყვარდეთ სოფელი ესე. მომეცით წყალობა, გიყვარდეთ სოფელი ესე, გიყვარდეთ ერთმანეთი. შემიწყალეთ. უამისოდ ვერ გავუძლებ საუკუნეთა ტვირთს. თქვენ კი... ო, თქვენ კი რა ჩაიდინეთ?! რა ჰქენით?! აა!!.

— ერთიანად მაკანკალებს, — თქვა საწოლიდან წამოწეულმა ავადმყოფმა, — ერთიანად მაკანკალებს...

ასეთი მთვარიანი ღამე იყო მაშინაც.

— საშინლად ცივა! საზიზღარი ღამეა! — დაიჩივლა სხვამ. — ეს სულელი ბოლოს მოგვიღებს პირდაპირ.

ღამემ ჩამოაზვავა მათ თავზე თაღთა ნანგრევები. ამ საშინელებას სიკვდილი ერჩიათ. მაგრამ ისინი გარბოდნენ, შველას ეძებდნენ.

— დავხუჭოთ თვალები!

— დავიცვათ ყურები!

— საბანში ჩავიმალოთ!

— ნუ შევხედავთ!

— არაფერს არ გავიგონებთ!

— ჭკუით ვიყოთ!

ადამი ისევ ლაპარაკობდა, ოღონდ უკვე ჩუმად, ჩუმად წარმოთქვამდა მათსავე წარმოუთქმელ სიტყვებს:

— ყველაფერი მათგან წარმოიშვა. სიცივე, შიმშილი, ჭირი. ყველაფერი მათგან დაიბადა: ღალატი, ტყუილი, დაცინვა. ცხოველის თათიც. ქალები, საკუთარი სისხლის წახდენილი იდუმალება რომ დაიტირეს, ამაყად მიდიოდნენ და პირქვე ემხობოდნენ სამარის კარად. თქვენ ყველაფერი გახსოვთ. თქვენ იცნობდით იმ ქალს და მთელი არსებით გიყვარდათ. თქვენ უყურებდით... როდესაც კეფაში მოხვდა ტყვია, ნელა გადაიხარა და გულიმა დაეცა. კიდევ დიდხანს იმზირებოდნენ მომაკვდავის თვალები. მისი სახე ქალურად ლამაზი იყო. მზერა შვილებისკენ ჰქონდა მიპყრობილი, შვილებისაკენ, რომელნიც ყველ-

გან არსებობენ. ის თვალები იცოცხლებენ მანამდე, სანამ საუკუნენი არ შესწყვეტენ დასასრულისაკენ დინებას!..

ადამმა ჩაიჩოქა და ამოიქვითინა. ერთი ავადმყოფი გადმოხტა საწოლიდან და კეფაში უთავაზა მუშტი... ადამი ისევ ქვითინებდა. ავადმყოფმა ერთიც მოუნაცვლა, მერე მეორე. და მოხდა რალაც გამოუსწორებელი. ყინულმა უცბად იგრიალა და ჩაიმსხვრა. დაივიწყეს ყველაფერი, რასაც გონივრული ეთქმოდა, უხილავმა ხელმა გამოსტყორცნა ისინი პალატიდან და ყოველი მათგანი თავის წარსულში ჩასძირა. ხოლო იქ, იმ წარსულში, უფსკრულს დაეფჩინა ხახა, უფსკრულს, კაცთა ცხოვრების ნანგრევებითა და აუხდენელი, დასამარებული ჭეშმარიტებით პირთამდე სავსეს; ყველა თავისებურად გაჰკიოდა, თავადაც არ იცოდნენ, ვის ლანძღავდნენ; ადანაშაულებდნენ უდანაშაულოთ, მსხვერპლს ჯალათობას სწამებდნენ და ეძიებდნენ ჭეშმარიტებას.

— გაჩუმდით! ჭეშმარიტება მე ვიცი! ოღონდ მათქმევინეთ!

— არა, მე მათქმევინეთ! მე ვიცი ჭეშმარიტება!

— მხოლოდ მე ერთმა ვუწყი სიმართლე!

— ადამმა იცის!

— არაფერიც არ იცის!

— ადამი გიჟია!

— ცოდვილი!

— ხოცავდა ადამიანებს!

— ახლა ჩვენ გვადანაშაულებს!

— მაგას კიდევ უნდა მოხვდეს!

— ყველაფერი სხვანაირად იყო! არა, ხალხო, ასე არ ივარგებს! — გაჰკიოდა სხვა, — ის ქალი არ დამხობილა სამარის კარად. ის გაიქცა. გეუბნებით, რომ გაიქცა.

გაიქცა? ვინ სტყუის მათ შორის? ვინ ამბობს ჭეშმარიტებას? ვის დაუჯერონ? ისინი წააწყდნენ დაბრკოლებას, რომელიც უნდა გადაელახათ.

— არა! არ გაქცეულა.

— სულელი! ნუ ლაპარაკობ იმას, რაც არ იცი! ის ქალი გაიქცა. ჰო, გაიქცა! მას ფეხში მოარტყეს ორი ტყვია! მთელი ღამე ლელიანში იმალებოდა. კბილალმასა ძაღლები ცოცხლად გაგლეჯას უპირებდნენ. უკვე განთიადმა გამოჟონა ტყის ქოჩორზე. ერთი ნახტომიღა იყო საჭირო! მას გაქცევა უნდოდა ჩემთან ერთად. ფრჩხილებით ჩამებღაუჭა. არ დამტოვო, გესმის, არ მიმატოვოო! მაგრამ ფეხი, გაიგეთ, ფეხი ჩავცხე თავში...

— ვინ დაარტყა იმ ქალს თავში?

— მე. ქვა.

— ჯალათი!

— მიახრჩვეთ ეგ!

— არა, ხალხო! ბოლომდე მოვუსმინოთ.

— აბა, ერთი ვკითხოთ, ლელიანში საიდან იშოვა ქვა?

— ქვა ეშმამ გამომიწოდა. თავად დავინახე: ეშმამ! ახლა იმ ქვას კისრით ვატარებ. მსუბუქი გგონიათ? მხოლოდ ჭეშმარიტებას შეუძლია მისი აწევა.

— ნუ ჰკიკინებ გულგახეთქილი!

— ნუ გეშინია, შენ არავინ არ მოგკლავს.

— ნუთუ შევცოდე, რომ იმ ქალს თავში დავარტყი?

— იქნებ ასე არც გამიკეთებია? ვისთან უნდა გავასწორო ანგარიში? ანგარიშის გასწორება კი აუცილებელია.

— ადამთან!

— ადამთან!

— ადამთან!

— ცრუობს, ეშმაკის კერძი! ცრუობს! სიმართლე არ იცის, — გაჰკიოდა ვიღაც და მუშტებს ურტყამდა სასთუმალს. — თქვენ ყველანი სცრუობთ, არაფერი არ გაგეგებათ! ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ეს ქალი ყინულში ჩაიყინა თავის გოგონასთან ერთად.

— ჩაიყინა?

— როგორ თუ ჩაიყინა?

— იმ ღამეს ვაგონიდან გამოგვათრიეს. ო, სუსხი! ო, ქარიშხალი! გესმით? ფუჰ! გესმით თუ არა? ქარიშხალი შფოთავს.

— ადამი შფოთავს!

— ქარიშხალი! გეუბნებით, რომ ქარიშხალი!

— ქარიშხალი სხვანაირად იწყება.

— ახლა ადამია. ქარიშხალი მაშინ იყო, მაშინ!

— სიცივე ჭინჭარივით გვსუსხავდა. ტყავის ქურთუკი მეცვა. ქალები მშვიდად და აუღელვებლად იძლეოდნენ ბრძანებებს. ჩვენ გვერდით იდგნენ სარივით ჩამომხმარნი.

— ვინ წამოაყენა ისინი ქარიშხალში?

— ვინ? ეს არ დამინახავს. ხანდახან მეჩვენებოდა ვიღაცა დიდი ვ ი ნ, ხანაც — პატარა. ცას ვემუქრებოდი, ცას ვემუდარებოდი. ახლა კი მივხვდი, თუ ვინ: აი, ამან!

— ადამმა?

— ადამმა.

— არა! არა! — გაჰკიოდა ზორზოხა კაცი, — ადამს აქ ბრალი არ მიუძღვის. ის ქალი თავად გაიგუდა. ვაგონშივე გაიგუდა! ჩემ თვალწინ! დიდხანს ვუცქერდი. თეთრი იყო, საოცრად თეთრი! ფრთებდაკეცილი. ანელოზი.

ერთმა ავადმყოფმა ისტერიული ხარხარი ასტეხა. ჭალარა, ლოყებლაყლაყა და ბრუციანი კაცის სიცილში სიკეთე და ბედნიერება ხმიანობდა.

— ის ქალი ცოცხალია, — თქვა მან. — ცოცხალი და ჯანმრთელი. ჭორებს დაუჯერეთ და უკვე ასჯერ დაასამარეთ ცოცხალი ადამიანი. თავადაც არ იცით, რაებსა ბოდავთ... ხოცვა-ჟლეტა რომ იყო, ეს მართალია, ერთნი სახლიდან ისროდნენ, მეორენი — ტყიდან. მერე ყველანი თავში გვირტყამდნენ ფეხებს. მახსენდება, მეორედ ცემის შემდეგ გონს რომ მოვედით, უკვე წვიმდა. ცაში ცისარტყელა ციალებდა. ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ მოხდა. დღეს ჩვენ ცოცხალნი და ბედნიერნი ვართ.

— აი, რა გააკეთა მანქანამ უჭკუო ადამიანის ხელში, — თქვა მეტისმეტად წყნარმა ავადმყოფმა, პროფესიით მძღოლმა. მისი სიტყვები ამ ვითარებასთან საკვირველებით შეუსაბამო იყო.

დერეფანში საათმა დარეკა. ხმა დიდი ზარების ზრიალივით გაისმა. გამოღვიძების საათმა დარეკა. ექვსი პატარა კაცუნა ურტყამდა სპილენძს და საკვირველებას ახდენდა. საიდანღაც ნაბიჯის ხმა მოისმა, ჩქარი და მშვენიერი ნაბიჯებისა. აყღარუნდა გასაღები. წყალმაც წაიმღერა თავისი სიმღერა. გამოიკვეთა

კედელთა ჩრდილები. მთვარემ უკანასკნელად გაიღიმა ეშმაკური ღიმილით და ჩუმად მიიმალა.

— მე არა ვარ კაცის მკვლელი, — სრულიად გამოცვლილი ხმით თქვა იმ ავადმყოფმა, კისრით ქვას რომ ატარებდა, — ტყუილად მადანაშაულებთ, მე პირველმა ვიცრუე.

— ეს მე ვთქვი ტყუილი! — გამოეხმაურა ის, ვისი ცოლიც ყინულში ჩაიყინა.

— შენ თავს იმართლებ?!

— შენ მოჰკალი ადამი!

— მე ადამი არ მომიკლავს.

— საზიზღარი საქონელი!

მათ აღარ იცოდნენ ვინ დაედანაშაულებინათ, ვინ გაემართლებინათ, ვინ მოეტყუებინათ. არავინ იცოდა, საიდან მომდინარეობს ადამიანური ტკივილები.

— ადამი ღმერთია! სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია ამქვეყნად!

— ადამი ერთხელ კიდევ მოვიდა ჩვენთან, ჩვენ კი თვალები დავიბრმავეთ და ვერ ვამჩნევდით მას, — ამბობდა მეორე.

— მოვიდა, რათა ეტვირთა ჩვენი ჯვარი.

— რომ სალბუნი დაედო ჩვენთა ჭრილობათათვის.

— რომ სული ჩვენი გაემყარებინა მშვიდობასა შინა.

ერთიმეორის მიყოლებით მუხლი მოიყარეს ადამის ცხედართან.

— შენ ჩვენი სიყვარული კანდელად გენთო გულში.

— შენ განჭვრიტე აზრი ჩვენი.

— შენ უწყი გზანი ჩვენნი.

— ნუ შეგვიყვან ბოროტებასა შინა.

ლოცულობდნენ. ადამს აღარაფერი ესმოდა.

სიზმრები გაიფანტნენ. ავადმყოფებმა წამოიწიეს, ფანჯრები გააღეს. მალე მედიცინის დაც მოვა სიცხის გასაზომად.

კოშკის საათმა დღის დადგომა აუწყა.

□

ედუარდას მეჟელაიტისი

ლექსები

თარგმნეს დილარ ივარდავამ და შუქრი მირცხულავამ

ვერა, შენ ვერ გაიმარჯვებ...

მე ალექსანდრე მეფის ვნახე აკლდამა დიდი,
თურქულ მიწაზე, ძველ სტამბოლში, მაგრამ ისეთი,
როგორიც მზეა, არასოდეს იქნება იგი, —
მხოლოდ ერთი მზე ბრწყინავს ცაზე,
მხოლოდ ის ერთი.

კოლიზიუმიც მოვიარე, რომის ფორუმიც,
ცეზარის კვალიც ვნახე ასე ცხადი და მკვეთრი,
მაგრამ ყოველი მომეჩვენა მე უფერული —
რადგან ერთი მზე ბრწყინავს ცაზე,
მხოლოდ ის ერთი!

და მე მნახველმა ხეიბრების, —პარიზის რკალში,
მოვინახულე ბონაპარტეს საფლავიც ბოლოს,
მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფანჯრიდან მე ვნახე მაშინ,
მხოლოდ ერთი მზე მაღალ ცაზე...
ერთი მზე მხოლოდ!

ცხელ ინდოეთში დავინახე მე თაჯ-მაჰალი, —
ბევრი სამარხი, დიადი და საოცრად თეთრი,
მაგრამ პალმებში ანათებდა მუდამ ახალი, —
მხოლოდ ერთი მზე ლურჯი ციდან,
მხოლოდ ის ერთი!

ქვეყნად მინახავს ყველა მეფის საფლავი თითქმის,
რამდენნი იყვნენ რწმენითა და საკუთარ ღმერთით,
მაგრამ მიწაზე ჩაუქრობელ მნათობად იწვის
მხოლოდ ერთი მზე ლურჯი ციდან,
მხოლოდ ის ერთი!

ატომურ ბაზებს
(ომის კერა არის რამდენი...)
მე ჩავუარე, თუმც მანამდე რა არ მინახავს, —
ადამიანო, საოცრების შენ ხარ ჩამდენი,
და ეს მზეც თითქოს, დასტურ, მისთვის შიმოგინახავს.

ვიცი, შენ ველარ გაიმარჯვებ, ბოროტო ძალავ,
და ამ მიწაზე უძლევია, ვინც ალალ ოფლად
იღვრება ხოლმე და შრომაში ანთია ალად, —
მზედ ქცეულ მშრომელს უწერია
მარადი ყოფნა!

სიყვარული

მე სიყვარულმა მიბრძანა ფრენა,
მაგრამ დავბრმავდი და ძირს დავეშვი,
ირმის ნახტომის შორს დამრჩა მზერა,—
შემთხვევით მოვხვდი სხვა ვარსკვლავებში.

მეკითხებოდნენ: —ვინ მოგცა ფრთები? —
ვებრალებოდი ადამიანებს,
— ამ სიმაღლეზე ნუ აფრინდები,
უფრთხილდი, ცეცხლი დაგაზიანებს!

ზოგი კი მაინც სიცილს მაყრიდა:
— ალბათ ცაშია ჩვენი მფრინავი, —
მაგრამ ღრუბლების ამ სიმაღლიდან
შევნიშნე მიწის სხივი მბრწყინავი.

მესიზმრა: თითქოს ხელში ავიღე
თავაწეული სვია და ქერი,
მარილის გემოც მაშინ გავიგე
და მომენატრა პურის ნაჭერი.

მარტოსულს ცაში კვლავ მომეჩვენა,
მიწაზე ცეცხლი, ღრუბლის ბლონდებიც.
შენ მოიწყინე, ალბათ, უჩემოდ,
გასცქერი ჭიშკარს და მელოდები.

აი, დავბრუნდი, ვზივარ უძრავად,
არაფერს ვამბობ და გული მიწუხს,
ვიშრობ ტანსაცმელს ბებერ ბუხართან
და ვექაჩები ალუბლის ჩიბუხს.

შენ კი ვარდივით წითლდები, სდუმხარ,
გათეთრდა ჩემი ლამაზი თავი.
შენ მე მიყურებ, მე კიდევ ბუხარს, —
გათეთრდა ჩემი ლამაზი თავი,

... და ასე, როცა მოვლენ სიზმრები,
იქიდან, სადაც იყავი, ჩემო,
მწარე ტკივილში გადაიზრდება
შენი კოცნა და მარილის გემო.

მარადიულ შივაზე და მოკვდავ რიქშაზე

წმიდა ტაძარში, ზვიადი და მკაცრი ალერსით,
სადაც ცეკვაა მარადიული,
გამართავს ფეხებს შივა — ღმერთი უუკვდავესი
და ოთხივე ხელს გაშლის წრიულად.
რიქშას კი წყვილი გააჩნია ფეხიც და ხელიც —
ჩვეულებრივი და მოკვდავი, და გზაზე ჯირითს
მთელ დღეს უნდება მძიმე ტვირთით და გზაა ცხელი
და იჭერს ჰაერს, როგორც თევზი, გაღებულ პირით.
და ცხოვრობს იგი, რადგან ღმერთმა ასე ინება,
მუდმივ შიმშილში,
თითქოს ბრიყვმა მევიოლინემ
ვიოლინოზე ორივ ფეხი გასდო სიმებად
და სიმებივით აათრთოლა ხელი ორივე.
მარცხენა ფეხით დაეყრდნობა მიწას სიმძიმედ,
მარჯვენას ჭიმავს —
არ წაიქცეს ტანი ვერანი.
და სიმი მწარედ აკვნესდება და გაიღვიძებს,

აჭირდება და აცრემლდება მასთან ყველანი.
დირიჟორი კი ორბორბლიან ეტლში ნებავრობს,
ჩორთით და ჩორთით!
დღე ვარვარებს თეთრად და ურჩად,
ჩორთით და ჩორთით!
ჩორთით...
ჩორთით!
და უნებურად
ო, ამ ფეხების მელოდიაზე ქვითინებს ქუჩა —
ჩორთით და ჩორთით!
აი, უკვე ვერ უძლებს შიმშილს,
მოიკეცება ხოლმე უცებ არაფრის თხოვნით...
და დუმს ასფალტზე გაუნძრევლად, რაც იმას ნიშნავს,
შეწყდა მუსიკა მთლიანად და სიმების თრთოლვაც.
ხოლო ტაძარში ზვიადი და მკაცრი ალერსით,
სადაც ცეკვაა მარადიული,
გამართავს ფეხებს შივა — ღმერთი უუკვდავესი
და ოთხ უკვდავ ხელს გაშლის წრიულად.

სვეტები

თეთრო სვეტებო,
თქვენ ეხებით ცასა და ლაჟვარდს,
ქალწულებრივი სინატიფით მიფრინავთ მაღლა,
შროშანებივით ნაზები ხართ, ჩიტების მსგავსად
თქვენ შეგიძლიათ მოწყდეთ მიწას, თქვენ შეგიძლიათ.

ხალხიც და ღმერთიც გადაშენდა, ხოლო ხანჯლები
დაიჟანგნენ და აღარ შერჩათ სურნელი ვარდებს,
ინგრევა თეთრი მარმარილო, მაგრამ სინაზე
შერჩება მხოლოდ თქვენს საკვირველ მშვენიერებას.

სვეტებო,
თქვენ რომ ქათქათებდით ჰაერში მწყობრად,
დაეშვით სენის, ნევისა და ტიბროსის ახლო
და თავისუფალ ლიტვის გულშიც— ჩემს ვილნიუსთან...
ხელისგულებით გადაჰქონდით სტუოკას ხოლმე.
დაცურავთ, როგორც შროშნები ან ჩიტები ზღვისა,
ლივლივებთ თეთრად და ეცემით თქვენს უნებურად.

დაინა

როგორც ცხენების ფეხმარდი და ჯიუტი რემა,
როგორც ბეკლინის ხამ ტილოზე ურჩი მხედრები —
ელვის შუბების სახურავზე იწყება მსხვრევა,
თავსხმაა ხმლების და ხმლებისკენ მე ვიხედები.
ზეცა ირყევა... უშავესი ღრუბლების ჯარი
ფაფარაშლილი ყალყზე დგება და კრთება მთვარე.
რკინის სახურავს ველურ ცხენთა აწყდება ქარი,
კვესავს ნალი და... ნაპერწკალი მიბუგავს თვალებს.
შენ დაფრინავდი ამ ბურანში პეპელას მსგავსად,
მაინც არ აგცდა მათრახების ზუზუნი მწარე,
და ტირი, ტირი, ხმა ჩუმი გაქვს და ცრემლით სავსე,
ვერ დაამთავრე ყვავილებზე შენი სიზმარი.
დახუჭე უკვე და დახარე თვალები ლურჯი,
ადრე დაგატყდა თავს ქუხილი და... დარჩი მუნჯი —
მოვარდა მძლავრი გრიგალი და ჩასახლდა შენში,
და ნაძვს მაგონებ, ობლად რომ დგას დახანძრულ ტყეში.
მე მოვალ შენთან, შენს საწოლთან ჩავიკეცები,
იყავი ჩუმად, ასე ვიყო შენთან, ვეცდები.
ნუთუ მიდიხარ ამ ქვეყნიდან, მიემგზავრები
და ეს სიმღერა სიმღერაა მომაკვდავ გედის, —
წვიმის ცხელ წვეთებს მე ვუყურებ, როგორც ზმანებას
და ის ცხელია, ცხელი, როგორც ცრემლები დედის.
ხოლო ქუხილი კივილით და შეუბრალებლად,
გრიგალთან ერთად აღიმართა ფანჯრების გასწვრივ,
უცებ წყვდიადში დავინახე სულ სხვა თვალები
და გარდაცვლილი დედაჩემი დამიდგა თვალწინ.
როგორც წვეთს წვეთი, და ცრემლს ცრემლი
ქუხილის რკალში, —
ჰგვანდნენ ბებია-შვილიშვილი ერთმანეთს მაშინ.
მე კი გოგონას მოვაშორე ლოყიდან წვიმა.
და მომელანდა დედაჩემი, — დიდი ხნის წინათ
ეჭირა ხელში მას გოგონა, აგერ მინდვრები, —
პეპლებით სავსე ბალახები, როგორც ანძები,
ირხევიან და...
დედაჩემი მოდის ნაძვებით.
და მოკვდა დედა,
საფლავამდე დიდხანს ატარეს,
ვით ნაძვის ტოტი, ბავშვები რომ მიმოფანტავენ.
ნაოჭებისგან თეთრი შუბლი დაღარული აქვს,
და მისი მხრებიც მძიმე ტვირთით დაღალულია.
მოვარდა მეხი — მამაჩემიც წავიდა ცისკენ,
და დედაჩემმა გადიწერა პირჯვარი ისევ.

თოვლივით მკრთალი, გათოშილი მიწაში ჩალბა,
სძლია სიკვდილმა და...
ხელები დაეშვა დაბლა.
მე მაშინ ვნახე დედაჩემი თეთრი, სულ თეთრი,
პირველად მაშინ გავიგონე ტირილი დედის.
დაინა, შვილო! შენი შიში მოდის შორიდან,
როგორც ის წყარო, ჩვენამდე რომ ახლა მოვიდა.
ხოლო გრიგალი თუ ხმაურობს და ელვის შოლტი
კაწრავს სივრცეებს და ეკვრება ზეცას ვარსკვლავი,
შენ მე მეკრობი, ჩემო შვილო, როგორც ხეს ტოტი,
და საერთოა ახლა მიწა, — ჩვენი აკავანი.
იყუჩე ახლა, დაიძინე და დაისვენე,
მწამს ვარსკვლავები დაანთებენ კოცონს ისევე.
არ მიძებნია სხვა სიმდიდრე და აღარც ვცდილობ,
მხოლოდ ამიტომ, მეც დაინა დაგარქვი, შვილო.
და ასე, ორი დაინა და სიმღერა ორი,
მოდიან დილით, როგორც დები ყვავილებს შორის.
მომბეზრდა ქვეყნად ყველაფერი, ტანჯვა მერევა,
ვწყევლი ჩემსავით ბედს საშინელს, თოვლში წაქცეულს,
ვასწავლი ყველას, როგორია ბედნიერება,
მერე ვაჩუქებ მიწას შენს თავს,
შენს ლამაზ სხეულს.
ო, დედამიწის ძველი ღერძი აღარ არსებობს,
დაე, იბრუნოს მიწამ ჩემი სიმღერის ირგვლივ,
მთვარემ,
ღრუბლებმა,
ვარსკვლავებმა,
სიმწვანემ მინდვრის,
დაინა ჩემო, იტრიალოს აწ შენს გარშემო.
წვიმა ფანჯრებში გაიხირა, ხმაურობს კიდევ,
მე ფართოდ ვაღებ ნაავდრალზე ფანჯრებს და კარებს,
ქარი შეარხევს აფრასავით ფარდების რიდეს,
ჭექა-ქუხილი შემზარავი მიწყნარდა გარეთ.
ნუ გეშინია, მშობლიურო, ნუ გეშინია,
მოდი, სიზმარი გამინათე შენი ხატებით,
რა სინათლეა გარეშემო, რა ციმციმია,
ფრენენ პეპლები ყვავილებზე მოფარფატენი.
ჩადგა ავდარი, ვიხედები ჩუმად ფანჯრიდან,
ცხენების რემა, რა ხანია, შორს გადაფრინდა,
მიწყდა ქუხილი,
განეფინა ნათელი ცაზე,
მიწაზე ბრწყინავს წვეთი დედის კურცხალის მსგავსი,
წვიმის წვეთია? — გეკითხებით, ბოლოს და ბოლოს,
დიახ, წვეთია, წვიმის წვეთი მხოლოდ და მხოლოდ!

□



ბლეზ პასკალი

აზრები

ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

1. განსხვავება მათემატიკურ შემეცნებასა და უშუალო შემეცნებას შორის. მათემატიკური შემეცნების საწყისები ხელშესახებად აშკარაა და თვალსაჩინო, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში — უქმი და ურგები; ამიტომ უჩვევ კაცს უჭირს მათ არსში წვდომა. სამაგიეროდ ყველას, ვინც ზერელედ მაინც შეიცნობს მათ, სავსებით ცხადად წარმოუჩნდება ისინი. რაოდენ მრუდი გონება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მართებულად ვერ წარმართოს მსჯელობა ამ თვითცხად საწყისებზე დაყრდნობით.

უშუალო შემეცნების საწყისები, პირიქით, საყოველთაოდ გავრცელებულია და საყოველდღიუროდ სახმარი. აქ კაცს არ სჭირდება რისიმე არსში წვდომა, არც ცნობიერებაზე ძალდატანება. აქ სულ სხვა რამეა საჭირო: მახვილი მზერა, დიახ, დიახ, მახვილი მზერა, რადგან ეს საწყისები იმდენად მრავალრიცხოვანია და მრავალგვარი, რომ შეუძლებელია ზოგიერთი მაინც არ გამოგვრჩეს მხედველობიდან. მაგრამ საკმარისია გამოგვრჩეს თუნდაც ერთი — და შეცდომა გარდაუვალია. ასე რომ, აუცილებელია, ჯერ ერთი, მახვილი მზერა, რათა ყველას ერთად მივწვდეთ გონების თვალით, და, მეორეც,

ნათელი გონება, რათა ამ ნაცნობ საწყისებზე დაყრდნობით, ჩვენი მსჯელობ სწორად წარვმართოთ.

ამრიგად, ყველა მათემატიკოსს რომ მახვილი მზერა ჰქონდეს, ისინ. უთუოდ შესძლებდნენ სინამდვილის უშუალო შემეცნებას, ვინაიდან სწორად მსჯელობენ ნაცნობ საწყისებზე დაყრდნობით, ხოლო ყველა ის, ვისაც უშუალო შემეცნების უნარი უბოძა ღმერთმა, მათემატიკური შემეცნების უნარსაც შეიძენდა, გულმოდგინედ რომ ცდილობდეს მისთვის უცხო და უჩვეულო მათემატიკურ საწყისთა არსში წვდომას.

მაგრამ ამნაირი შერწყმა იშვიათია, ვინაიდან ის, ვისაც უშუალო შემეცნების უნარი აქვს, არ ცდილობს მათემატიკურ საწყისთა არსში წვდომას, ხოლო ის, ვისაც მათემატიკური შემეცნების ძალი შესწევს, მეტწილად ბრმაა იმის მიმართ, რასაც პირველი უშუალოდ ხედავს. ეგეც არ იყოს, რაკიღა მიჩვეულია სწორად იმსჯელოს მის მიერ გულდასმით შესწავლილ ზუსტ და ნათელ მათემატიკურ საწყისებზე დაყრდნობით, ის ფეტვის მარცვალივით იბნევა, როცა პირისპირ რჩება სულ სხვა რიგის საწყისთა წინაშე, რომლებზედაც დაფუძნებულია უშუალო შემეცნება. მათ უმალ ხედავენ, ვიდრე გრძნობენ, ხოლო ვინც ვერ ხედავს, ბევრიც ეცადოს, ვერ იგრძნობს მათ: ყველა ეს საწყისი იმდენად ნატიფია, დახვეწილი და მრავალრიცხოვანი, რომ მხოლოდ ძალზე ნატიფი და დახვეწილი გრძნობელობით დაჯილდოებულ კაცს თუ შეუძლია მათი შეგრძნობა, ხოლო შემდეგ, მათზე დაყრდნობით, — მართებულად და სწორად მსჯელობა, თუმცა ხშირად თვითონაც ვერ შესძლებს მწყობრი თანმიმდევრობით დაგვისაბუთოს საკუთარი მსჯელობის სისწორე (რაც ჩვეულებრივი საქმეა მათემატიკაში), ვინაიდან, მათემატიკური შემეცნების საწყისებისაგან განსხვავებით, უშუალო შემეცნების საწყისები არავითარ მწყობრ წესრიგს არ ექვემდებარებიან, რაც უკიდურესად ართულებს მათზე დაფუძნებული მსჯელობის სისწორისა და უმცთარობის დასაბუთებას. საგანი თანდათან, თანმიმდევრული მსჯელობის გზით კი არ უნდა შეიმეცნო (ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მომენტამდე მაინც), არამედ ერთბაშად, ერთობლივად უნდა აღიქვა, დიახ, ერთბაშად, — ერთის შეხედვით. აი, რატომაა, რომ მათემატიკოსს იშვიათად შესწევს უშუალო შემეცნების უნარი, ხოლო მას, ვისაც ეს უნარი გააჩნია, არსებითად, მოჭრილი აქვს მათემატიკური შემეცნების გზა, ვინაიდან პირველი მათემატიკურად უდგება იმას, რაც მხოლოდ უშუალო შემეცნებას ექვემდებარება, რის გამოც მისი ძალისხმევა სასაცილო ხდება, რაკიღა მაინცდამაინც განსაზღვრით იწყებს და მხოლოდ შემდეგ გადადის ზოგად საწყისზე, თუმცა ამნაირი მეთოდი აქ აშკარად უვარგისია. ვერ ვიტყვით, რომ ეს გონების საქმე არ არის; მაგრამ ეს საქმე ჩუმად კეთდება, ბუნებრივად, ყოველგვარი ხელოვნური პირობითობის გარეშე. გონების ამ ქმედითობის დაფარულ არსს სიტყვით ვერავინ ვერ გამოხატავს, ხოლო მისი შინაგანი განცდა ხელეწიფება მხოლოდ ზოგიერთს.

და პირიქით, როცა მის წინაშე, ვისაც უშუალო შემეცნების უნარი შესწევს და ვინც, ჩვეულებრივ, ერთბაშად, ერთობლივად აღიქვამს საგნებს, დიახ, როცა მის წინაშე სრულიად უცხო პრობლემები წამოიჭრება, რომელთა გადაჭრა განსაზღვრებათა დიდი სიმრავლისა და უჩვეულოდ მშრალ საწყისთა წინასწარ ცოდნას მოითხოვს, — ის არა მარტო შიშით, არამედ ზიზღითაც უკუიქცევა მათგან.

რაც შეეხება მრუდე გონებას, მას არც მათემატიკური შემეცნების ძალი შესწევს და არც უშუალო შემეცნებისა.

მაშასადამე, პირწმიდად მათემატიკური გონება სწორად აზროვნებს, თუკი, განსაზღვრებათა და ზუსტ საწყისთა მეშვეობით, წინასწარ უხსნიან ყველა საკვლევ საგანს; თუ არადა — ცდება და აუტანელი ხდება, ვინაიდან მართებულად მსჯელობს მხოლოდ მაშინ, როცა ზუსტად განსაზღვრულ აწყისებს ემყარება.

ხოლო გონებას, რომლის ფუნქცია პირწმინდად უშუალო შეძეცნებაა, არ შეუძლია ჯიუტი მოთმინებით ჩაუღრმავდეს სპეკულატური თუ აბსტრაქტული ცნებების პირველსაწყისთა კვლევას, ცნებებისა, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში უსარგებლონი არიან და, ამდენად, უჩვეულონიც.

2. საღი აზრის სახესხვაობანი: კაცი, რომელიც საღად მსჯელობს ერთი რომელიმე რიგის მოვლენებზე, სისულელეს როშავს, როცა მეორე რიგის მოვლენებს ეხება საქმე.

ერთს მცირერიცხოვანი საწყისებიდან მრავალი შედეგი გამოჰყავს, და ეს აზრის სისაღეს მოწმობს.

მეორეს მრავალი შედეგი გამოჰყავს იმ მოვლენებიდან, რომლებსაც მრავალრიცხოვანი საწყისები უდევს საფუძვლად.

ასე მაგალითად, ზოგს მართებულად გამოჰყავს მრავალი შედეგი წყლის თვისებების განმსაზღვრელი მცირერიცხოვანი საწყისებიდან; მაგრამ ყველა ეს შედეგი იმდენად რთულია, რომ მათ არსში წვდომა აზრის უკიდურეს სისაღესა და გამჭრიახობას მოითხოვს.

სულაც არაა აუცილებელი, რომ ისინი მაინცდამაინც დიდი მათემატიკოსები იყვნენ, ვინაიდან მათემატიკა საწყისთა ურიცხვ სიმრავლეს მოიცავს, ხოლო გონება შეიძლება ისეთნაირად აზროვნებდეს, რომ მხოლოდ მცირერიცხოვან საწყისთა არსში წვდომა, მათ სიღრმეში შეღწევა შეეძლოს, მაგრამ, მეორეს მხრივ, სრულიად უმწეო აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მრავალრიცხოვან საწყისებზე დაფუძნებულ საგანთა არსში წვდომას.

მაშასადამე, არსებობს ორნაირი გონება: ერთი სწრაფად და ღრმად სწვდება ამა თუ იმ საწყისიდან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგს, და ეს გამჭრიახი გონებაა; მეორე ერთდროულად მოიცავს აზრით მრავალ საწყისს, ისე რომ ერთმანეთში არ ურევს მათ, და ეს მათემატიკური გონებაა. ერთისთვის ნიშნეულია აზრის სისაღე და სიმძლავრე, მეორისათვის — აზრის სიფართოვე. მაგრამ ერთი ყოველთვის როდი მოიცავს, ყოველთვის როდი გულისხმობს მეორეს: გონება შეიძლება იყოს ძლიერი. მაგრამ შეზღუდული; გონება შეიძლება იყოს ფართო, მაგრამ ზედაპირული.

3. კაცს, რომელსაც ჩვევად აქვს გრძნობების მიხედვით იმსჯელოს ყველაფერზე, არაფერი გაეგება ლოგიკური მსჯელობისა, ვინაიდან ცდილობს ერთის შეხედვით ჩაწვდეს საკვლევი საგნის არსს და არას დაგიდევთ ფუძემდებლურ საწყისთა კვლევას. და პირიქით, კაცს, რომელსაც ჩვევად აქვს საწყისთა მიხედვით იმსჯელოს ყველაფერზე, არაფერი გაეგება გრნძობადი საგნებისა, ვინაიდან მხოლოდ საწყისთა კვლევაში დანთქმულს არ შეუძლია ერთბაშად, ერთის შეხედვით აღიქვას საგანი.

4. მათემატიკა. გრძნობელობა. — ჭეშმარიტი მჭევრმეტყველება საცინლად იგდებს მჭევრმეტყველებას, ჭეშმარიტი მორალი საცინლად იგდებს მორალს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სულისმიერი განსჯის მორალი საცინლად იგდებს გონებისმიერი განსჯის მორალს, რომელიც არ იცნობს არავითარ წესს.

რადგან სულისმიერ განსჯაში ყოველთვის მონაწილეობს გრძნობა, ისევე როგორც გონებისმიერ განსჯაში — მეცნიერული დასაბუთება, გრძნობელობა ნიშნეულია სულისმიერი განსჯისათვის, მათემატიკური ანალიზი — გონებისმიერისათვის.

ფილოსოფოსობის საცინლად აგდება, — აი, ჭეშმარიტი ფილოსოფოსობა.

5. ზოგი ყოველგვარი წესის გარეშე განიხილავს ნაწარმოებს, ზოგი წესების მიხედვით; მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც საათიან და უსაათო კაცს შორის. ერთი ამბობს: „ორი საათი გასულა"; მეორე ამბობს: „ორი კი არა საათის სამი მეოთხედი". მე დავცქერი ჩემს საათს და ასე მივმართავ პირველს: „თქვენ, როგორც ჩანს, მოწყენილი ბრძანდებით"; ხოლო მეორეს: „დრო თვალსა და ხელს შუა გადნებათ; საათის სამი მეოთხედი კი არა, საათნახევარი გავიდა უკვე". მე დავცინი ყველას, ვინც მეუბნება, რომ დრო მიჭიანურდება, და რომ მხოლოდ ჩემი ჟინის მიხედვით ვმსჯელობ. რა იციან, რომ ჩემი მსჯელობა ჩემივე საათის ჩვენებაზეა დაფუძნებული.

6. გრძნობას ისევე რყვნიან, როგორც გონებას.

გონებასაც და გრძნობასაც ჩვენ საუბარში ვსრულყოფთ, ანდა, პირიქით, ვრყვნით: კარგი საუბარი სრულგვყოფს, ცუდი კი გვრყვნის. მაშასადამე, ფრთხილად უნდა ამოვირჩიოთ თანამოსაუბრე, თუკი სრულყოფას ვესწრაფვით და არა გარყვნას. მაგრამ ეს შეუძლებელია, თუკი გონება ან გრძნობა უკვე სრულქმნილი არ არის, ანდა გარყვნილი. ასე იკვრება ბიწიერი წრე, და ბედნიერია ის, ვინც ამ წრიდან თავის დაღწევას შეძლებს.

7. რაც უფრო ჭკვიანია კაცი, მით უფრო მეტ თავისებურებასა და მრავალფეროვნებას პოულობს მოყვასთა შორის. ჩვეულებრივი კაცისთვის ყველა ერთია.

8. ბევრ კაცს ქადაგება ისე ესმის, როგორც მწუხრის ლოცვა.

9. თუ გსურთ ამაოდ არ იდავოთ და დაუმტკიცოთ თქვენს თანამოსაუბრეს, რომ ცდება, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოთ, რა მხრივ განიხილავს ის დავის საგანს, რადგან ამ მხრივ ის, ჩვეულებრივ, სწორად ხედავს. აღიარეთ მისი სიმართლე, მაგრამ იმწამსვე დაუმტკიცეთ, რომ თუ სხვა მხრივ შევხედავთ საგანს, მისი თვალსაზრისი მცდარი აღმოჩნდება. თანამოსაუბრე უყოყმანოდ დაგეთანხმებათ: მთავარია დაიჯეროს, რომ კი არ შემცდარა, არამედ მხოლოდ რაღაც გამორჩა ხედვის არედან. რადგან ადამიანებს მაშინ კი არ მოსდით გული, როცა ყველაფერს ვერ ხედავენ, არამედ მაშინ, როცა ცდებიან. შესაძლოა, ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანს, თავისი ბუნებით, არ შეუძლია ერთბაშად აღიქვას და ყოველმხრივ გაიაზროს საგანი; მაგრამ თუ აღიქვამს (სულერთია, რა მხრივ აღიქვამს), ყოველთვის სწორად აღიქვამს მას, რადგან აღქმის ყოველი მონაცემი, გრძნობის ყოველი მოწმობა მისთვის ეჭვმიუტანელია.

10. ადამიანს, ჩვეულებრივ, ის აზრი უფრო არწმუნებს, რომელიც მას მოსდის თავში, ვიდრე ის, რომელიც სხვის თავში იბადება.

11. როცა გულწრფელ სიტყვას ვისმენთ, ან მართალ მოთხრობას ვკითხულობთ, მთელი სიცხადით რომ გვიხატავს ამა თუ იმ ვნებას ან მის შედეგს, ჩვენსავე თავში ვპოულობთ მონათხრობის სიზუსტისა და ჭეშმარიტების დასტურს, თუმცა აქამდე ვერც წარმოვიდგენდით, რომ ეს ჭეშმარიტება ნაწილია ჩვენი სულისა, და, ამრიგად, სიყვარულით ვიმსჭვალებით მის მიმართ, ვინც ჩვენს თავში აღმოგვაჩენინა იგი; რადგან ამით მარტო თავისი სიკეთე კი არ გაგვიშჟლავნა, არამედ გაგვიხსნა ჩვენი დაფარული საუნჯის კარიც. დიახ, ჩვენ სიყვარულით ვიმსჭვალებით მის მიმართ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია და, მეორეც, იმიტომ, რომ ამნაირი ურთიერთგაგება ყოველთვის სასიყვარულოდ განაწყობს გულს.

12. მჭევრმეტყველება, რომელიც გვარწმუნებს შემპარავი სინაზით და არა შემზარავი ძალმოსილებით, როგორც ტირანი და არა როგორც მეფე.

13. მჭევრმეტყველება ხელოვნებაა, ისეთნაირად მეტყველების ხელოვნება, რომ მსმენელნი არა მარტო ძალდაუტანებლად, არამედ სიამოვნებითაც გვისმენდნენ და, ამრიგად, ცნობისწადილით აღძრულნი და თავმოწონებით წაქეზებულნი, ცდილობდნენ უფრო ღრმად ჩასწვდნენ სიტყვის შინაარსს.

მაშასადამე, მჭევრმეტყველება სხვა არა არის რა, თუ არა ურთიერთშესატყვისობა, რომლის დამყარებასაც ვცდილობთ, ერთის მხრივ, ჩვენი მსმენელების გულსა და გონებას, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენს საკუთარ აზრებსა და სიტყვებს შორის. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად უნდა ვიცნობდეთ ადამიანის გულს, მის ყველა იდუმალ კუნჭულს; მხოლოდ მაშინ შეაღწევს ჩვენი სიტყვა მის სიღრმეში, მხოლოდ მაშინ აღიბეჭდება ის გულის გულში. დავაყენოთ ჩვენი თავი მსმენელის ადგილას და გამოვცადოთ საკუთარ გულზე ჩვენივე სიტყვის ზემოქმედების ძალა; ვნახოთ, რამდენად შეესატყვისება სიტყვა გულს, ან როგორ ეხმიანება გული სიტყვას, რათა ამრიგად დავრწმუნდეთ, შევძლებთ თუ არა მსმენელის გულის შეძვრას. საჭიროა შეძლებისდაგვარად შევინარჩუნოთ სისადავე და ბუნებრიობა. ნუ გავაზვიადებთ უმნიშვნელოს, ნუ დავაკნინებთ მნიშვნელოვანს. საკმარისი არ არის მარტოოდენ ფორმის დახვეწილობა; ის ზედმიწევნით უნდა შეესატყვისებოდეს შინაარსს: არც რამ მეტი და არც რამ ნაკლები, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი.

14. მდინარეები ფეხადგმული გზებია, რომლებიც მიდიან და მივყავართ იქით, საითაც გზა გვიძევს.

15. თუკი ჭეშმარიტება დაფარულია, საერთო და საყოველთაო ცთომა სასარგებლოა კაცთათვის, როცა საქმე ეხება რაღაც აუხსნელსა და გონებამიუწვდომელს, როგორც მაგალითად, მთვარის ზემოქმედებას, რომელსაც მიაწერენ წელიწადის ალოთა ცვლას, ჟამიანობას და ა. შ. კაცის უმთავრესი სნეულება—ესაა მისი დაუოკებელი ცნობისწადილი ყოველივე იმის მიმართ, რისი შეცნობაც მის ძალ-ღონეს აღემატება. ამიტომ ყოველთვის უმჯობესია

ცთომა, ვიდრე დაუცხრომელი ცნობისწადილის — ამ ფუჭი და უნაყოფო გრძნობის ტყვეობაში ყოფნა.

16. როდესაც ნაწარმოებს დავასრულებთ, მაშინლა ვხვდებით, რითი უნდა დაგვეწყო იგი.

17. წ ე ს რ ი გ ი. — რატომ უნდა დავყო ჩემი მორალი ოთხ ნაწილად და არა ექვსად? რატომ უნდა დავსახო სიქველე ოთხად, ორად, ერთად? რატომ უნდა ვარჩიო „sustine et abstine"* და არა „ბუნების თანახმად", ან „სამართლიანად მოიგვარე შენი პირადი საქმე", როგორც იტყოდა პლატონი, ან რაიმე სხვა ამდაგვარი? — მაგრამ, აი, — იტყვით თქვენ, — ყველაფერი ერთ სიტყვაში მოექცა. — მართალს ბრძანებთ, მაგრამ აუხსნელად ესეც ფუჭია. ხოლო როდესაც ახსნას იწყებენ, როდესაც გვარწმუნებენ, რომ აღმოაჩინეს უზოგადესი, ყველა დანარჩენის მომცველი ფორმულა, იმავე დომხალს ეგბრუნდებიან, რომლითაც დაიწყეს და რომლის თავიდან აცილებაც ასე ძალიან სურდათ. ამრიგად, როცა ყველა ჭეშმარიტებას ერთ ფორმულაში ვაქცევთ, როგორც ძველ ძონძებს — სკივრში, ისინი დაფარულნი და უსარგებლონი არიან, ხოლო როცა სკივრის გახსნას და მათ გაცალკევებას და გათავისთავადებას ვცდილობთ, ყველაფერი კვლავ ნდებურად ირევა. ბუნებამ ისე დააწესა, რომ არცერთი არ მოიცავდეს მეორეს.

18. ბუნებამ ყველა ჭეშმარიტებას თავისთავადი არსებობა მიანიჭა; ჩვენი ხელოვნება კი ერთმანეთს უქვემდებარებს, ერთმანეთში აქცევს, ერთმანეთში ათავსებს მათ; მაგრამ ეს არაბუნებრივია: ყველას თავისი ადგილი აქვს.

19. ნურავინ მისაყვედურებს იმის გამო, რომ არაფერი ახალი არ მითქვამს: მასალის დალაგება ხომ ახალია? მობურთალნი ერთსა და იმავე ბურთს სცემენ ჩოგანს, მაგრამ არა ერთნაირი სიმარჯვით.

ბარემ ისიც მისაყვედურონ, რომ ძველისძველ სიტყვებსა ვხმაროობ. საკმარისია უკვე ცნობილი აზრები სხვანაირად დავალაგოთ, და სულ სხვა თჰზულებას მივიღებთ; ზუსტად ასევე, ერთი და იგივე, მაგრამ სხვანაირად დალაგებული სიტყვები ახალ აზრს გამოხატავენ.

20. რიგშეცვლილი სიტყვები სხვა აზრს იძენენ; რიგშეცვლილი აზრები სხვაგვარ შთაბეჭდილებას იწვევენ.

21. ე ნ ა. — გონება მხოლოდ იმიტომ უნდა დავასვენოთ, მხოლოდ იმიტომ უნდა მოვწყვიტოთ საქმეს, რომ სულის მოთქმის საშუალება მივცეთ, მაგრამ არა ყოველთვის, როცა მოგვეპრიანება, არამედ მხოლოდ თავის დროსა და თავის ადგილას. რადგან ვინც უთაურად ისვენებს, იღლება, ხოლო ვინც უთაურად იღლება, დასვენებაც ვეღარას შველის. ასე გვაიძულებს თავშეუკავებლობის მზაკვრობა წამდაუწუმ ვუღალატოთ საკუთარ თავს, ხოლო სანაცვლოდ, არავითარ სიამოვნებას არ გვანიჭებს, არ იმეტებს ამ ერთადერთ მონეტას, რომლის გულისთვისაც მზადა ვართ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ.

* დაითმინე და ეკრძალე (ლათ.).

22. მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა. — არსებითი სასიამოვნოს უნდა ერწყმოდეს, მაგრამ სასიამოვნო მხოლოდ ჭეშმარიტში უნდა ვეძებოთ.

23. მჭევრმეტყველება აზრის მხატვრობაა; ხოლო როცა დახატულს კვლავ ხატავენ, პორტრეტს კი არა, ჭყეტელა სურათს ქმნიან.

24. ნ ა რ ე ვ ი. ე ნ ა. — ის, ვინც სიტყვებზე ძალდატანებით ანტითეზას ანტითეზაზე ახვავებს, იმ კაცსა ჰგავს, რომელიც ბითუმ კედელში ყალბ ფანჯრებს სჭრის მარტოოდენ სიმეტრიის გულისთვის. მისთვის მთავარი სიტყვების სიზუსტე კი არ არის, არამედ — ფიგურების სიზუსტე.

25. სიმეტრია, რომელიც ერთის შეხედვით აღიქმება, ორ ეფექტზეა დაფუძნებული: ჯერ ერთი, კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს უმისობას და, მეორეც, თვით ადამიანის სხეულიც სიმეტრიულია. სწორედ ამიტომ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ სიგანისმიერ სიმეტრიას და არა სიღრმისა თუ სიმაღლისეულს.

26. როცა სადა და ბუნებრივი სტილით დაწერილ თხზულებას კითხულობ, ძალაუნებურად განცვიფრებისა და აღტაცების გრძნობა გეუფლება: შენ ფიქრობდი. ავტორს გავიცნობო და კაცი კი გაიცანი. მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი მდგომარეობა, ვისაც ნატიფი გემოვნება უბოძა ღმერთმა და ვისაც იმედი ჰქონდა, ამ წიგნის დამწერ კაცს გავიცნობო, მაგრამ მხოლოდ ავტორი შერჩა ხელში: Plus poetice guam humana locutus es*. რარიგ აკეთილშობილებს ადამიანის ბუნებას ის, ვინც გვარწმუნებს, რომ შეგვიძლია ყველაფერზე სადად და ნათლად ვილაპარაკოთ, თვით თეოლოგიაზეც კი.

27. ყველა ყალბ მშვენებას, რასაც ჩვენ ვგმობთ ციცერონის სიტყვებში, თავისი თაყვანისმცემელი ჰყავს და მერე რამდენი თაყვანისმცემელი.

28. ჩვენს ბუნებასა (სულერთია, ძლიერია ის თუ სუსტი) და იმას შორის, რაც ჩვენ მოგვწონს, ყოველთვის არსებობს ერთგვარი შინაგანი თანხმობა თუ თანაფარდობა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენ გემოვნებას და განაპირობებს, რას მივიჩნევთ სასიამოვნოსა და მშვენიერის ნიმუშად.

ჩვენ მოგვწონს ყველაფერი, რაც ამ ნიმუშს ეთანხმება და ესადაგება: სახლი, სიმღერა, სიტყვა, ლექსი, პროზა, ჩიტი, მდინარე, ხე, ავეჯი, ტანსაცმელი და ა. შ. ხოლო ყველაფერი, რაც ამ ნიმუშს არ ეთანხმება, მიუღებელია ნატიფი გემოვნების კაცისთვის.

არსებობს სრული თანხმობა და თანაფარდობა კარგი ნიმუშის მიხედვით შექმნილ სახლსა და სიმღერას შორის, ვინაიდან ორივე ამ ერთადერთ ნიმუშსა ჰგავს, თუმცაღა სახლი სხვაა და სიმღერა სხვა. ასეთივე სრული თანხმობა და თანაფარდობა არსებობს ყოველივე იმას შორის, რაც ცუდი ნიმუშის მიხედვითაა შექმნილი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ცუდი ნიმუში ერთია; ერთი კი არა, ბევრზე ბევრია, მაგრამ თუ ავიღებთ, მაგალითად, ნებისმიერი ცუდი ნიმუშის მიხედვით შექმნილ უბადრუკ სონეტს, ვნახავთ, რომ არსებობს სრული თანაფარდობა მასა და ამავე ნიმუშის მიხედვით ჩაცმულ ქალს შორის.

---

* უფრო პოეტურად თქვი, ვიდრე ადამიანურად (ლათ.).

ვერაფერი ისე ცხადად ვერ გვაგრძნობინებს, რაოდენ სასაცილოა ყალბი სონეტი, როგორც მისი შესაბამისი ნიმუშის გათვალისწინება. ხოლო შემდეგ წარმოიდგინეთ ამავე ნიმუშის მიხედვით შექმნილი სამკაული ან სახლი.

29. პოეტური მშვენიერება. — ჩვენ ვამბობთ: „პოეტური მშვენიერება"; რატომ არ უნდა ვთქვათ: „მათემატიკური მშვენიერება", „სამედიცინო მშვენიერება"? მაგრამ ასე არ ვამბობთ; არ ვამბობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ყველამ იცის მათემატიკის საგანი, რომლის არსი სხვა არა არის რა, თუ არა მტკიცება; ყველამ იცის მედიცინის საგანი, რომლის არსი სხვა არა არის რა, თუ არა მკურნალობა; მაგრამ არავინ არ იცის პოეზიის საგანი— მშვენიერება. არავინ არ იცნობს იმ ბუნებრივ ნიმუშს, რომელსაც უნდა მივბაძოთ და, აი, ამ არცოდნის გამო იგონებენ ისეთ უცნაურ გამოთქმებს, როგორიცაა „ოქროს ხანა", „ჩვენი დროის სასწაული", „საბედისწერო" და ა. შ., და ამ უცნაურ კილოკავს „პოეტურ მშვენიერებას" უწოდებენ.

მაგრამ წარმოიდგინეთ ამ ნიმუშის მიხედვით მორთულ-მოკაზმული ქალი, — ნიმუშისა, რომლის არსი ისაა, რომ ნებისმიერი არარაობა მაღალფარდოვანი სიტყვების გარსში ეხვევა, — და თქვენ დაინახავთ საოკეებითა და ბრჭყვიალა ჯაჭვ-ჯინჯილებით აჩონჩხილ ტურფას, დაინახავთ და გულიანად გადაიხარხარებთ, ვინაიდან გაცილებით უფრო ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა იყოს მომხიბლავი ქალი, ვიდრე ის, თუ როგორი უნდა იყოს მომხიბლავი ლექსი. მაგრამ მდარე გემოვნება თვით ამ ქალის სამკაულშიც აღმოაჩენს გასაოცარ მომხიბვლელობას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ სოფელში მას დედოფლადაც კი დასახავენ. აი, რატომ ვუწოდებთ ჩვენ ამ ნიმუშის მიხედვით შექმნილ ყველა სონეტს „სოფლელ დედოფლებს".

30. მაღალი საზოგადოება არ გაღიარებთ არც პოეზიის, არც მათემატიკის მცოდნედ, თუ არ ჩამოიკიდებთ აბრას — „პოეტი", „მათემატიკოსი" და ა. შ. მაგრამ მრავალმხრივ განსწავლული კაცი არ კადრულობს აბრას და არაფრით არ განასხვავებს პოეტის ხელოვნებას ოქრომკედით მქარგავის ხელობისაგან.

მრავალმხრივ განსწავლულ კაცს არ უწოდებენ არც პოეტს, არც მათემატიკოსს და ა. შ., მაგრამ ის ყველაფერია და ყველა ამ საგანზე თავისუფლად მსჯელობს. თუმცა თვალში არავის აყრის ნაცარს. მას შეუძლია სალონში შესვლისთანავე ჩაებას ნებისმიერ საუბარში. ვერავინ ვერ ამჩნევს მის ცოდნას მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, სანამ უმისოდაც გადიან ფონს, მაგრამ როგორც კი გაუჭირდებათ, დაუყოვნებლივ გაიხსენებენ. ზუსტად ასევე, არავის ახსოვს მისი ენამჭევრობა, სანამ მჭევრმეტყველებაზე არ ჩამოვარდება სიტყვა; მაშინ კი ყველა ერთხმად აქებს მის ოქროპირობას.

მაშასადამე, როცა კაცის დანახვისთანავე ახსენდებათ, რომ ის პოეზიის დიდი მცოდნეა, ეს მის ქებად ვერ ჩაითვლება; მეორეს მხრივ, როცა ლექსზე მსჯელობენ, მაგრამ არავინ კითხულობს მის აზრს, ეს უკვე ცუდი ნიშანია.

31. ნუ იტყვიან: „ის მათემატიკოსია", „ის ქადაგია", „ის მჭევრმეტყველია", არამედ თქვან: „ის პატიოსანი კაცია". მე მომწონს მხოლოდ ეს ყოვლისმომცველი თვისება. ცუდია, როცა კაცის დანახვისთანავე გახსენდება, რომ მან დაწერა წიგნი. მე ვისურვებდი, რომ ყოველი კერძო თვისება მხოლოდ

მაშინ გვახსენდებოდეს, როცა ამ თვისებაზე ჩამოვარდება სიტყვა (Ne quid nimis*), თორემ მან შეიძლება კაცი დაჩრდილოს და არაარსებითი — არსებითად იქცეს. დაე, თქვან, რომ ესა და ეს კაცი საუცხოო მჭევრმეტყველია, როცა მჭევრმეტყველებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ნურც ამ შემთხვევაში დაივიწყებენ კაცს.

32. კაცს ათასი რამ სჭირდება; მას უყვარს მხოლოდ ის, ვინც უსრულებს ყველაფერს, რაც სჭირდება. — „მავანი და მავანი საუცხოო მათემატიკოსია", — ეტყვიან მას. — „რას ვაქნევ მის მათემატიკოსობას? ვინ იცის, იქნებ, თეორემა ვეგონო". — „მავანი და მავანი საუცხოო მეომარია". — „მერედა, მე რა? მან შეიძლება ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრედ წარმომიდგინოს. მე კი ვეძებ მხოლოდ და მხოლოდ პატიოსან კაცს, რომელიც გასაჭირში შეიძლება შემწედ ვიგულო.

33. რაკი შეუძლებელია ყოვლისმომცველი ცოდნა, რაკი შეუძლებელია ყველაფერზე ყველაფერი იცოდე, ცოტა რამ მაინც უნდა იცოდე ყველაფერზე, რადგან სჯობს ცოტა რამ იცოდე ყველაფერზე, ვიდრე ყველაფერი იცოდე მხოლოდ ერთი რამის შესახებ. ეს ყოვლისმომცველობა უმჯობესია. მოგეცათ ლხენა, კარგი იქნებოდა, ერთიცა და მეორეც რომ შესაძლებელი იყოს, მაგრამ რაკი არჩევანი აუცილებელია, უნდა ავირჩიოთ სწორედ პირველი. ყველა გრძნობს ამას და არჩევითაც ამასვე არჩევს, რადგან „ყველა" ხშირ შემთხვევაში საღად აზროვნებს.

34. პოეტი და არა პატიოსანი კაცი.

35. მეხი რომ დაბლობ ადგილებს ეცემოდეს, და ა. შ., რაღა ეშველებოდათ პოეტებს და ყველა იმას, ვისაც ამნაირი მოვლენების ახსნის თავი არა აქვს: რას იტყოდნენ, რას იღონებდნენ?

36. რაიმე საგნის ან მოვლენის ასახსნელად მაგალითებს იშველიებენ, ხოლო თვით მაგალითების ახსნა რომ მოესურვებინათ, მაშინ, ალბათ, ამ საგანს ან მოვლენას მოიშველიებდნენ: რაკიღა სწამთ, რომ ძნელია მხოლოდ ის, რაც უნდა ახსნან, ამიტომ მაგალითები ყოველთვის უფრო ადვილი, თვითცხადი და თავისთავად ახსნილი ჰგონიათ.

ასე მაგალითად, როცა ცდილობენ ახსნან ან დაამტკიცონ რაიმე ზოგადი, ნიმუშად იღებენ რომელიმე კერძო შემთხვევიდან გამომდინარე კონკრეტულ წესს, ხოლო თვით ამ კერძო შემთხვევის ასახსნელად უკვე ზოგად წესს იშველიებენ, რადგან ბუნდოვანი ჰგონიათ ის, რაც უნდა ახსნან, ცხადი კი — ის, რასაც ასახსნელად იყენებენ. როცა რისამე ახსნა ან დამტკიცება სურთ, უწინარეს ყოვლისა, თავს იბრუებენ იმ აზრით, რომ ის ძნელია და ბუნდოვანი, ხოლო ის, რასაც ასახსნელად იშველიებენ, პირიქით, — ნათელი, და, ამრიგად, უყოყმანოდ აღიარებენ ამ უკანასკნელის გარკვეულობას და სიცხადეს.

37. მ ა რ ც ი ა ლ ი ს ე პ ი გ რ ა მ ე ბ ი. — ადამიანს უყვარს მწარე დაცინვა, მაგრამ არა ცალთვალათა და უბედურთა, არამედ მდიდარ მზვაობართა მიმართ. ცდება, ვინც სხვაგვარად ფიქრობს.

---

* არაფერი ზედმეტი (ლათ.).

რადგან სულის ყოველგვარი მოძრაობის წყარო ერთის მხრივ ანგარებაა, ხოლო მეორეს მხრივ — კაცთმოყვარეობა.

უხდა ვეცადოთ თავი მოვაწონოთ მხოლოდ კაცთმოყვარეთა და გულმოწყალეთ.

ეპიგრამა ორი ცალთვალასათვის ყოვლად უვარგისია, ვინაიდან არც მათ ანუგეშებს და ავტორის სახელსაც ცოტას თუ ჰმატებს რასმე. ხოლო ის, რაც ავტორის მეტს არავის არაფერს რგებს, თავისთავად უვარგისია. Ambitiosa recidet ornamenta*.

38. ზოგი ავტორი, საკუთარ ნაწარმოებებზე მსჯელობისას, ამბობს: „ჩემი წიგნი, ჩემი კომენტარი, ჩემი ისტორია“ და ა. შ. ისინი იმ მდაბიორთ ჰგვანან, საკუთარი სახლები რომ წამოჭიმეს და ერთთავად „ჩემი კარმიდამო“ აკერიათ პირზე. უმჯობესი იქნებოდა ეთქვათ: „ჩვენი წიგნი, ჩვენი კომენტარი, ჩვენი ისტორია“ და ა. შ., ვინაიდან მათში სხვისი მეტია, ვიდრე საკუთარი.

39. გიხდათ, რომ სხვებმა იწამონ თქვენი სიქველე? ნუ იკვეხნით ამით.

40. მახვილსიტყვაობა ცუდი ხასიათის ნიშანია.

41. ზოგი კარგად ლაპარაკობს, მაგრამ ცუდად წერს. გარემოცვა, მსმენელთა კეთილმოსურნეობა აღაგზნებს მის გონებას და აიძულებს უფრო ცოცხლად იმუშაოს, ვიდრე ჩვეულებრივ მუშაობს ხოლმე ამ სათბობის გარეშე.

42. ხაწერში ჩვენ ვამჩნევთ ხოლმე, რომ ერთი და იგივე სიტყვები გაგვიმეორებია და ვცდილობთ სხვა სიტყვებით შევცვალოთ ისინი, რითაც მხოლოდ ვაფუჭებთ საქმეს, ისე ზუსტად და თავის ადგილას არიან ნახმარი. ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერი ძველებურად უნდა დავტოვოთ. იხაროს შურმა; ის ბრძაა და ვერ ამჩნევს, რომ გამეორება ყოველთვის როდია ნაკლი, რადგან საეთო წესი აქ არ არსებობს.

43. ათენის მიჩქმალვა, ნილბის ჩამოფარება. არა მეფე, არა პაპი, არა ეპისკოპოსი, არაფერ „თვითმყოფელი მოხარქი“ და ა. შ. ზოგჯერ პარიზს „პარიზი“ უხდა უწოდო, ზოგჯერ კი „სახელმწიფოს სატახტო ქალაქი“.

44. აზრები მათი გამომხატველი სიტყვების მიხედვით იცვლებიან. აზრები კი არ ახიჭებენ სიტყვებს ლირსებას, არამედ სიტყვები — აზრებს. უნდა დავძებნოთ მაგალითები...

45. არავინ არ ამბობს „კარტეზიანელს“, გარდა იმისა, ვინც კარტეზიანელი არ არის; „პედახტს“, გარდა იმისა, ვინც პედანტი არ არის; „პროვინციელს“, გარდა იმისა, ვინც პროვინციელი არ არის, და მე მზადა ვარ დაგენაძლაოთ, თუ გამოცემელმა არ მოიგონა სათაური — „წერილები პროვინციელისადმი“.

46. მე ყურს მჭრის ამნაირი ქათინაურები: „ძალიან შეგაწუხეთ: ვაითუ თავი მოგაბეზრეთ; რამდენი დრო დაგაკარგვინეთ“, და ა. შ. და ა. შ. ისინი ან მაცთუნებენ, ან მაღიზიანებენ.

---

* ფუჭ სამკაულებს უკუაგდებს (ლათ.).

47. მე არ მესმის, რატომ ბოდიშობთ: „მომიტევეთ, გეთაყვა“; თქვენი ბოდიში რომ არა, ვერც შევამჩნევდი, რა გაქვთ მოსაბოდიშებელი; „გავკადნიერდები და გკადრებთ“... არაფერია უფრო გულისამრევი.

48. წ ე ს რ ი გ ი. — ნეტა ასეთი მწყობრი წესრიგით, მწყობრი თანმიმდევრობით მათქმევინა ჩემი სათქმელი: თავდაპირველად მაჩვენებინა ადამიანთა თანაცხოვრების ამაოება, შემდეგ — ამაოება პირონისტი თუ სტოიცისტი ფილოსოფოსებისა, რათა ბოლოს დავამტკიცო ჩვენი არსებობის ამაოება საერთოდ. მაგრამ წესრიგს რომ ვერ დავიცავ? ძალიან სუსტი წარმოდგენა მაქვს ამ წესრიგზე, თუმცა არა მგონია, ვინმეს უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს მასზე. ვერავითარი ადამიანური ძალისხმევა ვერ შეძლებს მის დაცვას. წმ. თომამ ვერ შეძლო. აი, მათემატიკოსს კი შეუძლია, მაგრამ მისი წესრიგი იმდენად ღრმაა, რომ ჩვენთვის სრულიად ფუჭია და ურგები.

49. მონტენში კი არა, ჩემსავე თავში ვპოულობ ყოველივე იმას, რასაც მის ნაწერებში ვკითხულობ.

50. მონტენის ღირსება ძალზე ძნელი შესაძენია, ხოლო ნაკლი — მე არ ვგულისხმობ ზნეობრივ საწყისთ — მას შეეძლო ერთ წამში გამოესწორებინა, თუკი ვინმე მიუთითებდა, რომ მეტისმეტად ბევრ იგავს ჰყვება და ძალიან ბევრს ლაპარაკობს საკუთარ თავზე.

51. შევიცნოთ ჩვენი თავი: მერე რა, თუ ამით ჭეშმარიტებას ვერ შევიცნობთ, სამაგიეროდ ჩვენს ცხოვრებას მოვაწესრიგებთ, ხოლო რა შეიძლება იყოს ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

52. თუ ზნეობის საწყისებს არ ვიცნობ, საბუნებისმეტყველო მეცნიერება გასაჭირში ვერას მიშველის, ზნეობის საწყისების ცოდნა კი მიშველის ბუნებისმეტყველების ცოდნის გარეშეც.

53. ადამიანებს ყველაფერს ასწავლიან, პატიოსნების გარდა, თუმცა ისინი ყოველთვის პატიოსნებით იწონებენ თავს და არა განსწავლულობით, ესე იგი, სწორედ იმით, რაც მათთვის არასოდეს უსწავლებიათ.

54. ო რ ი უ კ ი დ უ რ ე ს ო ბ ა. შ უ ა ლ ე დ ი. — ჩვენ ვერაფერს ვერ ვიგებთ, როცა მეტისმეტად ჩქარა ვკითხულობთ, ან მეტისმეტად ნელა.

55. ... ბუნებამ ისე ზუსტად მოგვათავსა შუაში, რომ თუ სასწორის ერთ მხარეს ვიცვლებით, უთუოდ მეორე მხარესაც ვიცვლებით: Ie fesons, zôa trékei*. ეს მე მაფიქრებინებს, რომ არის ჩვენს თავში იდუმალი ზამბარები, იმნაირად განლაგებულნი, რომ ის, ვინც ერთს ეხება, იმავდროულად მის საპირისპიროსაც ეხება.

56. მეტისმეტად ბევრი და მეტისმეტად ცოტა ღვინო: სულ არ ასმევ

---

* „მე ვაკეთებთ“ (ფრანგ.); „ცხოველები გარბის“ (ძვ. ბერძნ.). პირველ გამოთქმაში ფრანგული ხალხური მეტყველებისათვის ნიშნეული ლიცენციაა: ქვემდებარე მხოლობითშია, ხოლო შემასმენელი — მრავლობითში. მეორე გამოთქმაში დაცულია ბერძნული სინტაქსის სპეციფიკური წესი: თუ ქვემდებარე საშ. სქესის სახელია მრ. რიცხვში, შემასმენელი მხოლობითში დაისმის (ასევეა ლათინურშიც).

და — ვერასოდეს ვერ მისწვდება ჭეშმარიტებას; მეტისმეტად ბევრს ასმევ და — იგივე.

57. არათანაზომადობა კაცისა. — დაე, ადამიანი მიიქცეს ბუნების მთელი სავსებისა და სიდიადის ჭვრეტად; დაე, აარიდოს თვალი მის გარემომცველ უბადრუკ საგნებს; დაე, უმზიროს თვალისმომჭრელ ნათელს, უშრეტი ჩირაღდანივით რომ ანათებს სამყაროს; დაე, შეიგნოს, რომ დედამიწა მხოლოდ და მხოლოდ წერტილია იმ უზარმაზარ წრესთან შედარებით, რომელსაც შემოსწერს შუქმოიეფე მზე; დაე, შეძრწუნდეს იმ აზრის გამო, რომ თვით ეს უზარმაზარი წრეც თავის მხრივ მხოლოდ უჩინო წერტილია ცის თაღზე მსრბოლი სხვა ვარსკვლავების ორბიტებთან შედარებით.

მაგრამ რაკი ჩვენი თვალსაწიერი შეზღუდულია, დე, წარმოსახვა მაინც გასცდეს ხილულის ფარგლებს: ის დაიღლება, მაგრამ ვერ ამოსწურავს ბუნებას. მთელი ხილული სამყარო სხვა არა არის რა, თუ არა ქრთილის მარცვალი ბუნების ვეება წიაღში. ვერავითარი იდეა ვერ მოიცავს მას. ჩვენ სულ ამაოდ ვძაბავთ გონებას, რათა გავაფართოვოთ წარმოსახვისმიერი სივრცის საზღვრები: სინამდვილესთან შედარებით ხელთ გვრჩება მხოლოდ ატომები. სამყარო უსაზღვრო და უსასრულო სფეროა, რომლის ცენტრი ყველგანაა, პერიფერია კი — არსად. უფლის ყოვლისმძლეობის ყველაზე აშკარად საგრძნობი და თვალსაჩინო გამოვლენაც სწორედ ისაა, რომ ჩვენი წარმოსახვა დაბნეული ჩერდება ამ თავზარდამცემი სიდიადის წინაშე და უკვალოდ იკარგება ღვთაებრივ აზრში.

ახლა კი, დაე, ადამიანი კვლავ მიუბრუნდეს საკუთარ თავს და შეადაროს თავისი არსება ყოველივე არსებულს; დაე, შეიცნოს, რარიგ დაკარგულია სამყაროს ამ მივიწყებულსა და მიყრუებულ კუთხეში; დაე, საცხოვრებლად მიჩენილი თავისი ბნელი დილეგიდან (მე ვგულისხმობ ხილულ სამყაროს) თავისი ნამდვილი ფასი დასდოს დედამიწას, სახელმწიფოებს, ქალაქებს და საკუთარ თავსაც.

რა არის ადამიანი უსასრულობაში?.. მაგრამ არანაკლებ გასაცვიფრებელი სასწაულის წარმოსადგენად, დაე, დაუკვირდეს ერთ-ერთ ყველაზე უმცირეს არსს მისთვის ცნობილ ყველა სხვა არსთა შორის. დაე, დაუკვირდეს ტკიპის ნამცეცა სხეულს და ამ სხეულის კიდევ უფრო ნამცეცა ასოებს, დაე, წარმოიდგინოს მისი ფეხები თავისი სახსრებით, ძარღვებით, ამ ძარღვებში მიმოქცევადი სისხლით, ამ სისხლის შემადგენელი სხვადასხვა წვენით, ამ წვენის წვეთებითა და ამ წვეთებში წინწკლებად მიმოფანტული გაზის პაწაწკინტელა ბუშტულებითურთ; დაე, კვლავ დაშალოს შემადგენელ ნაწილებად ეს უმცირესი ნაწილაკები, ვიდრე მთლიანად არ ამოსწურავს საკუთარ წარმოსახვას; ახლა კი, მოდით, განვიხილოთ ზღვარი, რომელზედაც წაიფორხილა. მან შეიძლება იფიქროს, რომ ესაა ბუნების უკიდურესი სიმცირე, მე კი მსურს ახალი უფსკრულის სიღრმეში ჩავახედო იგი. მინდა დავუხატო მას არა მარტო ხილული სამყარო, არამედ ბუნების წარმოსახვისმიერი უსასრულობაც, მოქცეული ატომის ზღვრულად შეკუმშულ ფარგლებში. დაე, ადამიანმა წარმოიდგინოს ურიცხვი სამყარო ამ ატომში, სადაც თვითეულს თავისი ცა, რგვალი, თავისი მნათობები, თავისი მიწა აქვს და სადაც ისეთივე თანაფარდობა არსებობს, როგორც ხილულ სამყაროში, ხოლო ამ ახალ მიწაზე — თა-

ვისი ცხოველები და, ბოლოს თავისი ტკიპები, რომლებიც შეიძლება თავის მხრივ დაჰყო — დაუსრულებლივ და დაუსვენებლივ, სანამ თავბრუს არ დაგახვევს ეს მეორე სასწაული, ისეთივე გამოგნებელი თავისი სიმცირით, როგორც პირველი — თავისი სიდიადით. რადგან ვის არ გააოვნებს ის გარემოება, რომ ჩვენი სხეული — ესოდენ უჩინო სამყაროში — ამავე დროს, ყოველივე არსებულის წიაღში თავისი უჩინოების მიუხედავად, ნამდვილი კოლოსია, მთელი სამყაროა, ან, თუ გნებავთ, ყოვლადი არსია იმ არაარაობასთან შედარებით, რომლის წვდომაც წარმოსახვის ყოველგვარ უნარს აღემატება.

ამაზე ფიქრი თავზარდამცემია. ვინც წარმოიდგენს, რომ ნივთიერი გარსი, რომელშიაც ის მოაქცია ბუნებამ, ორ უფსკრულს შორის ქანაობს — უსასრულობის უფსკრულსა და არარაობის უფსკრულს შორის — უთუოდ ძრწოლით აღივსება ამ სასწაულის წინაშე; და მე მგონია, მისი ცნობისწადილი განცვიფრებად შეიცვლება, ხოლო ბუნების ქედმაღალი მკვლევარი მდუმარე მჭვრეტელად იქცევა.

და მართლაც, რა არის ადამიანი სამყაროში? არარაობა უსასრულობასთან შედარებით, ყველაფერი არარაობასთან შედარებით, ანუ რაღაც საშუალო ყველაფერსა და არაფერს შორის. მას არ შეუძლია არც ერთი უკიდურესობის შეცნობა: საგანთა დასაბამი და დასასრული მისთვის სამუდამოდ დაფარულია იდუმალების განუჭვრეტელი უკუნით. ის ერთნაირად უმწეოა შეიცნოს როგორც არარაობა, რომლისგანაც იშვა, ისე უსასრულობა, რომელშიაც არის ჩანთქმული.

მაშ, რაღა ძალუძს მას? მხოლოდ საგანთა და მოვლენათა ზედაპირული წვდომა, ვინაიდან სამარადისოდ წარკვეთილი აქვს იმის იმედი, რომ ოდესმე შესძლებს მათი დასაბამისა და დასასრულის შეცნობას. ყველაფერი არარაობისაგან იბადება და უსასრულობაში გადადის. ვინ მოიცავს მზერით ამ თვალუწვდენ მანძილს? მხოლოდ ამ სასწაულის შემოქმედი, მეტი არავინ.

ადამიანები არ უკვირდებიან ამ უსასრულობას და თავხედურად იწყებენ ბუნების კვლევას, თითქოს მისი თანაფარდნი იყვნენ და თანაზომადნი. განსაოცარი არ არის, რომ მათ სურთ შეიცნონ საგანთა დასაბამი და შემდეგ — ყოველივე არსებული მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თვითრწმენის წყალობით, რომელიც ისევე უსასრულოა, როგორც მათი კვლევის საგანი? რადგან ამნაირი შთანაფიქრი შეიძლება მხოლოდ ბუნებასავით უსასრულო თვითრწმენამ შვას, ანდა ასევე უსასრულო გონიერებამ.

საქმეში ღრმად ჩახედულმა კაცმა იცის, რომ ბუნებამ ყველა საგანზე ამოტვიფრა როგორც თავისი, ისე თავისი შემოქმედის ხატი. და რომ თითქმის ყველა საგანი ბუნების ამ ორმაგი უსასრულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. აი, რატომაა, რომ ყველა მეცნიერება, არსებითად, უსასრულოა თავისი კვლევის საგანთან მიმართებით; და მართლაც, ვის შეუძლია შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ, მაგალითად, გეომეტრია ჩვენ გვთავაზობს უსასრულოდ მრავალრიცხოვან თანაფარდობათა უსასრულობას? ზუსტად ასევე, ყველა საწყისი, რომლებზედაც ეს თანაფარდობანია დაფუძნებული, არა მარტო რაოდენობრივად უსასრულოა, არამედ უსასრულოდ დაყოფადიც, ვინაიდან ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ ეგრეთწოდებული ზღვრული საწყისი ჰაერში კი არ არის გამოკიდებული, არამედ მეორე საწყისს ემყარება, ეს მეორე თავისი მხრივ — მესამე საწყისს, და ასე შემდეგ დაუსრულებლივ, რაც თავისთავად გამორიცხავს ზღვრის

არსებობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ზღვრულს ვუწოდებთ ყველაფერს, რაც გონებას ზღვრად ესახება, ისევე როგორც მატერიალურ სიდიდეთა სამყაროში განუყოფელს ვუწოდებთ წერტილს, რომლის დაყოფაც არ შეგვიძლია, თუმცაღა თავისი არსით ის უსასრულოდ დაყოფადია.

მეცნიერებისათვის ცნობილი ამ ორი უსასრულობიდან ადამიანის გონება უფრო ადვილად აღიქვამს სიდიდეთა უსასრულობას. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთ სწავლულს თუ ჰქონია იმის პრეტენზია, რომ აზრით მოეცვა მთელი სამყარო. „მე ვმსჯელობ ყოველივე არსებულისთვის“, — ამბობდა დემოკრიტე.

სიმცირეთა უსასრულობა ნაკლებ თვალსაჩინოა. ფილოსოფოსთა უმრავლესობა სწორედ მის შეცნობას თვლიდა შესაძლებლად, მაგრამ ყველას მოეცარა ხელი. მათი შეცდომის შედეგია ესოდენ ზოგადი სათაურები — „საგანთა საწყისთათვის“, „ფილოსოფიის საწყისთათვის“ და მათი მსგავსნი, არანაკლებ მაღალფარდოვანნი თავისი არსით, თუმცა ფორმით უფრო უბრალონი, ვიდრე თვალისმომჭრელი „De omni scibili*“.

ჩვენ გვგონია, რომ უფრო ადვილია ჩავწვდეთ საგანთა შუაგულს, ვიდრე აზრით მოვიცვათ მათი ზედაპირი. სამყაროს ხილული განფენილობა აშკარად აღემატება ჩვენსას; სამაგიეროდ ჩვენ ასევე აშკარად აღვემატებით უსასრულოდ მცირე საგნებს და ამიტომ ვთვლით, რომ უფრო ადვილია მათ არსში წვდომა. მაგრამ არაფრის შეცნობა არანაკლებ ძნელი საქმეა, ვიდრე ყველაფრისა. ერთიცა და მეორეც გონების უსასრულო ძალმოსილებას მოითხოვს, და ის, ვინც შეიცნობს საგანთა დასაბამიერ საწყისთ, ჩემი აზრით, უსასრულობის შეცნობასაც შესძლებს. ერთი მეორეზეა დამოკიდებული, ერთს მეორე მოსდევს. ეს ორი უკიდურესობა ერთმანეთს უერთდება, ერთმანეთს ერწყმის ღმერთში და მხოლოდ ღმერთში.

მაშ, გავარკვიოთ, რა ვართ ჩვენ? — რაღაც, მაგრამ არა ყველაფერი. ჩვენი რაობა არარაობიდან წარმომდგარ პირველსაწყისთა შეცნობის გზას გვიხშობს, ჩვენი სასრულობა უსასრულობას გვიფარავს, ჩვენი მსწრაფლწარმავლობა — მარადისობას.

ჩვენ ყოველმხრივ შეზღუდულნი ვართ. ამ გარემოებამ განაპირობა ჩვენი შუალედური მდგომარეობა ორ უკიდურესობას შორის. აი, მთელი ჩვენი ძალმოსილება. ჩვენი გრძნობები ვერ აღიქვამენ ვერავითარ უკიდურესობას: მეტისმეტი ხმაური გვაყრუებს; მეტისმეტად ძლიერი შუქი გვაბრმავებს; მეტისმეტი სიშორე ან სიახლოვე მზერას გვიჩლუნგებს; მეტისმეტად გრძელი ან მეტისმეტად მოკლე მსჯელობა მისი გაგების უნარს გვიხშობს; მეტისმეტად ნათელი ჭეშმარიტება გვაცვიფრებს (მე ვიცნობ ხალხს, რომელსაც არ ესმის, რომ თუ ნულს ოთხს გამოვაკლებთ, ნული ნულადვე დარჩება); პირველსაწყისი მეტისმეტად ცხადი გვეჩვენება; მეტისმეტი განცხრომა გვვნებს; მეტისმეტად ტკბილ თანახმიერებას უსიამოვნებად აღვიქვამთ; მეტისმეტი ქველმოქმედება გვაღიზიანებს: ჩვენ გვსურს ვახშით დავუბრუნოთ ვალი მევალეს: Beneficia eo usque laeta sunt, dum videtur exolvi posse; ubi multum antevenere, pro gratia odium redditur.* ჩვენ ვერც მეტისმეტ სიცხესა

* ყოველივე იმის შესახებ, რისი შეცნობაც შესაძლებელია (ლათ.).

* ქველმოქმედება მხოლოდ მანამდეა სასიამოვნო, სანამ მისი გადახდის იმედი გვაქვს; ხოლო თუ ის იმდენად დიდია, რომ გადახდის იმედს აღარ გვიტოვებს, მაშინ მადლიერების ნაცვლად სიძულვილს იწვევს ჩვენში (ლათ.).

ვგრძნობთ და ვერც სიცივეს; ჩვენ საერთოდ ვერ განვიცდით, საერთოდ ვერ აღვიქვამთ ვერავითარ უკიდურესობას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც გვვნებს ჩვენ: მეტისმეტი სიჯელე და მეტისმეტი სიბერე ერთნაირად გვიბრმავებს გონების თვალს, ისევე როგორც მეტისმეტი ცოდნა ან მეტისმეტი უცოდნელობა. მოკლედ, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ არც ერთი უკიდურესობა არ არსებობს ჩვენთვის, ხოლო ჩვენ — მათთვის: ან ისინი გვისხლტებიან ხელიდან ან, პირიქით, ჩვენ ვუსხლტებით მათ.

აი, ჩვენი ხვედრი. ჩვენთვის თანაბრად მიუწვდომელია როგორც ყოვლისმომცველი ცოდნა, ისე სრული უმეცრებაც. ჩვენ მივცურავთ უსაზღვროების ზედაპირზე, არ ვიცით საით, რაღაც გვერეკება, კიდიდან კიდეს გვახეთქებს. აი, მივაღწიეთ მყუდრო ნავსაყუდელს, გვსურს გადმოვხდეთ, სული მოვითქვათ, მაგრამ ის ირყევა, ტორტმანებს, ფეხქვეშ გვეცლება, გვტოვებს. ჩვენ მივდევთ, ეგებ დავეწიოთ, ჩავებღაუჭოთ, მაგრამ ის კვლავ გვისხლტება, კვლავინდებურად გვტოვებს; და ამ დევნას არ უჩანს ბოლო. ირგვლივ არაფერია ურყევი. ასეთია ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა, და მაინც ის სრულიად არაბუნებრივად ეჩვენება ჩვენს გრძნობებს. ჩვენ ხარბად მიველტვით მკვიდრ სამყოფელს, გვსურს ფეხქვეშ ვგრძნობდეთ მყარ ნიადაგს, რათა ცადაზიდული გოდოლი აღვმართოთ ზედ, მაგრამ ჩვენი საძირკველი ირღვევა და ხახადაფჩენილი ნაპრალიდან უფსკრულის ავბედითი თვალი გვიცქერის.

მაშ, ნულარ ვეძებთ სიმყარეს და სიმკვიდრეს. ჩვენი გონება ყოველთვის მოტყუვდება ხილული სინამდვილის არამდგრადობით; სასრული ვერასოდეს ვერა ჰპოვებს საიმედო საყრდენს ორ უსასრულობას შორის, რომლებიც მას გარს ერტყმიან და გაურბიან.

ვინც ეს შეიცნო, ჩემი აზრით, სამუდამოდ დაცხრება და აღარასოდეს შეეცდება ბუნების მიერ დადგენილი ზღვარის დარღვევას. შუალედური მდგომარეობა, რომელიც ბედისწერამ გვარგუნა წილად, თანაბრად დაშორებულია ორივე უკიდურესობისაგან. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, ცოტა მეტი იცის კაცმა თუ ცოტა ნაკლები? თუ მეტი იცის, მისი თვალსაწიერი რამდენადმე უფრო ფართოა, მაგრამ ამისდა მიუხედავად განა უსასრულოდ დაშორებული არ არის მიზანს, ხოლო მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა — მარადისობას? ამიტომ განა სულ ერთი არ არის, ათი წლით ადრე მოკვდება თუ გვიან?

ამ ორ უსასრულობასთან შედარებით ყველა სასრული სიდიდე ერთმანეთის ტოლფარდი ხდება. და მე არ ვიცი, რატომ უნდა ამჯობინოს ჩვენმა წარმოსახვამ ერთი მეორეს? მარტო ჩვენი თავის შედარება ამა თუ იმ სასრულთან დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენზე.

კაცს რომ უმალ თავისი თავის შეცნობა ეცადა, დაინახავდა, რომ ვერასოდეს ვერ გასცდება, ვერასოდეს გადალახავს სასრულის საზღვარს. განა ნაწილს შეუძლია მთელის შეცნობა? თუმცა იქნებ კაცი ცდილობს შეიცნოს ის ნაწილები, რომლებიც თავის თანაზომიერად მიაჩნია? მაგრამ სამყაროში ყველაფერი ისე ურთიერთგადასკვნილია და გადაჯაჭვული, რომ შეუძლებელია ერთი რომელიმე ნაწილის შეცნობა, თუ არ ვიცნობთ მეორე ნაწილს და, საერთოდ, მთელს.

ასე მაგალითად, კაცი დაკავშირებულია ყველაფერთან, რაც იცის და რასაც შეიცნობს. მისთვის აუცილებელია სივრცე, რომელშიაც არსებობს; დრო, რომლითაც იზომება მისი სიცოცხლე; მოძრაობა, ურომლისოდაც წარმოუდ-

გენელია არსებობა: ელემენტები, რომელთაგანაც შედგება; სითბო და საზრდო, როალებითაც სულდგმულობს; ჰაერი, რომლითაც სუნთქავს. ის ჭვრეტს სინათლეს, აღიქვამს საგნებს; ერთი სიტყვით, ყველაფერი წილნაყარია მასთან. მაშასადამე, ადამიანი რომ შეიცნო, უნდა იცოდე, რა საჭიროა მისთვის ჰაერი, ხოლო ჰაერის შესაცნობად უნდა იცოდე, რა კავშირი აქვს მას კაცის სიცოცხლესთან. უჰაეროდ წარმოუდგენელია ცეცხლი; ასე რომ ერთის შესაცნობად მეორესაც უნდა იცნობდე.

ამრიგად, რაკი სამყაროში ყველაფერი — მიზეზია და შედეგი, მამოძრავებელი და მოძრავი, უშუალო და გაშუალებული, რაკი ყველაფერი ბუნებრივი და იდუმალი კავშირით ერწყმის ერთმანეთს, კავშირით, რომელიც დაუხსნელად აერთებს ყველაზე მეტად განსხვავებულსა და დაშორებულ საგნებს თუ მოვლენებს, ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია ნაწილთა შეცნობა მთელის შეუცნობლად, ისევე როგორც მთელის შეცნობა — ნაწილთა ამომწურავი ცოდნის გარეშე.

ხომ ასე უმწეონი ვართ, როცა საგანთა არსში წვდომასა და მათ სიღრმეში შეღწევას ეხება საქმე, მაგრამ ამ უმწეობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ საგნები მარტივნი არიან და ერთგვაროვანნი, მაშინ როდესაც ჩვენ ორი ურთიერთსაპირისპირო, არაერთგვაროვანი საწყისისგან შევდგებით: სულისა და სხეულისაგან. რადგან ჩვენი არსების ის ნაწილი, რომელიც აზროვნებს, მხოლოდ სულიერი შეიძლება იყოს, ხოლო თუ დავუშვებთ, რომ ჩვენ მთლიანად სხეულებრივნი ვართ, ამით შემეცნების შეუძლებლობას ვაღიარებთ, ვინაიდან არაფერია უფრო უაზრო, ვიდრე იმის მტკიცება, რომ მატერია თვითონვე შეიმეცნებს საკუთარ თავს; ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა გზით აღწევს იგი თვითშემეცნებას.

ამრიგად, თუ მხოლოდ სხეულებრივნი ვართ, არაფრის შეცნობა არ შეგვიძლია, ხოლო თუ ჩვენში ერთმანეთს ერწყმის სული და სხეული, არ შეგვიძლია ბოლომდე შევიცნოთ ერთგვაროვანი საგნები — მხოლოდ სულიერნი ანდა მხოლოდ სხეულებრივნი.

აი, რატომაა, რომ თითქმის ყველა ფილოსოფოსი ერთმანეთში ურევს იდეასა და საგანს: სხეულებრივ საგანზე ისე მსჯელობენ, თითქოს სულიერი იყოს, სულიერს კი, პირიქით, სხეულებრივად წარმოგვიდგენენ. ზოგი თამამად ამტკიცებს, რომ ვარდნილი სხეულები დაბლა, ცენტრისაკენ მიილტვიან, განადგურებას გაურბიან და სიცარიელეს უფრთხიან; რომ მათთვის ნიშნეულია მიდრეკილება, სიმპათია, ანტიპათია, მოკლედ, ყოველივე ის, რაც ნიშანდობლივია მხოლოდ სულისთვის. სულზე მსჯელობისას კი მას სივრცეში ათავსებენ და გადაადგილების უნარს აწერენ, რაც დამახასიათებელია მხოლოდ სხეულისათვის.

ნაცვლად იმისა, რომ წმინდა სახით აღვიქვათ ამ საგანთა იდეები, ჩვენ საკუთარი თვისებებით ვამკობთ მათ და ჩვენს მიერ აღქმულ ყველა მარტივ საგანს ჩვენი რთული არსების დაღს ვასვამთ. რაკიღა ყველაფერს სულისა და სხეულისაგან თხზულად მივიჩნევთ, ვინ დაიჯერებს, რომ ამნაირი ნაზავი გონებამიუწვდომელია ჩვენთვის? ვაი რომ ასეა. ადამიანს თავისი თავი ყველაზე დიდ საოცრებად ესახება ბუნების ქმნილებათა შორის, რადგანაც ვერ გაუგია, რა არის სხეული და, მით უმეტეს, რა არის სული, სხეულისა და სულის შერწყმაზე, მათ ურთიერთკავშირზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აი, ადამიანის

წინაშე მდგარი ყველაზე ძნელად ამოსახსნელი, ყველაზე რთული ამოცანა, თუმცა ეს ამოცანა მისივე საკუთარი არსებაა: Modus quo corporidus abhaerent spiritus comprehendi ab hominibus non potest et hoc tamen homo est.*

58. უნდა დაიწეროს მათ წინააღმდეგ, ვინც მეტისმეტად აღრმავებს მეცნიერებას. დეკარტი.

59. ვერ მიპატიებია დეკარტისათვის: მას ძალიან სურდა თავის ფილოსოფიაში ღმერთოდ გასულიყო ფონს; მაგრამ სამყაროს ასამოძრავებლად ღმერთს წკიპურტი მაინც აკვრევინა მისთვის. ეს იყო და ეს: ღმერთი აღარ დასჭირებია.

60. დეკარტი — ფუჭი და ბუნდოვანი.

61. რატომ არ გვაღიზიანებს ფეხმრუდი და რატომ გვაღიზიანებს გონებამრუდი? აი, რატომ: ფეხმრუდი აღიარებს, რომ ჩვენ სწორად დავდივართ, ჭკუანაღრძობს კი ჰგონია, რომ ჭკუა ჩვენ თვითონ გვაქვს ნაღრძობი. ამიტომ სიბრალულს კი არ იწვევს, არამედ გვარისხებს და გვაღიზიანებს.

ეპიქტეტე უფრო პირდაპირ სვამს კითხვას: „რატომ არ ვბრაზობთ, როცა გვეუბნებიან, რომ თავი გვტკივა, და რატომ მოგვდის გული, როცა გვეუბნებიან, რომ უთაურად ვმსჯელობთ ანდა მოქმედების არასწორ გზას ვირჩევთ?“ მიზეზი ერთია: სხვებზე უკეთ ვიცით, რომ არც თავი გვტკივა და არც ვკოჭლობთ, მაგრამ ასევე დაბეჯითებით როდი გვწამს ჩვენი არჩევანის სისწორე. ჩვენ გულწრფელად გვეგონა, რომ სწორად ვმსჯელობთ, მაგრამ, აი, მოვიდა კაცი, რომელიც სულ სხვაგვარად მსჯელობს და უცებ შევცბით, მით უმეტეს, თუ ჩვენი მსჯელობა ერთს კი არა, ათას კაცს არ ეყო სიცილად. ვინაიდან ძალზე ძნელია შენი აზრი არჩიო ათასი კაცის აზრს. ფეხმრუდობის შემთხვევაში კი ეს წინააღმდეგობა გამორიცხულია.

62. სულისთვის ნიშნეულია რწმენა, ნებისთვის — ნდომა; და თუ მათ არ გააჩნიათ რწმენის ან ნდომის ღირსეული საგანი, უღირსი საგნისაკენ მიიქცევიან.

63. წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა. — ესაა ადამიანის უნარი, ცთუნების სათავე, შეცდომებისა და სიცრუის წყარო, მით უფრო ცბიერი, რომ ყოველთვის როდი ცბიერობს. წარმოსახვა რომ მუდამ ცრუობდეს, მაშინ ის ჭეშმარიტების უცვლელ საზომად გამოდგებოდა. მაგრამ, თუმცა უმეტესწილად ცრუობს, შეუძლებელია სიცრუეში მისი მხილება, ვინაიდან ერთი და იგივე საზომით ზომავს სიმართლესაც და სიცრუესაც.

მე აქ ბრიყვებს კი არ ვგულისხმობ, არამედ ყველაზე უფრო ჭკვიანსა და გონიერ ხალხს: უპირატესად სწორედ მათ აცთუნებს ხოლმე წარმოსახვა. ამაოა გონების წინააღმდეგობა. მას არ შეუძლია ჭეშმარიტი სახით დაგვანახოს წარმოსახვის მიერ გაყალბებული საგნები.

ეს ამაყი და მძლავრი ძალა, გონების მტერი, გონებისა, რომელიც ამაოდ ცდილობს მის მართვას, მის მოთოკვას და დაურვებას, — თავისი ძალმოსი-

* კაცისთვის გონებამიუწვდომელია, თუ როგორ ერწყმის სული სხეულს, თუმცაღა ესაა საკუთრივ კაცი (კათ.).

ლების დასამტკიცებლად თითქოს მეორე ბუნებას ქმნის ადამიანში. მას თავისი მრევლი ჰყავს: თავისი ბედნიერნი და უბედურნი, თავისი ჯანსაღნი და სნეულნი, თავისი მდიდარნი და ღატაკნი. ის აიძულებს გონებას იწამოს, დაეჭვდეს, უარყოს; ის აჩლუნგებს და ამძაფრებს გრძნობებს; აბრძენებს და ალენჩებს ხალხს; და, რაც ყველაზე საკვალალოა, ისეთი უხვი საბოძვრითა და წყალობით ავსებს თავის ერთგულთ, რასაც გონება არასოდეს არ იმეტებს თავის რჩეულთათვის. მდიდარი წარმოსახვით დაჯილდოებულნი უაღრესად თვითკმაყოფილნი არიან, რაც, გონივრული განსჯის გამო, სრულიად უცხოა კეთილგონიერთათვის. პირველნი ყველას ქედმაღლურად ეპყრობიან. თამამად და თავდაჯერებულად ეკამათებიან, მაშინ როდესაც მეორენი ქედმოდრეკილნი არიან და საკუთარი თავის მიმართ ეჭვით აღვსილნი. მხიარული იერი ყოველთვის კეთილად განაწყობს მსმენელს წარმოსახვისმიერ ბრძენკაცთა მიმართ. ამნაირ ცრუბრძენთ ჭეშმარიტ ბრძენთა სახელით იცნობენ მათივე მსგავსი მსაჯულნი. წარმოსახვა ბრძნად ვერ აქცევს რეგვენს, სამაგიეროდ ბედნიერებას ანიჭებს მას გონების თვალდასავსებად, გონებისა, რომელსაც უბედურების მეტი არა მოაქვს რა თავის რჩეულთათვის, ვინაიდან პირველი დიდებით მოსავს თავის ერთგულთ, მეორე კი მხოლოდ სირცხვილით.

ვინ ქმნის რეპუტაციას? ვინ ანიჭებს სახელსა და დიდებას პიროვნებებს, ქმნილებებს, კანონებს და კანონმდებლობებს, თუ არა წარმოსახვა? დედამიწის მთელი სიმდიდრე უკმარი და უფასური იქნებოდა მისი დასტურის გარეშე.

დაუკვირდით ამ მხცოვანსა და დარბაისელ, საყოველთაო პატივისცემით გარემოსილ მსაჯულს, რომელიც მხოლოდ მაღალსა და მიუკერძოებელ გონებას უწევს ანგარიშს, მხოლოდ საქმის არსს იძიებს და არას დაგიდევთ იმ ფუჭ წვრილმანებს, ასერიგად რომ აღიზიანებენ გონებაშეზღუდულ კაცთა წარმოსახვას. აი, ის წირვის მოსასმენად შედის საყდარში, შედის, როგორც გულმხურვალე ღვთისმოსავი, ვისი გონების კეთილშობილებაც განმტკიცებულია კაცთმოყვარეობის ნათელი მრწამსით. აი, ის უკვე მზადაა სანიმუშო ყურადღებით მოისმინოს წირვა-ლოცვა. მაგრამ თუ მწირველს ხრინწიანი ხმა აქვს და უშნო იერი, თუ ულაზათოდ გაპარსულია დალაქის მიერ და თუ ამასთან მტვერშია ამოგანგლული, მაშინ, რა დიად ჭეშმარიტებასაც უნდა ქადაგებდეს, დაგენაძლავებით, ჩვენი მოხელის სიდარბაისლე იმავე წამში გაქრება და ნასახიც აღარ დარჩება მისი.

დასვით ბრძენთა ბრძენი ფილოსოფოსი ფართო ფიცარნაგზე და აგრე ჩაჰკიდეთ უძირო ხრამში. რამდენსაც უნდა ეჩიჩინებოდეს გონება, ნურაფრის შიში ნუ გვაქვსო, სულ ერთია, წარმოსახვა მაინც თავისას გაიტანს. ზოგიერთს მარტოოდენ ამის წარმოდგენაზეც კი ფერი ეცვლება და ცივი ოფლი დაასხამს ხოლმე ტანზე.

რა საჭიროა ყველაფრის ჩამოთვლა?

ვინ არ იცის, რომ ბევრ ჩვენგანს გული მისდის კატის ან ვირთხის დანახვაზე, ან კიდევ ფეხქვეშ გასრესილი ნახშირის ხრაშუნზე? ხმის ტემბრი ისეთ განსაცვიფრებელ ზემოქმედებას ახდენს ყველაზე კეთილგონიერ ხალხზე, რომ მისი მიხედვით იწონებენ ან იწუნებენ წარმოთქმულ სიტყვას თუ წაკითხულ ლექსს.

კეთილმოსურნეობა ან სიძულვილი თვით სამართლიანობის ცნებასაც

ცვლის. რამდენად სამართლიანი ეჩვენება ვექილს საქმე, რომლის დასაცავადაც ჩეჩქივით ფული გადაუხადეს, და მერე რა მომნუსხველად მოქმედებს მისი თამამი ჟესტები მოჩვენებითი სიწრფელით გაბრიყვებულ მოსამართლეებზე! დამიხედეთ გონებას, თავის ნებაზე რომ ათამაშებს ყოველი მხრიდან მჭროლავი ქარი!

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენს ქცევას წარმოსახვის თავქარიანობა განაპირობებს. ვინაიდან ყველაზე ნათელი და მტკიცე გონებაც ბოლოს და ბოლოს ქედს იხრის და მონურად ემორჩილება მისთვის უცხო და უცნაურ წესებს, რომლებსაც ყველგან თვითნებურად ნერგავს წარმოსახვა.

ჩვენი მოსამართლეები კარგად იცნობენ წარმოსახვის ამ იდუმალ ძალას. აი, რატომ იფუთნებიან ფაფუკი კატებივით წითელ მანტიებსა და ყარყუმის მოსასხამებში; აი, რატომაა აუცილებელი სრა-სასახლეები, სადაც ისინი სამართალს წყვეტენ, შროშანის ყვავილები და ა. შ., მოკლედ, მთელი ეს დიდებული ბუტაფორია. ექიმებს რომ ფლასები და უქუსლო წაღები არ ეცვათ, ხოლო სწავლულებს რომ ოთხკუთხა ქუდები არა ჰქონდეთ ჩამოფხატული და ფართო მოსასხამებს არ ატარებდნენ, განა ასე ადვილად გააცურებდნენ ბრბოს, რომელიც მოწიწებით იხრის ქედს სიბრძნის ამ უტყუარ ატრიბუტთა წინაშე? მოსამართლეებს რომ მართალი სიმართლის ქმნა შეეძლოთ, ხოლო ექიმები მართლაც კურნავდნენ ყოველგვარ სნეულებას, რაოას აქნევდნენ ისინი ოთხკუთხა ქუდებს? მათი სიბრძნე თავისთავადაც თვალსაჩინო და თაყვანისცემის ღირსი იქნებოდა. მაგრამ რაკიღა მათ ცოდნა მხოლოდ მოჩვენებითია, ამიტომ ძალაუნებურად იმკობენ თავს ამ ფუჭი და ბრჭყვიალა სამკაულებით, რათა მოყვასთა წარმოსახვა აღაგზნონ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ გზით ადვილად აღწევენ კიდეც მიზანს. მხოლოდ სამხედროებს არ სჭირდებათ ამნაირი მასკარადის გამართვა, ვინაიდან მათი საქმე გამოგონილი კი არ არის, არამედ ნამდვილი, და ისინი ძალით იპყრობენ იმას, რასაც სხვები მხოლოდ პირმოთნეობით იხვეჭენ.

უმასკარადოდ ვერც ჩვენი მეფეები გადიან ფონს. მართალია, მათ უცნაური ტანსაცმელი არ აცვიათ, სამაგიეროდ შუბოსანი სხეულის მცველები ახვევიათ გარს. ეს ზორბა ყმაწვილები, რომელთა კუნთების ძალას სხვა დანიშნულება არ გააჩნია, გვირგვინოსანთა დაცვის გარდა, ეს მეწინავე მებუკენი და მედაფდაფენი, ეს მრავალრიცხოვანი რაზმები, გარს რომ არტყიან ქვეყნის მბრძანებელთ, შიშის ზარს სცემენ თვით ყველაზე შეუპოვართაც. ამის მიზეზია არა მარტო მათი ტანსაცმელი, არამედ მათი ძალაც. საჭიროა გონების იშვიათი გამჭრიახობა, რათა ჩვეულებრივი მოკვდავი დაინახო თავისი გონისმიმხდელი ჰარამხანითა და ორმოცი ათასი იანიჩარით გარშემორტყმულ თურქეთის სულთანში.

საკმარისია თვალი მოვკრათ ვექილს თავისი ფლასითა და თავისი თავსარქმელით, რათა იმწამსვე ვიწამოთ, რომ ჩვენ წინაშე დიდი კაცი დგას.

წარმოსახვა თავის ნებაზე ატრიალებს ყველაფერს, რაც კი რამედ ფასობს ამქვეყნად, — მშვენიერებას, სამართლიანობას, ბედნიერებას. რას არ მივცემდი, რომ წამეკითხა ერთი იტალიური წიგნი, რომელსაც მხოლოდ სათაურით ვიცნობ და რომელსაც ათას წიგნშიაც არ გავცვლიდი: „Della opinione regi-

na del mondo*". წაუკითხავადაც მზადა ვარ ხელი მოვაწერო მას, რასაკვირველია, თუკი შიგ ყველაფერი მართებულადაა გადმოცემული.

აი, დაახლოებით ამ ცრუ უნარის ყველა შედეგი, უნარისა, რომელიც თითქოს იმიტომ გვებოძა, რომ შეუმცდარად შეგვაცდინოს და შეუცთომლად გვაცთუნოს. თუმცა, იცოცხლე, ცთომის სხვა წყაროებითაც ყელამდე ვართ სავსენი.

ჩვენ გვაცთუნებენ არა მარტო ძველი შთაბეჭდილებები; სიახლის ხიბლსაც იგივე ძალა აქვს. აქედან—კაცთა გაუთავებელი ცილობა და დავა-კამათი. ერთი მეორეს აყვედრის, ბავშვობის მცდარ შთაბეჭდილებებს აჰყოლიხარო, მეორე კი, პირიქით, სიახლისადმი ბრმა ნდობის გამო ჰკიცხავს პირველს. ვინ ირჯება ისე, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური? დე, მოგვაწვდინოს თავისი ხმა და დაგვიმტკიცოს თავისი სიმართლე. არ არსებობს არც ერთი ცნება, თუნდაც ყველაზე უშუალო, უეჭველი და თითქოს დედის რძესთან ერთად შეწოვილი და შესისხლხორცებული, რომელიც მცდარად არ მიიჩნიოს ვინმემ და ამ სიმცდარის მიზეზად უცოდინარობა ან გრძნობათა მცდარობა არ გამოაცხადოს.

„თქვენ ბავშვობაში გეგონათ, — ამბობს ერთი, — რომ რაკი სკივრში ვერაფერს ხედავთ, ის ცარიელია და ამრიგად იწამეთ სიცარიელის არსებობა. მაგრამ ეს — გრძნობის მცდარობაა, თქვენივე ცრურწმენით განმტკიცებული და მეცნიერების ვალია გამოასწოროს ეს შეცდომა." ხოლო მეორე ასე მიუგებს: „თქვენ კი სკოლაში ჩაგაგონეს, რომ არ არსებობს სიცარიელე და ამრიგად ჩაგიხშეს საღი აზრი, რომელიც ასე ცხადად აღიქვამდა სიცარიელეს, სანამ მეცნიერების მავნე გავლენამ არ აუბნია თავგზა. მაშ, ზურგი აქციეთ მეცნიერებას და ენდეთ გრძნობათა მონაცემებს". კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მაინც რა გვაცდუნებს: გრძნობა თუ განათლება?

აი, ცთომის კიდევ ერთი წყარო: ჩვეული სნეულება. ის გვიხშობს საღი მსჯელობის უნარს, გვიმრუდებს გრძნობას. მძიმე სენის ზემოქმედება უეჭველია, მაგრამ მე მწამს, რომ თვით ერთგვარი უგუნურობა, უქეიფობა თუ შეუძლოდ ყოფნაც თავის დაღს გვასვამს ჩვენ.

ანგარებაც ასევე გვაბრმავებს, თანაც საამოდ და მათრობლად. მაგრამ უანგარობის განსახიერებაც რომ იყოს კაცი, სულ ერთია, თავისი თაიის მსაჯულად არ გამოდგება. მე მყავს ბევრი ნაცნობი, რომლებსაც ისე ეშინიათ, თავმოთნეობა არავინ დაგვწამოსო, რომ ხშირად მეორე უკიდურესობაში ვარდებიან: ასე მაგალითად, ცამდე მართალიც რომ იყოს კაცი, მაინც უარს ეტყვიან თავმდებობაზე, თუკი ნათესავების ან ახლობლების პირითა სთხოვს — მითავმდებეთო.

ჭეშმარიტება და სამართლიანობა ისე პაწაწინა წერტილებია, რომ ჩვენი ტლანქი იარაღებით ამაოდ ვცდილობთ მიზანში მორტყმას; მაგრამ კიდევაც რომ მოვარტყათ, წერტილებს შხეფებს გავაყრევინებთ და დაწინწკლულ ლაქებად მიმოვფანტავთ, ხოლო ამ ლაქებით სამართლიანობას და ჭეშმარიტებას უფრო ვჩრდილავთ, ვიდრე უსამართლობას და სიყალბეს.

64. ... ადამიანი ცთომითაა სავსე, და მისი ცთომა ბუნებრივია და წარუვალი ღვთაებრივი მადლის გარეშე. არაფერი არ უმჟღავნებს ჭეშმარიტე-

* წარმოსახვის — სამყაროს დედოფლის შესახებ (იტალ.).

ბას, ყველაფერი ატყუებს მას. გონებასა და გრძნობას, ჭეშმარიტების წვდომის ამ ორ ძირითად წყაროს, ჯერ ერთი, გულწრფელობა აკლიათ და, ეგეც არ იყოს, ისინი გამუდმებით ატყუებენ ერთიმეორეს. გრძნობები ყალბი მოჩვენებითობით აცთუნებენ გონებას; სამაგიეროდ, გონებაც არ რჩება ვალში და თავის მხრივ აცთუნებს მათ. სულის ვნებები ამღვრევენ გრძნობებს და ყალბ შთაბეჭდილებებს ახვევენ თავზე. ისინი საოცრად ტყუიან და თავსაც იტყუებენ...

65. წარმოსახვა ისეთნაირად აზვიადებს და ისე წარმოუდგენელ ფასს სდებს ყოველგვარ წვრილმანს, რომ სულში სხვა რამისთვის აღარ გვიტოვებს ადგილს. მეორეს მხრივ, თავისი ურცხვი თავხედობით უცნაურად აკნინებს და თავის ტოლფარდად წარმოგვიჩენს ყოველივე დიადს, როგორც, მაგალითად, ღმერთს.

66. ის, რაც ყველაზე მეტად გვაძრწუნებს ხოლმე, ვთქვათ, შიში ჩვენი სიღატაკის გამჟღავნებისა, უმეტესწილად, საშიში კი არა, სასაცილოა. ეს მხოლოდ ქრთილის მარცვალია, მთასავით გაბერილი ჩვენი წარმოსახვის მიერ. საკმარისია წარმოსახვამ სახე იცვალოს და ჩვენ თამამად ვამხელთ იმას, რასაც ადრე ასე საგულდაგულოდ ვმალავდით.

67. ბავშვები, რომლებიც დაჯღაბნიან სიფათს და მერე თვითონვე ეშინიათ მისი, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვები არიან. მაგრამ განა შეიძლება, რომ ბავშვობაში ესოდენ უმწეო არსება მოწიფულობაში ძლიერი გახდეს? არა, ის მხოლოდ ახალი აჩრდილით ცვლის ძველ აჩრდილს. ის, რაც თანდათანობით აღწევს სრულქმნილებას, ასევე თანდათანობით კვდება; რაც სუსტი იყო, ვერასოდეს ვერ გახდება ჭეშმარიტად ძლიერი. გაუშვი, თქვან, — „ის მოიწიფა“ „ის შეიცვალაო“; — არა, ის იგივეა, რაც ადრე იყო.

68. ჩვეულება ჩვენი ბუნებაა. ის, ვინც ეჩვევა საარწმუნოებას, კიდევაც აღიარებს მას; ამიტომ არ შეუძლია არ ეშინოდეს სულის წარწყმედის. ის, ვინც ეჩვევა იმაზე ფიქრს, რომ მეფე საშინელია..., და ა. შ. მაშ, განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენს სულს, რომელიც ჩვეულებრივ ჭვრეტს რიცხვს, სივრცეს, მოძრაობას და ა. შ., მხოლოდ ყოველივე ესა სწამს და სხვა არაფერი?

69. Spongia solis*. — როცა ერთი მოვლენა გამუდმებით მოსდევს მეორეს, ჩვენ დავასკვნით, რომ, მაშასადამე, ასეთია ბუნების წესი: ასე, მაგალითად, ხვალ დილით აუცილებლად გათენდება და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ ბუნება გვატყუებს და თავად არღვევს საკუთარ წესს.

70. რას წარმოადგენენ ჩვენი თანდაყოლილი ცნებები, თუ არა ჩვეულებრივ ცნებებს? განა ბავშვები მშობლებისგან არ ითვისებენ მათ, როგორც ბოკვრები — ნადირობის უნარს?

საპირისპირო ჩვევებისგან საპირისპირო ცნებები იღებენ დასაბამს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. და თუ არსებობს ცნება, რომელსაც ვერ წაშლის ვერავითარი ჩვეულება, ხომ არსებობს ბუნების საპირისპირო ისე-

* მზის ლაქები (ლათ.).

თი ჩვევაც, რომელიც არც ბუნებას ექვემდებარება და არც უფრო გვიან შეძენილ ჩვევას. ეს უკვე სულიერ წყობაზეა დამოკიდებული.

71. მშობლები შიშობენ, ვაითუ შვილების თანდაყოლილი სიყვარული ჩვენ მიმართ დროთა განმავლობაში განელდესო. მაგრამ რას შეუძლია გაანელოს თანდაყოლილი გრძნობა? ჩვეულება — ჩვენი მეორე ბუნება, აი, რა ცვლის ჩვენს დასაბამიერ ბუნებას. მაგრამ რა არის კაცის ბუნება? განა ჩვეულება ბუნებრივი არ არის ჩვენთვის? და მე ვშიშობ, ხომ არ არის ეს ბუნება ჩვენი პირველი ჩვეულება, ისევე როგორც ჩვეულება მეორე ბუნებაა ჩვენი.

72. კაცის ბუნება მთლიანად ბუნებაა, omne animal*.

მასში შეიძლება ყველაფერი ბუნებრივად იქცეს, ხოლო ყოველ[illegible] ბუნებრივი იავარიქმნეს.

73. ხსოვნა, სიხარული — გრძნობებია; გეომეტრიული თეორებაც შეიძლება გრძნობად იქცეს, ვინაიდან გონება აბუნებრივებს გრძნობებს და გონებავშლის ბუნებრივ გრძნობებს.

74. რა შეიძლება იყოს კაცის ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხელობის არჩევა? მაგრამ სწორედ ამ არჩევანა განაპირობებს შეთხვევითობა. ქვისმთლელი, ჯარისკაცი, ხურო და ა. შ., კაცი ხდება ბიოლოდ იმიტომ, რომ ასე მოდის მამა-პაპათაგან. კაი ხუროაო",—აბობენ მავანზე; ხოლო როცა ჯარისკაცებზე ჩამოვარდება სიტყვა — „აი, გიყებიო", — იტყვიან ხოლმე; ზოგი კი, პირიქით, ამბობს: „მეომარია, რაც არის; ყველა დაბარჩენ გაიძვერაოო". ბავშვები ისმენენ, როგორ აქებენ ერთ ხელობას და ავინებენ მეორეს, და, აი, არჩევანიც მზად არის; ვინაიდან ბუნებრივია სიყვარული — ჭეშმარიტების და სიძულვილი — უგუნურების მიმართ. ჩვენ გვაღელვებენ ეს სიტყვები და ვცოდავთ მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრებაში მათ გახხორციელებას ვცდილობთ. ჩვეულების ძალა ისეთია, რომ ბუნებით მხოლოდ ადამიანად დაბადებული არსება ქვისმთლელი, ჯარისკაცი, ხურო და სხვ. ხდება. ზოგან ყველა ქვისმთლელია, ზოგან ჯარისკაცი და ა. შ. ამის მიზეზია არა ადამიანის ბუნება, არამედ ჩვეულება, რომელიც ჩვენს ბუნებას თრგუნავს. მაგრამ ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ ბუნება იმარჯვებს და მაშინ, მიუხედავად ჩვეულებისა, ადამიანი საკუთარ მიდრეკილებას მისდევს, სულ ერთია, კარგსა თუ ცუდს

75. ნებელობისმიერი ქცევა ძირფესვიანად განსხვავდება ყველა სხვაგვარი ქცევისაგან.

ნებელობის გარეშე წარმოუდგენელია რწმენა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ქმნის ამ რწმენას, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერი საგნის, ნებისმიერი მოვლენის სიმართლეს თუ სიყალბეს მხოლოდ ხედვის კუთხე, მხოლოდ ჩვენი თვალსაზრისი განაპირობებს. ნება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ერთს, სულს უკრძალავს ყოველივე იმის ჭვრეტას, რაც თავად არ სიამოვნებს. ასე რომ ნების მონა-მორჩილი სული ჭვრეტს მხოლოდ იმას, რასაც ნება იწონებს, და განსჯითაც მხოლოდ იმის მიხედვით სჯის, რასაც ნების კარნახით ჭვრეტს.

---

* ყოვლად ცხოველი (ლათ.).

76. თ ა ვ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა. — თავმოყვარეობისა და, საერთოდ, ადამიანური „მე“-ს ნამდვილი არსი თავისი თავის სიყვარულია და მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნვა. ესაა და ეს. მას არ ძალუძს ათასგვარი ნაკლისა და მანკიერებისაგან განკურნოს თავისი სიყვარულის საგანი. „მე“-ს სურს იყოს დიადი, მაგრამ გრძნობს, რომ უბადრუკია; მას სურს იყოს ბედნიერი, მაგრამ ხედავს, რომ უბედურია; მას სურს იყოს სრულქმნილი, მაგრამ იცის, რომ არასრულქმნილებით სავსეა; მას სურს ყველა ადიდებდეს და თაყვანს სცემდეს, მაგრამ ხვდება, რომ მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს სხვებში. ეს წინააღმდეგობა გრძნობათაგან ყველაზე უსამართლო და ყველაზე ბრალეულ გრძნობას ბადებს ადამიანში: მძაფრ სიძულვილს სიმართლის მიმართ, სიმართლისა, რომელიც თვალს არ ხუჭავს და დაუნდობლად ამხილებს მის მანკიერებას. მას სურს მოსპოს სიმართლე, მაგრამ რაკი საკუთრივ სიმართლის მოსპობა არ შეუძლია, ცდილობს საკუთარ შეგნებაში მაინც ჩაკლას. ან სხვის სულში ჩაახშოს იგი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველნაირად ცდილობს დაუმალოს თავისი ნაკლი როგორც სხვას, ისე საკუთარ თავსაც, და ვერ იტანს, როცა ვინმე ხედავს ამ ნაკლს, ან ცდილობს თვით მას დაანახოს იგი.

რა თქმა უნდა, ცუდია, თუ ნაკლით ხარ სავსე, მაგრამ უფრო უარესია, თუ არ სცნობ და არ აღიარებ ამას, ვინაიდან ეს ნიშნავს ნაკლს ახალი ნაკლი მიუსართო, ესე იგი, ძალად მოიტყუო თავი. ჩვენ არ გვსურს, რომ სხვები გვატყუებდნენ, და ვთვლით, რომ უსამართლოდ იქცევიან, თუკი უფრო მეტ პატივისცემას მოითხოვენ ჩვენგან, ვიდრე თავად იმსახურებენ. მაგრამ განა ასევე უსამართლოდ არ ვიქცევით, როცა ვცდილობთ მოვატყუოთ ისინი და მოვითხოვთ, რომ უფრო მეტი პატივის ღირსად გვცნონ, უფრო მეტი პატივი მოგვაგონ, ვიდრე ვიმსახურებთ?

ამრიგად, როცა სხვები მხოლოდ ჩვენს ნაკლსა და ბიწიერებას ხედავენ, რომელიც მართლაც გვბღალავს და გვსვრის, ისინი, როგორც ჩანს, არ სცოდავენ ჩვენ მიმართ, ვინაიდან ჩვენი ბიწიერება მათი ბრალი არ არის. პირიქით, კეთილისმყოფელად გვევლინებიან, რაკიღა ხელს გვიწყობენ იმაში, რომ თავი დავაღწიოთ ბოროტებას, ანუ ჩვენივე ნაკლის არცოდნას. რად უნდა ვმრისხანებდეთ იმის გამო, რომ მათ იციან ეს ნაკლი და ამიტომ ვეზიზღებით ჩვენ? განა უსამართლობაა, რომ ისინი ჩვენი ჭეშმარიტი სახით გვიცნობდნენ და, ამრიგად, ზიზღით გვიყურებდნენ, თუკი მართლა ზიზღის ღირსნი ვართ?

აი, რა განცდები უნდა აღიძვროდნენ ჭეშმარიტად წრფელსა და სამართლიანობის მოყვარე გულში. მაგრამ რა გვეთქმის ჩვენსავე გულზე, რომელშიაც სრულიად საპირისპირო გრძნობები იბადებიან? ვინ შესძლებს იმის უარყოფას, რომ ჩვენ მთელის არსებით გვძულს სიმართლეც და სიმართლის მთქმელიც, მაშინ როდესაც, პირიქით, მთელი სულით და გულით გვიყვარს ის, ვინც ცდება, რა თქმა უნდა, ჩვენს სასარგებლოდ; გვიყვარს, როცა სხვები სულ სხვა ვინმედ გვთვლიან და არა იმად, რანიც ვართ სინამდვილეში.

აი, საბუთიც, რომელიც ასე მაძრწუნებს მე: კათოლიკური რელიგია არ მოითხოვს ცოდვების ხმამაღლა და საჯაროდ აღიარებას; ის ნებას რთავს შემცოდეს ყველას დაუმალოს თავისი ცოდვა, გარდა ერთადერთი კაცისა, რომელსაც ბოლომდე უნდა გაენდოს და ყველაფერი დაუფარავად მოახსენოს. ის გვიკრძალავს ტყუილის თქმას მხოლოდ ამ ერთი, ერთადერთი კაცის წინაშე. მას კი უბრძანებს ისე მტკიცედ დაიცვას და ისე ღრმად დაიმარხოს ჩვე-

ნი საიდუმლო, თითქოს არაფერიც არ გვეღიარებინოს. არნახული მადლი, არ გაგონილი გულმოწყალება! მაგრამ კაცის გახრწნილება ისე უსაზღვროა, რომ თვით ეს კაეობიც საოტიკად ეჩვენება. სწორედ ეს გახლდათ ეკლესიის წინააღმდეგ თითქმის მთელი ევროპის ჯანყის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

რა უსამართლო უნდა იყოს კაცის გული, რა თხემით ტეოფამდე უკეთური უნდა იყოს კაცი, რომ დრტვინავდეს, როცა უბრძანებენ, ისეთი იყავით ერთის წინაშე, როგორიც, საცა სამართალია, ყველას წინაშე უნდა იყოს. სად სამართლიანობა და სად სიცრუე?!

ეს სიძულვილი სიმართლისადმი, როგორც ჩანს, მეტნაკლებად ყველა ჩვენგანს ახასიათებს, ვინაიდან განუყოფელია ჩვენი თავმოყვარეობისაგან. რა საკვალალოა თავაზიანობა, რომელიც აიძულებს ყველაა, ვისაც მოყვასისადმი მხოლოდ გულწრფელობა მართებს, ათასგვარ ხრიკს და მანქანებას მიმართონ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იცრუონ და იპირფერონ, რათა აოავის ატკინონ გული, არავის მიაყენონ შეურაცხყოფა. აი, რატომ ჩქმალავენ ჩვენს ნაკლს, რატომ გვაჩვენებენ თავს ისე, თითქოს ყველაფერი მოგვიტევეს, რატომ გვასხამენ ხოტბას და რატომ გვიდასტურებენ წამდაუწუმ სიყვარულს და პატივისცემას. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, წამალი მაინც მწარე ეჩვენება თავმოთნეობას, რომელიც წვეთ-წვეთად, აშკარა ზიზღით სვამს მას, ხოლო ფარულად რისხავს კიდეც მის მომწოდებელს.

ამიტომ, თუ კაცს სურს ჩვენი კეთილგანწყობა დაიმსახუროს, არასდიდებით არ გაგვიწევს ისეთ სამსახურს, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება უსიამოვნო აღმოჩნდეს ჩვენთვის. არა, ის მოგვექცევა მხოლოდ ისე, როგორც საერთოდ გვსურს გვექცეოდნენ: ჩვენ გვძულს სიმართლე, ჰოდა, ისიც დაგვიმალავს მას; ჩვენ ვტკბებით, როცა პირში გვაქებენ, რახან ასეა, ისიც ფეხქვეშ გაგვეგება; ჩვენ გვინდა, რომ გვატყუებდნენ, ისიც ადგება და მოგვატყუებს.

სწორედ ამიტომ ყოველი წარმატება თუ წარჩინება, რომელიც ხალხის თვალში გვამაღლებს ჩვენ, იმავდროულად გვაშორებს სიმართლეს და ჭეშმარიტებას, ვინაიდან, რაც უფრო სასარგებლონი ვართ სხვებისთვის, მით უფრო უფრთხიან ისინი ჩვენს განრისხებას და განაწყენებას. მონარქი შეიძლება მთელი ევროპის თვალში სასაცილო გახდეს, მაგრამ აზრდაც არ მოუვა ეს: სიმართლის თქმა სასარგებლოა მხოლოდ მისთვის, ვისზედაც სიმართლეს ამბობენ. მაგრამ მავნეა მისთვის, ვინც ამბობს, ვინაიდან ამით მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს იწვევს. ხოლო კარისკაცები საკუთარ ინტერესებს უფრო უფრთხილდებიან, ვიდრე თავიანთი მბრძანებლისას, და, რა დასამალია, ნაკლებად იწუხებენ თავს პატრონზე ზრუნვით, ოღონდ თავის თავს არაფერი აკლონ

ამ უბედურებისაგან ყველაზე მეტად ზარალდებიან, რა თქმა უნდა, ძლიერნი ამა სოფლისანი, მაგრამ არც უბრალო მოკვდავთ ადგებათ კარგი დღე, ვინაიდან არავის არ სწყენს სხვისი კეთილგანწყობის მოხვეჭა. ასე და, ამრიგად, მთელი ჩვენი ცხოვრება განუწყვეტელი ილუზიაა: ჩვენ მხოლოდ ერთმანეთს ვატყუებთ, ერთიმეორეს ვეპირფერებით. არავინ არ გვეტყვის პირში, იმას, რასაც ზურგს უკან იტყვის. ადამიანთა ურთიერთობა მხოლოდ ამ ორმხრივ სიცრუეზეა დაფუძნებული, და რა ცოტა მეგობრობა დარჩებოდა დაურღვეველი, თვითეულ ჩვენგანს რომ შეეტყო, რას ლაპარაკობენ ჩვენზე მეგობრები, ჩვენი ძვირფასი მეგობრები ჩვენ ზურგს უკან, თუნდაც გულწრფელად და მიუკერძოებლად ლაპარაკობდნენ.

ასე რომ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ შენიღბული სიყალბეა, სიცრუე და პირმოთნეობა, არა მარტო სხვების, არამედ თავისივე თავის წინაშეც. მას არ სურს სიმართლე მოისმინოს საკუთარ თავზე, ცდილობს არც სხვას უთხრას მართალი. გონებისა და სამართლიანობის საპირისპირო ყველა ამ ჰიდრეკილებას ღრმად გაუდგამს ფესვი მის გულში.

77. თვითეულ ჩვენგანს რომ შეეტყო, რას ამბობენ ჩვენი მოყვასნი ჩვენზე, დარწმუნებული ვარ, ოთხი გულწრფელი მეგობარიც ალარ დარჩებოდა ამქვეყნად. ამის დასტურია როყიოდ წამოროშილი სიტყვის გამო ატეხილი აყალმაყალი.

78. ზოგიერთი ჩვენი ბიწი მხოლოდ და მხოლოდ უფრო ღრმად ფესვგამდგარ ბიწიერებაზე ამოზრდილი ყლორტებია: მოსჭერით ღერო და ისინი სუსტი ტოტებივით დაიმსხვრევიან.

79. ალექსანდრე მაკედონელის ზნეობრივი სიწმინდე იმდენი ადამიანისთვის არ ქცეულა თავდაჭერილობის ნიმუშად, რამდენიც მისმა ვემთვრალეობამ დააყენა აღვირახსნილობის გზაზე. მართლაცდა, განა სამარცხვინოა ალექსანდრეს დაუვარდებოდე სიქველით? მეორეს მხრივ კი ჩვენ გვგონია, რომ არც ისე ჩვეულებრივად ბიწიერი არსებანი ვართ, რაკიღა არაჩვეულებრივი ადამიანებიც იმავე ბიწით იყვნენ გასვრილნი. რატომ არავის არ მოსდის აზრად, რომ ამ მხრივ ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივ მოკვდავთაგან? მათ მხოლოდ იმაში ჰბაძავენ, რითაც ისინი ყველა დანარჩენს. ჰგვანან; რადგან, მთელი თავიანთი სიდიადის მიუხედავად, ისინი რაღაცით მაინც არ აღემატებიან კაცთა შორის ყველაზე გლახაკსა და საპყარს. ისინი ჰაერში გამოკიდებულნი და დანარჩენ კაცობრიობას მოწყვეტილნი როდი არიან. არა, ჩვენზე დიდნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი თავით ჩვენზე მაღლა დგანან. მაგრამ ფეხებით ხომ ჩვენც და ისინიც ერთსა და იმავე დონეზე ვდგავართ, ჩვენც და ისინიც ხომ ერთსა და იმავე მიწას ვეყრდნობით. ამ კიდურებით ისინი სულაც არა დგანან ჩვენზე, ყველაზე პატარებზე, ბავშვებზე, ცხოველებზე მაღლა.

80. ვნებაატანილნი, ჩვენს მოვალეობას ვივიწყებთ ხოლმე; როცა წიგნი მოგვწონს, შიგ ცხვირჩარგულნი ვკითხულობთ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი გადაუდებელი საქმეები მოვიგვაროთ. მათ გასახსენებლად აუცილებელია რაიმე მოსაწყენი და მოსაბეზრებელი ვაკეთოთ; მაშინ, იმის საბაბით, რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი, კვლავ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას, კვლავ ჩვენი ვალის მოხდას ვცდილობთ.

81. როცა ჩვენს ნაწარმოებს სხვას ვაძლევთ წასაკითხად, როცა ჩვენს ქმნილებას სხვის მსჯავრს ვანდობთ, ძალზე ძნელია ჩვენს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ არ განვაწყოთ იგი. როცა ვეუბნებით: „ჩემი აზრით, ეს მშვენიერია“, ან „ჩემთვის ეს გაუგებარია“, ან სხვა რაიმე ამგვარს, ჩვენ ვაიძულებთ თანამოსაუბრის წარმოსახვას დასტური მოგვცეს ან წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ამიტომ უმჯობესია ვდუმდეთ; მაშინ ის თავისი პირადი შთაბეჭდილების, თავისი შინაგანი განწყობის ან იმ გარეშე გარემოებათა მიხედვით იმსჯელებს, რომლებთანაც ხელი არა აქვს ავტორს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს აზრს მაინც არ მოვახვევთ თავზე, თუკი, რა თქმა უნდა, უგულებელვყოფთ იმას, რომ ჩვენი დუმილიც თავისებურ ზემოქმედებას მოახდენს მასზე, იმ აზრის მიხედვით, რომელსაც ის ჩადებს ამ დუმილში, ან იმ დასკვნების თა-

ნახმად, რომლებსაც ის გამოიტანს ჩვენი ჟესტებიდან, მიმიკიდან, ტონიდან თუ სახეზე აზრების ამოკითხვის მისეული უნარიდან. აი, რა ძნელია, ჩვენს ზემოქმედებას არ დავუქვემდებაროთ მისი მსჯელობა, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რარიგ იშვიათადაა ის მყარი და თავისთავადი.

82. როცა კაცის მთელი სიცოცხლის წარმმართველ ვნებას ამოვიცნობთ, ჩვენ უკვე დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი გულის მოგებას შევძლებთ. მაგრამ თვითეულ ჩვენგანს სული უთვალავი სხვადასხვა ჟინით აქვს სავსე, რომელთაგან ბევრი თვით მის საკუთარ სიკეთეს ეწინააღმდეგება, იმ აზრით, რომლითაც მას ესმის საკუთარი სიკეთე. აი, სწორედ კაცის ეს სიშლეგე და დამთხვეულობაა, ყველაფერს რომ გვირევს.

83. Lustravit lampade terram*.—ამინდი ნაკლებად მოქმედებს ჩემს გუნება-განწყობილებაზე; მე თვით ჩემში მაქვს ჩემი ღრუბლიანი თუ ჩემი ულრუბლო დღე; აქ ზოგჯერ ჩემი იღბალიც თუ უიღბლობაც არაფერ შუაშია. ხანდახან მე წარბშეუხრელად ვხვდები თვით ბედისწერის სიმუხთლეს: მისი ძლევა იმდენად სასახელოა, რომ მე პირმოცინარი ვერკინები ჩემს ბოროტ სვეს, მაშინ როდესაც ზოგჯერ სვებედნიერიც უბედურს ვგავარ.

84. მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ კაცი არაფერს გამოელის სიცრუისაგან, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ის სიმართლეს ამბობს: ზოგი მხოლოდ იმიტომ ცრუობს, რომ იცრუოს.

85. როცა კაცი კარგადაა, ვერ გაუგია, რისი სული უდგას სნეულს, ხოლო როცა ავად ხდება, სიამოვნებით ყლაპავს წამლებს: რა ქნას, ასეა საჭირო. მას აღარც ვნება გააჩნია, აღარც გართობისა თუ სეირნობის სურვილი, რომელიც ასე განუყრელია ჯანმრთელობისგან და ასე შეუთავსებელი— სნეულებასთან. ახლა ბუნება მისი აწინდელი მდგომარეობის შესაბამისი ვნებებითა და სურვილებით ავსებს მას. მხოლოდ შიშია ის, რითაც ბუნება კი არ გვავსებს, ჩვენ თვითონ ვივსებთ საკუთარ სულს, მხოლოდ შიშია ის, რაც გვამღვრევს, ვინაიდან ჩვენს აწინდელ ყოფას უწინდელი ყოფის ვნებებს უსართავს.

86. ბუნებით ყოველთვის და ყოველგან უბედურნი ვართ, სურვილები კი გვიხატავენ სრულსა და აუმღვრეველ ბედნიერებას, ვინაიდან ერთმანეთთან აკავშირებენ ჩვენს აწინდელ ყოფასა და ჩვენთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელ სიამოვნებას. მაგრამ ეს სიამოვნება მისაწვდომიც რომ ყოფილიყო ჩვენთვის, მაინც ვერ ვეღირსებოდით ბედნიერებას, ვინაიდან მაშინ ამ ახალი ყოფის შესატყვისი სურვილები გაგვიჩნდებოდა.

87. ჩვენ ვგრძნობთ, რაოდენ ამაოა ხელმისაწვდომი სიამოვნება, მაგრამ ვერ ვგრძნობთ, რა ფუჭია ხელმიუწვდომი; აი, ჩვენი უმტკიცობის მიზეზი.

88. ცვალებადობა.— გინდა კაცს შეხებიხარ და გინდ ორღანოს. ის მართლაც ორღანოა, ოღონდ უცნაური, ცვალებადი, თავისებური (რომლის მილები მწყობრი თანმიმდევრობით როდი მისდევენ ერთიმეორეს). ის, ვინც მხოლოდ ჩვეულებრივ ორღანოზე უკრავს, ჰარმონიულად ვერ ააჟღერებს ამ

* სინათლით გააბრწყინა მიწა (ლათ.).

უჩვეულო ინსტრუმენტს. აუცილებელია ყველა მისი უცნაური რეგისტრის ცოდნა.

89. ცვალებადობა. — საგნებს უამრავი თვისება აქვთ, ხოლო სულს — უამრავი მიდრეკილება; ყველაფერი, რაც სულს ევლინება, რთულია და სულიც რთულია თავის ყველა გამოვლენაში. აი, რატომაა, რომ ერთი და იგივე მოვლენა ჩვენ ხან ცრემლს გვაღვრევინებს, ხანაც ღიმილს გვგვრის.

90. ცვალებადობა და უცნაურობა. — ცხოვრობდე შენი შრომით და, იმავდროულად, სამყაროს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მბრძანებელი გერქვას, — ორი სრულიად საპირისპირო რამ გახლავთ. ეს ორი რამ თურქეთის სულთანშია გაერთიანებული.

91. სხვადასხვაობა ისე უსასრულოა, რომ ხმის ყველა ტემბრი, ყოველგვარი მიმოხრა, ხველება, ცხვირის ცემინება, ცხვირის მოხოცა...

ნაყოფის მიხედვით ასხვავებენ ყურძნის ჯიშებს და მათ შორის ყველა ამ მუსკატს, კონდრიეს, დეზარგს და ა. შ. განა ვაზს ოდესმე მოუსხამს ორი ერთნაირი მტევანი, ხოლო მტევანს — ორი ერთნაირი მარცვალი?

მე არ შემიძლია ერთსა და იმავე საგანზე ყოველთვის ერთნაირად ვიმსჯელო; არ შემიძლია ვიმსჯელო ჩემს ნაწარმოებზე, როცა მას ვწერ. უნდა მივბაძო მხატვრებს, ესე იგი, უნდა დავშორდე, მაგრამ ძალიან არა. მაშ, რამდენად? გამოიცანით.

92. მრავალფეროვნება. — ღვთისმეტყველება მეცნიერებაა, მაგრამ რამდენი მეცნიერების მომცველი მეცნიერება?! ადამიანი ასოთა ერთობლიობაა, მაგრამ თუ მას დავანაწევრებთ, გვექნება თუ არა უფლება კვლავ ადამიანი ვუწოდოთ თავს, გულს, ძარღვებს, თვითეულ ძარღვს, ძარღვის თვითეულ ნაწყვეტს, სისხლს, სისხლის ყოველ წვეთს?

სოფელი თუ ქალაქი შორიდან სოფლად და ქალაქად გვეჩვენება; მაგრამ რაც უფრო უახლოვდები, თანდათან არჩევ — სახლებს, ხეებს, სახურავებს, ფოთლებს, ბალახებს, ჭიანჭველებს, ჭიანჭველების ფეხებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და ყოველივე ამას მოიცავს ერთადერთი სიტყვა „სოფელი“.

93. აზრები. — ყველაფერი ერთია, ყველაფერი სხვადასხვაა. რამდენ სხვადასხვა პიროვნებას მოიცავს ერთი პიროვნება! რამდენ სხვადასხვა მოწოდებას! ადამიანი კი ალალბედზე ირჩევს პროფესიას, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქება მოუსმენია! კაი ნახელავი ქუსლი.

94. ფეხსაცმლის ქუსლი. — „აჰ, რა კარგად მორგებული ქუსლია!“, „რა მშვენიერი ხელოსანია!“, „რა დიდებული მეომარი!“ — აი, ჩვენი მიდრეკილებების სათავე, აი, ჩვენი არჩევანის მიზეზი. „რა კარგად სვამს!“, „წვეთს ვერ სვამს!“ — აი, რის გამო ხდებიან კაცნი ლოთები, არამსმელები, ჯარისკაცები, ლაჩრები და ა. შ.

95. მთავარი ნიჭი, რომელიც განაპირობებს ყველა დანარჩენს.

96. ბუნება თავის თავს იმეორებს: პოხიერ ნიადაგში ჩათესილი მარცვალი მარცვალსავე აღმოაცენებს; ნაყოფიერ სულში ჩათესილი აზრი ახალ აზ-

ად აღმოცენდება; რიცხვები სივრცეს იმეორებენ, თუმცაღა ასერიგად განსხვავდებიან მისგან.

ყველაფერი ერთი და იგივე შემოქმედის ქმნილებაა: ფესვი, ტოტი, ნაყოფი; მიზეზი, შედეგი.

97. ბუნება ასხვავებს და ბაძავს, ხელოსანი ბაძავს და ასხვავებს.

98. ბუნება ყველაფერს თავიდან იწყებს: წლებს, დღეებს, საათებს. იგივე ითქმის სივრცეთა მიმართ; რიცხვებიც ასევე განუწყვეტლივ მისდევენ ერთმანეთს. ასე იქმნება გარკვეული უსასრულობა და მარადისობა. არა, ყოველივე ეს ცალ-ცალკე კი არ არის უსასრულო და მარადიული, არამედ თავისთავად სასრული სიდიდენი მრავლდებიან უსასრულოდ. ასე რომ, ჩემის აზრით, უსასრულოა მხოლოდ მათი მამრავლი რიცხვი.

99. დრო მხოლოდ იმიტომ კურნავს მწუხარებას და შეურაცხყოფას, რომ ადამიანი იცვლება: ის უკვე სხვაა და არა ის, რაც უწინ იყო. არც შეურაცხმყოფელი და არც შეურაცხყოფილი აღარ ჰგვანან თავიანთ თავს. ძალაუნებურად გახსენდება შეურაცხყოფილი ხალხი; შეხედეთ მას ორი თაობის შემდეგ: ესენი კვლავ ფრანგები არიან, მაგრამ არა იგივე ფრანგები.

100. მას უკვე აღარ უყვარს ეს ქალი, რომელიც ასე ხიბლავდა ათი წლის წინათ. რა გასაკვირია: ქალი შეიცვალა, შეიცვალა კაციც. არადა, რა მშვენიერი ქალი იყო, რა მშვენიერი ვაჟი. ახლა კი ქალი სულ სხვაა. ეჰ, ისევ ის რომ იყოს, რაც ათი წლის წინ იყო, ვინ იცის, იქნებ კვლავინდებურად ჰყვარებოდა.

101. ჩვენ ყოველთვის არა მარტო სხვა მხრით ვუყურებთ საგნებს, არამედ სხვა თვალითაც: ამიტომაც გვგონია, რომ ისინი შეიცვალნენ.

102. წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა. — კაცი ბუნებით მიმნდობია, უნდო, მხდალი, მამაცი.

103. კაცის აღწერა: დამოკიდებულება, დამოუკიდებლობის წყურვილი, გაჭირვება.

104. კაცის მდგომარეობა: უმტკიცობა, ჭმუნვა, შიში.

105. კაცი წუხს, როცა იძულებულია ძველ ჩვევაზე აიღოს ხელი. მავანი ბედნიერია თავისი ოჯახური მყუდროებით. მაგრამ, აი, ის ხვდება ქალს, რომელიც მოსწონს, ან ხუთი თუ ექვსი დღე სიამოვნებით თამაშობს ბანქოს. აიძულეთ დაუბრუნდეს ძველ ყოფას: მის ცოდვაში ჩაიდგამთ ფეხს. ჩვეულებრივი ამბავია.

106. ჩვენი ბუნების ნამდვილი არსი მოძრაობაა. სრული სიმშვიდე სიკვდილს მოასწავებს.

107. მ ო უ ს ვ ე ნ რ ო ბ ა. — ჯარისკაცი თავის გასაჭირს უჩივის, გლეხი— თავისას და ა. შ. მაგრამ, აბა, სცადეთ და უქმად ამყოფეთ ისინი.

108. ნ ა ღ ვ ე ლ ი. — კაცისთვის ყველაზე უფრო აუტანელია სიმშვიდე, რომელსაც არც ვნება ამღვრევს, არც საქმე, არც გართობა და არც ფუსფუსი.

მაშინ ის ყველაზე აშკარად გრძნობს თავის არარაობას, მიუსაფრობას, უბადრუკობას, დამოკიდებულებას, უმწეობას, სიცარიელეს. სულის სიღრმიდან მეყვსეულად ამოითხევა პირქუში სევდა, მწუხარება, სიმწარე, ზიზღი, სიძულვილი, სასოწარკვეთა.

109. ჩემის აზრით, კეისარი მეტისმეტად ბებერი იყო იმნაირი გართობისათვის, როგორიცაა სამყაროს დაპყრობა. ეს უფრო მეტად შეშვენის ავგუსტუსს ან ალექსანდრეს: ისინი ჭაბუკები იყვნენ, ხოლო სიჭაბუკე ძნელი მოსათოკია. კეისარს მეტი ჭკუა მოეთხოვებოდა.

110. ორი მსგავსი სახე, რომელთაგან ცალ-ცალკე არცერთი არაა სასაცილო, ერთად სიცილით გვხოცავს თავიანთი მსგავსებით.

111. რაოდენ ფუჭია ფერწერა, რომელიც გვხიბლავს იმ საგნების ზუსტი ასახვით, რომლებიც თავისთავად სულაც არ გვხიბლავენ ჩვენ.

112. ბრძოლაში ჩვენ მოგვწონს მხოლოდ ბრძოლა და არა გამარჯვება. ჩვენ სიამოვნებით ვუყურებთ ცხოველების ჭიდილს, მაგრამ არა მძლეველს, რომელიც უწყალოდ აწამებს ძლეულს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, სხვას რას მოველით ბრძოლისაგან, თუ არა გამარჯვებას? მაგრამ გამარჯვება მოსაბეზრებელია. იგივე ითქმის ყოველგვარი თამაშისა თუ ჭეშმარიტების ძიების მიმართ. კამათში ჩვენ მოგვწონს საპირისპირო აზრთა ჭიდილი, მაგრამ ღმერთმა გვაშოროს მიკვლეული ჭეშმარიტების ჩხრეკა: ის მხოლოდ მაშინ გვანიჭებს სიამოვნებას, როცა ჩვენს თვალწინ იბადება ცხარე კამათში. ასევე ვნებაც: რა სჯობია იმის ყურებას, როცა ორი საპირისპირო ვნება სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეჯახება ერთიმეორეს, მაგრამ საკმარისია ერთმა იმძლავროს და მტერსაც არ ვუსურვებ გამარჯვებულის სისხლით უძღები სისასტიკის ცქერას. აი, რატომაა ასე უაზრო და უსიამოვნო ზოგიერთი კომედიის ყველა ის სცენა, სადაც თვითკმაყოფილ ბედნიერებას არ ამღვრევს შიში, სადაც უნუგეშობას მხსნელად არ ევლინება იმედი და სადაც ყველაფერი პირუტყვული ჟინია ან გულმხეცობა.

113. ჩვენ ერთი ბეწო რამ გვანუგეშებს, იმიტომ რომ ასეთივე უბადრუკი წვრილმანის გამო ვეძლევით უნუგეშობას.

114. ჩვენ შევიცნობთ ყოველგვარი საქმიანობის აზრს, თუკი გართობის არსს ჩავწვდებით.

115. გ ა რ თ ო ბ ა. — მე არაერთგზის მიფიქრია იმაზე, თუ რამდენი ტანჯვა-ვაების დათმენა უწევთ ადამიანებს, ან რა საფრთხეში იგდებენ თავს ბრძოლის ველზე თუ სასახლის კარზე; არაერთგზის დავფიქრებივარ აქედან გამომდინარე ყველა ქიშპობას, ვნებათა ღელვას, თავხედურ შთანაფიქრს თუ უკეთურ ზრახვას, და ყოველთვის იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ კაცთა მთელი უბედობის თავი და ბოლო ერთი და იგივე მიზეზი გახლავთ, სახელდობრ, ის, რომ მათ არ შეუძლიათ შინ მშვიდად ჯდომა და ოჯახური მყუდროებით ტკბობა. ვერ დავიჯერებ, რომ კაცი, რომლის ავლა-დიდება სავსებით საკმარისია უზრუნველი ცხოვრებისათვის, ოდესმე გადასცურავდა ზღვას ან ციხესიმაგრის აღებაში მიიღებდა მონაწილეობას, შინ მშვიდად და სიამტკბილო-

ბით ყოფნა რომ შეეძლოს. არა, ის მხოლოდ იმიტომ ფლანგავს ფულს, მხოლოდ იმიტომ ყიდულობს სამხედრო თანამდებობებს, რომ ერთ ადგილას ვერ მოუსვენია; მხოლოდ იმიტომ დაეძებს გასართობს, გამრთობს, თამაშსა და თავდავიწყებას, რომ საკუთარ ჭერქვეშ მოწყენილია.

მაგრამ მოგვიანებით, როცა უფრო ღრმად ჩავუკვირდი საკითხის არსს და, ვგონებ, მივაკვლიე კიდეც ყველა ჩვენი უბედობის მიზეზს, მოვინდომე ამ მიზეზის ჭეშმარიტი ძირიც გამომეჩხრიკა, და მივხვდი, რომ ის ჩვენი არსებობის დასაბამიერ უბადრუკობაში, ჩვენი არსების ბუნებით თანდაყოლილ უმწეობაში უნდა ვეძიოთ: ჩვენ იმდენად უსუსურნი ვართ, იმდენად მსწრაფლწარმავალნი და საწყალობელნი, რომ საკმარისია დავუფიქრდეთ ამას და ვერავითარი ნუგეში ვეღარ გვიშველის.

ყველაზე დიდი პატივი, ყველაზე სანატრელი კეთილდღეობა, რომლის ღირსიც შეიძლება გახდეს მოკვდავი, ამ ქვეყნად, ალბათ, მეფის ხვედრია. მაგრამ დააკმაყოფილეთ ყველა მისი ჟინი, შეუსრულეთ ყველა წადილი, გარდა ერთისა: გართობის საშუალება არ მისცეთ მას; დაე, გართობის ნაცვლად თავის თავსა და თავის მოვალეობაზე იფიქროს, და თქვენ ნახავთ, რა ერთბაშად განქარდება მთელი მისი ფუჭი ბედნიერება. მას უთუოდ საგონებელში ჩააგდებს და თავზარს დასცემს ბედისწერის სიმუხთლისა თუ ათასგვარი ამბოხების წარმოდგენა, და, ბოლოს, სიკვდილსა თუ სნეულებაზე ფიქრი. ასე რომ, გართობის საშუალებას მოკლებული მეფე უბედურია, უფრო უბედური, ვიდრე მისი ყველაზე საცოდავი ქვეშევრდომი, რომელსაც არავინ უშლის თამაშსა და თავშექცევას.

აი, რატომაა, რომ კაცს ყველაფერს ურჩევნია თამაში და ქალებთან ლაუბობა, რატომაა, რომ ასე გულდაგულ მიიწევს ომში, ან რად ცდილობს საგმირო საქმეებით თავგამოჩენას. არა, ბედნიერების იმედი როდი აქვს; არც ისა სწამს, თითქოს ბანქოში მოგებული ფული ან მონადირებული კურდღელი ჭეშმარიტ ბედნიერებას მიანიჭებს: ჯანდაბას მოგება, ჭირსაც წაუღია კურდღელი. ჩვენ ვეძებთ არა იმ უშფოთველი და მცონარე არსებობის შესაძლებლობას, რომელიც საკმაო მოცალეობას გვიტოვებს, რათა ჩვენს უბედურ ხვედრზე ვიფიქროთ, ჩვენ მიველტვით არა ომის საშინელებასა თუ გმირულ ჭირთათმენას, არამედ მხოლოდ შეხლა-შემოხლას, მხოლოდ და მხოლოდ ორომტრიალს, რომელიც გვართობს და, ამრიგად, მტანჯველი ფიქრის საშუალებას არ გვაძლევს.

აი, რატომაა, რომ კაცს ასერიგად უყვარს განუწყვეტელი ყიჟინი და მოძრაობა; რატომ აღიქვამს ციხეში ჩასმას ესოდენ საზარელ სასჯელად და რატომ ასე გონებამიუწვდომელი ეჩვენება მარტოობის მომხიბვლელობა. მეფის კეთილდღეობის ყველაზე დიდი უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მას განუწყვეტლივ ართობენ და არავითარ განცხრომასა და სიამოვნებას არ აკლებენ.

კარისკაცებს მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ: როგორმე გაართონ მეფე და თავის თავზე ფიქრის საშუალება არ მისცენ, რადგან მეფე, მართალია, მეფეა, მაგრამ მაინც უბედურია, როცა საკუთარ თავზე ფიქრობს.

აი, ყველაფერი, რაც ადამიანებმა გამოიგონეს ბედნიერების ძიებაში. რა ცუდად იცნობს ადამიანის ბუნებას ის, ვინც ღრმააზროვნად ამტკიცებს, რაოდენ უაზრო დროსტარებაა მთელი დღე კურდღლის დევნა, რომლის ყიდვას

იგივე მადევარი, ალბათ, არც იკადრებდა. საქმე ისაა, რომ კურდღელი ვერ გვარიდებს მოწევნადი სიმწრისა და სიკვდილის წარმოდგენას, ნადირობა კი გვარიდებს, ვინაიდან გვართობს და ფიქრის დროს აღარ გვიტოვებს.

როდესაც პიროსს ურჩიეს, სიმშვიდე ბრძოლის ველზე კი არა, უმოქმედობაში ეძიეო, ეს რჩევა მეტისმეტად ძნელი შესასრულებელი შეიქნა მისთვის...

(ამიტომ ცდება ის, ვინც ადამიანებს აყვედრის გართობის სიყვარულს. მათი ნაკლი ის კი არა არის, რომ შფოთსა და ღელვას მიელტვიან, თუ კი ისე მიელტვიან, როგორც გართობას. ნაკლიცა და მანკიერებაც მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ისე მიილტვიან რისამე მიმართ, თითქოს ლტოლვის საგნის დაუფლება ჭეშმარიტ ბედნიერებას მიანიჭებთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ ცდება ის, ვინც მათ ლტოლვას ფუჭად მიიჩნევს. ასე რომ, მისთვის, ვინც ჰყვედრის და მისთვისაც, ვისაც ის ჰყვედრის, ერთნაირად უცნობია ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება).

ამრიგად, როცა მონადირეებს უსაყვედურებენ, რატომ ასეთი კისრისტეხით დასდევთ კურდღელს, რომელიც არას გარგიათო, კურდღლის მადევართ ტვინი რომ ჰქონდეთ, პასუხად უნდა ეთქვათ: „ჩვენ ვეძებთ ჟინის მოკვლისა და თავდავიწყების საშუალებას, რათა თავი დავაღწიოთ ჩვენსავე თავზე ფიქრს; კისრისტეხითაც სწორედ იმიტომ დავდევთ კურდღელს, რომ სხვა აღარაფერი გვახსოვდეს ამ ქვეყნად“. ეს რომ ეთქვათ, უთუოდ ჩიხში მოამწყვდევდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს; მაგრამ მონადირეებს აზრადაც არ მოუვათ ამნაირი პასუხი, ვინაიდან ნაკლებად იცნობენ თავიანთ თავს. რა იციან, რომ მათი მთავარი მიზანი ნადირობაა და არა ნანადირევი.

ადამიანებს ჰგონიათ, რომ ამა თუ იმ თანამდებობის ხელში ჩაგდება სიმშვიდესა და ბედნიერებას მიანიჭებთ. ისინი ვერ გრძნობენ, რა უძღებია მათი სიხარბე და გულუბრყვილოდ ჰგონიათ, მართლაც სიმშვიდეს დავეძებთო, თუმცა, სინამდვილეში მხოლოდ შფოთს, აყალ-მაყალსა და შეხლა-შემოხლას დაეძებენ.

იდუმალი ინსტინქტი აიძულებს მათ გამუდმებით ეძებონ გართობა, ხელი მიჰყონ ათასგვარ საქმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეცნობიერად გრძნობენ თავიანთი არსებობის სიმწარეს და უბედურებას. მაშინ როდესაც, მეორე იდუმალი ინსტინქტი — ჩვენი დასაბამიერი ბუნების სიდიადის მემკვიდრეობითი ნაშთი, — უკარნახებს მათ, რომ ბედნიერება სიმშვიდეშია და არა ცხოვრების ორომტრიალში. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო ინსტინქტის შეჯახება მათი სულის სიღრმეში იწვევს ბუნდოვან სურვილს, — შფოთის მეშვეობით ეძებონ სიმშვიდე და აუმღვრევლობა; იგივე გრძნობა ბადებს მაცდურ იმედს, თითქოს ამა და ამ წინააღმდეგობის დაძლევით მოიპოვებენ ეგზომ მოუხელთებელ ბედნიერებას და, ამრიგად, ეზიარებიან სულის სიმშვიდეს.

ასე გადის მთელი ცხოვრება. ჩვენ გვგონია, რომ წინააღმდეგობების დაძლევის გზით მოვიპოვებთ სიმშვიდეს, მაგრამ დავძლევთ თუ არა მათ, სიმშვიდე აუტანელი გვეჩვენება, ვინაიდან უკვე აღარაფერზე აღარ ვფიქრობთ, ჩვენს თავს მოწეული თუ მოწევნადი უბედურების გარდა. მაგრამ ყოველგვარი უბედურებისაგან საიმედოდ დაცულნიც რომ ვიყოთ, ჩვენს გულში ღრმად ფესვგადგმული, ჩვენს გულს თითქოს სამუდამოდ თანშეზრდილი

მტანჯველი სევდა მაინც იმძლავრებს, ამოხეთქავს და თავისი შხამით მოგვიწამლავს სულს.

ადამიანი იმდენად უბედურია, რომ მის სევდას ხშირად მიზეზიც არ მოეძებნება, მისივე საკუთარი ზნის გარდა, — და იმდენად უბადრუკი, რომ სევდის ათასი საფუძვლიანი მიზეზიც რომ ჰქონდეს, ყოველგვარ წვრილმანს შეუძლია მისი გართობა, თუნდაც ბილიარდის ან ბურთის თამაშს.

— კი, მაგრამ, — იკითხავთ თქვენ, — რა აზრი აქვს მისთვის ამ თამაშს? — როგორ თუ რა? ხომ შეუძლია მეორე დღეს მეგობრებში დაიტრაბახოს, გუშინ მავანსა და მავანს მოვუგეო. და, აი, ერთნი, სწავლულთა წინაშე თავმოწონების მიზნით, მყუდრო კაბინეტებში თავს აკლავენ ჯერხნობით გადაუჭრელი ალგებრული ამოცანის გადაწყვეტას; მეორენი — ჩემის აზრით, არანაკლებ ბრიყვნი, — სასიკვდილო საფრთხეში იგდებენ თავს, რათა შემდეგ მოპოვებული გამარჯვებით იამაყონ; და ბოლოს, მესამენი, თავგანწირვით ცდილობენ ყველა ამ „საგმირო საქმის“ დასწავლას და დამახსოვრებას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჭკუისასწავლი გაკვეთილი გამოიტანონ მათგან, არამედ იმიტომ, რომ თავიანთი ცოდნით გაგვაკვირვონ, და ეს უკანასკნელნი ბრიყვთა საკრებულოს, ყეყეჩთა დასის ყველაზე ღირსეული წევრები არიან, ვინაიდან შეგნებულად იყეყეჩებენ თავს, მაშინ როდესაც პირველნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეუგნებლად ბრიყვდებიან.

ზოგიერთმა საერთოდ არ იცის, რა არის სევდა, იმიტომ, რომ ცოტ-ცოტას ყოველდღე თამაშობს. მაგრამ, აბა, ყოველ დილით მიეცით იმდენი ფული, რამდენიც შეიძლება მთელი დღის განმავლობაში მოიგოს, ხოლო, ამასთან, აუკრძალეთ თამაში, და ის თავს უბედურად იგრძნობს. მე, ალბათ, მეტყვიან, რომ ის მოგებისთვის კი არ თამაშობს, არამედ გართობის გულისთვის. თუ ასეა, ნება მიეცით ითამაშოს, მაგრამ აუკრძალეთ ფულზე თამაში, და თქვენ ნახავთ, რომ კვლავ მოიწყენს, ვინაიდან უფულოდ თამაში უაზარტოა. მაშასადამე, გართობაცაა და გართობაც: უფერული, უღიმღამო და ვნებისაგან დაცლილი გართობა მალე ბეზრდება კაცს. არა, მან უნდა იბობოქროს, თავი მოიტყუოს, წარმოიდგინოს, რომ ბედნიერებას მიანიჭებს იმის მოგება, რისი აღება, შესაძლოა, არც მოისურვოს, თუკი სანაცვლოდ მოსთხოვენ, რომ თავი ანებოს თამაშს; უნდა გამოიგონოს სურვიელი ლტოლვის საგანი, მისკენ სწრაფვით აღიგზნოს გული და ამ გამოგონილი მიზნის გამო ურთიერთმონაცვლეობით განიცადოს სიხარბე, რისხვა, შიში თუ ძრწოლა, მსგავსად ბალღისა, რომელსაც თვზარსა სცემს მის მიერვე დაჯღაბნილი სახის დანახვა.

როგორ მოხდა, რომ ამ კაცს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ დაჰკარგა ერთადერთი ვაჟი და ჯერ კიდევ დილით ასეთნაირად დათრგუნვილი იყო გაჭიანურებული სასამართლო პროცესითა და ათასგვარი დავიდარაბით, ამჟამად აღარაფერი აღარ ახსოვს? ნუ გაიკვირვებთ: მთელი მისი ყურადღება იმაზეა გადატანილი, თუ საით გაუხვევს ტახი, რომელსაც აგერ უკვე ექვსი საათია მძვინვარე წკავწკავით მისდევენ მისი მწევრები. განა საკმარისი არ არის? რაგინდ დამწუხრებულიც უნდა იყოს კაცი, სცადეთ შემპარავი სიტყვით ჩაითრიოთ გართობასა თუ დროსტარებაში: იმწუთშივე გახალისდება; და, პირიქით, რაგინდ ბედნიერიც უნდა იყოს ის, წაართვით გართობისა და თავშექცევის შესაძლებლობა, რომელიც მის მტანჯველ ფიქრს გასაქანს არ აძლევს, და

თქვენ ნახავთ, რა ერთბაშად მოიწყენს და უბედურად იგრძნობს თავს. გართობის გარეშე არ არებობს სიხარული, გართობა გამორიცხავს მწუხარებას. თუ ბედნიერნი არიან, ძლიერნი ამა სოფლისანი მხოლოდ იმით არიან ბედნიერნი, რომ არც გართობა აკლიათ და არც გამრთობნი.

ერთსაც დაუკვირდით. განა სუპერინტენდანტობა, კანცლერობა თუ პრეზიდენტობა მხოლოდ იმიტომ არ არის სასურველი, რომ მათ კაბინეტებში დილიდან საღამომდე ირევიან მთხოვნელები, რომლებიც ერთი საათითაც არ აცლიან სულისმოთქმას, რათა თავიანთ თავზე იფიქრონ? და რა უბედურად, რა განწირულად გრძნობენ თავს ისინი, როცა, შერისხულნი, იძულებულნი არიან თავიანთ მამულებში განმარტოვდნენ, სადაც, მართალია, ყველაფერი თავზე საყრელადა აქვთ და არც მზრუნველი მსახურები აკლიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელს არავინ უშლით იმაში, რომ თავიანთ თავზე იფიქრონ.

116. კაცნი თავდავიწყებით დასდევენ ბურთსა თუ კურდღელს; თვითონ მეფენიც ამით იქცევენ თავს.

117. ადამიანს ბავშვობიდანვე სულ იმას ჩასჩიჩინებენ, რომ თვალის ჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს საკუთარ ღირსებას, კეთილდღეობას, სახელს, მეგობრებს, მეგობრების ღირსებას და მათ სახელს. მას სულს ხდიან მეცადინეობით, ენების სწავლით, ვარჯიშით და დღენიადაგ ჩააგონებენ, რომ ბედნიერებას ვერ ეღირსება, თუ ის და მისი მეგობრები ვერ შეინარჩუნებენ ჯანმრთელობას, სახელს, დიდებას და რომ მცირედი გაჭირვებაც უბედურებად იქცევა მათთვის. ჰოდა, იმდენ საქმეს აყრიან, იმდენ საზრუნავს ახვევენ თავზე, რომ დილიდან დაღამებამდე სულის მოთქმას არ აცლიან. „აი, ადამიანის გაბედნიერების უცნაური გზა და საშუალება, — იტყვით თქვენ, — გაბედნიერებისა რა მოგახსენოთ და, ეს ხომ უეჭველი გზაა მისი გაუბედურების?“ — რაო, უეჭველიო? მე უფრო უეჭველს გეტყვით: ჩამოაშორეთ ყველა ეს საზრუნავი, და ის თავის თავს მიუბრუნდება, ის დაიწყებს იმაზე ფიქრს, თუ ვინ არის, საიდან მოვიდა, სად მიდის და ა. შ. ამიტომ მისთვის აუცილებელია საქმე და მხოლოდ საქმე, რათა ამნაირი ფიქრებისაგან დაიხსნას თავი. და, აი, ისეც თავით ფეხებამდე საქმეში ჩაფლულს, ქანცგაწყვეტილს და მოუცლელს ურჩევენ, თუკი ერთი მოცლილი წამი მაინც მოიგდო ხელთ, ისიც თამაშისა და თავშექცევისათვის გამოიყენოს: მოცლილობა უარესიაო.

რა ცარიელია ადამიანის გული და რამდენი სიბილწეა ამ სიცარიელეში!

118. მე ბევრი დრო შევალიე განყენებულ მეცნიერებათა შესწავლას, მაგრამ რაკი ბევრი ვერა შევიძინე რა, ბოლოს, გული ავიყარე მათზე. მერე ადამიანის შესწავლას მივყავი ხელი და მივხვდი, რომ განყენებული მეცნიერებანი სრულიად უცხოა ჩვენთვის, ვინაიდან მე — მათ მცოდნეს — უფრო ნაკლებ მესმის, რა ადგილი მიჭირავს სამყაროში, ვიდრე იმას, ვისაც წარმოდგენაც არა აქვს მათზე; მივხვდი და შევუნდე ჩემს მოყვასს მათი არცოდნა. მაგრამ მე ვფიქრობდი, რომ ჩემთან ერთად ბევრი სხვაც სწავლობს ადამიანს, რადგან ეს მეგონა ჩვენი ერთადერთი საგანი. მწარედ მოვტყუვდი: გეომეტრია რომ გეომეტრიაა, იმასაც კი უფრო გულმოდგინედ სწავლობენ. თუმცა ამ უკანასკნელს, ისევე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგს, მხოლოდ იმიტომ ეუფლებიან, რომ არ იციან, როგორ შეისწავლონ ადამიანი. მაგრამ

ესეც საკითხავია; სჭირდება თუ არა ადამიანს, საერთოდ, ეს მეცნიერება, და განა უფრო ბედნიერი არ იქნება, თუ არაფერი ეცოდინება საკუთარ თავზე?

119. კაცი უთუოდ ფიქრისათვის არის შექმნილი; ესაა მთელი მისი ღირსება და უმთავრესი დანიშნულება; უპირველესი მოვალეობა კი ისაა, რომ კეთილგონივრულად იფიქროს. რაც შეეხება დასაწყისს, რასაკვირველია, თავის თავზე, თავის შემოქმედსა და თავის აღსასრულზე ფიქრით უნდა დაიწყოს.

მაგრამ რაზე ფიქრობენ კაცნი? ამაზე? არა, მათი საფიქრალი სულ სხვა რამეა: ტაშ-ფანდური, ცეკვა, სიმღერა, ლექსების თხზვა, დროსტარება, ომი, სამეფოს ხელში ჩაგდება და ა. შ. და ა. შ., ისე რომ ერთხელაც არ დაფიქრდებიან, ერთხელაც არ ჰკითხავენ თავიანთ თავს: რას ნიშნავს იყო მეფე? რას ნიშნავს გერქვას ადამიანი?

120. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ჩვენი ჭეშმარიტი ცხოვრება და ჩვენი ჭეშმარიტი არსი: ჩვენ გვსურს შევქმნათ მოყვასთა შეგნებაში ერთგვარი წარმოსახვითი სახე და ამიტომ ვცდილობდთ თავი მოვაწონოთ, თავი მოვაჩვენოთ მათ. ძალ-ღონის დაუზოგავად ვამკობთ და ზიზილ-პიპილებით ვრთავთ ამ წარმოსახვით სახეს ჩვენი ნამდვილი სახის საზიანოდ. თუ მშვიდნი ვართ, ერთგულნი და დიდსულოვანნი, ერთი სული გვაქვს, როდის მოვფენთ ჩვენი კეთილშობილების ამბავს მთელს ქვეყანას, და, თუ საქმე საქმეზე მიდგა, უყოყმანოდ განვიძარცვავთ თავს ყველა ამ სიქველისაგან, ოღონდ კი ჩვენს მოჩვენებით „მე“-ს მივაწეროთ ისინი. ღმერთმანი, სილაჩრეზეც არ ვიტყვით უარს, რათა მამაცთა სახელი მოვიხვეჭოთ მოყვასთა თვალში. ჩვენი „მე“-ს უბადრუკობის უტყუარი ნიშანი მაინც ისაა, რომ მას ხშირად არც თავისი თავი მოსწონს, არც თავისი მოჩვენებითი ორეული და თვითკმაყოფილების მისაღწევად იძულებულია ერთმანეთს შეუნაცვლოს ისინი! რადგან ვინც სიკვდილს არ არჩევს სახელის გატეხას, უღირსის სახელს დაიგდებს ხალხში.

121. ჩვენ ისე პატივმოყვარენი ვართ, რომ გვსურს დედამიწის ზურგზე ყველა გვიცნობდეს და პატივს გვცემდეს, თვით ისინიც კი, ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ ამ ქვეყნად; ჩვენ ისე უბადრუკნი ვართ, რომ ხუთი თუ ექვსი ნაცნობის პატივისცემა გვართობს და კიდეც გვაკმაყოფილებს.

122. არავინ არ ცდილობს სახელი მოიხვეჭოს ქალაქში, რომელსაც მხოლოდ გზად გაივლის, მაგრამ სხვა საზრუნავი აღარა აქვს, თუ ცოტა ხანს მაინც დარჩა იქ. მაინც რამდენ ხანს? რამდენსაც შეადგენს ჩვენი ხრწნადი და მსწრაფლწარმავალი სიცოცხლის ხანგრძლივობა ამ ქვეყნად.

123. ამაოებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი ჩვენს გულში, რომ ყველა — ჯარისკაცი თუ ქარგალი, მზარეული თუ მეკურტნე — თავს იქებს და თაყვანისმცემლებს ეძებს; თაყვანისმცემლებს ეძებენ ფილოსოფოსებიც; მწერლები, რომლებიც გმობენ ამაოებას, ქება-დიდებას მოითხოვენ მის გმობაში, ხოლო მკითხველები — იმაში, რომ მათ ნაწერებს კითხულობენ. იქნებ, მეც, ამ სტრიქონების ავტორიც, ამას მოვითხოვ, და, იქნებ, ამასვე მოითხოვს ჩემი მკითხველიც...

124. დ ი დ ე ბ ა. — ბავშვობიდანვე ყველაფერს აფუჭებს განცვიფრება: „აჰ, რა კარგად თქვა!“, „ოჰ, რა კარგად მოიქცა!“, „უჰ, რა ჭკვიანია!“ და ა. შ.

პორ-როიალის ბავშვები, რომლებსაც პატივმოყვარეობის ამ ნესტრით არ ჩხვლეტენ, გულგრილნი და დაუდევარნი ხდებიან.

125. სიამაყე. — ცნობისმოყვარეობა სხვა არა არის რა, თუ არა ამაოება. ჩვენ, უმეტესწილად, იმიტომ ვიძენთ ცოდნას, რომ შემდეგ თავი მოვიწონოთ ამით. არავინ არ გადასცურავს ზღვას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნახვა სიამოვნებას ანიჭებს; არა, იმიტომ მოგზაურობენ, რომ, ბოლოს, განცდილი გვიამბონ და შთაბეჭდილებები გაგვიზიარონ.

126. სახელის მოხვეჭისათვის. — ყოველგვარი სიმწრის, ყოველგვარი შეცდომის და სხვა მისთანათა მიუხედავად, სიამაყე ისე ღრმად გვაქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ უყოყმანოდ გავწირავთ ყველაფერს, თვით სიცოცხლესაც, ოღონდ მოყვასთა ყურადღება მივიპყროთ.

ამაოება: თამაში, ნადირობა, სტუმარ-მასპინძლობა, თეატრში სიარული, ფუჭი ზრუნვა სახელის უკვდავსაყოფად.

127. გიხაროდეთ: მეგობრები არა მყავს.

128. თვით ყველაზე გავლენიან დიდკაცსაც კი სჭირდება ერთგული მეგობარი, რომელიც ქებას არ დაიშურებს მისთვის და საიმედოდ დაიცავს ყველგან და ყოველთვის, ასე გასინჯეთ, თვით მის ზურგს უკან. მაგრამ არჩევანში არ უნდა მოტყუვდეს, რადგან თუ ბრიყვს შეიძენს მეგობრად, ბევრს ვერაფერს მოიგებს: ბრიყვის ქება სათვალავში ჩასაგდები არ არის. თუმცა ბრიყვი არც დაიწყებს ქებას, თუ თანამზრახველი ვერ იპოვა, ვინაიდან მის აზრს მაინც არავინ უწევს ანგარიშს. სჯობია ბრიყვი გაგინებდეს, ვიდრე გაქებდეს.

129. Ferox gens, nullam esse vitam sine armis rati * ზოგი სიკვდილს ამჯობინებს მშვიდობას, ზოგს კი, პირიქით, სიკვდილი უჯობს ომს.

ხალხი მზადაა ყოველგვარ რწმენას ანაცვალოს სიცოცხლე, რომლის სიყვარული, ერთის შეხედვით, ასე ძლიერი და ასე ბუნებრივი ჩანს.

130. წინააღმდეგობა: სიძულვილი საკუთარი თავის მიმართ, ტყუილუბრალოდ თავის გაწირვა, ზიზღი საკუთარი თავის მიმართ.

131. ხელობა. — დიდება ისე მომხიბვლელია, რომ ხალხი ყველაფერს სწირავს მისი გულისთვის, თვით სიცოცხლესაც.

132. ყველაზე უფრო საქებია კეთილი საქმე, რომელიც დაფარული რჩება. მე ვხაროობ, როცა ისტორიის ჩხრეკისას ამნაირ საქმეს წავაწყდები ხოლმე. მაგრამ, როგორც ჩანს, ის ბოლომდე დაფარული არ დარჩა, რაკი ვიღაცამ მაინც მოიტანა ჩვენამდე. და თუმცა კეთილმოქმედმა ყველაფერი იღონა, რათა თავისი ნამოქმედარი დაემალა, ვერაგმა ბზარმა, საიდანაც მან — როგორც იდუმალი ცხრაკლიტულის ჭურჭუტანადან — გამოაღწია, ყველაფერი გააფუჭა. რადგან კეთილ საქმეში ყველაზე მშვენიერი — ესაა მისი დამალვის სურვილი.

---

* მძვინვარე მოდგმა, მისთვის სიცოცხლე უფასურია ომრად (ლათ.).

133. ცხვირს აცემინებს კაცი თუ ბუნებრივ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, — ამას მთელი მისი ძალა სჭირდება. მაგრამ რამდენადაც ორივე ეს მოქმედება თვითნებურია, ამდენად სულაც არა ბღალავს კაცის ღირსებას. და თუმცა ამას თავად სჩადის, თავისდა უნებურად სჩადის; არა ზემოაღნიშნულ მოქმედებათა გულისთვის, არამედ სულ სხვა მიზნით, ასე რომ არ შეიძლება მას სისუსტე ან რაიმე უღირსის მიმართ მონური მორჩილება დავწამოთ.

კაცისთვის სულაც არაა სამარცხვინო ვერ გაუძლოს მწუხარებას, მაგრამ სამარცხვინოა ვერ გაუძლოს განცხრომის სურვილს. მიზეზად ნუ მოვიდებთ იმას, რომ მწუხარება თავად გვეწვევა, განცხრომას კი, პირიქით, თვით ჩვენ დავეძებთ, რადგან შეიძლება მწუხარებაც თვითონ ვეძებოთ და მთელის არსებით მივეცეთ მას, ისე რომ ოდნავადაც არ დავამდაბლოთ თავი. მაგრამ საკითხავია, რატომ ინარჩუნებს ღირსებას მწუხარებას მინებებული სული და რატომ ისხამს თავზე ლაფს, როცა ნებდება განცხრომის სურვილს? იმიტომ, რომ მწუხარება არ გვაღორებს, არ გვაცთუნებს; ჩვენ თვითონ ვიხრით ქედს მის წინაშე, თვითონ ვაღიარებთ მის ძალმოსილებას და, ამრიგად, მდგომარეობის ბატონ-პატრონნი ვრჩებით; ასე რომ, თუ ვინმეს ვნებდებით, ისევ და ისევ ჩვენსავე თავს. განცხრომისას კი განცხრომის მონები ვხდებით. თვითფლობა, თავდაჭერილობა ყოველთვის განადიდებს ადამიანს, მონობა კი ამდაბლებს და ამცირებს.

134. ა მ ა ო ე ბ ა. — ამქვეყნიური არსებობის ამაოება ისე აშკარაა, მაგრამ, იმავდროულად, ისე ღრმად დაფარული კაცთათვის, რომ ისინი გაოგნებულნი რჩებიან, როცა ვეუბნებით, რომ უაზრობაა სახელისა და პატივის ძიებას შეალიო შენი დღე და წუთისოფელი. საკირველია, ღმერთმანი.

135. ვისაც სურს უფრო ღრმად შეიცნოს ადამიანის ამაოება, საკმარისია დაუკვირდეს სიყვარულის მიზეზს და შედეგს. მისი მიზეზია „ეშმაკმა უწყის რა“ (კორნელი), შედეგი კი საშინელია. და ეს „ეშმაკმა უწყის რა“, ეს ერთი ციცქნა უსახო რაღაც, რომელსაც სახელს ვერც კი დასდებ, ძირფესვიანად არყევს დედამიწას, სამტროდ აღძრავს მეფეებს და მათ მოლაშქრეებს, ნაცარტუტად აქცევს სამყაროს.

136. ა მ ა ო ე ბ ა. — სიყვარულის მიზეზი და შედეგი: კლეოპატრა.

კლეოპატრას ცხვირი: ცოტა მოკლე რომ ყოფილიყო, დედამიწას დღეს სულ სხვანაირი სახე ექნებოდა.

137. ფ ი ქ რ ე ბ ი. — In omnibus requiem quasivi*. თუ ჩვენ მართლაც კმაყოფილნი ვართ ამქვეყნიური არსებობით, რაღა გვაიძულებს გართობით მოვიკლათ ამაზე ფიქრი, რათა ოდნავი კმაყოფილება მაინც ვიგრძნოთ?

138. გ ა რ თ ო ბ ა. — სიკვდილი უფრო ადვილია, როცა სიკვდილზე არ ფიქრობ, ვიდრე სიკვდილზე ფიქრი, როცა სიკვდილი არ გემუქრება.

139. გ ა რ თ ო ბ ა. — ადამიანებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ სიკვდილი, უმეცრება, უბედურება, მაგრამ ისინი ცდილობენ არ იფიქრონ ყოველივე ამის შესახებ და ამ გზით მაინც ეზიარონ ბედნიერებას.

---

* ყველგან სიმშვიდეს ვეძებდი (ლათ.).

140. ... ათასგვარი უბედურების მიუხედავად, კაცს სურს ბედნიერი იყოს, დიახ, მას სურს ბედნიერი იყოს და არ შეუძლია არ სურდეს ეს. მაგრამ როგორ ეზიაროს ბედნიერებას? სიმართლე თუ გნებავთ, ერთადერთი გზით: უკვდავი უნდა გახდეს. მაგრამ რაკი ეს შეუძლებელია, ის ცდილობს საერთოდ არ იფიქროს ამაზე.

141. **გ ა რ თ ო ბ ა.** — კაცი რომ მართლაც ბედნიერი იყოს, მით უფრო ბედნიერი იქნებოდა, რაც უფრო ნაკლებ დასჭირდებოდა გართობა, როგორც წმიდანებს ან ღმერთს. — კეთილი და პატიოსანი, მაგრამ განა ბედნიერება არ არის გართობით მონიჭებული სიხარული? — არა, რადგან ის გარეშეა, გარეგნული, ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოებებით განპირობებული, და, ამდენად, ყოველ წამს შეიძლება აიმღვრეს ათასგვარი შემთხვევითობით.

142. **უ ბ ე დ უ რ ე ბ ა.** გართობა ჩვენი ერთადერთი ნუგეშია უბედობაში და, იმავდროულად, უდიდესი უბედურება: ჩვენსავე თავზე ფიქრის ნებას რომ არა გვრთავს, ის შეუმჩნევლად მიგვიძღვის აღსასრულისკენ. გართობა რომ არა, ისეთი აუტანელი სევდა დაგვეუფლებოდა, რომ უთუოდ დავიწყებდით გამოსავლის ძიებას, მხოლოდ უფრო უკეთესი გამოსავლისას. გართობა კი თავს გვავიწყებინებს და ჩვენ უგრძნობლად ვუახლოვდებით სიკვდილს.

143. ჩვენ არასოდეს არა ვცხოვრობთ აწმყოთი, წინასწარ მოვუხმობთ და ვაჩქარებთ მომავალს, თითქოს მოსვლას აჭიანურებს, ან ვცდილობთ უკან გამოვიხმოთ წარსული: გეგონებათ ნაადრევად დაგვემშვიდობა. ჩვენ იმდენად უგუნურნი ვართ, რომ გზააბნეულებივით დავბორიალობთ დროში, რომელიც ჯერ არ გვეკუთვნის და არაფრად ვაგდებთ ჩვენს კუთვნილ დროს; ჩვენ იმდენად უბადრუკნი ვართ, რომ მონუსხულებივით ვოცნებობთ დროზე, რომელიც უკვე აღარ გვეკუთვნის, მაშინ როდესაც, სრულიად უაზროდ ვფლანგავთ დროს, რომელიც გვიწილადა მარადისობამ. საქმე ისაა, რომ აწმყო ყოველთვის დამთრგუნველია: გვამწუხარებს და — თვალს ვხუჭავთ, რომ არ დავინახოთ; გვახარებს და — მის მსწრაფლწარმავლობას მივსტირით. ჩვენ ვცდილობთ მომავლის მეშვეობით გავახანგრძლივოთ იგი, ვცდილობთ თვითნებურად გამოვიყენოთ ის, რაც ჩვენს ძალაუფლებას არ ექვემდებარება, თუმცა ვინ იცის, იქნებ ვერც მივაღწიოთ ამ მომავალს.

გადაქექეთ თქვენი ფიქრები და მათში ჰპოვებთ მხოლოდ წარსულს ანდა მომავალს. ჩვენ თითქმის არ ვფიქრობთ აწმყოზე, ანდა, თუ ვფიქრობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გათვალისწინებით უკეთ მოვაწყოთ და მოვაწესრიგოთ მომავალი. ჩვენ არასოდეს არ ვიფარგლებით დღევანდელ დღეზე ფიქრით: აწმყო და წარსული მხოლოდ საშუალებაა; მომავალი — აი, ჩვენი ერთადერთი მიზანი. ასე რომ, ჩვენ თითქმის არასოდეს არ ვცხოვრობთ, მხოლოდ ვსულდგმულობთ, იმის იმედით, რომ ოდესმე მაინც ვიცხოვრებთ. ჩვენ გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ერთხელაც იქნება და ჩვენთვისაც მოიცლის ბედნიერება; ვცდებით: არასოდეს არ მოიცლის.

144. ისინი ამტკიცებენ, მზისა და მთვარის დაბნელება უბედურებას მოასწავებსო. მაგრამ უბედურება იმდენია, უბედურება ისე ხშირია, რომ წინასწარმეტყველნი თითქმის ყოველთვის მართალს ამბობენ. ხოლო ამის ნაცვლად რომ ვთქვათ, დაბნელება ბედნიერების მაუწყებელიაო, თითქმის ყოველთვის

მოტყუვდებოდნენ. მაგრამ ბედნიერებას ისინი მხოლოდ მნათობთა უიშვიათეს განლაგებას უკავშირებენ და, ამრიგად, თითქმის არასოდეს არა სცდებიან.

145. უ ბ ე დ უ რ ე ბ ა. — ჩვენი ხვედრის სიმწარე ყველაზე უკეთ გამოხატეს სიტყვით სოლომონმა და იობმა — უბედნიერესმა და უუბედურესმა კაცთა შორის. ერთმა პირადი ცდით შეიცნო განცხრომათა ამაოება, მეორემ — უბედურების სიმწარე.

146. ადამიანები ისე ცუდად იცნობენ თავიანთ თავს, რომ ზოგჯერ საღ-სალამათნიც სიკვდილს ელიან, ანდა, პირიქით, საღ-სალამათად თვლიან თავს, როცა სიკვდილი კარზე უკაკუნებთ უკვე; ვერც ციებ-ცხელების მოახლოებას გრძნობენ და ვერც ბმოს გამობმას.

147. კრომველი იმუქრებოდა, მიწის პირისაგან წარვხოცავო ქრისტიანობას; ერთიანად ამოწყვეტდა მეფის ოჯახს და თავის საგვარეულოს განადიდებდა, მაგრამ, დახეთ ბედის დაცინვას: ქვიშის მარცვალი აღმოაჩნდა საშარდე ბუშტში. არც რომს დაადგებოდა კაი დღე, მაგრამ დაილოცოს ქვიშის მარცვალი: კრომველი მოკვდა, მისი საგვარეულო გადაგვარდა, მშვიდობამ დაისადგურა და მეფე კვლავ დაბრძანდა ტახტზე.

148. (სამი მასპინძლის სტუმარი). რას წარმოიდგენდა ინგლისის მეფის, პოლონეთის მეფისა და შვეციის დედოფლის მეგობარი, რომ ერთ მშვენიერ დღეს უთავშესაფროდ დარჩებოდა?

149. მაკრობიოსი: ირიოდის მიერ გაწყვეტილი უმანკო ყრმები.

150. როცა ავგუსტუსმა შეიტყო, რომ ორ წელზე უმრწემეს ყრმათა შორის, რომლებიც ირიოდიმ მოაკვლევინა, მისი პატარა ძეც ერია, — თქვა: ირიოდის შვილზე უფრო ბედნიერი ირიოდის გოჭი ყოფილაო (მაკრობიოსი, სატ. წიგნი II, თ. IV).

151. ძლიერნიც და სუსტნიც ამა სოფლისანი ერთნაირად უბედურნი არიან, ერთნაირად საცოდავნი, ერთნაირად ვნებულნი. მაგრამ ერთნი ბედისწერამ მბრუნავი ბორბლის ფერსოზე მოათავსა, მეორენი კი — მორგვზე, და ამიტომ უფრო ნაკლებ არყევთ ბედის ტრიალი.

152. ჩვენ იმდენად საბრალონი ვართ, რომ თვითეული ჩვენი წარმატების სიხარულს ყოველთვის თან ახლავს ხელის მოცარვის სიმწარე. ასეთია ჩვენი ყოველდღიური ხვედრი. ვისაც ძალი შესწევს დატკბეს წარმატებით, ისე რომ არ დაიტანჯოს წარუმატებლობით, მას საყრდენი წერტილის მიკვლევის ძალიც შესწევს; ეს მარადიული მოძრაობაა.

153. როცა კაცს, რომელიც მოსაწყენ საქმეს ჰკიდებს ხელს, ეჭვიც არ ეპარება, რომ წარმატებით დააგვირგვინებს მას და წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას, მაგრამ, ამასთან, სულაც არ ადარდებს დროებითი წარუმატებლობა, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ მას, თუ სიმართლე გნებავთ, ფეხებზე ჰკიდია ამ საქმის გამარჯვებაც და დამარცხებაც; ის ხაზგასმით აზვიადებს წარმატების ყველა საწინდარს, რათა თავისი დაინტერესებულობა და-

გვიდასტუროს და მოჩვენებითი სიხარულით მიჩქმალოს შინაგანი ხელჩაქნეულობა, გამოწვეული იმის შეგნებით, რომ საქმე, ფაქტიურად, წაგებულია.

154. ჩვენ შლეგური უდარდელობით მივქრივართ უფსკრულისაკენ, ჩვენივე ხელით თვალახვეულნი, რათა არ დავინახოთ, საით მივქრივართ.

155. უფალი რწმენისაკენ მიაქცევს გონებას — შეგონებით, ხოლო გულს — მადლით, რამეთუ მისი იარაღი — თვინიერებაა. მაგრამ როცა გულისა და გონების მოქცევას ძალითა და მუქარით ცდილობენ, რწმენას კი არა, შიშსა და ძრწოლას უნერგავენ მათ. Terrorem potius quam religionem*.

156. ... დაე, თავდაპირველად შეიცნონ, რა არის რელიგია, ვიდრე მის წინააღმდეგ საბრძოლველად აღიძვროდნენ. რელიგია რომ იკვეხნიდეს, თვალნათლივ ვხედავ და იდუმალების ყოველგვარი საბურვლისაგან განძარცული სახით ვჭვრეტ ღმერთსო, მაშინ მის მოწინააღმდეგეებს შეეძლოთ ემტკიცებინათ, რომ სამყაროში ვერაფერს ხედავენ ისეთს, რაც ასე ცხადად გვიმჟღავნებდეს ღვთის არსებობას. მაგრამ რელიგია, პირიქით, ამტკიცებს, რომ ღმერთს დაშორებული კაცნი წყვდიადში ბრმად მოარულებივით დაბორიალობენ და რომ ღმერთი მიუწვდომელია მათი გონებისათვის; საღმრთო წერილში ასეც იწოდება იგი: Deus absconditus**. ეგეც არ იყოს, რელიგია ცდილობს თანაბრად დააფუძნოს ორი საწყისი: ჯერ ერთი, ის, რომ ღმერთმა უცთომელი ნიში აღმართა ეკლესიაში, რათა, ამრიგად, საცნაურ იქმნეს მათთვის, ვინც წრფელი გულით დაეძებს მას; და, მეორეც, ის, რომ მან მაინც იმნაირად დამალა ეს ნიში, რომ საცნაურ იქმნეს მხოლოდ მათთვის, ვინც მთელის არსებით, სულით და გულით მიიქცევა მისდა საძებნად. მაშ, რა აზრი აქვს ყვირილს იმის გამო, რომ სამყაროში არაფერი არ გვიმჟღავნებს ღმერთს, მაშინ როდესაც თვითონ, მათივე აღიარებით, არას დაგიდევენ ჭეშმარიტებას. თვით უმეცარნი, ეკლესიას ბრალად რომ სდებენ უმეცრებას, მხოლოდ ამტკიცებენ ზემოთ მოტანილ მეორე საწყისს და გვერდს უვლიან პირველს. ამრიგად, შემუსვრის ნაცვლად, ისინი თავად ამკვიდრებენ ეკლესიის მოძღვრებას.

რელიგიის მტრებს უნდა ეყვირათ, რომ ძალ-ღონის დაუზოგავად დაეძებდნენ ჭეშმარიტებას, დაეძებდნენ ყველგან და ყველაფერში, იმაშიც კი, რასაც გვთავაზობს რელიგია, რათა მის ნათელს ზიარებოდნენ, მაგრამ ამაო აღმოჩნდა მათი მცდელობა. ამნაირად რომ ემსჯელათ, ვინ იცის, იქნებ კიდევაც შეეკვეცათ ფრთა რელიგიის ერთი მისწრაფებისთვის. მაგრამ მე იმედი მაქვს გიჩვენოთ, ვერცერთი მათგანი ვერ იტყოდა რაიმე ამგვარს. მეტიც, იმის თქმასაც კი ვბედავ, რომ არავის არასოდეს უცდია ეს. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ იქცევიან ისინი, ვინც ამნაირად აზროვნებენ. მათ ჰგონიათ, რომ თავდაუზოგავად დაეძებდნენ ჭეშმარიტებას, რაკი რამდენიმე საათი შესწირეს საღმრთო წერილის ამა თუ იმ წიგნის წაკითხვას და რამდენიმე კითხვით მიმართეს ამა თუ იმ სასულიერო პირს ჭეშმარიტი რწმენის თაობაზე. ამის შემდეგ ისინი კვეხნით აცხადებენ, რომ ამაოდ ეძებდნენ თავიანთი კითხვის პასუხს წიგნებში და ასევე ამაოდ ეკითხებოდნენ ადამიანებს. მაგრამ, ღმერთმანი, არ შემიძლია არ ვუთხრა მათ ის, რაც არაერთხელ მითქვამს. არ

* უმალ შიშს, ვინემ სარწმუნოებას (ლათ.).

** ღმერთი დაფარული (ლათ.).

ვუთხრა მათ, რომ ამნაირი დაუდევრობა მიუტევებელია. საქმე ეხება არა რომელიმე გარეშე პირის ამა თუ იმ ვიწრო ინტერესს, რომ ყოველივე ეს მოითმინო. საქმე აქ თვით ჩვენ გვეხება, მთელს ჩვენს სიკეთეს.

სულის უკვდავების საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ისე ძლიერ გვაღელვებს ჩვენ, რომ უნდა დაგვეხშოს ყოველგვარი გრძნობა, რათა სრულიად გულგრილნი დავრჩეთ მის მიმართ. იმისდა მიხედვით, არსებობს თუ არა საუკუნო სიკეთის იმედი, ყველა ჩვენი მოქმედება, ყველა ჩვენი აზრი იმდენ სხვადასხვა გეზსა და მიმართულებას უნდა იღებდეს, რომ შეუძლებელია თუნდაც ერთი გონივრული ნაბიჯის გადადგმა იმ წერტილის გაუთვალისწინებლად, რომელსაც ჩვენი არსებობის ზღვრად უნდა ვსახავდეთ.

ამრიგად, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა გავიცხადოთ ეს საგანი, რაც მთლიანად განაპირობებს ჩვენს მოქმედებას და ქცევას. აი, რატომაა, რომ მათ შორის, ვისაც სულის უკვდავება არა სწამს, მე მკვეთრად ვასხვავებ ერთმანეთისგან იმათ, ვინც თავდაუზოგავად ცდილობს ჩასწვდეს ამ დიადი საკითხის არსს და იმათ, ვინც თავს არ იწუხებს ამაზე ფიქრით.

ჩემში მხოლოდ თანალმობას იწვევს ის, ვინც მწარედ გმინავს, ამ ეჭვით გულგასენილი, ვინც უდიდეს უბედურებად აღიქვამს მას, ვინც ძალღონის დაუზოგავად ცდილობს თავი დაიხსნას ეჭვისაგან და ამ მცდელობას თავისი სიცოცხლის უმთავრეს და უარსებითეს მიზნად სახავს.

მაგრამ მე სულ სხვა თვალით ვუყურებ მას, ვინც თავის დღეს და წუთისოფელს ისე ატარებს, რომ ერთხელაც არ დაუფიქრდება სიცოცხლის საბოლოო მიზანს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის თავში ვერ პოულობს საკმარის ნათელს, რომელიც შეძლებს მის დარწმუნებას, და არც სხვაგან დაეძებს მას, რათა გულდასმით გამოიკვლიოს საკითხის არსი და, ამრიგად, დარწმუნდეს, საკითხთა რომელ რიგს ეკუთვნის იგი: იმათ, რომელთაც დაუფიქრებლად იღებს მალემრწმენი ბრბო თუ იმათ, რომელნიც, თავიანთი ბუნდოვანების მიუხედავად, მტკიცე და ურყევ საფუძველს ემყარებიან.

ეს აშკარა დაუდევრობა იქ, სადაც საქმე თვით მათ ეხება, მათ მარადიულობას, მთელს მათ სიკეთეს, თანალმობას კი არა, მხოლოდ ჩემს რისხვას იწვევს. ეს მე მაცვიფრებს და მაძრწუნებს; ეს თავზარს მცემს მე. მერწმუნეთ, ამას ღვთისმოსავის გზნება ან სპირიტუალური აღტკინება როდი მალაპარაკებს. პირიქით, მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ სულის ხსნისათვის ზრუნვა თვით ადამიანურობისა და ადამიანის თავმოყვარეობისაგან უნდა იღებდეს დასაბამს: საკმარისია ვხედავდეთ იმას, რასაც ხედავენ თვით ყველაზე ნაკლებ განსწავლულნი და განათლებულნი.

საჭირო არ არის სულის უჩვეულო სიმაღლე, რათა შეიგნო, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს ჭეშმარიტი და მყარი ბედნიერება, რომ ყველა ჩვენი სიამოვნება ამაოა, რომ უსასრულოა ჩვენი უბედურება და რომ, ბოლოს, სიკვდილი, რომელიც წამითი-წამად ემუქრება ჩვენს არსებობას, მოკლე ხანში დაგვაყენებს საზარელი გარდუვალობის წინაშე: ან სამუდამო გაქრობა და განქარება, ან მარადიული უბედურება.

არა არის რა ამაზე უფრო ჭეშმარიტი, არც ამაზე მეტად საზარელი. რაგინდ მამაცურადაც უნდა გვეჭიროს თავი, ეს — დასასრულია, რომელიც ელის ამ ქვეყნად ყველაზე მშვენიერ სიცოცხლეს. საკმარისია დავუფიქრდეთ ამას,

და ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ამქვეყნიური არსებობის სიკეთეს მხოლოდ მომავალი არსებობის იმედი განაპირობებს, რომ ადამიანები ბედნიერნი არიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ იმედით სულდგმულობენ, და რომ თუ უბედურება უცხოა მისთვის, ვისაც ეჭვი არ ეპარება მარადიულ არსებობაში, ბედნიერება ასევე მიუწვდომელია მისთვის, ვის სულსაც არ ანათებს რწმენის ნათელი.

რა თქმა უნდა, ამგვარი ეჭვი დიდი უბედურებაა, მაგრამ სწორედ ეს უბედურება გვავალდებულებს ყოველნაირად ვცდილობდეთ ამ ორჭოფობისაგან თავის დაღწევას. აი, ჩვენი უპირველესი საზრუნავი .ამრიგად, ის, ვინც ეჭვობს, მაგრამ გამოსავალს არ დაეძებს, დიდად უბედურია და, იმავდროულად, დიდად უსამართლოც. ხოლო თუ, ამასთან, ის მშვიდია და აუძღვრეველი, თუ თავს იწონებს და იკვეხნის ამით, თუ ამ ეჭვს თავისი უბადრუკი სიხარულის წყაროდ სახავს, მე სიტყვები არ მეყოფა მისი სიშლეგის შესაფასებლად.

სადაა ამ გრძნობის სათავე? რა სიხარულს ჰგვრის ადამიანს უიმედო არარაობის ლოდინი? რას იკვეხნის, განუჭვრეტელი უკუნით გარემოცული? ან რად აღიძვრის გონიერ არსებაში ამგვარი აზრი?

„მე არ ვიცი, ვინ წარმომგზავნა ამ ქვეყნად, არ ვიცი, რაა სამყარო, არ ვიცი, ვინა ვარ მე. ო, საშინელი და სრული უმეცრება ჩემი. მე არ ვიცი, რა არის ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს იმას, რასაც მე ვამბობ; რომელიც ცდილობს აზრით მისწვდეს და შეიცნოს ყველაფერი, შეიცნოს თავისი თავიც, მაგრამ უკეთ როდი იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე სხვა დანარჩენს. მე ვხედავ სამყაროს საშინელ სივრცეს, რომელშიაც ვარ ჩაკეტილი; მე ვგრძნობ, რომ მიჯაჭვული ვარ ამ უვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ კუნჭულს, მაგრამ არ ვიცი, რად მხვდა წილად სწორედ ეს კუთხე და არა რომელიმე სხვა ადგილი, ან რად მებოძა სასიცოცხლოდ ერთი მსწრაფლწარმავალი წამი მარადისობის სწორედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში, მარადისობისა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდევს ჩემს დასასრულს.

მე ვერაფერს ვხედავ ჩემს ირგვლივ, უსასრულობის გარდა, რომელშიაც ატომივით ვარ ჩაკარგული. ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილია, რომელიც წამით ევლინება უსასრულობას, რათა ამ წამის წარხდომისთანავე უკვალოდ გაქრეს.

მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე მოვკვდები, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ვიცნობ სწორედ ამ სიკვდილს, რომელსაც ვერ გავექცევი, ვერ ავიცილებ.

არ ვიცი, საიდან მოვედი; არ ვიცი, სად უნდა წავიდე. ვიცი მხოლოდ, რომ გარდასვლის შემდეგ ან არარაობად ვიქცევი, ან უფლის რისხვის საბრალო მსხვერპლად, მაგრამ არ ვიცი, ამ ორი შესაძლო ხვედრიდან რომელი მელის, რომელს მარგუნებს ბედისწერა. აი, ჩემი მდგომარეობა: უბედრუკობა, უმწეობა და უკუნეთი. აქედან მე შემიძლია დავასკვნა, რომ სიცოცხლის დარჩენილი დღენი უშფოთველად უნდა გავლიო და თავი არ ავიტკიო იმაზე ფიქრით, თუ რა მელის სიკვდილის შემდეგ. ვინ იცის, თუ მოვინდომებდი, იქნებ ცოტათი მაინც გამეფანტა ეჭვის ბურუსი, მაგრამ რად შევიწუხო თავი, ან გამოუვალი მდგომარეობიდან რად ვეძიო გამოსავალი? ჩემში მხოლოდ ზიზღს იწვევს ის, ვინც ამაოდ იტკიებს აუტკივარ თავს. არა, მე მსურს შლეგივით უშიშრად და უდარდელად შევხვდე აღსასრულს, უდრტვინველად შევეგებო

კარს მომდგარ სიკვდილს. დაე, ნუ მეცოდინება ჩემი მომავალი ხვედრი, რომელსაც მიმზადებს მარადისობა".

ვინ ისურვებდა მეგობრად ჰყოლოდა კაცი, რომელიც ასე მსჯელობს? ვინ ამოარჩევდა ამნაირ კაცს მოყვასთა შორის, რათა თავისი საიდუმლო გაენდო მისთვის? ვინ მოუხმობდა მას თავისი გაჭირვების მწედ და მეოხად? და ბოლოს რისი მაქნისი იქნებოდა ის ცხოვრებაში?

თუმცა რელიგიისთვის სასახელოა ასე რიგად უგუნური მტრების ყოლა, მათი წინააღმდეგობა იმდენად უბადრუკია, რომ, პირიქით, მის მთავარ ჭეშმარიტებათა დამკვიდრებას ემსახურება. რადგან ქრისტიანული სარწმუნოება უპირატესად ორი საწყისის დაფუძნებას ისახავს მიზნად: ადამიანის ბუნების დაცემას და მაცხოვრის მიერ ცოდვის გამოხსნას. და თუ ისინი საშუალებას არ გვაძლევენ დავამტკიცოთ, სიწმინდის წყალობით ცოდვის გამოხსნისა და გამოსყიდვის ჭეშმარიტება, სამაგიეროდ, თავიანთი გადაგვარებული გრძნობებით საოცრად გვიადგვილებენ დავამტკიცოთ ადამიანის ბუნების დაცემა.

არაფერი ისე არსებითი არ არის ადამიანისათვის, როგორც მისი მდგომარეობა; არაფერი ისე არ აძრწუნებს მას, როგორც მარადისობა. და თუ ამქვეყნად მოიძებნება არყოფნისა და საუკუნო ტანჯვის საშინელებისადმი გულგრილი კაცი, ეს სრულიად არაბუნებრივი რამ გახლავთ. ის სულ სხვანაირად იქცევა ყველა სხვა საგნისა თუ მოვლენის მიმართ: ყოველგვარი წვრილმანის გამო ძრწის, წინასწარ ხედავს, წინასწარ განიცდის მათ. იგივე კაცი, რომელიც დღედაღამ დრტვინავს და მძვინვარებს ამა თუ იმ თანამდებობის დაკარგვის, წარმოსახვისმიერი შეურაცხყოფისა და ღირსების შებღალვის გამო, დიახ, იგივე კაცი, რომელმაც იცის, რომ ყველაფერს დაკარგავს სიკვდილისთანავე, სრულიად გულგრილად და უშფოთველად ელის აღსასრულს. მონსტრუოზული მოვლენაა — ერთდროულად ხედავდე ერთსა და იმავე გულში ამ გრძნობელობას უბადრუკი წვრილმანებისადმი და ამ უცნაურ უგრძნობლობას ყველაზე უფრო დიადის მიმართ.

ეს გონებამიუწვდომელი ჯადოა, ზებუნებრივი მცონარება, რომელიც მოწმობს მისი გამომწვევი ძალისა და მიზეზის ყოვლისმძლეობას.

მხოლოდ ადამიანური ბუნების უცნაური გადაგვარებით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ კაცს თავი მოაქვს იმ მდგომარეობით, რომელიც წარმოუდგენელი გვეჩვენება ვისთვისაც გნებავთ. და მაინც პირადად მე ვიცნობ იმდენ ამნაირ კაცს, რომ წარმოუდგენელი იქნებოდა არ გვეწამა ერთი მარტივი ჭეშმარიტება: მათი უმრავლესობა მხოლოდ ცდილობს თავი მოგვაჩვენოს — ასეთი და ასეთი ვარო, სინამდვილეში კი სულ სხვანაირია. ეს ის ხალხი გახლავთ, რომელსაც გაუგონია, რომ კეთილზნეობა ამ მდგომარეობით თავის მოწონებას ნიშნავს. მაგრამ ძნელი როდია დაარწმუნო ისინი, რარიგ იტყუებენ თავს, როცა ცდილობენ ამ გზით მოიხვეჭონ სახელი და დიდება. რადგან ასეთი ქცევით მათ თვალშიც ვერ მოიხვეჭ პატივს, ვინც საღი აზრით აფასებს ყველაფერს და ვინც ამ მხრივ მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად და საშუალებად ადამიანის პატიოსნებას, ერთგულებას, კეთილგონიერებას და მოყვასის მიმართ უანგარო სამსახურს სახავს, ვინაიდან ადამიანებს, ბუნებრივია, მხოლოდ ის მოსწონთ, მხოლოდ ის უყვართ, რაც მათთვის სასარგებლოა. მაგრამ რას გვარგებს მოვისმინოთ იმ კაცის აზრი, რომელიც გვეტყვის, რომ კისრიდან გა-

დაიგდო მძიმე უღელი, რომ აღარ სწამს, თითქოს ღმერთი წარმართავს მის ქცევას, რომ თავის ბატონ-პატრონად მხოლოდ თავის თავს სახავს და მხოლოდ თავის თავსვე უწევს ანგარიშს? იქნებ ჰგონია, რომ ამით გვაიძულებს მივენდოთ მას, ან გასაჭირში ნუგეში, რჩევა თუ შემწეობა ვთხოვოთ? იქნებ ჰგონია, რომ დიდად გვაამა, რაკიღა გვითხრა, და თან რა ამაყად, რა თავმომწონედ გვითხრა, რომ ჩვენი სული მხოლოდ სუსტი სიოა, მხოლოდ სუსტი ნიავია და ნისლის ნაფლეთი? განა ამის თქმით ხაროობენ და თავს იწონებენ" თუ, პირიქით, მწუხარედ უნდა გვაუწყონ ეს, როგორც გვაუწყებენ ამქვეყნად ყველაზე სამწუხარო ამბავს?

მათ რომ მეტი გულისხმიერება გამოეჩინათ, უთუოდ დაინახავდნენ, რა ცუდად ესმით ყოველივე ეს, რარიგ ეწინააღმდეგებიან საღ აზრს, როგორ უპირისპირდებიან პატიოსნებას და რამდენად შორდებიან სულის სიმშვიდეს, რომელსაც ასე ხარბად მიელტვიან. მაშინ ისინი უმალ ჭეშმარიტ გზას ასწავლიდნენ, ვიდრე ამ გზას ააცდენდნენ თავიანთ მიმდევრებს. და მართლაც, მოსთხოვეთ მათ გაგვიმჟღავნონ თავიანთი გრძნობები, გვითხრან, რატომ აეჭვებთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, და პასუხად მიიღებთ იმდენ სიმდაბლეს და სიბრიყვეს, რომ უთუოდ ირწმუნებთ იმას, რასაც ასე უტიფრად უპირისპირდებიან. რა მადლი იქნებოდა, ვინმეს რომ ეთქვა მათთვის: „თუ კვლავ განაგრძობთ ამ მიეთ-მოეთს, ჭეშმარიტად მომაქცევთ მე". და ის მართალი იქნებოდა. ვის არ შეზარავს ამ ბილწთა თანამდგომობა და თანამზრახველობა?

ამრიგად, ყველა, ვინც აყალბებს თავის გრძნობებს, საკუთარ თავს იუბედურებს, ძალადობით რომ იმრუდებს თავის ბუნებას, რათა კაცთა შორის ყველაზე თავხედად მოგვაჩვენოს თავი. თუ იმის გამო დრტვინავენ, რომ მათ სულში მხოლოდ ბჟუტავს რწმენის ნათელი, დე, ნუ მალავენ ამას: რადგან ამის აღიარება სულაც არ არის სამარცხვინო. სირცხვილი ნათლის დაშრეტაა მხოლოდ და მხოლოდ. არაფერი ისე ცხადად არ გვიმჟღავნებს სულის სისუსტეს, ვიდრე იმის არცოდნა, თუ რა საშინელებაა ადამიანის ყოფნა უღმერთოდ. არაფერი ისე აშკარად არ გვიმოწმებს გულის ბიწიერებას, ვიდრე იმის არნდომა, რომ ჭეშმარიტად იყოს აღთქმული ნეტარების მარადისობა. არაფერი არ გვევლინება სიმხდალის უფრო უტყუარ ნიშნად, ვიდრე ღმერთის წინაშე ყოყოჩობა და ყოყლოჩინობა. ამიტომ, დაე, მას მიანდონ და მიანებონ ეს მკრეხელობა, ვინც ბუნებით იმდენად უკეთურია, რომ მართლაც ხელეწიფება უფლის გმობა. დაე, პატიოსან ხალხად მაინც დარჩენ, უკეთუ ქრისტიანებად ყოფნა არ შეუძლიათ. დაე, ბოლოს და ბოლოს შეიგნონ, რომ კეთილგონიერი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ორი ჯურის კაცს: ან იმას, ვინც მთელი გულით თაყვანს სცემს უფალს, ვინაიდან შეიცნო იგი, ან კიდევ იმას, ვინც მთელი არსებით დაეძებს ღმერთს, ვინაიდან ჯერ კიდევ ვერ შესძლო მისი შეცნობა.

რაც შეეხება იმ კაცს, ვინც არ იცნობს და არ ეძებს ღმერთს, მას თვითონვე ისე ულირსად მიაჩნია თავისი თავი, რომ სხვისი ზრუნვის ღირსი არ არის. უნდა თავდავიწყებით გიყვარდეს სარწმუნოება, რომელიც მას ასე რიგად სძულს, რათა, თავის მხრივ არ შეიძულო იგი და საკუთარი სიშლეგის ანაბარა არ მიატოვო. მაგრამ რაკი სარწმუნოება გვავალდებულებს, სანამ ამ კაცს პირში სული უდგას, ვუყუროთ მას, როგორც მადლის ნიმღებს, მადლისა,

რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს მის სულს, და გვწამდეს, რომ მას ხელეწიფება მოკლე ხანში ჩვენზე მეტად აღივსოს რწმენით, ხოლო ჩვენ, პირიქით, მასზე მეტად დაგვევსოს და დაგვეშრიტოს გონების თვალი, ამიტომ გვმართებს ისევე ვიზრუნოთ მასზე, როგორც თავად მოვითხოვდით ეზრუნა ჩვენზე, მის ადგილას რომ ვყოფილიყავით; მოვუწოდოთ მას, შეიბრალოს თავისი თავი და ორიოდე ნაბიჯი მაინც გადადგას ნათლის საძებნად. დაე, ორიოდე საათი მაინც შესწიროს ამ წიგნის კითხვას, ის ორიოდე საათი, რასაც ასე ფუჭად ალევს სხვა საქმეს; რაგინდ მძაფრ ზიზღსაც უნდა ჰგვრიდეს, ვინ იცის, იქნებ მაინც ჰპოვოს რამე სასარგებლო, თუ არა და რას კარგავს ამით? მაგრამ ვინც მასში მთელს თავის გულწრფელობას და ჭეშმარიტებასთან ზიარების დაუოკებელ სურვილს ჩააქსოვს, იმედი მაქვს, უეჭველად ეწევა საწადელს და იწამებს ამ ღვთაებრივი სარწმუნოების დამამტკიცებელი საბუთების ჭეშმარიტებას, საბუთებისა, რომლებსაც ერთად მოვუყარე თავი და თვალწინ დავუხვავე.

157. ამ ხალხს გული არა აქვს. ნუ დაიმეგობრებთ მათ.

158. კაცის გრძნობელობა ყოველგვარი წვრილმანისადმი და მისი სრული უგრძნობლობა ყოველივე დიადის მიმართ — სულის უცნაური გახრწნილების ნიშანია.

159. წარმოიდგინეთ ბორკილდადებულ ბრალდებულთა ურიცხვი სიმრავლე, ყველას სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი; ვიღაცას ყოველდღე კლავენ დანარჩენთა თვალწინ; ამ დანარჩენებმაც იციან, რომ იგივე ბედი ელით, სხედან იმედაგადაწყვეტილნი და მწუხარედ მისჩერებიან ერთმანეთს შიშჩამდგარი თვალებით; სხედან და ელიან თავიანთ რიგს. აი, ჩვენი არსებობის ზუსტი ასლი და ხატი.

160. წარმოიდგინეთ საკანში მჯდარი ბრალდებული, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, მაგრამ ერთ საათში უსათუოდ შეიტყობს, გადაწყვეტილია თუ არა იმისი საქმე. დავუშვათ, რომ ეს ერთი საათი საკმარისია ბრალდებისათვის ამ გადაწყვეტილების გამაუქმებელი საბუთების წარსადგენად (თუ გადაწყვეტილება უკვე გამოტანილია). ახლა თავად განსაჯეთ, რამდენად გონივრული იქნება მისი ქცევა, თუ ამ ერთ საათს გადაწყვეტილების გასაგებად კი არა, პიკეტის სათამაშოდ გამოიყენებს. ასეთივე უგუნურებაა სხვა რამეს შეალიო შენი სიცოცხლე და არა მომავალი ცხოვრებისათვის სამზადისს. ეს იქნებოდა ჭეშმარიტი ღვთის რისხვა.

ამრიგად, უფლის არსებობას თანაბრად ამტკიცებს როგორც მისი მაძიებლების გულმოდგინება, ისე იმათი სიბრმავე, ვინც მას არ ეძებს.

161. ყველა საპირისპირო აზრი ერთიმეორეს აბათილებს და არა სარწმუნოებას. ყველაფერი, რასაც ამბობენ ურწმუნონი...

162. Fascinatio nugacitatis*. — ვნებების მსხვერპლნი რომ არ გავხდეთ, ისე უნდა მოვიქცეთ, თითქოს ერთი კვირის სიცოცხლეღა გვედოს წინ.

---

* უბადრუკი წვრილმანებით თვალის დავსება (ლათ.).

163. როცა მე ვუფიქრდები მარადისობის წიაღში დანთქმულ ჩემი სიცოცხლის მსწრაფლწარმავლობას, მარადისობისა, რომელიც არსებობდა ჩემამდეც და იარსებებს ჩემს შემდეგაც; როცა მე ვუფიქრდები როგორც იმ სივრცის უბადრუკობას, რომელიც მიჭირავს სამყაროში, ისე იმისას, რომლითაც ჩემი თვალსაწიერი შემოიფარგლება, — ორ თითქმის ტოლფარდ უბადრუკობას, თანაბრად დანთქმულს და დაკარგულს სამყაროს სივრცეთა გონებამიუწვდომელ უსასრულობაში, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცი და რომლებმაც თავის მხრივ არაფერი იციან ჩემზე, — შეძრწუნებული ასე ვეკითხები ჩემსავე თავს: რატომ ვარ აქ და არა იქ? რადგან არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისა, რომ მაინცდამაინც აქა ვარ და არა იქ; არც იმისა, რომ სწორედ ახლა ვარ და არა სხვა დროს, გინდ წარსულში, გინდ მომავალში. ვინა ქნა ეს? ვისმა ბრძანებამ ან განგებამ დამისაზღვრა სწორედ ეს დრო და ეს ადგილი?

164. მე მაძრწუნებს ამ უსასრულო სივრცეთა მარადიული დუმილი.

165. რამდენ სამეფოში საერთოდ არ სმენიათ ჩვენი სახელი.

166. რატომაა ჩემი ცოდნა ასე შეზღუდული? ჩემი ტანი ასვ დალეული? ჩემი ამქვეყნიური არსებობის ყავლი მხოლოდ ასი და არა ათასი წლით შემოსაზღვრული? რატომ შეჩერდა ბუნება მხოლოდ ასზე და არა რომელიმე სხვა რიცხვზე, თუმცა მათი რაოდენობა უსასრულოა და ვითომ რა აუცილებელი იყო სწორედ ეს აერჩია და არა ის, ან რა რჯიდა ერთისთვის მიენიჭებინა უპირატესობა მეორის წინაშე?

167. განა შენ მონა ალარა ხარ მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონი გაქებს და გეფერება? შენ მას სჭირდები, მონავ. ბატონი დღეს გაქებს, ხვალ კი მიგბეგვავს.

168. კომედია მომხიბლავია, მაგრამ სისხლიანი სცენით მთავრდება: ორი მუჭა მიწა გულზე და — მორჩა, მოგჭამა ჭირი. ფარდა.

169. რა უბადრუკნი ვართ, როცა ჩვენსავე მსგავსთა შორის დავეძებთ საშველს: ჩვენებრ უბედურნი, ჩვენებრ უმწეონი, ისინი ვერას გვიშველიან; ადამიანი მარტოკა კვდება; მაშასადამე სიცოცხლეშიც მარტოსულად უნდა იცხოვროს. მაგრამ საკითხავია, მაშინაც აიგებს თუ არა დიდებულ სრა-სასახლეებს და ა. შ.? არა, დაუყოვნებლივ დაიწყებს ჭეშმარიტების ძებნას. ხოლო თუ ასე არ მოიქცა, ჩვენ დავასკვნით, რომ ის ადამიანთა აზრს უფრო მეტ ანგარიშს უწევს, ვიდრე ჭეშმარიტებას.

170. დ რ ო ი ს დ ი ნ ე ბ ა. — რა შემზარავია იმის შეგრძნება, რომ მსწრაფლწარმავალ დროს თან მიაქვს ყველაფერი, რასაც ჩვენა ვფლობთ.

171. ჩვენსა და ზესკნელსა თუ ქვესკნელს შუა აღმართულია მხოლოდ თხელი ტიხარი: სიცოცხლე—ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მყიფე, ყველაზე მალემსხვრევადი რამ.

172. უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა. — უბადრუკობაზე დამყნილი ქედმაღლობა, — აი, უკიდურესი უსამართლობა.

173. გვეშინოდეს სიკვდილისა არა საფრთხეში, არამედ მაშინ, როცა არაფერი არ გვემუქრება: დე, ადამიანი ყოველთვის დარჩეს ადამიანად.

174. საშიშია მხოლოდ ანაზდეული სიკვდილი; აი, რატომაა, რომ ძლიერნი ამა სოფლისანი გვერდიდან არ იშორებენ აღმსარებლებს.

175. აი, მემკვიდრე, რომელიც თავისი საგვარეულოს სიგელ-გუჯრებს პოულობს. ნუთუ ის იტყვის — იქნებ ყველა ყალბიაო, და დაუდევრად გვერდზე მიაგდებს მათ?

176. დ ი ლ ე გ ი. — ჩემი აზრით, უმჯობესია გააღრმავონ არა კოპერნიკის აზრი, არამედ ეს...! ჩვენ გვინდა ვიცოდეთ მხოლოდ ერთი რამ: უკვდავია სული თუ მოკვდავი?

177. უეჭველია, რომ იმის მიხედვით, მოკვდავია სული თუ უკვდავი, მორალის არსი ძირფესვიანად იცვლება. ფილოსოფოსები კი. მორალზე მსჯელობისას საერთოდ გვერდს უვლიან ამ საკითხს; მათ მხოლოდ ერთი სადარდელი აქვთ: როგორ გაატარონ უკეთ ჩვენი წილხვდომილი წამი.

პლატონი — ქრისტიანიზმის სასარგებლოდ.

178. სიყალბე ფილოსოფოსებისა, რომლებიც არას დაგიდევენ სულის უკვდავების საკითხს. მათი დილემის სიყალბე მონტენთან.

179. ათეისტები უნდა ამტკიცებდნენ მხოლოდ იმას, რაც ეჭვმიუტანლად ცხადია, მაგრამ განა ასევე ცხადია სულის მატერიალურობა?

180. ათეიზმი გონების ძალას მოწმობს, მაგრამ ძალზე შეზღუდულ ძალას.

181. დ ი ა ლ ო გ ე ბ ი ს გ ე გ მ ა. — „რა ვიღონო? ირგვლივ ვერაფერს ვჭვრეტ, წყვდიადის გარდა. რა ვიფიქრო? ვიფიქრო, რომ არარაობა ვარ? თუ ვიფიქრო, რომ ღმერთი ვარ? ყველაფერი იცვლება და ერთმანეთს ენაცვლება“... თქვენ ცდებით, არსებობს...

182. ათეისტების აზრი: „კი მაგრამ, ვინ მოგვაშავა ეგ ნათელი?“

183. აი, რას ვხედავ და რა მაშფოთებს. საითაც არ გავიხედავ, ყველგან განუჭვრეტელი წყვდიადია და უკუნეთი. ყველაფერი, რასაც ბუნება მივლენს, მხოლოდ ეჭვსა და ძრწოლას იწვევს ჩემში. მე რომ ღვთაების ნიშნით აღბეჭდილს ვერაფერს ვჭვრეტდე, ალბათ, ურწმუნო გავხდებოდი; ყველაფერი რომ ღვთაების ნიშნით აღბეჭდილი მევლინებოდეს, სამუდამოდ დავცხრებოდი რწმენით აღვსილი. მაგრამ მე ვხედავ მეტისმეტად ბევრს, რათა უარვყო და მეტისმეტად ცოტას, რათა აღვივსო ურყევი რწმენით, და ჩემი გული წუხს, ჩემი საბრალო გული. რამდენჯერ მინატრია: თუ ბუნება ღმერთმა შექმნა, დაე, მან უტყუარად დაგვიმოწმოს და დაგვიდასტუროს თავისი შემოქმედის არსებობა, ხოლო თუ მისი მოწმობა მოჩვენებითია, დაე ეს ყალბი ტვიფარი საბოლოოდ წაიშალოს და წარიხოცოს-მეთქი. დაე, ბუნებამ ან საბოლოოდ დამარწმუნოს ან სამუდამოდ გადამარწმუნოს, რათა ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტო, რა გზას დავადგე. მაგრამ მე კვლავინდებურად არ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ, კვლავინდებურად არ მესმის, რისთვის ვარ, ან რატომ ვარ. გულს

მხოლოდ ერთი რამ სწყურია: შეიცნოს ჭეშმარიტი სიკეთე და მისდიოს მას. მარადისობა ჩემთვის ყველაფერია, ყოველივე სხვა დანარჩენი — არაფერი.

როგორ მშურს მისი, ვისაც სწამს და მაინც ურწმუნოსავით ცხოვრობს, ვინც ასე ფუჭად ფლანგავს თავის ფასდაუდებელ ნიჭს, რომელსაც მე, თუ ჩემი თავი არ მატყუებს, ალბათ სულ სხვანაირად მოვიხმარდი.

184. წარმოუდგენელია, რომ ღმერთი არსებობს, წარმოუდგენელია, რომ ღმერთი არ არსებობს; რომ ჩვენ გვაქვს სული, რომ არა გვაქვს სული; რომ სამყარო შექმნილია, რომ სამყარო შეუქმნელია; რომ არსებობს დასაბამიერი ცოდვა, რომ არ არსებობს დასაბამიერი ცოდვა და ა. შ.

185. — თქვენი აზრით, წარმოუდგენელია, რომ ღმერთი უსასრულო იყოს და განუწილველი? — დიახ. — მაშინ მე თქვენ გიჩვენებთ რაღაც უსასრულოსა და განუწილველს. ესაა ყოველმხრივ უსასრულო სისწრაფით მოძრავი წერტილი, რადგან ის, ჯერ ერთი, ყველგანაა, და მეორეც, მთლიანადაა ყველგან.

დაე, ამ მაგალითმა გიჩვენოთ ის, რისი წარმოდგენაც შეუძლებლად გეჩვენებოდათ, და დაგარწმუნოთ, რომ არსებობს ბევრი მსგავსი რამ, რასაც ჯერ კიდევ არ იცნობთ. ნუ დაივიწყებთ ამას თქვენი განსწავლის მთელი დროის განმავლობაში; ნუ გგონიათ, რომ აღარაფერი გაქვთ შესასწავლი; მერწმუნეთ, ურიცხვი რამ ჯერ კიდევ შესასწავლი გაქვთ.

186. უსასრულო მოძრაობა, წერტილი, რომელიც ავსებს ყველაფერს; შეჩერების მომენტი: უსასრულობა რაოდენობრივი განსხვავების გარეშე, უსასრულო და განუყოფელი.

დასასრული შემდეგ ნომერში

რაინერ მარია რილკე

გერმანულიდან თარგმნა **ნოდარ კაკაბაძემ**

შარშან შესრულდა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ლირიკოსის, ავსტრიელი პოეტის რაინერ მარია რილკეს დაბადების 100 წლისთავი (დაიბადა 1875 წლის 4 დეკემბერს). ვაქვეყნებთ მის ცნობილ ლექსს, რომელიც ამოღებულია რილკეს ლექსების კრებულიდან — „ქამნი“.

* * *

თვალის სინათლე რომ ჩამიქრო — მაინც გიხილავ,
დამიხშე სმენა —
მე შენი ხმა მაინც მომწვდება,
მე უფეხოდაც მოგეახლები,
უხმოდ, უსიტყვოდ ვილოცებ შენზე.
თუნდაც ხელები გადამიმტვრიო —
გულს გამოგიწვდი ხელის მაგიერ,
თუნდ შემიჩერო გულის ძგერა, ტვინს ავაძგერებ,
და თუ ტვინს ხანძრით გადამიბუგავ,
საკუთარ სისხლით გატარებ მაინც.

ჯეიმზ ჯოისი

ულისე

ინგლისურიდან თარგმნა

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

„ულისეს“ თვრამეტი ეპიზოდიდან პირველი სამი (რომელთაც ჯოისის მეგობრისა და კომენტატორის სტიუარტ გილბერტის ცნობილი სქემის მიხედვით და ჰომეროსის ანალოგიით „ტელემაქე“, „ნესტორი“ და „პროტეოსი“ შეერქვათ) გამოქვეყნებული იყო ალმანახ „ხომლის“ მეექვსე ნომერში (1971 წ.).

მეოთხე ეპიზოდით („კალიფსო“) იწყება რომანის ყველაზე დიდი — მეორე ნაწილი (სულ „ულისე“ სამი ნაწილისაგან შედგება). ამ ეპიზოდში პირველად გამოჩნდება ლეოპოლდ ბლუმი — ჯოისის თანამედროვე ოდისევსი.

ჰომეროსის „ოდისეაში“ ქალღმერთ კალიფსოს ოდისევსი მოჯადოებული და დატყვევებული ჰყავს შვიდი წლის მანძილზე, სანამ ღმერთები არ ჩამოერევიან და მის განთავისუფლებას არ უბრძანებენ. ჰომეროსის ანალოგია „ულისეში“ ამ მხრივ ის არის, რომ ლეოპოლდ ბლუმიც დილიდან თავს დააღწევს ცოლის—მოლი ბლუმის „ტყვეობას“ და იწყებს თავის ერთდღიან დუბლინურ ოდისეას. ამით ეპიზოდის სიუჟეტური ანალოგია ჰომეროსის პოემასთან თითქმის ამოწურულია. და საერთოდაც, ჯოისის რომანი ჰომეროსის პოემასთან სიუჟეტურად ნაკლებ არის დაკავშირებული. პაროდირებისათვის კი, იმისათვის, რათა ძველი, დადგენილი, „კლასიკური“ ნორმების გაუფასურება გვაჩვენოს, ჯოისისათვის ეს გარეგნული სქემატური პარალელებიც საკმარისია. ჰომეროსი ჯოისისათვის კაცობრიობის ჯანსაღი სიყმაწვილის მგოსანია. მისი ოდისეა სულიერად გაუბზარავი ადამიანის სიმბოლური გაბრძოლებაა შინაგანი სულიერი მთლიანობის, პიროვნების ჰარმონიულობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ეს ძირითადი ჰომეროსისეული იდეაა პაროდირებული მეოცე საუკუნის კეთილი, მაგრამ „წვრილფეხა“ ოდისევსის ლეოპოლდ ბლუმის ერთდღიანი მოგზაურობით ადამიანის დაწვრილმანებული, დაფლეთილი სულიერი სამყაროს ქაოტურ გზებზე. ჰომეროსის ზღაპრულ-რომანტიკული სირინოზები ჯოისის რომანში დუბლინელ როსკიპებად წარმოგვიდგებიან, რითაც მწერალს ანტიკური ეპიკური ამაღლებულობიდან ინგლისური მოდერნისტული რომანის პაროდიულ სამყაროში შევყავართ.

„კალიფსოს“ თარგმნასთან დაკავშირებულ თავისებურებისა (და მასთან ერთად სიძნელის) საჩვენებლად შეიძლება ერთი ძირითადი სტილური (ამ სიტყვის ფართო გაგებით) მომენტი აღინიშნოს:

ლეოპოლდ ბლუმის ცნობიერების ნაკადი არსებითად განსხვავდება სტივენ დედალოსის

ცნობიერების ნაკადისაგან. მისი გამოხატვის საშუალება, მხატვრული ხერხი იგივეა, მაგრამ განსხვავდება გამოსახატი მასალა, ფაქტურა, რაც განსხვავებულ სტილისტურ ფენომენს წარმოშობს. ის, რაც სტივენ დედალოსის თავისებური ჰამლეტური რეფლექსიის პაროდირებას შეადგენდა (და ამის გამო ისტორიულ-ფილოსოფიურ-პოეტურ რემინისცენციებითა და ალუზიებით იყო დატვირთული), ბლუმის მეტყველებაში გამოხატავს მეტისმეტად ორდინალური დუბლინელი მოქალაქის საგანგებოდ მიწიერ და ბანალურ ყოფას. ამის გამო ჰომეროსული ალუზია მეტად აბსტრაქტულია, სიმბოლური. მას არ აკისრია თვით რომანის მხატვრულ ქსოვილში ანტიკური ეპოსის პაროდიების გზით კონკრეტული სტილისტური შრეების შეტანა. თუ განათლებული სტივენ დედალოსის ცნობიერების ნაკადისათვის კეისარი, არისტოტელე ან ჰამლეტი ორგანული იყო, რადგან პაროდიის ობიექტი არა მარტო მწერლისათვის არის „ცნობილი", არამედ თვით პერსონაჟისთვისაც, პოლ დე კოკის ბულვარულ რომანებზე აღზრდილ ლეოპოლდ ბლუმის ცნობიერების ნაკადში საკუთრივ ჰომეროსული მასალის კვალი ისე თვალნათლივ არ ჩანს, რადგან ოდისევსი, რომლის პაროდიულ სახესაც წარმოადგენს ბლუმი, რომანის ავტორისათვის არის ნაცნობი და ახლობელი და არა გმირისათვის. ეს საშუალებას აძლევს ჯოისს ბლუმის მეტყველებაში სტივენისაგან სრულიად განსხვავებული ინტონაციები შეიტანოს — გახადოს იგი საგანგებოდ მშრალი, ყოველდღიური პრაქტიკული ამოცანებით დატვირთული, ადამიანის მიწიური არსებობის, მისი სხეულებრივი, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ინსტინქტების გამომხატველი.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, ბლუმის ეპიზოდებს რომანში მთლიანად განსხვავებულ სტილისტურ ყღერადობას ანიჭებს: ასოციაციური ხატოვანება ღარიბდება, მთლიანად ბანალურ-უტილიტალისტურ-ტრივიალურის გამოხატვას ემსახურება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხატოვანების გაღარიბება თვით ასოციაციური კავშირების გამარტივებას არ ნიშნავს: ბლუმის ცნობიერებაც რთულ, დახლართულ, შორს წასულ ასოციაციათა ძეწკვს ქმნის. არც ამ ასოციაციათა მიწიურობა და ბანალურობა ნიშნავს იმას, თითქოს ჯოისი ბლუმის სახით საგანგებოდ ხატავდეს „უარყოფით" პერსონაჟს, ავტორისათვის მთლიანად დასაგმობსა და მიუღებელს: ბლუმის ორდინარულობაში, მეშჩანურ სტერეოტიპულობაში ამავე დროს არის ადამიანურ განცდათა და ურთიერთობათა ის ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ო ბ ა, რაც ზოგადადამიანურობის კონკრეტულ საფუძველსაც შეადგენს.

ბატონი ლეოპოლდ ბლუმი დიდი სიამოვნებით ჭამდა საქონლისა და ფრინველის შიგნეულს. უყვარდა კუჭმაჭის სქელი წვნიანი, თხილიანი ჩიჩახვები, ფარშიანი შემწვარი გული, ორცხობილაში ამოვლებული ღვიძლის ნაჭრები, შემწვარი ვირთევზას ქვირითი. ყველაზე მეტად უყვარდა მოტაფული ცხვრის თირკმელები, პირში შარდის თავისებურ გემოს რომ უტოვებდა.

სამზარეულოში ფეხაკრეფით დადიოდა და ცოლის საუზმეს კუზიან ლანგარზე აწყობდა, თან თირკმელები უტრიალებდა თავში. ცივი სინათლე და ჰაერი იყო სამზარეულოში, მაგრამ გარეთ ყველგან ზაფხულის ნაზი დილა იდგა. ცოტა შიმშილს უღვიძებდა.

ნახშირი ღვივდებოდა.

კიდევ კარაქიანი პური: სამი ნაჭერი, ოთხი: კარგი. არ უყვარს თავმობმული თეფში. კარგი. ლანგარი მიატოვა, ჩაიდანს მიუბრუნდა, ღუმელის კიდიდან აიღო და ცეცხლთან მისწია. ჩაიდანიც იდგა მოწყენილი და ჯმუხი, ცხვირი წინ წაეგდო. ფინჯანი ჩაიც მალე. კარგია. პირი გაშრა. კატა მაგიდის ფეხს უვლიდა გარშემო, კუდაპრეხილი.

— მიაუ!

— ო, აქ ბრძანდები, თქვა ბატონმა ბლუმმა და ცეცხლს მოსცილდა.

კატამ პასუხად დაიკნავლა და ისევ შემოუარა მაგიდის ფეხს, თან კნაოდა. ასე დასეირნობს ჩემს საწერ მაგიდაზეც. პრრ. თავი მომფხანე. პრრ.

ბატონი ბლუმი ყურადღებით, ალერსიანად ადევნებდა თვალს მოქნილ შავ სხეულს. მომხიბლავია: ბზინავი ბეწვი, თეთრი ლაქა კუდის ძირში, მწვანე ელვარე თვალები. დაიხარა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო.

— რძე ფისუნიას, თქვა მან.

— მიაუ! დაიძახა კატამ.

სულელებს ეძახიან. მათ უკეთ ესმით ჩვენი, ვიდრე ჩვენ მათი. ყველაფერი ესმის, რისი გაგონებაც უნდა. გულრძოცაა. ნეტავ როგორი ვეჩვენები. კოშკის სიმაღლე? არა, მახტება.

— წიწილების ეშინია, დამცინავად თქვა მან. ჯუჯულების ეშინია. ასეთი სულელი ფისუნია ჯერ არ მინახავს.

დაუნდობელი. მათი ჯიში. უცნაურია, თაგვები რომ არ წრიპინებენ ხოლმე. მგონი, ეს სულაც მოსწონთ.

— მიაუ! ხმამაღლა თქვა კატამ [1].

მორცხვად მოჭუტულ ხარბ თვალებს აჟუჟუნებდა, საწყალობლად და გაბმით კნაოდა და რძესავით თეთრ კბილებს აჩენდა. ბატონი ბლუმი უყურებდა, როგორ დაუვიწროვდა კატას სიხარბისაგან მუქი გუგები, სანამ თვალები ზურმუხტებად გადაექცეოდნენ. შემდეგ მივიდა კარადასთან, აიღო ქილა, რომელიც ახლახან გაუვსო ჰენლონის მერძევემ, ლამბაქზე დაასხა თბილქაფიანი რძე და ფრთხილად დადო იატაკზე.

— გარრ! დაიყვირა კატამ და ასატვლეპად გაქანდა.

ბატონი ბლუმი უყურებდა, როგორ მავთულებივით უბზინავდა სუსტად განათებული ულვაშები, როცა კატა სამჯერ ოდნავ შეეხო რძეს და ფრთხილად მოსვლიპა. ნეტავ მართალია, რომ თუ შეაკრიჭე, თაგვს ველარ დაიჭერენო. რატომ? სიბნელეში ანათებენ იქნებ ბოლოები. ან ერთგვარი საცეცებია სიბნელეში იქნებ.

ყური მიუგდო, როგორ სვლიპდა კატა. ლორი და ერბოკვერცხი. არა. სადაა კარგი კვერცხები ასეთ გვალვაში. საჭიროა სუფთა, ახალი წყალი. ხუთშაბათი: ბაკლის დუქნიდანაც ვერ მოიტან ცხვრის თირკმელს. ერბოში შემწვარი, პილპილმოყრილი. ლორის თირკმელი აჯობებს დლაგაჩიდან. სანამ ჩაიდანი ადუღდება. კატამ სვლეპას უკლო და ბოლოს თეფში ერთიანად ამოლოკა. რატომ აქვთ ასეთი უხეში ენები? უკეთ რომ სვლიპონ. ფორებიანი. ხომ ვერაფერს შეჭამს? მიმოიხედა. ვერა.

ჭრაჭუნა ფეხსაცმლით ავიდა ჰოლში, შეჩერდა საწოლი ოთახის კართან.

---

[1] კატის მიმართაც ჯოისი იყენებს თითქმის ყველა სიტუაციაში ნახმარ გაყინულ რემარკაკლიშეს „თქვა მან“, რითაც ხაზგასმულია მთხრობელის ინდეფერენტული კილო. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ეს რემარკა დეფიზით არასოდეს არ არის გამოყოფილი, რითაც ერთგვარად წაშლილია ზღვარი ავტორისეულ თხრობასა და პერსონაჟისეულ მეტყველებას შორის).

იქნებ გემრიელი რამე მოუნდეს. პურის თხელ ნაჭერზე წასმული კარაქი უყვარს დილაობით. და მაინც: იქნებ რაიმე.

ჩუმად ჩაილაპარაკა ცარიელ ჰოლში:

— აგერ კუთხეში გავალ. წუთში მოვბრუნდები.

და როცა საკუთარი ნათქვამი მოისმინა, დასძინა:

— საუზმეზე არაფერი გინდა?

ჩუმმა მძინარე ბურტყუნმა უპასუხა [1]:

— მნ.

არა. არაფერი არ უნდა. შემდეგ მოესმა თბილი, მძინარე ამოოხვრა, კიდევ უფრო ჩუმი, როცა ქალმა გვერდი იცვალა და მოშვებული სპილენძის რგოლები აჟღარუნდა [2]. შესაკეთებელია. აფსუს. იმ სიშორიდან, გიბრალტარიდან ჩამოტანილი. ის ცოტაოდენი ესპანურიც დაავიწყდა, რაც იცოდა. ნეტა მამამისს რა დაუჯდა ეს საწოლი. ძველებური. აჰ, რა თქმა უნდა. გუბერნატორის აუქციონზე იყიდა [3]. ბევრიც არ უვაჭრია. კაკალს ვერ გააგდებინებ, ბებერი ტუიდი [4]. დიახ, ბატონო, ეს პლევნასთან მოხდა [5]. რიგითი ვიყავი, ბატონო, და ვამაყობ ამით. ჭკუა კი ეყო საფოსტო მარკებით ფული გაეკეთებინა. წინდახედული ნაბიჯია.

ბლუმის ხელმა საკიდიდან ჩამოიღო ქუდი, მის ინციალებიან მძიმე პალტოსა და დაკარგული ნივთების კანტორაში შეძენილ ლაბადაზე რომ ეკიდა. მარკები: ზურგწებოვანი სურათები. ბევრი ოფიცერი უთუოდ იგივეს აკეთებს. თქმა არ უნდა, აკეთებს. ქუდის სარჩულზე ოფლიანმა წარწერამ უხმოდ უთხრა: პლასტოს უმაღლესი ხარისხის ქუ. სწრაფად ჩაიჭყიტა ტყავის ქობის ქვეშ. ქაღალდის თეთრი ნაჭერი. საიმედოა.

კართან გასაღები მოისინჯა უკანა ჯიბეში. არ არის. რომ გავიხადე, იმ შარვალშია. უნდა ავიღო. კართოფილი აქაა [6]. ჭრაჭუნა კარადა. არ ღირს მოლის შეწუხება. წელან ძილში ტრიალებდა. ფრთხილად მოსწია თავისკენ კარი, კიდევ, სანამ დირეს უხმოდ არ მოარგო. რბილად მიიხურა. თითქოს დაიკეტა. ჩემს მოსვლამდე მაინც არა უჭირს რა.

სამოცდათხუთმეტი ნომრის თავაზდილ სარდაფს გვერდი აუარა და ქუჩის მზიან მხარეს გადავიდა. მზე წმ. გიორგის საყდრის სამრეკლოს უახლოვდებოდა. ვგონებ, თბილი დღე დადგეს. ამ შავ ტანისამოსში განსაკთრებით ვიგრძნობ. შავი ატარებს, ამრუდებს (თუ გარდატეხავსო?) სითბოს. იმ ღია ფერის კოსტუმით ხომ ვერ წავიდოდი. პიკნიკი ხომ არ არის. მზეზე გამთბარს სიარუ-

---

[1] ჯოისისათვის მოქმედების სუბიექტი ხშირად ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილი ან სახელზმნა („თვალმა დაინახა“, „ხელმა ჩამოიღო“, „ბურტყუნმა უპასუხა“ და სხვ.).

[2] ჟღარუნი და ჭრაჭუნი ბლუმის (და მასთან ერთად მკითხველის) ცნობიერებაში მთელი რომანის მანძილზე ადულტერის ასოციაციას იწვევს.

[3] როგორც რომანის ბოლოს შევიტყობთ, მოლის ტყუილი უთქვამს მამამისზე.

[4] ლეოპოლდ ბლუმის ცოლის მერიონის გვარია ტუიდი.

[5] პ ლ ე ვ ნ ა — ბულგარეთის ჩრდილეთით მდებარე ქალაქი, რომელმაც 1877—78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში 143 დღე გაუძლო რუსების ალყას. ეს ცნობა ბლუმს ამოკითხული აქვს ჰოზიერის „რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიიდან“, რომელიც მოგვიანებით მის წიგნის თაროზე აღმოჩნდება.

[6] სტივენ დედალოსისა არ იყოს, ბლუმიც „უგასაღებო გმირია“. კართოფილი ბლუმის ავგაროზია.

ლის დროს თვალები საამოდ ეხუჭებოდა. ბოლანდის ფურგონს ყოველდღე მოაქვს ხოლმე ჩვენი არსობისა, მაგრამ მოლის ცხელი, შებრაწული წუხანდელი პურის ნაჭრები ურჩევნია. თავს ჭაბუკად გრძნობ. სადღაც აღმოსავლეთში: სისხამ დილას; აისზე აიყრები, დედამიწის გარშემო მიემგზავრები, მზეს წინ უსწრებ, დღის სავალს ჰპარავ. ასე იარე მარად, ერთი დღითაც არ მოხუცდე თეორიულად. მიაბიჯებ სანაპიროს გასწვრივ, უცხო მხარეს, მიადგები ქალაქის კარიბჭეს, იქ დარაჯია, ისიც ყოფილი რიგითი, ბებერი ტუიდის დიდი ულვაშები გრძელ შუბს დაყრდნობია. მოჩარდახულ ქუჩებში დადიხარ. ჩალმიანი სახეები ჩაგივლიან. ხალიჩის დუქნების ბნელი გამოქვაბულები, ზორბა კაცი, მრისხანე თურქა[1] ფეხებმორთხმული ეწევა ნარგილეს. გამყიდველების ყვირილი ქუჩებში. სვით სურნელოვანი კამის წყალი, შარბათი. მთელი დღე დახეტიალობ. იქნებ სადმე ყაჩაღსაც გადაეყარო. მერედა რა, გადეყარე. მწუხრი ჩამოდგება. მეჩეთების ჩრდილები სვეტების გასწვრივ: ხელგრაგნილიანი ღვთისმსახური. ხეთა შერხევა, ნიშანი. მწუხრის ქარი. ჩავუვლი. ფერმიხდილი ოქროს ცა. დედა კარის დირეედან იყურება. შვილებს შინისკენ უხმობს თავიანთ ბნელ ენაზე. მაღალი გალავანი: გადაღმა სიმების ჟღერა. ღამის ცის მთვარე, სოსანი, მოლის ახალი წვივსაკრავების ფერი. სიმები. ყური მიუგდე. გოგონა უკრავს აი იმ საკრავზე, რა ჰქვია: წინწილი. ჩავუვლი[2].

ნამდვილად კი ალბათ არაფერი ამისდაგვარი. წიგნებში ამოკითხული: მზის კვალდაკვალ. აელვარებული მზე თავფურცელზე[3]. გაიღიმა, ნასიამოვნებმა. რა თქვა ართურ გრიფითმა ფ რ ი მ ე ნ ი ს მოწინავის თავსართზე: ჰოუმრულის მზე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთით ირლანდიის ბანკის უკან მდებარე შესახვევიდან ამოდის[4]. კმაყოფილი ღიმილი გაიხანგრძლივა. არის ამაში რაღაც იუდაური: თვითმართველობის მზე, ჩრდილო-დასავლეთით რომ ამოდის.

ლერი ო'რურკის დუქანს მიუახლოვდა. სარდაფიდან პორტერის სუსტი თქაფუნის ხმა ამოდიოდა. ბარი ღია კარიდან ზარდანჩოს, ჩაის მტვრისა და ნამცხვრის ცომის სუნს აფრქვევდა. ისე, სავაჭროს არა უშავს რა: სწორედ ტრამვაის ბოლო გაჩერებაა. აი, მაგალითად, მაკ ოლისას კი მდებარეობა არაფრად უვარგა. რა თქმა უნდა, ტრამვაის ხაზი საქონლის ბაზრიდან ჩრდილოეთით, სანაპირომდე რომ გაიყვანონ, ფასი უცებ ავარდება.

მელოტი თავი ფარდის ზემოდან. გაქნილი, ბებერი კრიჟანგი. სულ ერთია, რეკლამაზე მაინც ვერ დაიყოლიებ[5]. თავის საქმისა თვითონ უკეთ იცის. აი

---

[1] „მრისხანე თურქა" ოპერეტის პერსონაჟია, რომელიც ადრეც მოიხსენიება რომანში (იხ. „ხომლი", № 6, 1971, გვ. 132).

[2] ეს პასაჟი სემუელ კოლრიჯის „კუბლა ხანის" პაროდიად არის მიჩნეული.

[3] ფ. დ. ტომპსონის წიგნი „მზის კვალდაკვალ", სადაც აღწერილია ავტორის მოგზაურობა დედამიწის გარეშემო, როგორც რომანის ბოლოს ირკვევა, ბლუმის წიგნის თაროზე დევს. ამ წიგნის გახსენებით ჯოისი ხაზს უსვამს ბლუმის ცნობიერების პრაქტიცისტულ ბუნებას: „აღმოსავლური ოცნება" მაშინვე ჩახშობილი და უკუგდებულია, როგორც არარეალური (და ამდენად არაპრაქტიკული).

[4] როგორც ჩანს იგულისხმება „ფრიმენ ჯორნელის" ემბლემა. ამ ჟურნალს გრიფიტი ფსევდო-ნაციონალისტურად მიიჩნევდა. ამიტომაც ემბლემის მზე „ჰოუმრულის მზედ" მოიხსენიება („ჰოუმრული" ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში ირლანდიის თვითმართველობის კომპრომისულ-ლიბერალური პროგრამის სახელწოდებაა).

[5] ბლუმი რეკლამის აგენტია: მის მოვალეობას შეადგენს ვაჭრები და მწარმოებლები დაიყოლიოს მათი ბიზნესის რეკლამირებაზე.

ლერიც, ნამდვილად ის არის, შაქრის ყუთს დაყრდნობია სახელოაკაპიწებული და უყურებს, როგორ დაფაცურობს წინსაფრიანი მსახური ცოცხითა და კასრით. საიმონ დედალუსი ზედმიწევნით ბაძავს თვალების ჭუტვაში. იცით, რა უნდა გითხრათ? რა, ბატონო ო'რურკ? იცით რა? რუსები იაპონელებს ლუკმადაც არ ეყოფიან [1].

შევჩერდე და დაველაპარაკო: თუნდაც დაკრძალვაზე. ეს რა დაემართა საბრალო დიგნემს, ბატონო ო'რურკ.

— გამარჯობათ, ბატონო ო'რურკ.

— გაგიმარჯოთ.

— შესანიშნავი ამინდია, ბატონო ჩემო..

— შესანიშნავი.

სად შოულობენ ფულს? ჩამოდიან ქღალი მედუქნეები ლიტრიმის საგრაფოდან, რეცხავენ ცარიელ ბოთლებს და ნარჩენ სასმელს აგროვებენ. მერე კი, ჰოპლა, და ადამ ფინდლეიტერებივით თუ დენ ტელონებივით გაიფურჩქნებიან. მერედა რა კონკურენციაა. საყოველთაო წყურვილი. ბიჭი ხარ და დუბლინი ისე გაიარე, ლუდხანას არ ჩაუარო. ფული რითი გააკეთონ? ლოთებს თუ დააძრობენ. სამისას მოიტანენ, ხუთისას წაიღებენ. დიდი არაფერი. აქა-იქ შილინგი, ნამცეც-ნამცეც. იქნებ საბითუმო დაკვეთებით? მაქინაციები კომივოიაჟორებთან. პატრონთან მორიგდი და მოგება გავიყოთ, ყაბულს ხარ?

რამდენ მოგებას მოგცემს პორტერი თვეში? ვთქვათ ათი კასრი. ვთქვათ ათი პროცენტი მოიგო. არა, მეტი. ათი. თხუთმეტი. წმიდა იოსების სკოლას ჩაუარა. ყმაწვილების ჟრიამული. ღია ფანჯრები. სუფთა ჰაერი დაზუთხვას აადვილებს. სიმღერაც. ა ბ გ ა დ, ე ვ ზ ა თ, ი კ ა ლ, მ ა ნ ო. ბიჭები? დიახ. აინიშტერკი. აინიშარკი. აინიშბოფინი [2]. გოგრაფია აქვთ. სლივ ბლუმი [3].

დლაგაჩის ვიტრინასთან შეჩერდა, ძეხვის ასხმულას შეხედა, სარდელებს, მუქსა და ღია ფერისას. ორმოცდაათი გამრავლებული... გამოუთვლელი რიცხვები გონებაში გაიცრიცა: უკმაყოფილომ აღარც მისდია. ფარშით გატიკნილმა კრიალა ასხმულმ მზერა გაუძღო და ნება-ნება ჩაისუნთქა ცხარედ შეკმაზული გოჭის ჩათუთქული სისხლის ნელთბილი ანაორთქლი.

თირკმელი ჩინურნახატიან ლანგარზე სისხლის შედედებულ წვეთებს ალვენთებდა: უკანასკნელი. დახლთან მეზობლის მოახლის გვერდით იდგა. იქნებ ამანაც ეს იყიდოს, ხელში რომ სია უჭირავს და საყიდელს იხსენებს. კანდამსკდარი: სარეცხი სოდა. კიდევ ძეხვი გირვანქანახევარი. თვალი ქალის თეძოებზე შეაჩერა. ვუდსია კაცის გვარი. ნეტავი რას შვრება. ცოლი მობერებულია. ქორფა სისხლი. კაცების მოყვანა აუკრძალეს. ჯანიანი მკლავები. სარეცხის თოკზე ფარდაგს ბერტყავს. ბერტყავს მაგრამ რას ბერტყავს, წმიდა გიორგის მადლმა. აკეცილი ქვედატანი როგორ უფრიალებს ყოველ დარტყმაზე.

კვერნისთვალება ყასაბმა დაკეცა ძეხვები, დაწინწკლული, ვარდისფერხორცოვანი თითებით რომ ჩამოგლიჯა. ბაკში გასუქებული დეკეულივით მკვრივი ხორცი.

---

[1] „ულისეს“ მოქმედების დრო ემთხვევა რუსეთ-იაპონიის ომის გამძაფრების პერიოდს. მაგრამ ჯოისი სიგანგებოდ ცოტას მსჯელობს ომის შესახებ, რითაც ხაზს უსვამს დუბლინელების ინერტულობასა და ინდეფერენტიზმს მსოფლიო პოლიტიკური მოვლენებისადმი.

[2] ირლანდიის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულები.

[3] ირლანდიის სამხრეთით მდებარე მთები. (იგულისხმება, რომ ვეოგრაფიის გაკვეთილს „ოფეები „გოგრაფიას“ ეძახდნენ).

დაჭრილი ქალალდების დასტიდან აიღო ერთი ფურცელი. სანიმუშო ფერმა კინერეთში ტიბერიას ტბის ნაპირებზე [1]. ზამთრის იდეალური სანატორიუმი გამოვიდოდა. მოსე მონტეფიორი. ასეც ვიფიქრე, ის არის-მეთქი. ფერმერის სახლი, გარშემო კედელი, ნახირი საძოვარზე, ბუნდოვნად. ფურცელი შორს დაიჭირა: საინტერესოა: უფრო ახლოდან დახედა, ძოვს ნახირი, ბუნდოვნად. ფურცლის შრიალი. თეთრი დეკეული. დილაობით საქონლის ბაზარზე პირუტყვის ბღავილი ბაკებში, დაღალული ცხვრები, ნეხვის დაცემა და ტყლაშანი, საქონლის პატრონები დაჭედილი ჩექმებით მიშლაპუნობენ ჭუჭყსა და ნაგავში, ჩასუქებულ გავაზე ხელისგულს უტყლაშუნებენ, აი საუკეთესო, ხელში გაუსხეპავი წკეპლები უჭირავთ. დახრილი ფურცელი მოთმინებით ეჭირა, გრძნობებს და სურვილს იოკებდა, წყნარი, მორჩილი მზერა. აკეცილი ქვედატანი უფრიალებს დარტყმიდან დარტყმამდე, დარტყმიდან დარტყმამდე.

ყასაბმა დასტიდან სწრაფად აიღო ორი ფურცელი, შეუხვია ქალს არჩეული საუკეთესო ძეხვები, ლაქლაქა სახე ღიმილმა დაუმანჭა.

— ინებეთ, ქალბატონო, თქვა მან.

ქალმა ფული ამოიღო, გამომწვევად გაიღიმა და სქელი მაჯა გაუწოდა.

— გმადლობთ, ქალბატონო. შილინგი და სამი პენსი ხურდა. თქვენ რას ინებებთ?

ბატონმა ბლუმმა სასწრაფოდ მიუთითა. დაეწიოს და უკან გაჰყვეს. ნელა თუ წავიდა, მის შერხეულ თეძოებს. სასიამოვნოა დილის სიფთაზე ნახვა. მიდი, იჩქარე, შე ოხერო. სანამ თონე ცხელია. გოგო დუქანთან იდგა მზეში და მერე ზანტად გაუყვა მარჯვნივ. ცხვირით ჰაერი შეისუნთქა: მაგათ არაფერი არ ესმით ხოლმე. სოდისგან დახეთქილი ხელები. დაჩეხილი ფეხის ფრჩხილები. დაძონძილი ყავისფერი მოსასხამი. წინ და უკან იფარავს. გულში გაელვებულმა გულგრილობის ნესტარმა სიამოვნება შეუნელა. სხვისია: ცვლიდან დაბრუნებული პოლიციელი ეკლზ ლეინზე სრესდა. მათ უყვართ ზორბები. საუკეთესო ძეხვი. ო, ბატონო პოლიციელო, გეთაყვათ, ტყეში დავიბენი [2].

— სამი პენსი, ბატონო.

მისმა ხელმა მიიღო ნოტიო რბილი ჯირკვალი და გვერდითა ჯიბეში ჩაიცურა. მერე შარვლის ჯიბიდან ამოაძრო სამი მონეტა და რეზინის ეკლებზე დადო. მოთავსდნენ, სასწრაფოდ დაითვალნენ და სასწრაფოდვე, ერთმანეთის მიყოლებით სალაროში ჩასრიალდნენ.

— გმადლობთ, ბატონო. კვლავაც მობრძანდით.

მელიის თვალებიდან გამომკრთალმა მოუსვენარმა ნაპერწკალმა მადლობა გადაუხადა. მაშინვე მოაცილა მზერა. არა: არ ღირს: კვლავაც.

— ნახვამდის, თქვა მან და წავიდა.

— ნახვამდის, ბატონო.

არ ჩანს. წასულა. ეგეც არაფერი.

ისევ დორსეტის ქუჩას დაუყვა, თან გულისყურით კითხულობდა. აჯენდეთ ნეტეიმ: გამწვანების კომპანია. თურქეთის მთავრობისაგან დიდი ქვიშნარი ადგილების შეძენა და იქ ევკალიპტების გაშენება. ჩინებულია ჩრდილისათვის, საწვავად და მშენებლობისათვის. ფორთოხლის ხეივანი და ნესვის უზარმაზარი

---

1 იხ. იოანე, 6, 1: „ამისა შემდგომად წიაღხდა იესო წიაღ ზღუასა მას გალილეაჲსასა, რომელ არს ტიბერიაჲსა“.

2 ნაწყვეტი რომელიღაც მუსიკალური კომედიის სიმღერიდან.

მინდვრები იაფას ჩრდილოეთით. რვა მარკას გადაიხდით და ჰექტარ მიწაზე დაგირგავენ ზეთისხილს, ფორთოხალს, ნუშს თუ ლიმონს. ზეთისხილი უფრო იაფია: ფორთოხალს ხელოვნური მორწყვა სჭირდება. ყოველწლიურად იღებთ თქვენ წილ მოსავალს. თქვენი სახელი როგორც მფლობელისა სამუდამოდ შეტანილია კავშირის დავთარში. შეგიძლიათ ათი ნაღდი გადაიხადოთ და დანარჩენი შეიტანოთ ყოველწლიურად. ბლაიბტროიშტრასე 34, ბერლინი, W, 15.

მერედა მე რა. თუმცა ალბათ ამას რაღაცა აზრი მაინც აქვს.

შეხედა ნახირს, ვერცხლისფერ ბუღში გაბუნდოვანებულს. მოვერცხლილი, მტვრიანი ზეთისხილის ხეები, მშვიდი გრძელი დღეები: გასხვლა, მომწიფება. ზეთისხილს ქილებში აწყობენ, არა? ენდრუსისაგან რამდენიმე დამრჩა. მოლი გადმოაფურთხებდა ხოლმე. ახლა გემო გაუგო. ფორთოხლები ოხელ ქაღალდში გახვეული და ყუთებში ჩაწყობილი. ციტრონებიც. საინტერესოა საბრალო ციტრონი თუა ცოცხალი სენტ კევინ პარეიდზე. ან მასტიანსკი ძველი ციტრათი. საამო საღამოებს ვატარებდით მაშინ[1]. მოლი ციტრონის ჩალის საგარძელში. რა კარგია როცა ხელში გრილი, თითქოს სანთლისაგან გაკეთებული ხილი გიჭირავს, ნესტოებთან მიგაქვს, ყნოსავ. ასე, მძიმე, ტკბილ, ველურ სურნელს. მუდამ ერთსა და იგივეს, წლიდან წლამდე. მოიზელმა მითხრა, კარგა ძვირად ყიდიანო. არბუტუს პლეის: სიამეთა ქუჩა: ძველი საამო დროება. წუნი არ უნდა ერიოს, თქვა მან. იმ სიშორიდან ჩამოტანილებს. ესპანეთი, გიბრალტარი, ხმელთაშუა ზღვა, ლევანტი. იაფას ნავთსადგურში ჩამწკრივებული ყუთები, ბიჭი დავთარში აღნიშნავს, დალაქავებულ კომბინიზონიანი მტვირთავები ეზიდებიან. აგერ, რა ჰქვია იმას, გამოდის. გაუ! ვერ ხედავს. მარტო სალმით რომ იცნობ კაცს, ცოტა არ იყოს და მოსაწყენია. ზურგი იმ ნორვეგიელ კაპიტანს მიუგავს[2]. ნეტა დღეს თუ შევხვდები. სარწყავი მანქანა. წვიმის წასაქეზებლად. ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.

ღრუბელი თანდათან მზეს წამოეფარა მთლიანად, ნელა, მთლიანად.

არა, ასეთი არა. მწირი მიწა, ხრიოკი უდაბნო, ვულკანური ტბა, მკვდარი ზღვა: არც თევზი, არც წყალმცენარეები, მიწაში ღრმად არის ჩაფლული. არა ქარს არ შეუძლია ამ ტალღების აღელვება, რუხი ლითონი, მოწამლული ჯანღიანი წყალი. წუნწუბა აწვიმაო, იტყოდნენ: ველის ქალაქები: სოდომი, გომორი, ედომი[3]. სულ მკვდარი სახელები. მკვდარი ზღვა მკვდარ მიწაზე, რუხსა და ბებერზე. ბებერზე ახლა. მან მუცლით ატარა უხუცესი, პირველი მოდგმა[4] წელში მოხრილი ბებრუხანა გამოვიდა კასიდის დუქნიდან და ქუჩა გადაიარა, თან ბოთლის ყელს ხელს უჭერდა. უძველესი ხალხი. დაწანწალობდნენ შორე-

---

[1] ციტრონი და მასტიანსკი ბლუმის ებრაელი მეგობრებია, რომელთაც იგი (როგორც ეს უფრო გვიან გამოირკვევა) დაცილდა იმის გამო, რომ თვითონ ქრისტიანობა აქვს მიღებული.

[2] ჯოისის მამას უყვარდა იმ კუზიანი ნორვეგიელი კაპიტანის ამბის მოყოლა, რომელიც დუბლინელ თერძს ლანძღავდა — ტანსაცმელი ვერ მომარგოო, ხოლო თერძი თავის მხრივ კუზიან კაპიტანს ლანძღავდა — კაცი მაგას ტანსაცმელს ვერ მოარგებსო.

[3] „და უფალმან აწვიმა სოდომს ზედა და გომორსა, წუნწუბა და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით“ (1 წიგ. შესაქმე მოსესი, 19, 24). ბლუმს ეშლება: ედომი ქალაქი კი არ არის, არამედ ესავისათვის შერქმეული მეორე სახელია — „და რქვა ესავ იაკობს: მაგემე გბოლვილისაგან ოსპნისა ამის რამეთუ მოუძლურდი მე, ამისთვის ეწოდა სახელი მისი, ედომ“ (იქვე, 25, 30).

[4] ბლუმის ასოციაციური აზროვნება ებრაელ ციტრონისა და მასტიანსკიდან (დლაგაჩიც პოლონელი ებრაელია) მთელი ერის ბედს გადასწვდა.

ულ ქვეყნებში მთელ დედამიწის ზურგზე, ტყვეობიდან ტყვეობაში, მრავლდებოდნენ, იხოცებოდნენ, იბადებოდნენ ყველგან. ახლა აგერ გაწოლილა. ბავშვის გაჩენა აღარ შეუძლია. მკვდარი: სამყაროს რუხი მოპრუწული საშო: ბებრუხანასი.

გაპარტახება [1].

რუხმა ძროწოლამ სხეული დაუწვა. დაკეცილი ფურცელი ჯიბეში ჩაიდო, ეკლზ სტრიტზე გაუხვია და შინისაკენ გაეშურა. ცივი ზეთი დაუდიოდა ძარღვებში და სისხლს უყინავდა: ხანი მარილოვან ქურქში ახვევდა. აი, მეც აქ ვარ. ცუდი გემო პირში, ცუდი ფიქრები. მარცხენა ფეხზე ავდექი. ისევ უნდა დავიწყო ვარჯიში სენდოუს მიხედვით [2]. ყირაზე. რუხი უხიაგი ჯმუხი სახლები. მეოთხმოცე ნომერი ჯერაც გაუქირავებელია. როგორ მოხდა? ქირა კი მხოლოდ ოცდარვა. ტაუერსი, ბეტერსბი, ნორთი, მაკ-ართური: სასტუმრო ოთახის ფანჯრებზე აკრული განცხადებები. პლასტირით აკრული მტკივანი თვალი. ჩაის ნაზი ორთქლი, ტაფის ოხშივარი, მოშიშხინე ერბო. მის ლოგინგამთბარ სხეულთან სიახლოვე. დიახ, დიახ.

მზის თბილმა შუქმა ბარკლი როუდიდან მოირბინა, მკვირცხლად, მოხდენილ სანდლებში, გაჩირაღდნებული ტროტუარით. მორბის, ჩემს შესახვედრად მორბის, ყმაწვილი ქალი ქარში გაშლილი ოქროს თმით.

ორი წერილი და ღია ბარათი ეყარა მისაღებ ოთახში. შეჩერდა და აკრიფა. ქალბატონ მერიონ ბლუმს. აჩქარებული გულისცემა უცებ შეუნელდა. თავხედური ხელწერა. ქალბატონ მერიონს.

— პოლდი! [1]

საწოლ ოთახში შესვლისას თვალები მოჭუტა და თბილ, ყვითელ ბინდბუნდში მოლის აწეწილი თმისკენ გაემართა.

— ვისი წერილებია?

დახედა. მალინგერი. მილი.

— ჩემთვის წერილი მილისაგან, ფრთხილად თქვა მან, და ღია ბარათი შენთვის. და წერილიც შენთვის.

ღია ბარათი და წერილი ლოგინზე დაუდო მოხრილ მუხლებთან.

— ფარდა ავწიო?

სანამ ფარდას ნახევრამდე ასწევდა, ცალი თვალით დაინახა, თუ როგორ დახედა მოლიმ წერილს და ბალიშის ქვეშ ამოდო.

— საკმარისია? იკითხა და მიბრუნდა.

მოლი იდაყვზე დაყრდნობილი ღია ბარათს კითხულობდა.

— მიუღია რაც გავუგზავნე, თქვა მან.

ბლუმმა დაიცადა სანამ მოლი ღია ბარათს გვერდზე გადადებდა და, ნასიამოვნები, კვლავ კრუსუნით ნელ-ნელა მოიკრუნჩხებოდა.

---

[1] ჯანლონით სავსე თეძოსრულ მოახლისა და ქუჩაში მიმავალ ბებრუხანას კონტრასტი ფანტასტიკურ ნაყოფიერ პლანტაციებისა და ებრაელთა ახლანდელი ხრიოკი, უნაყოფო სამყოფელის აღწერის ფონზე ბუნებრივად იწვევს ტომას ელიოტის ასოციაციას (ტ. ს. ელიოტის „უნაყოფო მიწა“ და ჯ. ჯოისის „ულისე“ ერთსა და იმავე დროს — 1922 წელს გამოქვეყნდა).

[2] სენდოუს წიგნი („ფიზიკური ძალა და როგორ უნდა მოვიპოვოთ იგი“), როგორც ირკვევა, ბლუმის წიგნის თაროზე დევს.

[3] „ლეოპოლდის“ შემოკლებული ფორმა.

— მაღირსე ჩაი, თქვა მან. ყელი გამიშრა.

— ჩაიდანი დუღს, თქვა ბლუმმა.

შეჩერდა სკამის გასათავისუფლებლად: ზოლიანი ქვედაკაბა, ჭუჭყიანი საცვლები: დაბღუჯა და საწოლის ბოლოში დააწყო.

სამზარეულოს კიბეებს რომ ჩადიოდა, ცოლმა დაუძახა:

— პოლდი!

— რა იყო?

— ჩაიდანს მდუღარე გამოავლე.

მართლაც ადუღებულა: ორთქლის ქუდა. მდუღარე გამოავლო და ოთხი სავსე კოვზი ჩაი ჩაყარა, შემდეგ ჩაიდანი დახარა და წყალი ჩაასხა. ჩაი დააყენა, ჩაიდანი გადმოიღო, ნაკვერჩხლებში ტაფა ჩადგა და შეჰყურებდა, თუ როგორ დაცურავდა და დნებოდა ერბო. სანამ ბატონი ბლუმი თირკმელს ქაღალდს შემოაცლიდა, კატა ეგლისებოდა და დამშეული კნაოდა. ბევრი ხორცი რომ მივცე, თაგვს აღარ დაიჭერს. ამბობენ ღორის ხორცს არ ჭამენო. კოშერი [1]. ეს შენ. გასისხლიანებული ქაღალდი მიუგდო და თირკმელი მოშიშინე წვენში ჩადო. პილპილი. თითებით მოაყარა დაკბილული კვერცხის საჭმელი ჭიქიდან.

შემდეგ გახსნა წერილი, თვალი გადაავლო გვერდს და გადააბრუნა. გმადლობთ: ახალი ბერეტი: ბატონი კოგლინი: პიკნიკი ტბა ოუელზე: ახალგაზრდა სტუდენტი: ბლეიზის ბოილენის ზღვისპირელი გოგონები [2].

ჩაი მზად იყო. აივსო საკუთარი ფინჯანი, ყალბი „კრაუნ დარბი“ [3], ლიმილით. შვილიკო მილიკოს დაბადების დღის საჩუქარი. ხუთის თუ იქნებოდა მაშინ. არა, მოიცა: ოთხის. ქარვის მძივი მივეცი, გაწყვიტა. როგორ ჩაუყრიდა ხოლმე საფოსტო ყუთში ყავისფერი ქაღალდის მოკეცილ ნაჭრებს. ჩაის ასხამდა, თან ეღიმებოდა.

ო, მილი ბლუმო, შენ გენაცვალე.
ჩემი სარკე ხარ დღისით და ღამე.
შენ გამჯობინე ლატაკი, ვწირი —
კეტის თავისი ბალით და ვირით. [4]

საბრალო მოხუცი პროფესორი გუდვინი. დანჯღრეული ძველი ზანდუკი. მაინც თავაზიანი ბერიკაცი იყო. როგორი ძველმოდური თავის დაკვრით აცილებდა ხოლმე მოლის სცენიდან. პატარა სარკე ცილინდრში. ერთ საღამოს მილიმ სასტუმრო ოთახში რომ შემოარბენინა. ო, შეხედეთ, რა ვიპოვე პროფესორ გუდვინის ცილინდრში! ყველამ ვიცინეთ. სქესი მაშინვე იჩენდა თავს. ანცი გოგონა იყო.

ჩანგალი ატაკა თირკმელს და გადააბრუნა: შემდეგ პატარა ჩაიდანი ლანგარზე დადგა. ლანგარის კუზი ხმაურით ჩაიზნიქა, როცა ასწია. ყველაფერი დავაწყე? კარაქი და პური, ოთხი, შაქარი, კოვზი, ნაღები. დიახ. ზემოთ წაიღო, თან ჩაიდანის სახელურში ცერი ჰქონდა გაყრილი.

---

[1] ებრაული რელიგიური ადათის მიხედვით მომზადებული ხორცის კერძი.

[2] „ზღვისპირელი გოგონები“ ბევრი მუსიკალური კომედიის სიმღერებში გვხვდება.

[3] ფაიფურის სახეობა.

[4] მსგავსი ლექსი ჯოისს გაუგზავნა ერთმა ნაცნობმა.

კარი მუხლით შეაღო, ლანგარი შეიტანა და საწოლის თავთან სკამზე დადო.

— რამდენ ხანს მოუნდი, თქვა მოლიმ.

უცებ საწოლზე წამოიწია და სპილენძის რგოლები ააჟღარუნა, იდაყვით ბალიშს ეყრდნობოდა. ბლუმი წყნარად ჩაჰყურებდა მკერდს და დიდრონ ფაფუკ ძუძუებს, თხის ჯიქნებივით რომ ჩაშვებულიყვნენ ღამის პერანგში. მისი მოყუჩებული სხეულის სითბო ჩაის სურნელთან ერთად ტრიალებდა ჰაერში.

ჩაჭყლეტილი ბალიშის ქვემოდან გახსნილი კონვერტის ნაგლეჯი მოჩანდა. ჩაუარა, შეჩერდა, ზეწარი გაასწორა.

— წერილი ვისგან იყო? იკითხა მან.

თავხედური ხელწერა. მერიონ.

— ო, ბოილენისაგან, თქვა მოლიმ. პროგრამა უნდა მოიტანოს [1].

— რას მღერი?

— La ci darem-ს [2] ჯ. ს. დოილთან ერთად, თქვა მოლიმ, და „ძველ სატრფიალოს“.

მისმა სქელმა ტუჩებმა ჩაის წრუპვისას ჩაიღიმეს. თამბაქოს ნამწვავი მეორე დღეს შმორის სუნს ტოვებს. დამპალი ყვავილების წყალივით.

— გინდა ცოტა გამოვაღო ფანჯარა?

— ორად მოკეცილი პურის ნაჭერი ჩაიდო პირში და იკითხა:

— რომელ საათზეა გასვენება?

— მგონი თერთმეტზე, უპასუხა ბლუმმა. გაზეთი არ მინახავს.

მოლის თითს თვალი გააყოლა და მისი ჭუჭყიანი ნიფხავი აიღო საწოლიდან. არა? მაშ წინდაზე შემოხვეული ნაცრისფერი ლეკვერთხები: დაჭმუჭვნილი, პრიალა ქუსლი.

— არა: ის წიგნი.

მეორე წინდა. ქვედაკაბა.

— ძირს დავარდებოდა, თქვა მოლიმ.

ხელის ფათურით მოსინჯა. Voglio e non vorrei [3]. საინტერესოა სწორად თუ წარმოთქვამს: voglio. საწოლში არ არის. ალბათ ჩაცურდა. დაიხარა და ფარდაგი ასწია. წიგნი ჩავარდნილიყო და გადაშლილი ნარინჯისფერწინწკლებიან ღამის ქოთანს მიყრდნობოდა.

— მაჩვენე, თქვა მოლიმ. დანიშნული მაქვს. ერთი სიტყვა უნდა მეკითხა.

ფინჯანიდან ერთი ყლუპი მოსვა, სახელურით არ ეჭირა, თითები კოხტად შეახოცა ზეწარს და სტრიქონს თმის ჩხირი გააყოლა, სანამ სიტყვას არ მიადგა.

— რას წააწყდი? იკითხა ბლუმმა.

— აგერ, თქვა მოლიმ. ეს რას ნიშნავს?

წაიხარა და ცოლის ცერა თითის ლაქწასმულ ფრჩხილთან წაიკითხა.

---

1 ბლუმის ცოლი ესტრადის მომღერალია (მერიონ ტუიდი), ხოლო ბოილენი — მისი იმპრესარიო. მათი სასიყვარულო კავშირი ბლუმისათვის ცნობილია და იგი ხშირად ფიქრობს ამის შესახებ მთელი რომანის მანძილზე.

2 დუეტი მოცარტის „დონ ჟუანიდან“. ჯოისი შემდგომშიც არაერთხელ მოიხსენიებს ამ ოპერას.

3 „დონ ჟუანის“ ტექსტის დამახინჯებული ვარიანტი.

— მეტემფსიქოზი? [1]

— დიახ. ვინ ოხერია?

— მეტემფსიქოზი, თქვა ბლუმმა და კოპები შეიკრა. ბერძნულია: ბერძნულიდან არის. ნიშნავს სულების ტრანსმიგრაციას.

— ო, ღმერთო ჩემო! ჩვეულებრივი სიტყვებით აგვიხსენით.

ბლუმმა გაიღიმა და ალმაცერად შეხედა დამცინავ თვალებში. იგივე ჭაბუკური თვალები. პირველი საღამო შარადების შემდეგ. დოლფინს ბარნი. გადაბალა ჭუჭყიანი ფურცლები. „რუბი: არენის სიამაყე". ოჰო, სურათიც. მრისხანე იტალიელი შოლტით. ეს კი რუბი... სიამაყე... იატაკზე... შიშველი. თავაზიანად ნათხოვარი ზეწარი. „ურჩხულმა მაფიმ თავი შეიკავა და კრულვით გატყორცნა მსხვერპლი". ყველაფერი ეს გულქვაობაა. გამოთაყვანებული ცხოველები. ტრაპეცია ჰენგლერის ცირკში. იძულებული ხარ განზე გაიხედო. ბრბო პირდაბჩენილი მიშტერებია. მოიტეხე კისერი და ჩვენ კი ფერდებს ჩავიქცევთ სიცილით. მთელი ოჯახები [2]. ახალგაზრდობაში ძვლებს უატვრევენ და ისინიც მეტემფსიქოზობენ. სიკვდილის შემდეგ რომ ვცოცხლობთ. ჩვენი სულები. ადამიანის სული რომ ცოცხლობს მისი სიკვდილის შემდეგ. დიგნემის სული...

— წაიკითხე? თქვა ბლუმმა.

— დიახ, თქვა მოლიმ. ისეთი არაფერი. იმ ქალს სულ ის ბიჭი უყვარს?

— არ წამიკითხავს. სხვა წიგნი ხომ არ გინდა?

— ჰო. ისევ პოლ დე კოკის მომიტანე რამე. რა კარგი სახელი და გვარი აქვს.

მოლიმ ჩაი დაიმატა ფინჯანში და უყურებდა, როგორ ისხმებოდა.

ვადა უნდა გავიგრძელო ბიბლიოთეკაში კეიპელის ქუჩაზე, თორემ კერნის მისწერენ, ჩემს თავმდებს. გარდასახვა: აი ის სიტყვა.

— ზოგს სწამს, თქვა მან, რომ ჩვენ სიკვდილის შემდეგ სხვა სხეულში განვაგრძობთ სიცოცხლეს. რომ თითქოს ჩვენ ყველას ადრეც გვეცხოვროს, ათასი წლის წინათაც დედამიწაზე ან სხვა პლანეტაზე. ამბობენ, დაგვავიწყდაო. ზოგი ამტკიცებს, რომ ახსოვს თავისი წარსული ცხოვრება.

ნაღები ზლაზვნით აიჭრა მოლის ჩაიში. სჯობს ისევ ის სიტყვა შეახსენოს: მეტემფსიქოზი. აჯობებდა მაგალითი. მაგალითი?

„ნიმფას ბანაობა" საწოლის თავზე. „ფოტო-ამბების" სააღდგომო ნომერს რომ მოჰყვა: ფერადი ბეჭდვის შესანიშნავი ნიმუში. ჩაი, სანამ რძეს ჩაურევ. ცოტა მას მიაგავს თმებჩამოშლილს: უფრო ტანწვრილი. სამნახევარი შილინგი მივეცი ჩარჩოში. მოლიმ თქვა საწოლის თავს მოუხდებაო. შიშველი ნიმფები: საბერძნეთი: და, ვთქვათ, ყველანი, ვინც მაშინ ცხოვრობდნენ [3].

გადაფურცლა.

---

[1] სულის ტრანსმიგრაცია, რაც უძველეს ინდურ თქმულებებიდან იღებს სათავეს. ამ რომანის კონტექსტში მეტემფსიქოზი იმ ტრანსფორმაციასაც მიანიშნებს, რასაც ჰომეროსისეული ოდისევსის თავგადასავალი განიცდის დუბლინელი სარეკლამო აგენტის ლეოპოლდ ბლუმის ერთი დღის თავგადასავლის მხატვრული ანალოგის სახით.

[2] მე-19 ს. ინგლისური საცირკო ხელოვნების ისტორიაში ცნობილია ჰენგლერების რამდენიმე თაობა.

[3] „ნიმფას ბანაობის" აღწერა ჰომეროსისეული „კალიფსოს" ერთად-ერთი უშუალო რემინისცენციაა (ისიც მეტად პირობითი).

— მეტემფსიქოზს, თქვა მან, ძველი ბერძნები ეძახდნენ. მათ სწამდათ, რომ შეიძლება ცხოველად ან, ვთქვათ, ხედ იქცე. აი, თუნდაც ნიმფები.

კოვზმა შეწყვიტა შაქრის მორევა. მოლი წინ იცქირებოდა და ნესტოებს ბერავდა.

— დამწვრის სუნია, თქვა მან. ცეცხლზე ხომ არაფერი დაგრჩა?

— თირკმელი! წამოიძახა ბლუმმა.

გულის ჯიბეში ჩაიჩარა წიგნი და გატეხილ კარადას ფეხი წამოჰკრა. სუნისკენ გაქანდა. ჩქარა ჩარბოდა კიბეებს დამფრთხალი ყანჩას კლანჭებით. მწვავე ბოლი ბრაზით ამოქროდა ტაფიდან. თირკმელს ჩანგალი ამოსდო, გააცალკევა და გადააბრუნა. სულ ერთი ბეწო მიმწვარა. ტაფიდან თეფშზე გადმოაგდო და ცოტაოდენი მუქი წვენიც ზედ დააღვენთა.

ახლა ფინჯანი ჩაი. დაჯდა, მოიჭრა პური და კარაქი წაისვა. ხორცს დამწვარი ნაწილი მოაცილა და კატას მიუგდო. შემდეგ ერთი ნაჭერი პირში ჩაიდო და რბილ ხორცს გემო ჩაატანა. ზომიერადაა შეძწვარი. ერთი ყლუპი ჩაი. შემდეგ პური პატარა ნაჭრებად დაჭრა, ერთი წვენში ჩააწო და პიოში ჩაიდო. რაო, ვილაც ახალგაზრდა სტუდენტი და პიკნიკიო? წერილი გაშალა, გვერდზე დაიდო და ნელა დაიწყო კითხვა, თან ღეჭავდა, პურის მეორე ნაჭერს აწობდა წვენში და პირთან მიჰქონდა.

ძვირფასო მამიკო,

დიდი მადლობა შესანიშნავი საჩუქრისათვის. ძალიან მიხდება. ყველა მეუბნება ლამაზი ხარო შენს ახალ შოტლანდიურ ბერეტშიო. დედიკოს გამოგზავნილი ტკბილეულობა მივიღე და ვწერ. მშვენიერია. ფოტოგრაფიაში უკვე კარგად მიდის საქმე. ბატონმა კოგლინმა გადამიღო ქალბატონთან ერთად გამოგიგზავნი როცა გავამჟღავნებთ. გუშინ საქმე კარგად წაგვივიდა. მშვენიერი ამინდი იდგა და კოხტაპრუწებით სავსე იყო აქაურობა. ორშაბათს ოუელის ტბაზე მივდივართ რამდენიმე მეგობართან ერთად პატარა პიკნიკზე. სიყვარულით მომიკითხე დედიკო შენ კი გკოცნი ბევრს და დიდი მადლობა. აგერ მესმის ქვემოთ როიალზე უკრავენ. შაბათს გრევილ არმსში კონცერტია. ერთი სტუდენტი დაიარება ზოგჯერ საღამოობით ბენონი ჰქვია მისი ბიძაშვილები თუ ვილაცეები დიდი ვინმეებია მღერის ბოილენის (კინაღამ არ დავწერე შმაგი ბოილენის) სიმღერას იმ ზღვისპირელ გოგოებზე. უთხარი მილი თქო სალამს გიძღვნის თქო. ახლა კი უნდა დავამთავრო უნაზესი გრძნობებით.

შენი მოსიყვარულე ქალიშვილი

მილი.

P. S. მომიტევე ნაჯღაბნი, მეჩქარება, ნახვამდის.

მ.

გუშინ თხუთმეტის გახდა. უცნაურია, სწორედ თხუთმეტ რიცხვში. მისი პირველი დაბადების დღე შინიდან მოშორებით. განშორება. მახსოვს ის ზაფხულის დილა, მილი რომ დაიბადა, ქალბატონი თორნტონის გასაღვიძებლად რომ გავრბოდი დენზილის ქუჩაზე. კარგი ვინმე იყო. ბევრ ბავშვს მიხმარებია ამქვეყნად დაბადებაში. მაშინვე მიხვდა, რომ პაწია რუდი ვერ იცოცხლებდა. რას იზამ, ღმერთი მოწყალეა, ბატონო. მაშინვე მიხვდა. ახლა თხუთმეტის იქნებოდა, რომ ეცოცხლა.

ცარიელი გამოხედვა. საწყალობლად მიაშტერდა მინაწერს. მომიტევე ნაჯლაბნი. მეჩქარება. ქვემოთ როიალს უკრავენ. ნაჭუჭიდან იჩეკება. როგორ ვეჩხუბე სამაჯურის გამო XL კაფეში. ნამცხვრებს არ ჭამდა, არც ლაპარაკობდა, არც მიყურებდა. უტიფარი ბავშვი. კვლავ ამოაწო პური წვენში და თირკმელის ჭამას განაგრძობდა ნაჭერ-ნაჭერ. თორმეტნახევარი შილინგი კვირაში. ბევრი არ არის. შეიძლება ნაკლებიც ჰქონოდა. მიუზიკ ჰოლის სცენაზე. ახალგაზრდა სტუდენტი. ერთი ყლუპი გაციებული ჩაი მოსვა საჭმლის ჩასარეცხად. შემდეგ ისევ წერილი წაიკითხა: ორჯერ.

მოკლედ: თავის თავს თვითონ მიხედავს. ვაი თუ ვერა? არა, ჯერ არაფერი მომხდარა. ასეა თუ ისე, დაიცადე, სანამ მოხდება. ეშმაკის ფეხი. წერწეტა ფეხები, კიბეებს რომ არბოდა. ბედისწერა. მოიწიფა. კეკლუცობს: ნამეტანს.

შეშფოთებული სინაზით გაუღიმა სამზარეულოს ფანჯარას. ერთ დღეს **როგორ დავიჭირე ქუჩაში,** ლოყებს რომ იჩქმეტდა, გავიწითლოო. ცოტა სისხლნაკლულია. დიდ ხანს წოვდა ძუძუს. იმ დღეს „ერინის მეფეზე“ შუქურას გარშემო. ტალღებზე მოქანავე წყეული ძველი კასრი. სულაც არ შეშინებია. ბაც ცისფერ თავშალს თმებთან ერთად ქარი უწეწავდა.

დაწინწკლულ ღაწვებს, კულულებს
კაცი მშვიდად ვერ უყურებს.[1]

ზღვისპირელი გოგონები. გახეული კონვერტი. შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სამუშაოდან თავისუფალი მეეტლე, მოიმღერის. ოჯახის მეგობარი[2]. მშვიდად ვერ უყურებსო, ამბობს. განათებული პირსი, ზაფხულის საღამო, ორკესტრი.

ო, გოგონები, გოგონები,
ზღვისპირელი გოგონები.[1]

მილიკ. ყმაწვილური კოცნა: პირველად. დიდი ხნის წინათ. ქალბატონი მერიონ. ახლა ზურგზე გადაწოლილი კითხულობს, კულულებს ითვლის, იღიმება, იწნავს.

ნაღველნარევმა სინანულმა ხერხემალში დაუარა, უმატა. მოხდება, რა თქმა უნდა. ხელი შევუშალო. აზრი არა აქვს: ვერ შეცვლი. გოგონას ტკბილი ნაზი ტუჩები. ნამდვილად მოხდება. იგრძნო როგორ დაუარა სხეულში ნაღველმა. ველარაფერს შეცვლი. ჩაკოცნილი ტუჩები, ჩაკოცნილის კოცნა. ქალის სქელი ჩაკონილი ტუჩები.

უკეთესია იქ რომ არის: შორს. რაღაცას მაინც აკეთებს. ძალი უნდოდა გასართობად. შემეძლო მომენახულებინა. აგვისტოში საბანაკო არდადეგებზე, მხოლოდ ორნახევარი შილინგი იქით-აქეთ. მაგრამ ექვსი კვირის შემდეგ. პრესის საშვით შეიძლება სარგებლობა. ანდა მაკკოის დახმარებით.

---

[1] ოპერეტის სიმღერის ნაწყვეტები („ერინის მეფე“ გასასეირნებელი გემია).

[2] „ზღვისპირელი გოგონები“ მოლის საყვარლის ბოილენის („ოჯახის მეგობრის“) სიმღერაა, რომლის წერილიც მიიღო მოლიმ ამ დილას („გახეული კონვერტი“) და რომლის გახსენება ბლუმის უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს (მისი შვილის სატრფო თურმე მისი ცოლის საყვარლის სიმღერას მღერის).

კატამ ბეწვი კარგად აილოკა და კვლავ ხორცით დასვრილ ქაღალდს მიუბრუნდა, დასუნა და დინჯად წავიდა კარისაკენ. გამოხედა, დაიკნავლა. გარეთ უნდა გასვლა. დაიცადოს. ნერვიულობს. ელექტრონი. გარეთ ქუხს. ზურგით იჯდა ბუხართან და პირს იბანდა.

დამძიმდა, გაძღა: მუცელმაც შეაწუხა. ადგა, წელზე ქამარი შეიხსნა. კატამ შეჰკნავლა.

— მიაუ! უპასუხა ბლუმმა. დამაცადე, მოვემზადები.

სიმძიმე: ცხელი დღე მოდის. ზევით ასვლის თავი არა მაქვს.

ქაღალდი. უყვარდა კითხვა ჩამჯდარს. იმედია ვინმე ოხერი არ დამიკაკუნებს, სანამ —

მაგიდის უჯრაში „ცნობის ფურცელის“ ძველი ნომერი იპოვა. იღლიაში ამოიდო, კარისაკენ წავიდა და გამოაღო. კატამ რბილი ნახტომებით ზემოთ აირბინა. ა, ზემოთ გინდოდა, საწოლზე მოკალათება.

მიაყურა, ქალბატონი ბლუმის ხმა გაიგო:

— მოდი, მოდი, ფისო. მოდი.

უკანა კარით ბაღში გავიდა: გაჩერდა და მეზობელ ბაღს ყური მიუგდო. სიჩუმეა. იქნებ სარეცხი გაიტანა გასაფენად. ბაღში იყო მოახლე [1]. შესანიშნავი დილაა.

დაიხარა წაწვენილი პიტნის კვალის დასანახად კედელთან. აქ რომ ტალავარი გაკეთდეს. ბარდა. ლიანა. სასუქი ჭირდება აქაურობას, საშინელი ნიადაგია. გოგირდოვანი სასუქით. უნაკელოდ ყველა მიწა ასეთია. ნარეცხით. თიხნარი. ეს რაღაა? ქათმები გვერდითა ბაღში: მათი სკლიტი საუცხოო სასუქია. მაგრამ ყველას საქონელი სჯობს, განსაკუთრებით როცა კომბოსტოს აჭმევენ. კომპოსტი. საუკეთესოა ქალის ლაიკის ხელთათმანების გასაწმენდად. ჭუჭყი წმენდს. ნაცარიც. გაკეთდეს მთელი ეს ადგილი. აგერ იმ კუთხეში დაითესოს ცერცველა. სალათი. მუდამ გექნება ახალი მწვანილი. და მაინც ბაღ-ბოსტანს თავისი ნაკლი აქვს. იმდღევანდელი ფუტკარი თუ ლეშის ბუზი.

გზა განაგრძო. კაცმა რომ თქვას, ჩემი ქუდი სად არის? საკიდზე თუ ჩამოვკიდე ისევ. ან იქნებ ქვემოთ. სასაცილოა, არ მახსოვს. დერეფანში საკიდი გადატვირთულია. ოთხი ქოლგა, მოლის ლაბადა. წერილები ავკრიფე. დრაგოს დუქნის ზარი წკარუნობდა. უცნაურია, რომ სწორედ იმ დროს ვფიქრობდი. ბრილიანტინით გადატკეცილი წაბლისფერი თმა საყელოს ზემოდან. დაბანილ-დავარცხნილი. დილით თუ მეყო დრო აბაზანის მისაღებად. ტარა სტრიტ. იქ მოლარე ბიჭმა, ამბობენ, ჯეიმზ სტივენზი აფახაო. ო'ბრაიენი [2].

რა დაბალი ხმა აქვს მაგ დლაგაჩს. დღის წესრიგში რა გვაქვს? გისმენთ, მისს. ენთუზიასტი.

ფეხის წაკვრით გააღო ფეხსალაგის მოდღლეზილი კარი. ფრთხილად უნდა იყოს, შარვალი არ დაისვაროს დასაფლავებაზე წასვლამდე. თავი დახარა და დაბალი წირთხლის ქვეშ შევიდა. კარი ღია დააგდო. აშმორებული კედლების

---

[1] „ბაღში იყო მოახლე“ — ცნობილი საბავშვო ლექსის სიტყვებია.

[2] უილიამ სმით ო'ბრაიენი (1803-64) — ირლანდიური კონფედერაციისათვის მებრძოლი მემამულე. ერთ დროს დაკავშირებული იყო ჯეიმზ სტივენზთან (იხ. „ხომლი“ № 6, 1971. გვ. 168. შენ. 9.).

და აყროლებული აბლაბუდის გარემოცვაში შეიხსნა აჭიმი. სანამ დაჯდებოდა, ჭუჭრუტანაში გახედა მეზობლის ფანჯარას. მეფე იჯდა ხაზინაში[1]. არავინ.

ფეხსალაგის სკამზე მოკალათდა, გაზეთი გაშალა და შიშველ მუხლებზე დაუწყო ფურცვლა. რამე ახალი და მსუბუქი. სად მეჩქარება. ცოტა შეიკავე. ჩვენი გაზეთის პრემია. „მეჩემის ბრწყინვალე დარტყმა". დაწერილი ბატონ ფილიპ ბოფუას მიერ, თეატრისმოყვარულთა კლუბი, ლონდონი[2]. ავტორს ერთი გინეა ერთ სვეტში მისცეს. სამნახევარი. სამი გირვანქა და სამი. სამი გირვანქა ცამეტი შილინგი და ექვსი პენსი.

ნელა კითხულობდა, თან იკავებდა, პირველ სვეტს და, მოაწვა მაგრამ შეიკავა, ახლა მეორეს. ამასობაში უკანასკნელად გაიბრძოლა და კუნთები მოადუნა, თან კითხულობდა, გუშინდელი ცოტაოდენი შეკრულობა სულ გამქრალა. იმედია ისეთი სქელი არ არის, ისევ ბუასილმა რომ გამიხსენოს. არა, არა უშავს. ასე. აჰ! თუ შემეკრა, ერთი აბი კასკარა საგრადა და მაგისი ჯანი. ასეთი რამეც ხდება ცხოვრებაში. მაინცდამაინც არ აღელვებდა, მაგრამ სხარტად და მოხდენილად იყო დაწერილი. ახლა რას არ ბეჭდავენ. გაზეთებისათვის ცუდი დროა. განგარძობდა კითხვას საკუთარ სუნზე წამომჯდარი. მართლაც მოხდენილია. „მეჩემი ხშირად ფიქრობს იმ ბრწყინვალე დარტყმაზე, რომლითაც მან დაიპყრო მომცინარი ჯადოქარი, რომელიც". იწყებს და ამთავრებს ჭკუის სწავლებით. „ხელი ხელში". კარგია. თვალი გადაავლო, რაც წაიკითხა, და იმ დროს, როცა მშვიდად იცლებოდა სითხისაგან, კეთილი გულით შურდა ბატონი ბოფუასი, რომელმაც ეს დაწერა და მიიღო ჰონორარი სამი გირვანქა და ცამეტნახევარი შილინგი.

ერთ ნარკვევს მოვახერხებდი. ბატონი და ქალბატონი ლ. მ. ბლუმი. რომელიმე ანდაზაზე ავაგო ამბავი, მაგრამ რომელზე? იყო დრო, როცა გაფაციცებით ვიწერდი მანჟეტზე, რასაც ჩაცმის დროს ამბობდა. არ მიყვარს ერთად ჩაცმა. პარსვისას გავიჭერი. ტუჩი მოიკვნიტა, ქვედა ტანის დუგმას რომ იკრავდა. დროს ვნიშნავდი. 9. 15. რობერტსმა ჯერ არ გადაგიხადა ფული? 9. 20. რა ეცვა გრეტა კონროის? 9. 23. რა ეშმაკმა მაყიდინა ეს სავარცხელი? 9. 24. გამბერა იმ კომბოსტომ. მტვრის ლაქა მისი ლაქის ფეხსაცმელზე.

მოხერხებულად იწმენდს ჯერ-ჯერით რანტებს წინდაზე. მეორე დილას საქველმოქმედო ცეკვების შემდეგ მეის ორკესტრი უკრავდა პონკიელის საათების ცეკვას[3]. მიხსნიდა: ეს დილის საათია, შუადღის, შემდეგ საღამო დგება, შემდეგ ღამისა. კბილებს იწმენდდა. ეს იყო პირველი საღამო. თავბრუ ეხვეოდა. მარაოს ჩხირები ჩხარუნობდნენ. ეს ბოილენი შეძლებულია? ფული აქვს. მერე? ცეკვის დროს სასიამოვნო სუნთქვა მცემდა. მაშ ღიღინი არ ღირს. გაახსენებს. უცნაური მუსიკა იყო წუხელ. სარკე ჩრდილში. პატარა სარკე შალს გაუხახუნა დიდ ჩამოკიდებულ ძუძუზე. შიგ იჭყიტება. თვალები უჭრელდება. მაინც არაფერი ჩანს.

საღამოს საათები, გოგონები რუხ მარმაშში, საღამოს საათები, ხანჯლებითა და ნიღბებით. პოეტურია ვარდისფერი, შემდეგ ოქროსფერი, შემდეგ რუხი, შემდეგ შავი. აგრეთვე ცხოვრებისეული. დღე, შემდეგ ღამე.

---

1 „მეფე იჯდა ხაზინაში" — ზემონახსენები საბავშვო ლექსის სიტყვებია.

2 ჯოისი თითქმის ყოველთვის რეალურ პიროვნებებს ასახელებს. ამ შემთხვევაშიც ბოფუა 20-იანი წლების ერთ-ერთი უმნიშვნელო ავტორთაგანია.

3 თავის დროზე მეტად პოპულარული საბალეტო ნომერი.

საპრიზო მოთხრობების ნახევარი მოხია სწრაფად და გამოიხოცა[1]. შარვალი აიწია, აჭიმი გაიკეთა და ღილები შეიკრა. მიხურა ფეხსალაგის მონჯღრეული კარი და წყვდიადიდან სუფთა ჰაერზე გამოვიდა.

კაშკაშა სინათლეზე, განთავისუფლებულმა და გამოცოცხლებულმა, გულდასმით შეათვალიერა თავისი შავი შარვალი, ბოლოში, მუხლებთან, წვივებთან. რომელ საათზე ასაფლავებენ? აჯობებს გაზეთში ნახოს.

ჭრაჭუნი და ყრუ ჭრიალი ზემოთ. გიორგის ეკლესიის ზარები. ჩამორეკეს საათი: ბნელხმიანი რკინა.

ჰეიჰო! ჰეიჰო!

ჰეიჰო! ჰეიჰო!

ჰეიჰო! ჰეიჰო!

თხუთმეტი აკლია. კვლავ: ჰაერში გაისმა გამოძახილი. ტერცია.

საბრალო დიგნემი!

□

---

[1] სტივენ დედალოსისა და ლეოპოლდ ბლუმის ურთიერთდაპირისპირების მაგალითი: სტივენი სკოლის დირექტორის — დიზის ნაჯღაბნს მოახევს ნაწილს, რათა ზედ საკუთარი შემოქმედების ნიმუში დაწეროს (მესამე ეპიზოდი „პროტეოსი“), ბლუმი კი გამოსახოცად ბუფუას შემოქმედების ნიმუშს მოახევს ნაწილს. აქაც ინტელექტუალური საწყისი უპირისპირდება ხორციელს.

კლავდიუს ელიანე

ჭრელ-ჭრელი ამბები

ძველი ბერძნულიდან თარგმნა შუშანა ღუდუშაურმა

კლავდიუს ელიანე (დაახლ. 170—240 წწ. ახ. წელთაღ.) სრულიად უცნობია ქართველი მკითხველისათვის, მაშინ როდესაც ამ ავტორისათვის ძველი კოლხეთი უცნობი არ გახლავთ. იგი დაიბადა პრენესტეში, რომის მახლობლად, და ჩინებული განათლება მიიღო. ელიანე ეგზომ თაყვანისმცემელი იყო ელინური კულტურისა, რომ წარმოშობით რომაელი, ბერძნულ ენაზე წერდა თავის თხზულებებს. ელიანეზე დიდი გავლენა მოახდინა სტოელთა ფილოსოფიურმა სკოლამ და მის მეხოტბედ დარჩა ბოლომდე. იგი ავტორია ევროპაში ფართოდ ცნობილი თხზულებისა „ჭრელ-ჭრელი ამბები", სადაც მოგვითხრობს ანტიკური ხანის გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრების ცალკეულ, მეტად საინტერესო ამბებს, აგრეთვე აღწერს სხვადასხვა ქვეყნებისა და ქალაქების მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას. ელიანეს წიგნში თითქოს ცოცხლდებიან სახელოვან ფილოსოფოსთა, პოლიტიკოსთა, სარდალთა, მხატვართა და მწერალთა გარდასული აჩრდილები. ავტორი არ ივიწყებს უბრალო ადამიანებს და მონებსაც კი, რაიც ბერძნულ-რომაულ მწერლობას არ სჩვევია. კლავდიუს ელიანე მონათმფლობელური კლასის ინტერესების გამომხატველი იყო. მართალია, მისი ეპოქა დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას, მაგრამ, ვფიქრობ, თანამედროვე მკითხველი ბევრ რამ საგულისხმოსა და საინტერესოს ჰპოვებს მის თხზულებაში. ყოველი მოთხრობაც შინაარსისდა მიხედვით დავასათაურეთ. სათაურის ქვეშ მიწერილი ციფრები თხზულების სხვადასხვა ნაწილებისა და მოთხრობათა ნუმერაციაა, რაც ტრადიციულად მიღებულია ბერძნულ-ლათინური ტექსტების გამოცემისას.

ხალხთა ზნე-ჩვეულებანი

4,1

ლევკანელთ[1] წესად აქვთ: თუ მზის ჩასვლის შემდეგ მგზავრი კარზე მიადგება ვინმეს, და საკადრისად არ დაუხვდებიან, არასტუმართმოყვარე მასპინძელს ჯარიმას ახდევინებენ, რამეთუ ამგვარი საქციელი სტუმარ-მასპინძლობის მფარველი ზევსის წინაშე მკრეხელობად ეთვლება.

როგორც მსმენია, ილირიის დარდანელები[2] სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ განიბანებიან: დაბადებისას, ქორწინებისას და გარდაცვალებისას.

ინდოელებმა ვახში, თამასუქი, საწინდარი არ იციან და არც ერთმანეთის მოტყუება-გაცურება აქვთ ჩვეად.

კუნძულ სარდინიაზე შვილები მოხუცებულ მამებს კომბლებით ხოცავენ, რამეთუ მიხრწნილ-მისავათებულთა სიცოცხლე სამარცხვინოდ ითვლება — მათ ხომ ძალა წაართვა სიბერემ! ხოლო უსაქმურნი სამართალში მიეცემიან: ბრალდებულმა მცონარამ თავი უნდა იმართლოს მსაჯულთა წინაშე, თუ რის ხარჯზე, ან რა სახსარით ცხოვრობს იგი.

ასირიელნი ქალწულებს თავს მოუყრიან და საჯაროდ ჰყიდიან ბაზარზე. ქალწულის მყიდველს იმავე დროს პატარძალიც მოჰყავს შინ.

ბიბლოსელი[3] არასოდეს არ აიღებს გზაზე ნაპოვნ ნივთს, რადგან ეს სამარცხვინოდ მიაჩნია.

დერბიკოელნი[4] სამოცდაათ წელს გადაცილებულთ ხოცავენ: მამაკაცთ ყელს გამოსჭრიან, დედაკაცთ ჩამოახრჩობენ.

კოლხნი მიცვალებულთა ცხედრებს ტყავის ტომრებში სდებენ, გამოკერავენ და ხეებზე გამოკიდებენ.

ლიდიელთა[5] ადათ-წესით ქალი გათხოვებამდე თავისუფალია, ხოლო თუ გათხოვილი ქალი ქმარს ულალატებს, უსათუოდ სიკვდილით დაისჯება.

საბერძნეთის საუკეთესო შვილნი

11,9

სილარიბეში გაატარეს თავიანთი წუთისოფელი საბერძნეთის საუკეთესო შვილებმა. ზოგიერთნი ქებას ასხამენ სიმდიდრეს, ელინთაგან რჩეულთა ხვედრი კი სილატაკე იყო. აი, ისინიც:

არისტიდე, ძე ლისიმაქესი[6], მრავალ ომში სახელმოხვეჭილი გმირი და გადასახადთა განმწესებელი ისე მოკვდა, დასამარხი ფულიც კი არ დარჩენია.

ფოკიონიც[7] ღარიბი იყო და, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ასი ტალანტი[8] გაუგზავნა, იკითხა: რატომ მიგზავნისო? რომ უთხრეს მბრძანებელი ელინთა შორის საუკეთესო კაცად მიგიჩნევსო, ასე თქვა: ნება დამრთოს მეუფემ, ისევ ძველებურად ვიცხოვროო.

ეპამინონდეც[9], ძე პოლიმნიდესი, უპოვარი იყო. იასონმა მას ორმოცდაათი ოქრო უძღვნა, პასუხად კი მიიღო: ნუ შეურაცხმყოფო! ეპამინონდემ ორმოცდაათი ოქრო ისესხა ვიღაც მოქალაქისაგან და პელოპონესი დალაშქრა. როდესაც მან გაიგო, რომ მისმა საჭურველმტვირთველმა ტყვეს ფული წაართვა, ასე უთხრა დამნაშავეს: „დამიბრუნე ფარი, შენ კი მაგ ფულით სამიკიტნო გახსენი და დახლს მიუდექი, გამდიდრებულს აღარ დაგჭირდება ხიფათის ძებნაო.“

მეგობრები ქირდავდნენ პელოპიდეს[10], ვინც არად აგდებდა სიმდიდრეს, და უმტკიცებდნენ, ფული დიდად სასარგებლო და საჭირო რამაა ცხოვრებაშიო. ამის პასუხად კი პელოპიდე ვიღაც მაიმახზე უთითებდა და ამბობდა: „ვფიცავ ზევსს, დიდად საჭიროა, ოღონდაც მხოლოდ აი იმ ნიკომედესათვისო“.

სციპიონს[11] თავისი ცხოვრების ორმოცდათექვსმეტი წლის მანძილზე არც არა შეუძენია და არც რა გაუყიდია. მუდამ სულ მცირედს სჯერდებოდა ხოლმე. როდესაც ერთხელ მდიდრულად შემკული და მოვარაყებული ფარი უჩვენეს, მას ასე უთქვამს: რომაელ ვაჟკაცს მარჯვენის იმედი უნდა ჰქონდეს და არა მარცხენისაო.

მიუხედავად თავისი სიღატაკისა, ეფიალტე სოფონიდესმა[12] არ მიიღო მეგობრებისაგან შემოთავაზებული ათი ტალანტი და ეს განუცხადა მათ: „თუ თქვენგან ფული ავიღე, ეს მაიძულებს კანონები დავარღვიო, არადა უმადურ კაცად ჩამთვლითო.

სპარტელი დედები

12,21

სპარტელი დედები როცა შეიტყობდნენ, ჩვენი შვილები ომში დაეცნენო, მყის ბრძოლის ველს მიაშურებდნენ, რომ მათი ცხედრები მოეძებნათ. ჯერ ჭრილობებს გაუსინჯავდნენ: ვინც მკერდში იყო დაჭრილი, იმას ამაყად და ერთი ამბით გადაასვენებდნენ მამაპაპეულ სასაფლაოზე, ხოლო ზურგში დაჭრილთ მოთქმითა და ვიშით ნაჩქარევად ჩაჰფლავდნენ მიწაში სირცხვილეული დედები, ანდა უჩუმრად ჩამოიტანდნენ მათ ნეშტს მშობლიურ მხარეში.

ჰომეროსის დიდება

12,48

არა მარტო ინდოელნი მღერიან თავიანთ ენაზე ნათარგმნ ჰომეროსის პოემებს, არამედ, თუ მემატიანეთ დავუჯერებთ, სპარსეთის მეფენიც.

სოკრატე და ალკიბიადე[13]

III,28

სოკრატემ შეამჩნია, რომ ალკიბიადეს თავი მოჰქონდა დიდი ქონებითა და მამულით.

მაშინ ფილოსოფოსმა თავისი მოწაფე იმ ადგილას მიიყვანა ათენში, სადაც დედამიწის რუკა იყო გამოკიდული, და უბრძანა ატიკა მოენახა. როდესაც მოწაფემ დავალება შეასრულა, მაშინ სოკრატემ მოსთხოვა მისი კუთვნილი მამული ეჩვენებინა. ალკიბიადემ წამოიძახა: იგი რუკაზე არცაა აღნიშნულიო, სოკრატემ კი მიუგო: მაშ რაღად ამაყობ იმით, რაც დედამიწის უმცირეს ნაწილსაც არ შეადგენსო.

სოკრატეს ავადმყოფობა
2,36

მოხუცი სოკრატე დასნეულდა. როდესაც ვილაცამ ჰკითხა, როგორა ხარო, ფილოსოფოსმა უპასუხა: „დიდებულად. თუ გამოვკეთდი, მეტი მოშურნე მეყოლება, თუ სიკვდილი მეწვია, — მეტი მეგობარიო“.

სოკრატე და ფუფუნება
4,11

დიოგენე ამბობდა, არც სოკრატე გაურბოდა ფუფუნებას, თუ არადა, მაშ რაღ უნდოდა ფილოსოფოსს ან სახლ-კარი, ან თუნდაც სარეცელი და უბრალო სანდლები, ხანდახან რომ იცვამდაო?

დიოგენე და მონა მისი
13,28

დიოგენეს მხოლოდ ერთი მონა ახლდა თან, სახელად მანესი, როცა მშობლიური მხარე მიატოვა და ათენს გადასახლდა[14], ამ მონამაც მალე თავს უშველა, გაიქცა[15]. როდესაც პატრონს გული გაუწყალეს გამუდმებული ჩიჩინით, მოეძებნა გაქცეული მონა, მან ასე უპასუხა: განა სამარცხვინო არ არის, დიოგენე ეძიებდეს მანესს და არა მანესი დიოგენეს?![16] განგებამ მალე დასაჯა გაქცეული მონა: დელფოსს[17] ჩახეტებული მანესი ძაღლებმა დაგლიჯეს.

დიოგენე და მისი ავისმდომი
10,11

დიოგენეს მხარი სტკიოდა, არ ვიცი, ჭრილობა იყო ამის მიზეზი თუ სხვა რამ. ერთხელ როდესაც ტკივილმა უმატა, ვილაც ავისმდომმა უთხრა დაცინვით: რატომ არ მოკვდები, დიოგენე, რათა მაგ ტანჯვა-წვალებას განერიდოო? დიოგენემ კი უპასუხა: თუ კაცმა უწყის, რა თქვას და რა აკეთოს, იგი ღირსია სიცოცხლისა. შენ კი, ვისაც არა გაგეგება რა ამა ქვეყნისა, სწორედ რომ სიკვდილი გეკუთვნის, ხოლო მე სიცოცხლე, რამეთუ ვიცი, რა ვთქვა და რა ვაკეთოო.

ჩვილი პლატონი
10,22

ჩვილი პლატონი თან წარიტანა დედამ — პერიკტიონემ ჰიმეტის მთაზე[18], სადაც მისი მეუღლე არისტონი მუზებს მსხვერპლს სწირავდა. ყველანი ღვთისმსახურებით იყვნენ გართულნი, ჩვილ პლატონს კი, იქვე მახლობლად მირტის ხშირ ბუჩქებში მძინარეს, ტუჩპირზე ფუტკრები დახვეოდნენ, თითქოს წინასწარ უწყოდნენ და ეწაფებოდნენ მისი მომავალი მჭევრმეტყველების სიტყვის ნექტარს.

აკრაგანტის მცხოვრებნი[19]
12,29

პლატონი აკრაგანტელებისას ჰკვირობდა, მდიდრულ სახლებს რომ იშენებდნენ და დიდებულ ნადიმებს მართავდნენ. აკრაგანტელები, — ამბობდა პლატონი, — ისეთ სრა-სასახლეებს იშენებენ, თითქოს სამუდამოდ აპირებენ ცხოვრებას და ისე ქეიფობენ, თითქოს ერთი დღის სიცოცხლე დარჩენიათო.

ტიმეოსის[20] ცნობით, აკრაგანტელებს ვერცხლის სასაკმევლეები და სავარცხლები აქვთ, სარეცლები კი მთლიანად სპილოს ძვლისა.

პლატონი და პოეზია
2,30

პლატონი, ძე არისტონისა, ახალგაზრდობაში პოეზიას ეტრფოდა და ჰეროიკულ პოემებს წერდა, შემდგომ კი დაუნდობლად ცეცხლს მისცა ისინი, რაღაი დარწმუნდა, ჰომეროსის ქმნილებებთან შედარებით რაოდენ უსუსური იყო მისი პოემები. მერმე ტრაგედიაშიც სცადა ბედი, ტეტრალოგია დაწერა, პაექრობაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა და გადასცა კიდევაც თხზულება მსახიობთ. მაგრამ ვიდრე დიონისობა[21] მოაწევდა, სოკრატეს მოუსმინა შემთხვევით და მისმა სიბრძნემ მოა-

ჯადოვა. ამის შემდეგ პლატონმა უარი თქვა ტრაგედიების წერაზეც და მთელი სიცოცხლე ფილოსოფიას მიუძღვნა.

პლატონი

4,9

პლატონი ოლიმპიაში[22] ცხოვრობდა, მაგრამ არავინ იცოდა, რომ იგი დიდი ფილოსოფოსი პლატონი იყო. ამ ხნის განმავლობაში მან თავაზიანობით, სათნო ხასიათითა და უბრალოებით ყველა მოხიბლა, ასე რომ მისი გაცნობა ყველას ფრიად სიამოვნებდა. სჯა-ბაასის დროს ფილოსოფოსი კრინტს არ სძრავდა არც აკადემიასა და არც სოკრატეზე, მხოლოდ თანამოსაუბრეთ უბრალოდ ეტყოდა, პლატონს მეძახიანო. შემდგომ ოლიმპიელნი ათენს ეწვივნენ და პლატონმა ისინი ფრიად სტუმართმოყვარედ მიიღო. ჩამოსულებმა უთხრეს მასპინძელს: აბა, პლატონ, წაგვიყვანე შენს სეხნიასთან — სოკრატეს მოწაფესთან, რომ იმ განსწავლულ კაცს მოვუსმინოთ, თან აკადემიაც გვაჩვენეო. პლატონმა ჩვეულებისამებრ ოდნავ გაიღიმა და თქვა: ის პლატონი ხომ მე გახლავართო. ყველანი სახტად დარჩნენ, მაშინღა მიხვდნენ, თუ ვინ იყო მათი ადრინდელი სტუმარი. პლატონი ხომ მსმენელთ არა მარტო სიბრძნით იზიდავდა, არამედ უშუალობითა და უბრალოებითაც.

პლატონი არისტოტელეს „პოლოსს“[23] ეძახდა მეტსახელად. რატომ უწოდა ეს სახელი? ალბათ იმიტომ, რომ, როგორც კვიცი დედის რძით გაძღება და მერმე მასვე დაუწყებს რჩოლას, ასევე უმადურად მოექცა არისტოტელეც თავის მასწავლებელს. დიდი საუნჯენი სიბრძნისა და ცოდნისა მიიღო მან პლატონისგან, მერე თავი აიშვა, მასწავლებელს მტრად ექცა, საკუთარი სკოლა გახსნა და იქ, მოძღვრის მტრადქცეული მაგინებელი, ბოლთასა სცემდა მოწაფეთა და თანამოაზრეთა თანხლებით.

ესქილე და მსაჯულნი[24]

V,19

ათენელებმა ტრაგიკოს ესქილეს ბრალი დასდეს, უწმინდური დრამა დაწერაო, და ქვით ჩაქოლვა გადაუწყვიტეს. ამ დროს ესქილეს უმცროსმა ძმამ ამინიასმა მოსასხამი გადაიძრო და ხელწაკვეთილი მხარი გამოაჩინა; იგი მამაცურად იბრძოდა სალამინთან[25], მკლავი დაკარგა და ათენელთაგან პირველს მიენიჭა გმირის სახელი.

ამ ამბავმა მსაჯულთა კრებას ესქილეს საგმირო საქმეები მოაგონა და დანაშაული აპატია.

მედეას ამბავი

V,21

ზოგიერთ თხზულებათა გადმოცემით, მედეას ამბები სულ გამონაგონია, თითქოს მას კი არ დაუხოცავს თავისი შვილები, არამედ ქალაქ კორინთოს მცხოვრებლებმა დახოცესო. ამ კორინთელებისვე თხოვნით შეთხზა ევრიპიდემ მითი კოლხეთზე — ტრაგედია „მედეა“, სადაც ისეთი პოეტური ოსტატობის მწვერვალს მიაღწია, რომ ლეგენდამ დაჯაბნა სინამდვილეო. როგორც ამბობენ კორინთოს მკვიდრნი ახლაც სწირავენ მსხვერპლს უდანაშაულოდ დახოცილ ბავშვების საფლავზე.

ექიმი მენეკრატე

XII,51

ექიმი მენეკრატე ისე გაამაყდა, თავი ზევსად წარმოიდგინა და მაკედონიის მეფე ფილიპეს[26] ასეთი წერილი გაუგზავნა: „ფილიპეს ბედნიერებას უსურვებს მენეკრატე-ზევსი.“ პასუხად მეფისაგან მიიღო: „ფილიპე ჯანმრთელობას უსურვებს მენეკრატეს და ურჩევს, ანტიკირაში[27] გაემგზავროს იგი.“ ამით მეფე ქარაგმულად მიანიშნებდა მენეკრატეს, სრულ ჭკუაზე არა ხარო.

ერთხელ ფილიპემ დიდი ნადიმი გამართა და მენეკრატე მიიწვია. მისთვის ცალკე ტახტრევანის დადგმა ბრძანა სახაკმევლით. სტუმრებს დიდებული სასმელ-საჭმელით გაუმასპინძლდნენ, მენეკრატეს კი, სიხარულით აღვსილსა და ტახტზე ამაყად მჯდარს, მხოლოდ გუნდრუკი უკმიეს. მცირეოდენი ხანი რომ გამოხდა, „ზევსს“ მოშივდა, რამაც გამოამჟღავნა, რომ იგი ადამიანი იყო და თანაც ბრიყვი. მაშინ მენეკრატე წამოდგა და შეურაცხყოფილი ლანძღვით განშორდა იქაურობას. ასე ჭკვიანურად და ოსტატურად დაანახვა მეფე ფილიპემ ყველას მისი სისულელე.

ქსენოფონტე და მისი ვაჟიშვილის სიკვდილის ამბავი

3,3

ქსენოფონტე საკურთხეველთან იდგა და მსხვერპლსა სწირავდა, როდესაც მაცნე მო-

ვიდა მანტინეადან და მისი ვაჟის, გრილოსის სიკვდილის ამბავი მოიტანა[28], ქსენოფონტემ გვირგვინი მოიხადა მხოლოდ და კვლავ განაგრძო ღვთისმსახურება. როცა ამბის მოტანმა დაუმატა, შენი ვაჟი გამარჯვების შემდეგ დაეცაო ბრძოლის ველზე, მამამ კვლავ დაიდგა გვირგვინი. ეს ამბავი საყოველთაოდაა ცნობილი და ბევრსა სმენია კიდევაც.

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ
12,39

ალექსანდრე მაკედონელის სარდალმა პერდიკამ არ იცოდა, შიში რა იყო. ერთხელ იგი ლომის ბუნაგში შევიდა (ძუ ლომი ამ დროს იქ არ იყო) და ბოკვერები გამოიყვანა. ამის მხილველნი აღტაცებულნი დარჩნენ. ელინთა, ასევე ბარბაროსთა[29] აზრით ძუ ლომი ხომ ყველაზე ძლიერი და საშიში ცხოველია. როგორც გადმოგვცემენ, ასირიის დედოფალ სემირამიდას ხვად ლომთან თუ ვეფხვთან შებმა არად მიაჩნდა, მისთვის დიდი გმირობა მხოლოდ ძუ ლომის ძლევა იყო.

ᲫᲔᲣᲫᲡᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ
4,12

ძეუქსის ჰერაკლიოტელს[30] დიდი სიმდიდრე მოუტანა მისმა სურათმა „ელენემ“[31]. მხატვარმა მნახველთ გადასახადი დაუწესა. ჰოდა, რადგანაც უფულოდ არვის შეეძლო „ელენეს“ ხილვით დამტკბარიყო, ბერძნებმა მის სურათს „ჰეტერა[32] ელენე“ შეარქვეს.

ᲙᲐᲢᲘᲕᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲙᲐᲠᲗᲐᲒᲔᲜᲔᲚᲘ
14,30

კართაგენელმა პანონმა[33] ამპარტავნულად უარყო ამქვეყნიური წარმომავლობა და გადაწყვიტა ხმა დაეგდო, ღვთიური წარმოშობისა ვარო. ამისათვის უამრავი მგალობელი ფრინველი შეიძინა, ფრინველები სიბნელეში ჰყავდა და სულ სამად სამ სიტყვას ჩასჩიჩინებდა ნიადაგ: „ღმერთი არს პანონი“. წყვდიადში გამომწყვდეულ ფრინველებს მხოლოდ ეს სიტყვები ჩაესმოდათ, ამიტომაც მალე გაიწვრთნენ და პატრონმაც აღისრულა გულისნადები. ბოლოს პანონმა გაათავისუფლა ფრინველები. მათ ძველებურად განაგრძეს სტვენა და ჭიკჭიკი, მაგრამ არც ძველი პატრონი გახსენებიათ და არც ტყვეობაში ნასწავლი სიტყვები.

ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲔᲢᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲑᲝ
14,8

პოლიკლეტოსმა[34] ორი ერნთაირი ქანდაკება გააკეთა: ერთი ბრბოს გულის მოსაგებად და მისი გემოვნების მიხედვით, მეორე ხელოვნების კანონების დაცვით. პირველ ქანდაკებას მრავალთა რჩევისა და შესწორებების მიხედვით ძერწავდა. ბოლოს ორივე ქანდაკება მზად იყო. ერთმა საერთო აღტაცება გამოიწვია, მეორე სასაცილოდ აიგდეს. ქანდაკება, თქვენ რომ დასცინით და ქირდავთ, თქვენი შემოქმედებაა, ხოლო ის, თქვენ რომ მოგწონთ — მე შევქმენიო, — უთხრა მათ პოლიკლეტოსმა.

ᲤᲝᲙᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲐᲓᲔ
14,10

სტრატეგოსის[35] არჩევნებისას ათენელებმა დემადე[36] ამჯობინეს ფოკიონს[37]. ამით დიდად გაამაყებული დემადე დამარცხებულს ეახლა და უთხრა: მათხოვე შენი ჭუჭყიანი ქლამიდა[38], სტრატეგოსობის ყამს რომ ატარებდიო. არად გჭირდება, — მიუგო ფოკიონმა, — საკუთარი სიბინძურეც გეყოფაო.

ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲢᲠᲐᲒᲐᲡᲣᲚᲘ
14,36

სასაცილოა ის, ვისაც მამის ან შორეული წინაპრის სახელოვნებით მოაქვს თავი. არვინ იცის, თუ ვინ იყო მამა მარიოსისა[39], მაგრამ მისი ქველი საქმენი გვანცვიფრებს. ასევე არავინ იცნობს კატონის[40], ჰოსტილიუსისა[41] და რომულუსის[42] წინაპართ.

ᲐᲠᲘᲡᲢᲘᲞᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ
14,6

ადამიანები, — დაჟინებით ქადაგებდა არისტიპოსი[43], — გულისტკივილით არ უნდა იგონებდნენ წარსულს, არც მომავლის ფიქრში უნდა იყვნენ გართულნი, თუ არადა სულიერ

სიმშვიდეს განეყრებიან. მხოლოდ აწმყოა საზრუნავი, საფიქრებელი, განსაკუთრებით კი ის ჟამი დღისა, როცა ყოველი კაცი რაღაც საქმეს უღგას და რაღაცაზე ფიქრობსო. ადამიანს, — განაგრძობდა არისტიპოსი, — მხოლოდ აწმყო ეკუთვნის, არც წარსული და არც მომავალი: რაც იყო — იყო, მომავალში კი რა იქნება, არავინ უწყისო.

შენიშვნები

[1] ლევკანელნი — ლევკანიის, ანუ ლუკანიის მკვიდრნი (ლევკანია — იტალიის სამხრეთი ნაწილი ვიდრე კუნძულ სიცილიამდე).

[2] ილირიის დარდანელები მაკედონიის დასავლეთით ცხოვრობდნენ და თანამედროვე ალბანეთის ტერიტორიის ნაწილი ეკავათ.

[3] ბიბლოსელი — უძველესი ქვეყნის — ფინიკიის ქალაქ ბიბლოსის მკვიდრი.

[4] დერბიკოელნი — კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ.

[5] ლიდიელნი — მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე იონიის ზღვასთან მდებარე ქვეყნის — ლიდიის მკვიდრნი.

[6] არისტიდე, ძე ლისიმაქესი (540—468 წწ. ძვ. წელთაღ.) — ათენის პოლიტიკური მოღვაწე, მარათონის ომის გმირი, მეტსახელად „სამართლიანი“.

[7] ფოკიონი (სიკვდილით დასაჯეს 318 წ. ძვ. წელთაღ.) — ათენელი სტრატეგოსი და პოლიტიკოსი, პლატონის ნამოწაფარი. უკვე ღრმად მოხუცმა სოკრატეს ბედი გაიზიარა საპატიმროში.

[8] ტალანტი — დაახლოებით 1 500 მან. ოქროთი.

[9] ეპამინონდე (418—362 წწ. ძვ. წელთაღ.) — თებელი პოლიტიკოსი და მხედართუფროსი, უმამაცესი მეომარი, ფუფუნებისა და განცხრომის მტერი.

[10] პელოპიდე (IV საუკ. ძვ. წელთაღ.) — თებეს პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, მაკედონიის სამეფოს მტერი. მიუხედავად წარჩინებული წარმომავლობისა, არად აგდებდა სიმდიდრესა და განცხრომას.

[11] სციპიონ აფრიკელი უმცროსი (185—129 წწ. ძვ. წელთაღ.) — რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, კორნელიუსთა წარჩინებულ საგვარეულოდან; დიდი ორატორი და უგანათლებულესი ადამიანი, კართაგენის დამანგრეველი.

[12] ეფიალტე სოფონიდესი (მოკლეს 457 წელს ძვ. წელთაღ.) — ათენის მოღვაწე, პერიკლეს მომხრე, დემოკრატიის დამცველი და უსპეტაკესი პოლიტიკოსი.

[13] ალკიბიადე (450—404 წწ. ძვ. წელთაღ.) — გამოჩენილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე, საბერძნეთის უმდიდრესი და ულამაზესი კაცი, უპრინციპო პოლიტიკოსი, სოკრატეს ნამოწაფარი.

[14] დიოგენე წარმოშობით შავიზღვისპირეთის ქალაქ სინოპიდან (პაფლაგონია) იყო. მამამისს ყალბი ფულის მოჭრა დააბრალეს და ორივენი იძულებულნი იყვნენ გასცლოდნენ მშობლიურ ქალაქს.

[15] ელიანე დიოგენეს აუტანელ ხასიათს უნდა გულისხმობდეს.

[16] აქ სიტყვების თამაშიცაა: ბერძნულად „დიოგენე“ ზევსის შთამომავალს, ღვთაებრივსა ნიშნავს.

[17] დელფოსი — ქალაქი ფოკიდაში (შუა საბერძნეთი).

[18] ჰიმეტის მთა მდებარეობს ატიკაში, ათენის მახლობლად. იგი განთქმულია მარმარილოთი და თაფლით.

[19] აკრაგანტი — უმდიდრესი სავაჭრო ქალაქი სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე, ბერძენ კოლონისტთა დიდი სამოსახლო ანტიკურ ხანაში.

[20] ტიმეოსი (352—256 წწ. ძვ. წელთაღ.) — ბერძენი ისტორიკოსი სიცილიიდან, ამ კუნძულის მემატიანე.

[21] დიონისობა — ღვინისა და მევენახეობის, სახალხო გართობათა და მოგვიანებით თეატრალურ წარმოდგენათა მფარველი ღვთაების დიონისეს დიდი დღესასწაული წელიწადში ოთხჯერ

იმართებოდა ათენში. ამ დროს მსახიობნი და ტრაგიკოსი პოეტები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობაში. კონკურსში მონაწილე პოეტს მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებული სამი ტრაგედია და ერთი დრამა უნდა წარმოედგინა.

[22] ოლიმპია — ქალაქი სამხრეთ საბერძნეთში (პელოპონესი).

[23] „პოლოს“ — კვიცი. (ბერძნ).

[24] ესქილე (526—456 წწ. ძვ. წელთაღ.) — დიდი ბერძენი დრამატურგი, უკვდავი „სპარსელების“, „ორესტეას“ და „მიჯაჭვული პრომეთეს“ ავტორი. იგი ითვლება ტრაგედიის მამამთავრად.

[25] სალამინი — კუნძული ატიკაში, ამ კუნძულის მახლობლად 480 წელს. ძვ. წელთაღ. ბერძნებმა სასტიკად დაამარცხეს სპარსელები.

[26] ფილიპე II (379—336 წწ. ძვ. წელთაღ.) — მაკედონიის მეფე, ალექსანდრე მაკედონელის მამა. მენეკრატე მისი პირადი ექიმი იყო.

[27] ანტიკირა — ქალაქი ფოკიდაში (შუა საბერძნეთი), სადაც ერთგვარი ბალახით გიჟებს მკურნალობდნენ.

[28] არკადიის ქალაქ მანტინეასთან 362 წ. ძვ. წელთაღ. მოხდა დიდი ბრძოლა სპარტელებსა და თებელთა შორის. გამარჯვება თებელებს დარჩათ, ოღონდაც დიდი მსხვერპლის ფასად. დიდი ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს (430—355 წწ. ძვ. წელთაღ.) უფროსი შვილის გარდა სასიკვდილოდ დაიჭრა თებელთა მთავარსარდალი ეპამინონდეც.

[29] ბარბაროსნი, ე. ი. ყველა არაბერძენნი.

[30] ძეუქსის ჰერაკლიოტელი (ძვ. წელთაღ. V ს. მეორე ნახევარი) — დიდი ბერძენი მხატვარი.

[31] ელენე, ანუ „მშვენიერი ელენე“.

[32] ჰეტერა — მეძავი ქალი ძველ საბერძნეთში.

[33] ჰანონი — VI-V საუკუნეების (ძვ. წელთაღ.) კართაგენელი გეოგრაფოსი და მოგზაური, მრავალ პუნიკურ კოლონიათა დამაარსებელი. ელიანე შეიძლება ჰანონ დიდს, III საუკუნის (ძვ. წელთაღ.) კართაგენელ სარდალს გულისხმობდეს.

[34] პოლიკლეტოსი (ძვ. წელთაღ. V ს.) — სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკე.

[35] სტრატეგოსი — სარდალი.

[36] დემადე (სიკვდილით დასაჯეს 318 წ. ძვ. წელთაღ.) ათენელი პოლიტიკოსი, ბრწყინვალე ორატორი, მაგრამ უპრინციპო, გაქნილი და ქრთამის მოყვარული, დემოსთენეს მტერი და მაკედონელთა გაბატონების მომხრე.

[37] ფოკიონი — ათენელი პოლიტიკოსი. იგი სადა, უბრალო ცხოვრებას არჩევდა.

[38] ქლამიდა — სარდლის მოსასხამი, მანტია.

[39] მარიოსი (156—86 წწ. ძვ. წელთაღ.) — სახელოვანი რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, წარმოშობით დაბალი წრიდან. იგი შვიდჯერ იყო არჩეული კონსულად.

[40] კატონი მარკუს პორციუს უფროსი (234—149 წწ. ძვ. წელთაღ.) — გამოჩენილი რომაელი პოლიტიკოსი, სარდალი და მწერალი.

[41] ჰოსტილიუს ტულუსი (672—640 წწ. ძვ. წელთაღ.) რომის რიგით მესამე მეფე, დიდი მეომარი.

[42] რომულუსი — რომის დამაარსებელი და მისი პირველი მეფე.

[43] არისტიპოსი — ძვ. წელთაღ. IV საუკუნის ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, ჰედონისტთა სკოლის დამაარსებელი.

□

სარვაპალი რადჰაკრიშნანი

ბჰაგავატგიტა

ბჰაგავატგიტა მაჰამბაჰარატას მეექვსე წიგნის — ბჰიშმაპარვას ნაწილია, იგი მთელი სანსკრიტული ლიტერატურის ყველაზე პოპულარული პოემაა. ჰუმბლოდტი ამბობდა: ჩვენთვის ცნობილ ენებზე დაწერილი პოემებიდან გიტა უმშვენიერესი და შესაძლოა, ერთადერთი ჭეშმარიტად ფილოსოფიური პოეტური ნაწარმოები იყოსო. ამ თხზულებაში გადაწყვეტილია ფილოსოფიური, რელიგიური და ეთიკური პრობლემები. გიტა განიხილება არა როგორც შ რ უ ტ ი (წმინდა წერილი), არამედ როგორც ს მ რ ი ტ ი (თქმულებად ქცეული). მაგრამ თუკი ვიმსჯელებთ წიგნის მნიშვნელობაზე იმ გავლენის მიხედვით, რასაც იგი ახდენს ადამიანთა გონებაზე, — გიტა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ინდური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ამ წიგნში გაცხადებული აზრი მეტად უბრალოა. აკი მხოლოდ მდიდარს შეუძლია მოიხვეჭოს ღმერთების წყალობა მსხვერპლის შეწირვით და მხოლოდ განათლებულ კაცს შეუძლია მისდიოს ცოდნის გზას, გიტა კი ყველასათვის ხელმისაწვდომ მეთოდს გვთავაზობს: ეს არის ბჰა ქტი — ღვთაებისადმი ერთგულება. პოეტისათვის თვით კაცთა შორის ზეგარდმოსული ღმერთია მოძღვარი. არჯუნა სიმბოლოა საერთოდ ადამიანისა, რომელიც თავისი ცხოვრების უმძიმეს კრიზისს განიცდის და რომელსაც მიმართავს ეს მოძღვარი. არჯუნა თავისი საქმის სამართლიანობაში დარწმუნებული გამოდის ბრძოლის ველზე და მზად არის შეერკინოს მტერს. და აქ დგება ისეთი ფსიქოლოგიური მომენტი, როცა მას ძალა აღარ ჰყოფნის თავისი მოვალეობის აღსასრულებლად. არჯუნას სინდისი ჰქენჯნის. მას გული ეფლითება ტკივილისაგან, მისი სული ემსგავსება „პატარა ამბოხებულ სამეფოს“. უკეთუ კაცის კვლა ცოდვაა, მაშინ უმეტესი ცოდვა იმათი მოკვლაა, ვისაც ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ და გვიყვარდეს. არჯუნა წარმოადგენს პიროვნებას, რომელიც შინაგან ბრძოლას განიცდის,

პიროვნებას, რომელიც გრძნობს მსოფლიოს იდუმალებასა და კირთებას. მისი სულიერი სამყარო ჯერ არ ქცეულა იმ ცენტრად, რის მეოხებითაც მან უნდა შესძლოს საკუთარ ვნებათა და სურვილთა არარეალურობის არა მარტო შეცნობა, არამედ პირისპირ მდგარი სამყაროს ჭეშმარიტი არსის წვდომაც. არჯუნას სასოწარკვეთილება გულაცრუებული კაცის წარმავალი განწყობილება კი არ არის, არამედ რაღაცნაირი, გულისკვდომის მსგავსი სიცარიელის გრძნობაა, რასაც საგანთა არარეალურობის შეგრძნობა ჰბადებს. არჯუნა მზად არის, თუკი აუცილებელია, გასწიროს საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცის სწორი გზის არჩევა. იგი საშინელი ცთუნების წინაშე დგას და საშინელ გულისწუხილშია. მისი სულის კივილი უბრალოა, მაგრამ იგი გვაძრწუნებს. იგი გვამცნობს ადამიანურ ტრაგედიას, გასაგებს ყველასათვის, ვისაც წუთიერი დრამის მიღმა ადამიანის მთელი ცხოვრების ტრაგედიის დანახვის უნარი შესწევს. გიტას პირველ ნაწილში ნაჩვენებ არჯუნას სასოწარკვეთილებას მისტიკოსები უწოდებენ „სულის ბნელ ღამეს“, — წინსვლის გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. წვდომისა და თვალის ახელის შემდგომი საფეხურები დიალოგის მსვლელობაში ხდება საცნაური. მომდევნო ნაწილი შეიცავს ფილოსოფიურ ანალიზს. ადამიანისთვის უმთავრესი და არსებითი სხეული და შეგრძნება კი არ არის, არამედ უცვალებელი სული — ა ტ მ ა ნ ი. და აი, არჯუნას ფიქრი ახალი გეზით მიემართება. ამიერიდან კურუქშეტრის ბრძოლის ველი სულის ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო კაურავები სულის განვითარების დამაბრკოლებელი მტრები არიან. არჯუნა, რომელიც არ ნებდება ცთუნებებს და იოკებს გულისთქმას, — კაცური სასუფევლის მოხვეჭას ცდილობს. აქ წინსვლის გზა — ტანჯვისა და თავის დათრგუნვის გზაა. არჯუნა ცდილობს რაიმე მოიმიზეზოს და გაექცეს მკაცრ განსაცდელს, ამისათვის კი ათასნაირ თავის გასამართლებელ მოსაზრებას იგონებს. ღმერთი კრიშნას პირით გულისგამსჭვალავ სიტყვას ეტყვის არჯუნას, ჭმუნვისაგან რომ იხსნას იგი. პირველი თავი გვიჩვენებს ადამიანის გულის ღრმა წვდომას, მასში აღძრულ ნდომათა ჭიდილს, ეგოიზმის ძალასა და ეშმას ვერაგულ ჩურჩულს. დიალოგის შემდგომ მსვლელობაში ყველა დრამატული ელემენტი ჰქრება, ბრძოლის ხმა ყრუვდება და ველზე მარტო რჩებიან ერთმანეთთან მოსაუბრე ღმერთი და კაცი. საომარი ეტლი განდეგილის სენაკად იქცევა და ომის ასპარეზის ეს მშვიდი კუთხე, სადაც მიყუჩებულია ღრიანცელი და ქვეყნიური გნიასი, უზენაეს არსებაზე გონის დაუნჯების ადგილი ხდება.

ეს მოძღვარი ინდოეთის ყველაზე პოპულარული ღმერთკაცია, სიყვარულისა და სილამაზის ღვთაება, მისი თაყვანისმცემლები ტახტზე მჯდომარესა და ყვავილთა ფურცლებით თავშემკულს რომ გამოსახავენ. ისინი ღმერთის ამ ხატს უკავშირებენ ყველაფერს, რაც კი ლამაზი და სიცოცხლით მორჭმულია ამქვეყნად. თავის წარმოსახვაში პოეტი ცხადად გვიხატავს, როგორც უნდა ლაპარაკობდეს კაცებრივით შემოსილი ღმერთი. პოეტი ღვთაება კრიშნას თავის თავზე, როგორც ბრაჰმანზე მოლაპარაკეს წარმოგვიდგენს და ეს მომენტი დასტურდება ვედანტა-სუტრებში. ვედური ნაწყვეტი, სადაც ღმერთი ინდრა თავს ბრაჰმანად აცხადებს, იმ ვარაუდის საფუძველზეა ახსნილი, რომ ინდრა გამოთქვამს მხოლოდ ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას ადამიანის გულში დავანებული ატმანისა და უზენაესი ბრაჰმანის იგივეობის შესახებ. როცა

ინდრა ამბობს: „თაყვანი მეცი მე“, ეს ნიშნავს: „თაყვანი ეცი ჩემში უფალს, რომელსაც მე ვცემ თაყვანს“. ამგვარადვეა ახსნილი ვამადევას განცხადება, რომ ის ერთდროულად არის მანუ და სურია. გარდა ამისა, გიტა გვასწავლის, რომ გულისთქმისა და შიშისაგან თავისუფალი, ჭეშმარიტი ცოდნის ყოვლისგამწმენდელ ცეცხლში გამობრძმედილი პიროვნება ღმერთს შეერთვის; გიტას მიხედვით კრიშნა დაუსაბამოში დასაბამიერის სიმბოლოა, გრძნობების გარსით მოგარსული კაცებრივით ხორცშემოსილი ღმერთია.

გიტა პრობლემების ყოვლისმომცველი ნაწარმოებია. იგი ფართოდ გავრცელებული ინდუიზმის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს. გიტას ავტორი ღრმა კულტურის კაცია, იგი აზროვნების სიღრმით უფროა გამოსარჩევი, ვიდრე გონების კრიტიკული წყობით. იგი არ ქადაგებს რომელიმე ახალ რწმენაზე მოქცევას, არ ემხრობა სექტას, არ აარსებს რაიმე სკოლას, პირიქით, მისი წიგნი „ყველა ქარებისთვის განხმულია“. ავტორი ღმერთის თაყვანისცემის ყოველგვარ ფორმას იზიარებს და სწორედ ამიტომ კარგად გადმოგვცემს ინდუიზმის სულს, რომლისთვისაც უცხოა კულტურათა განკერძოებულ ნაწილებად დაყოფა და ამავე დროს იგი არ უარყოფს აზროვნებისა და მოქმედების სხვა ფორმებსაც. გიტაში გვატყვევებს არა მარტო აზრის ძალა და სახეთა დიდებულება, არამედ ღმერთისადმი ჭეშმარიტი ერთგულების პათოსი და რელიგიურ განცდათა სიცინცხალე. თუმცა გიტა სულიერი კეთილმოსაობის მიზნებს ემსახურება და გმობს სასტიკ მოქმედებას, კრიტიკული ელემენტის სისუსტის გამო იგი არ ებრძვის ღვთისმოსაობის ცრუ ფორმებს.

გიტას კილო საკმაოდ კატეგორიულია და ავტორის მხრივ შეცდომის დაშვების შესაძლებლობას გამორიცხავს. ავტორი ჭეშმარიტებას ისეთნაირად წარმოსახავს, როგორადაც ჭვრეტს, ხოლო ჭეშმარიტებას იგი ჭვრეტს მთელი სისავსითა და მრავალწახნაგოვნებით და სწამს მისი მხსნელი ძალა.

გიტაში ჩვენ წინაშე დგას ცოდნით შთაგონებული გრძნობების დიდი ძალითა და ენთუზიაზმით მოუბარი ბრძენმოძღვარი, და არა რომელიმე სკოლის განსწავლული ფილოსოფოსი, რომელიც თავის სააზროვნო მასალას დადგენილი მეთოდის შესაბამისად აწვლილებს, ხოლო თავისი დოქტრინების უკანასკნელ საფეხურებამდე სისტემატიზირებული იდეების მეშვეობით მიდის (გარბე). გიტა ნახევრად ფილოსოფიური სისტემაა და ნახევრად პოეტური შთაგონების ნაყოფი. იგი უპანიშადებისაგან განსხვავებით ბევრ ფიქრს არ გვაიძულებს, რამდენადაც მასში სიცოცხლის პრობლემა წინდაწინვე ინტელექტუალური გზითაა გადაჭრილი. ეს მოძღვრება განკუთვნილია იმისათვის, რომ ემსახუროს ადამიანს ცხოვრების მძიმე წუთებში, როცა სინდისი აღბორგებული და გონება შეშფოთებულია.

გიტას მოძღვრების ძირითადი აზრი იგივეა, რაც უპანიშადებისა, მაგრამ მასში უფრო მეტად არის აქცენტირებული რელიგიური მხარე; სულის მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეიძლება უპანიშადების მჭლე აბსტრაქციებით. სიცოცხლის ამოხსნის სხვა ცდები უფრო თეისტური ხასიათისაა. გიტას ავტორს მიაჩნია, რომ ადამიანის ბუნება მიდრეკილებას არ ამჟღავნებს ლოგიკური კონსტრუქციებისადმი, ამიტომ იგი ეყრდნობა რა უპანიშადებს, იღებს მისგან რელიგიურ საფუძველს და მას ხალხური მითოლოგიისა და ფანტაზიის მეოხებით ცოცხალ სისტემად აქცევს.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა

□

მურმან ჯგუბურია

„ვარ გულმაგარი, მეგულები რადგანაც გვერდით“...

ქართულ მთარგმნელობით კულტურაზე რომ ვთქვათ რაიმე, მარტოოდენ „ვისრამიანის“ გახსენებაც იკმარებდა ალბათ. მაგრამ ჩვენი დღევანდელი მთარგმნელობითი მოღვაწეობა, მიუხედავად ფართო დიაპაზონისა და გაქანებისა, ყველასთვის ცხადია, რომ მსგავსი ნიმუშით ვერ დაიკვეხნის, — გაიზარდა ჩვენეული გულისყური, ყურადღებით ვეკიდებით მსოფლიოს უახლეს მოვლენებს, ვთარგმნით და ვთარგმნით უამრავ წიგნს, პროზასა და პოეზიას, და მაინც, თუკი დაუფარავად ვიტყვით, ამგვარი მოღვაწეობა უმთავრესად ინფორმაციული ხასიათისაა; ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არსებობს გერმანელი მწერალი თომას მანი და გარკვეული წარმოდგენა რომ ჰქონდეს ქართველ მკითხველს ამ მწერალზე, დღეისათვის თარგმნილი გვაქვს მისი მოთხრობების კრებული და ერთი მისი რომანი. ქართველმა მკითხველმა (მე ვგულისხმობ იმ ქართველ მკითხველს, ვინაც მხოლოდ ქართულ ენაზე ეცნობა ლიტერატურას) მიიღო ეგრეთწოდებული ინფორმაცია, — მან გაიცნო კიდევ ერთი ახალი მწერალი და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამგვარად გაცნობილი რომელიმე მწერლის ავკარგიანობაზეც კი ჩამოაგდებს სიტყვას. და განა მარტო ჩვენ, ამგვარ მდგომარეობაშია მეტნაკლებად ბევრი თანამედროვე მკითხველი, მიუხედავად მისი ეროვნებისა და ენისა, და რაოდენი მადლიერების ღირსნი არიან ამ დროს ისეთი მთარგმნელები, გაწინასწარებული რომ აქვთ ამგვარი ვითარება, — ბურჯად უდგანან მშობლიურ კულტურას და გამუდმებული წვით და დაგვით ცდილობენ შეავსონ და გაასრულონ ის ცარიელი ადგილები, ჩვენი ერის კულტურულ საგანძურს რომ მოჰყვა აქამომდე, სხვებმა რომ უკვე გაასრულეს და ჩვენ მხოლოდ ამჟამად ვეკიდებით; — უმთავრესი დამსახურება ამ მოღვაწეებისა იმაში გამოიხატება, რომ მათ მიერ შესრულებული საქმე კრებითია და მთლიანი, ამომწურავი პასუხის გამცემი ლიტერატურის ამა თუ იმ მონაკვეთზე, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე. თანამედროვე მთარგმნელებისათვის ამგვარი მაგალითის მიმცემი იყო დიდი ივანე მაჩაბლის მოღვაწეობა. ის დიდი სკოლა აქვს გავლილი, მაგალითად, ნიჭიერ მთარგმნელსა და მოღვაწეს ბაჩანა ბრეგვაძეს, ვინაც აგერ

ორი ათეული წელია თავს დაჰფუსფუსებს დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ქმნილებებს. სასიამოვნოა, რომ სწორედ ამ მხრივ გვაძლევს სალაპარაკოს ჩვენ მიერ წაკითხული წიგნიც. ესაა მუხრან მაჭავარიანის მიერ შესრულებული ხუთასამდე გვერდის მომცველი კრებულის „თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია“.

მ. მაჭავარიანი, როგორც ქართველმა მკითხველმა იცის, არცთუ ისე ხშირად გვანებივრებს ჩვენ, ხელმომჭირნეობით აქვეყნებს ლექსებს, თუ შეიძლება ითქვას, ცოტას წერს, ცოტას ბეჭდავს. ასე ვფიქრობდი მეც, და ასე ფიქრობდა ალბათ ბევრი ჩვენთაგანი, მაგრამ ხსენებულმა თარგმანების კრებულმა გაჰფანტა ეჭვი. მ. მაჭავარიანი თურმე ქმნიდა, მუშაობდა და თანაც როგორი ძალ-ღონით; როგორი სიუხვითა და სიდოვლათით ყოფილა მორჭმული მისი ღამეები თუ დღეცისმარი, და რაც მთავარია და მთავარი, — ესაა ქართული ლექსების კრებული. აქ იგრძნობა ჩვენი მადლიანი ქართულის უნაზესი ნიუანსები, ესაა ენა, „ყოვლის მთქმელი და ყოვლის არმთქმელი“, უბრალოდ, — პატიოსანი ქართული, როგორც იტყვის ჩვენებური გლეხიკაცი, ეს არაა ძველი და ახალი ქართული ენა, ესაა მარად ძველი და მარად ახალი ქართული, აქ ერთმანეთშია გადაწნული ერთი შეხედვით ძალზე თანამედროვე და ძალზე ძველი სიტყვა, მაგრამ ბუნებრივია მათი კავშირი და იოტისოდენადაც კი არ ეხამუშება ყურს, — პირიქით, გიკვირს კიდევაც, რომ ესა და ეს ორადორი სიტყვა დღემდე არ მდგარან ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთმანეთის სიახლოვეს, — ამას კი ჯადოქრის ხელი უნდა...

„ყიყინებდნენ ბაყაყები,
სადღაც ტუმბო ჭყაპუნებდა“...

ან კიდევ:

„გომბეშოსავით გადმოკარკლა
თვალები ბეჭდის“...

(პასპოოტი)

და სხვა და სხვა...

მაგალითების ამოწერა შორს წაგვიყვანდა! თუმცა რატომ არ უნდა წავიდეთ შორს, რატომ არ უნდა შევყვეთ ამ სახეებისა და ცინცხალი ეპითეტების ტყეს, ამ ულრანსა და კოროომ ადგილებს, ჭალებსა და მდინარეებს, ყანობილებსა და ჭანჭრობებს... კითხულობ ამ კრებულს და გგონია, საქართველოს სანახებში დააბიჯებ, შენს ადგილ-მამულში, შენს ეზო-კარში, და გიკვირს, რომ ამას აკეთებს ერთი კაცი, ერთი პოეტი, და არა დასი პოეტებისა, მთარგმნელებისა. ჟამი-ჟამ, პრესაში რომ იბეჭდებოდა მაჭავარიანისეული თარგმანები, ერთგვარ ყოყმანსაც გაიგონებდით, გაიგონებდით ეჭვიან გამოთქმებს, — ეს ხომ ბულგარული პოეზია არ არისო, ბატონო ჩემო, ეს იგივე მუხრან მაჭავარიანის ლექსებიაო, ანდა სულაც იმერულ დიალექტზე აგებული პოეზია! ამაში კი გარკვეული სიმართლე იყო და არის კიდევაც! და ამჯერად, ამ უშველებელი წიგნის მკითხველს სწორედ ეს ამბავი მსიამოვნებს — წიგნი ქართულია და ესაა მისი უპირველესი ღირსება. ამ წიგნს მ. მაჭავარიანის ბეჭედი აზის, მისი ხელწერა. — ესაა ლოცვა მარადიულ თავისუფლებაზე, გოდება — დიდი ომიანობის უმკაცრეს წლებზე, აზრი — თავისუფალ, ურითმო ლექსებზე, — ესაა პასუხი თანამედროვე კრიტიკისადმი; კიდევ ერთი მეტად თავისებური ნიშან-თვისებითაა ეს წიგნი აღბეჭდილი: აქ მიმზიდველია თითქმის ყოველი პოეტი-ქალის ლექსი. ფიქრში ვადარებ ჩვენი მოჭადრაკე ქალების საოცარ აღზევებასა და ბულგარელი პოეტი-ქალების უაღრესად მძაფრ და შემართულ შემოქმედებას...

ზემორე მოხმობილი შთაბეჭდილების შემდგომ უმთავრესი, რაც თვალში ეცემა მკითხველს, — ესაა ლაღი და მსუბუქი იუმორი. სიცილი — ხალისიანი და ყოვლის წამლეკავი და მუდამ გონებისმიერი და ფიქრით შემკული. ჯერ იცინი გულიანად, მერე დინჯდები, ჩუმდები და ფიქრი გეპატრონება. ფიქრი მამულზე, დღეისდღეზე, წარსულზე, იმაზე, რა იყო და რა არის, რა უნდა ყოფილიყო და რა გაქვს, რისთვის მოკვდნენ და დასამარდნენ, მამანი ჩვენნი და ყველაფერი ეს ისევ და ისევ მ. მაჭავარიანისეული სამყაროდან გამოდის.

ცნობილია, ქვეყნად იმდენი წიგნია, რამდენი მკითხველიცაა, და განათუ წიგნს, ან სულაც ლექსს, არამედ ყოველ სტრიქონსაც თავისებურად კითხულობს ყველა. ერთი და იგივე საგანი ხშირად სხვადასხვანა-

ირად გვეჩვენება. და არა მარტო სხვადასხვა კაცს, არამედ ერთსადაიმავე პიროვნებასაც. აქ ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა აქვს დროსა და ვითარებას, თუ გნებავთ, ამინდსაც და ადგილსაც კი, სადაც შენ მაშინ იმყოფებოდი. მაგალითად, დღევანდელ თბილისში ხშირად გაიგონებ ამგვარ შეკითხვას: „რამდენად იყიდე?“, სად იყიდე?“, სხვა დროს კი მოსალოდნელია ეს სიტყვები ამგვარი შეკითხვებით შეიცვალოს: „რა წაიკითხე?“, „ვინ გათხოვა?“ და ასე შემდეგ.

ყველაფერი ეს იმას მოვაყოლეთ, რომ მუხრან მაჭავარიანის მიერ გაწეული შრომის ჯეროვან შეფასებას თავისი დრო და სივრცე უნდა; ქართველი მკითხველი ალბათ ჯერ კიდევ იმ შთაბეჭდილების ქვეშაა, ამ თარგმანებთან პირველმა შეხვედრამ რომ გამოიწვია. დრო გავა, დაიწმინდება ყველაფერი და ჩვენ შეგვეძლება წმინდად შევაფასოთ პოეტის ამაგი, — ნუ დავემგვანებით იმგვარ კრიტიკოსს, ერთხელაც რომ არ წამოსცდენია ჯერ — ბარათაშვილის ესა და ეს სტრიქონი ვერ გავიგეო, რამეთუ ამგვარი ყოვლისმცოდნეობა (აკი არსებობს გამოთქმა, ლიტერატურისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე და ასე შემდეგ) გარკვეულ ღვთაებრიობას, ცასთან სიახლოვეს („მე ცა მნიშნავს“) „უკარგავს“ ამა თუ იმ დიდ შემოქმედს. და ღირს განა, ამისთვის იღვწოდეს კრიტიკოსი?!

მივყვეთ წიგნს:

„ის ერთობ გვიან ტოვებდა ყანას,
წელში წყდებოდა მუდამდღე ჯაფით...
ფეხს მოიდგამდა როდესაც ბინდი,
აგონდებოდა მაშინღა სახლი...“

ეს ხომ ჩვენებური გლეხიკაცია, მისეული ბად-ვენახითა და კარმიდამოთი. ლექსი მთლიანად ათ სტროფს მოიცავს და ყოველი მისი სტროფი ქართულია, — აი, დიდვახშაძესაა მიმჯდარი შინ მობრუნებული გლეხკაცი და თოლიგე მისი „ქოხის კუთხიდან ხედავს ხანდასან“, დაღლილი ქმარი პურს როგორ ჭამს; ცუდ გუნებაზე დადგება ჟამი-ჟამ ეს მდუმარი კაცი და ცოლსაც შეუცაცხანებს, მაგრამ ხმა კი არ გავა ოჯახიდან, ამას არ გაიგებს სოფელი, ქმარი კი ერთხელაც გულს გადაიხსნის და ეტყვის მეუღლეს:

„მაგრამ ეს ბრალი არ იყო ჩემი,
ეს იყო ჩემი ცხოვრების ბრალი!“ —

აიღო თავისი დაღლილი მარჯვენა კაცმა და როგორც გვრიტს, ისე გადაუსვა მეუღლის თავზე. რაღაცნაირი, გულისამაჩუყებელი სურათები წარმოესახა საბრალო ქალს „და მოუნამა თვალები ცრემლმა“. გასრულდა ლექსი, გასრულდა, თუ შეიძლება ითქვას, ტკბილი ცრემლით, მიუხედავად იმ ოჯახს შემოჩვეული ხელმოკლეობისა და სიღატაკისა, და ხვდება მკითხველი, მაინც რომ „მეტის ლხენისაა“ ეს ტირილი და არა მწუხარებისა. სულ ერთმა წამიერმა მოფერებამ გადაავიწყა ოჯახის დედას მწარე სინამდვილე, გადაავიწყა მომავალი წვალებაც და გახადა ბედნიერი. და უმთავრესი რამ, რამაც ამგვარი გუნებაგანწყობა შექმნა, ესაა — მთელი ჩვენი ცხოვრებისეული ავკარგის უეცარი გასიგრძეგანება, ის, რამაც მოიყვანა აქამდე ეს ქვეყანა. ეს არის მობოდიშება იმის გამო, რომ ცუდი ამინდია ქვეყნად. ხოლო ქართველი პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩვენივე თავი დაგვანახა ამ ლექსის სტრიქონებით, ჩვენებური კაცი და ოჯახი მისი... ვფურცლავთ წიგნს და ვკითხულობთ ამბავს ქართველი კაცისას, ქართველი პოეტისას:

„მოდი, იცრუე, მომატყუე,
რაც იყოს — იყოს!
მითხარი, თითქოს კვდები ჩემთვის,
გიყვარვარ თითქოს;
თითქოს შენ ჩემზე ოცნებობდი
ჯერ კიდევ მაშინ,
იყავი ოდეს სრულიად ბავშვი.“ —

ესაა მუხრან მაჭავარიანისეული ლექსის ფორმა.

როცა ერთ კომპეტენტურ დაწესებულებაში „გამოჩენილ ადამიანთა სერიით“ გამოცემულ გალაკტიონზე შექმნილ წიგნს არჩევდნენ, გამოდიოდნენ სიტყვებით ახალგაზრდები, ჭაბუკები და ქალიშვილები და ავტორისაგან განსხვავებით თავგამოდებით ცდილობდნენ დაეცვათ გალაკტიონის სიმბოლისტობა. „კი, ბატონო, — ამბობდა ავტორი, — კი იყო გალაკტიონი ეგრეთწოდებული სიმბოლისტი პოეტების მოდასეც, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ამას ქართველი მკითხველისათვის, მაგალითად, ერთი საუკუნის შემდეგ. შემდეგ

გალაკტიონი იქნება კლასიკოსი და მხოლოდ კლასიკოსი პოეტი და არც ერთ „იზმს“ არ მიაბამენ მასზე დაწერილი სტატიების ავტორები პოეტის შემოქმედებას.“

მ. მაჭავარიანი, თითქოსდა აქედანვე მიუხვდა მომავლის მკითხველს და მარტოდმარტო მისეულ ხმაზე, თუ გნებავთ, გარკვეული იმერული დიალექტითაც კი უთარგმნა უზარმაზარი წიგნი. ვინ იცის, ხანი რომ გამოხდება, ჩვენებური კაცი ოდესმე ამ ლექსთა კრებულის ქართულობასაც კი დაიჩემებს.

„მკერდგაღეღილნი გლეხნი ხნავდნენ
იქვე ყანობირს,
ერკინებოდა ყომრალ მიწას
წითლონი ურჩად,
და გუთნის ორნატს,
ღრუბლის ქულას,
ჩიტის გალობას
იმეორებდა ფერადი ფუნჯი.“

ორნატი... ღრუბელი... ჩიტი... რა ყოვლისმომცველია და რა ხატოვანი ამ სამად სამი სიტყვისაგან შემდგარი სტრიქონი, და რა ქართული! რა ბედნიერი იქნებოდა ჩვენი დედამიწა, ამ ერთადერთი სტრიქონისგან შედგენილი ემბლემით რომ გამოიხატებოდეს და დაკმაყოფილდეს! და არ იყოს საჭირო არავითარი ფარი და მახვილი!..

ხელოვანის ფრაზა ყოველთვის მათემატიკური სიზუსტისაკენ ილტვის. — ამას წინათ ნ. წულეისკირის ახალ რომანში ამგვარი წინადადება წავიკითხე: „ნაშუალამევზე წვიმა წამოვიდა; ბუძგურიას გაუხარდა, იფიქრა, ბეტონის მიღებას შეაჩერებენო; პირიქით, თურმე ნელი წვიმა ბეტონისათვის უკეთესი ყოფილა“... რაოდენი სიზუსტეა აქ. ესაა კლასიკური გზა ქართული ფრაზისა, რასაც ამბობს ეგრეთწოდებული შემოქმედის ცხოვრებისეული გამოცდილება. მწერალმა ზედმიწევნით იცის ის, რაზედაც წერს, და აჯერებს მკითხველს. მ. მაჭავარიანი წერს სატვირთო ვაგონების გამო:

იშვიათად თუ ჩანან ხოლმე
ისინი დღისით.“ —

და ყველაფერი ნათქვამია ამ ერთადერთი სტრიქონით. მაჭავარიანისეული სიტყვის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია სწორედ სიზუსტე.

„ოქროცურვილი პანტა და შამბი
შეხამებია აგვისტოს ნამკალს...
საძოვარს მიღმა თვლემს წიფლიანი,
გარინდებულა თვალწინ მინდორი...

მზემ გადააწყო სხივები უკვე
მდინარისპირა კაკლების იქით...
გულაღმა მწოლნი შევცქერით
ცარგვალს, —
წაღებზე სისხლი გვახმება კაკბის...“ —

ყველა სტრიქონი მისეული სიცოცხლით სუნთქავს, მისეული სიზუსტითა და ხატოვანებით. და განა მარტო ადამიანებს, მაჭავარიანი თითქოსდა სტრიქონებსაც კი აახლოებს ერთმანეთთან თავისი სიტყვებით:

„ვარ გულმაგარი,
მეგულები რადგანაც გვერდით.“ —

ამავე აზრის თანხმიერია ამგვარი სურვილიც:

„ერთი ისეთი დღე გათენდეს
ამქვეყნად ნეტა, —
ქალმა და კაცმა ყველამ გული
რომ გახსნას ერთად,
იყოს მათგანი თვითეული
მართალი ცამდე,
არასდიდებით არ იტყოდეს,
რაც არა სწამდეს.“ —

ამგვარი განწყობა მოაქვს პოეტის დაფიქრებას, მარტოყოფნას, როცა —

„ოთახში, სადაც ჟრუნდება ლამფა,
შემოდის ბინდი, — ნაზი და ჩუმი...“

და შემდეგ —

„ვაი, შენ ჩემო საბრალო ტანო,
შენგან ნაცარი დარჩება მხოლოდ?
სიცოცხლის ჩემის დაშრება წყარო?
გავქრები, როგორც თამბაქოს ბოლი?—“

მაგრამ პოეტი ისევე მიჰყვება ფიქრს და მისთვის ჩვეული იუმორითა და ხალისით მთავრდება ლექსიც:

„ვიქროლებ მინდვრად ქარივით სწრაფად,
ამაშუშპარებს მთვარის ამოსვლა...
და სამარეში დალპება რაღა? —
მარტოდენ ჩემი ტანისამოსი!“

მაჭავარიანისეულ რითმაზე განგებ არ ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას, რადგანაც ეს ისედაც ცნობილია და ცნობილი! მივყვეთ კრებულს, —

„უიარაღოს უღმერთოდ მიშენს
წუთისოფელი ტყვიებს და ისრებს:
მაგრამ მე მაინც არ ვიშლი სიცილს,
ჯიქურ ვიჩქარი, — დრო-ჟამის ურჩი...
როცა მოვკვდები, — მსურს
მოვკვდე ისე,
რომ დაკოდილი არ ვიყო ზურგში.“ —

კაცთაგან, რომელს არ მოუხდება ამგვარი ნატვრა!

აი, კიდევ ერთი ჩვენებური სურათი:

„რა უმჯობეა! — როდესაც ვაზი
ზეციდან კრძალვით მოგაწვდის
ყურძენს
და ტაბლადქცეულ წისქვილის ქვაზე
ცეცხლივით ჭაჭა გაჩნდება უცებ.
და შენ იმ კაცის დაჯდები გვერდით —
ხელები უგავს რომელსაც ნიჩბებს,
საბერველივით უღელავს მკერდი —
და მუსაიფობს საოცრად დინჯად.
ეწევა თუთუნს. აზროვნებს საღად,
და რადგან იცის მან მიწის ენა —
ეცვლება ხოლმე ხანდახან სახე,
ათასში ერთხელ ემჩნევა წყენაც.“

ხანდახან კი მაინც გაკრთება აქა-იქ სუსტი სტრიქონები, სუსტი სტროფებიც; წიგნი ხომ, როგორც თავიდანვე მოვიხსენიეთ, ხუთასამდე გვერდს მოიცავს, და განა გასაკვირია ამგვარი ხარვეზები.

მთელი ქვეყანა ჩემია ახლა,
მთავარი უკვე აღარ მაქვს ნაკლი.

რა სტრიქონებიც არ მოსდევდეს ამას (არცთუ ურიგო სტრიქონები მოსდევს!) მაინც დაუჯერებელია და მორჩა! აქ თავიდანვე არაა მიგნებული ის სარწმუნო კილო, რაც ქართველ პოეტს ახასიათებს.

„გამსკდარია გულზე,
პირზე ადევს რაზა,
საცოდავად უმზერს
სართულმრავალ სრასა...“

მაგრამ ჩვენ მიერ მოხმობილი უფერული სტრიქონები მხოლოდ და მხოლოდ ჩენჩოა იმ დიდი და კეთილი არსობის პურისა, რასაც ჯეროვნად მოიხმარს კიდევაც მადლიერი მკითხველი.

□

ფრანგული **ტუალეტი**

ერთ გლეხს ვირი შუა გზაში გაუჯიუტდა, ადგილიდან ვეღარ დაძრა. ამ დროს გზაზე მიმავალმა ახალგაზრდამ დამცინავად მიმართა მას:

— ჰეი, ძია კაცო! არ გაყიდი მაგ ვირს?

— სანამ ვირის ყიდვას გადაწყვეტდე, — მიუგო გლეხმა, — მშობლებს ჰკითხე, შესძლებენ თუ არა ისინი ორი ვირის მოვლას?

○

ახალგაზრდამ ავტობუსი შეაჩერა:

— მითხარით, გეთაყვა, თქვენს ნოეს კიდობანში მოიძებნება კიდევ ერთი ადგილი? — აგდებულად მიმართა მძღოლს.

— როგორ არა, ახალგაზრდავ, ამობრძანდი, ერთი სახედრის ადგილიღა შემოგვრჩა!

○

ქმარი ეუბნება ცოლს:

— შეხედე, მარი, რა მშვენიერი ამინდია, რა მოწმენდილი ცაა, მზეა. მართლაც რომ საცოდაობაა სახლში ჯდომა!

— მართალი ხარ, საყვარელო, — პასუხობს ცოლი, — კინოში წავიდეთ...

○

მანქანამ გზა წითელ შუქნიშანზე გადაჭრა. პოლიციელმა იმწამსვე შეაჩერა:

— წითელი შუქი ვერ შეამჩნიეთ, ბატონო?

— შუქი შევამჩნიე, ბატონო პოლიციელო, თქვენ კი — ვერა, — უპასუხა მძღოლმა.

○

ორი მეგობარი საუბრობს:

— რატომ არ იბან ტანს, ჰიერ? — ეკითხება ერთი.

— იმიტომ, რომ ექიმმა მითხრა, რკინის ორგანიზმი გაქვსო!

— მერედა რა?

— მერე ის, რომ დაჟანგვის მეშინია.

○

ერთი მოწაფე ეკითხება მეორეს:

— ეკ, ყურში რატომ იდებ ბამბას?

— იმიტომ, რომ მასწავლებელი ყოველდღიურად მიმეორებს: „ჟაკ, შენ რაც ერთ ყურში შეგდის, მეორეში გაგდისო“!

○

თეატრში სპექტაკლის მსვლელობის დროს, ორი ქალი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მათ გვერდზე მჯდომმა კაცმა იწრიალა, და ბოლოს მოწიწებით მიმართა ერთ-ერთ მათგანს:

— ქალბატონო, არაფერი არ მესმის...

— თქვენც გაინტერესებთ ჩვენი საუბარი, ბატონო? — მიმართა მას ქალმა.

○

ერთი მსატვარი დასასვენებლად ერთ მიყრუებულ პროვინციულ ქალაქში ჩავიდა. ჩავიდა და პირველსავე დღეს გამოთვრა. პოლიციელებმა მა-

შინ შეამჩნიეს, როდესაც ოთხით მიფოფხავდა.

— აა, მთვრალი ხართ, არა?

— დიახაც, მთვრალი გახლავართ, — ძლივს ამოილუღლუღა მხატვარმა,—მერე რა... რაფაელიც ხომ სვამდა... მოდილიანიც... ვან გოგიც...

ერთი პოლიციელი მიუბრუნდა მეორეს:

— ერთი მიდი, გაიარ-გამოიარე, შესაძლოა ის ლოთებიც აქვე, სადმე ახლოს ეყარონ.

○

მოსამართლე ეუბნება პატიმარს:

— მე ძალიან ამაღელვა თქვენმა წარსულმა...

— მე კი ჩემმა მომავალმა, ბატონო მოსამართლე, — მიუგო პატიმარმა.

○

დირექტორი ეკითხება მდივან ქალს:

— იმ ქვეყნიური ცხოვრებისა თუ გწამთ?

— მე... არ მესმის... რატომ მეკითხებით ამას, ბატონო?

— იმიტომ, რომ სწორედ ის ბიძა გარეკავთ, ვის დასაფლავებაზეც გაგიშვით ამას წინათ.

○

— ბატონო კომისარო, გთხოვთ შეწყვიტოთ ძიება. საათი სასლში ვიპოვე.

— გვიან არის, ბატონო, ქურდი უკვე დაკავებულია.

○

კაცი პირველად რომ მგზავრობს თვითმფრინავით, ეკითხება სტიუარდესას.

— უკაცრავად, პარაშუტებს როდის ჩამოგვირიგებთ?

— ჩვენთან ეს მიღებული არ არის, ბატონო...

— კი მაგრამ გემზე რომ იძლევიან მაშველ რგოლს?

— მერე ჩვენ ხომ გემზე არ ვიმყოფებით, ბატონო...

— საკვირველია, — ჩაილაპარაკებს მგზავრი, — მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანს ცურვა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ფრენა.

○

— რატომ გაქვს ცუდი ნიშნები?! — გაბრაზებული ეკითხება პიერს მამა.

— აბა რა ვიცი, მამიკო, ნიშნებს მე ხომ არა ვწერ!

○

— ადამიანს შეუძლია ბრმანაწლავის გარეშე ცხოვრება? — ეკითხება ახალგაზრდა გოგონა ცნობილ პროფესორს.

— როგორ არა, შეუძლია, — პასუხობს პროფესორი, — ზოგიერთი ექიმის გარდა!

○

წარმოდგენის შემდეგ ერთი დრამატურგი ინუგეშებს თავს:

— სტვენას ხომ მაინც გადაეურჩი.

— მთრნარებით მოკვდნენ და სტვენას როგორ მოახერხებდნენ, — ჩაუკრა ეიღაცამ.

○

ქალი სარკის წინ კეკლუცობს. იქვე მდგომი კაცი გესლიანად ეტყვის:

— ამ რამდენიმე დღის წინათ სტატისტიკურ ცნობარში ძალზე საინტერესო რამ ამოვიკითხე. თურმე ქალები თავის მორთულობისათვის ორჯერ მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე ჯარის შეიარაღებაზე იხარჯება.

— შესაძლებელია, — პასუხობს ქალი, — ამიტომაც გვაქვს ჩვენ ორჯერ მეტი გამარჯვება.

○

ერთმა კრიტიკოსმა მისწერა ალექსანდრე დიუმას:

„თქვენს რომანში მე ალმაშფოთებელი რამ ამოვიკითხე: „ტკივილი სიცარიელისა“... ამიხსენით, გეთაყვა, რას ნიშნავს ეს და შეიძლება თუ არა სიცარიელის ტკივილი?“

„თავი არასოდეს არ გტკენიათ?“ — უპასუხა დიუმამ.

○

ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი ჟან ლუი ფორენი ძლიერ შეუძლოდ იყო.

ექიმს გამოუძახეს. მან გულდასმით გასინჯა ავადმყოფი.

— საშიში არაფერია, — უთხრა ექიმმა, — მაჯა ნორმალურია, წნევაც, სუნთქვაც კარგია.

— მაშ რალა მიჭირს, ჯანმრთელი ვკვდები და ეგაა, — წარმოთქვა ფორენმა.

○

— ჩემი სიმდიდრე მხოლოდ ჩემი გონებაა. სხვა არა გამაჩნია რა, — უთხრა ახალ-

გაზრდა მსახიობმა საშა გიტრის.

— დამშვიდდით, ახალგაზრდავ, — მიუგო მას გიტრიმ, — სიღარიბე ნაკლი არ არის.

○

ერთ სუსტ მწერალზე, შემდგომ კარგი კრიტიკოსი რომ გახდა, საშა გიტრიმ თქვა: „ხანდახან ცუდი ღვინისგანაც კარგი ძმარი დგება“.

○

ახალბედა პოეტი მივიდა საშა გიტრისთან და სთხოვა მის ორ ლექსზე აზრი გამოეთქვა.

— წაიკითხეთ, მოგისმენთ, — დაეთანხმა გიტრი.

როდესაც ახალგაზრდამ პირველი ლექსი წაიკითხა, გიტრიმ სერიოზული იერით წარმოთქვა:

— საკმარისია, მეორე ლექსი უფრო მომწონს...

○

ერთხელ პარიზის ერთ-ერთ კაფეში სალვატორ დალი აქებდა თავის სურათს:

— სეზანს რომ შეექმნა ამისთანა ტილო, ის მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა.

— კი მაგრამ ის ისედაც ცნობილია, — წარმოთქვა ვიღაცამ.

— თქვენ ასე გგონიათ? გარსონ, მოდით აქ! თქვენ იცნობთ ბატონ სეზანს?

— არა, ბატონო...

— სწორედ ამას გეუბნებით, ბატონებო!

○

ტრისტან ბერნარს ჰკითხეს, თუ რა აზრისა იყო იგი ნათელმხილველებზე.

— კარგი აზრისა არა ვარ, — უპასუხა მან, — ერთხელ ერთ ნათელმხილველთან მივედი და კარზე მივაკაკუნე. მან კი მკითხა, ვინა ხარო.

○

— მე ძალიან მიყვარს შრომა, — თქვა ტრისტან ბერნარმა, — სიამოვნებით შემიძლია მთელი დღე ვუცქირო, როგორ მუშაობს ადამიანი.

○

ოსკარ უაილდს ერთმა პოეტმა მიმართა:

— ჩემ ირგვლივ ნამდვილად მუდამარე ადამიანების შეთქმულებაა. რას მირჩევდით?

— შეუერთდით შეთქმულებს, — უპასუხა ოსკარ უაილდმა.

○

ერთ დღეს მხატვარმა კაპიელომ წერილი მიიღო ლიქიორის ფირმიდან: „ბატონო კაპიელო! ფირმა აცხადებს კონკურსს ჩვენი პროდუქციის საუკეთესო რეკლამაზე. გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა. გამარჯვებული დაჯილოვდება 20 000 ფრანკით. დაწუნებულ ნახატებს უკან არ ვაბრუნებთ!“

კაპიელომ ასე უპასუხა:

„მე, ბატონებო, ვაცხადებ კონკურსს საუკეთესო ფრანგულ ლიქიორზე. გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა. სიამოვნებით გავსინჯავ თქვენი ფირმის პროდუქციას. დაწუნებულ ლიქიორებს უკან აღარ ვაბრუნებ!“

○

ჰყვებიან, რომ მე-19 საუკუნის ცნობილ ფრანგ კრიტიკოსს სენტ-ბიევს დუელის დროს ქოლგა ეჭირა ხელში.

— სიკვდილზე თანახმა ვარ, ხოლო გაციებაზე — არა, — უთხრა მან ოავის სეკუნდანტებს.

ფრანგულიდან თარგმნა **ბიორგი ლოლაძემ**

□

ბერნარდ შოუ

აფორიზმები და ფრაზები

○

მოქმედება — ერთადერთი გზაა შემეცნებისაკენ.

○

თავისუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას. ამიტომაც ბევრს ეშინია მისი.

○

ადამიანი იგონებს ყველანაირ საბაბს თავის გასამართლებლად... სწორედ ესაა სილაჩრე.

○

სიცოცხლე, იღბლიანი თუ უიღბლო, ბედნიერი თუ უბედური — მაინც უაღრესად საინტერესოა.

○

შეუძლებელია კარგი წიგნის დაწერა, სანამ რამდენიმე ცუდს არ დაწერ.

○

ყველა დიდი ლიტერატურა და ხელოვნება — პროპაგანდაა.

○

ყველა ჩემს პიესაში საზოგადოების ეკონომიკა ისეთივე როლს ასრულებს, როგორც ანატომია მიქელანჯელოს შემოქმედებაში.

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ — სულელური ნათქვამია. ჯანსაღი სხეული ნათელი გონების ნაყოფია.

○

თუ არ შეგიძლიათ ცოდნის შეძენა ისე, რომ არ აწამოთ ძაღლები, როგორმე გაიტანეთ თავი ცოდნის გარეშე.

○

ამერიკამ მოგვცა მხოლოდ ორი გენიოსი — ედგარ ალან პო და მარკ ტვენი.

○

ვისაც ყველაზე მეტად უყვარს სწავლება, მან ყველაზე ნაკლები იცის.

○

არ დამიკარგავს არც ერთი მეგობარი, გარდა საკუთარი თავისა — მხედველობაში მყავს ადამიანი, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი.

○

როცა მე პიესას ვწერ, არასოდეს არ ვიგონებ სიუჟეტს. მე პიესას საშუალებას ვაძლევ თავისით განვითარდეს და ხშირად უკანასკნელ წუთამდე ვერ ვხედავ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.

○

ადამიანი, ვინც თავის თავზე და საკუთარ დროზე წერს — სინამდვილეში ყველა ადამიანზე და ყველა დროზე წერს.

○

როცა სულელი ადამიანი აკეთებს იმას, რისიც თვითონვე რცხვენია, თავს ასე იმართლებს, ჩემს მოვალეობას ვასრულებდიო.

○

კარგად აღზრდილის შემოწმება ხდება ჩხუბის დროს. როცა ყველაფერი კარგადაა, ყველას შეუძლია წესიერად თავის დაჭერა.

○

ჟურნალისტიკა შეიძლება გამოცხადდეს ლიტერატურის უმაღლეს ფორმად, რადგან ლიტერატურის ყოველგვარი უმაღლესი ფორმა პუბლიცისტურია.

□

ბრძენი თავისი დროის უმეტეს ნაწილს პოეზიასა და მეცნიერებას ახმარს, სულელი კი დროს უაზროდ ფლანგავს — ან ძინავს ან ლაპარაკობს.

სჯობს ჭკვიანი მტერი გყავდეს, ვინემ სულელი მეგობარი.

ჭკვიან კაცს ბრაზი უმალ უნელდება, ჩვეულებრივ ადამიანს შუადღემდე მიჰყვება. ცუდი კაცი მთელი დღე ვერ ისვენებს, ულირსი ადამიანი კი მთელი დღე და ღამე ბრაზობს.

სჯობს საკუთარი მოვალეობა შეასრულო ცუდად, ვინემ სხვისი მოვალეობა — კარგად. ნუ ულალატებ საკუთარ თავს.

ადამიანს სიბრძნე შვენის, სიბრძნეს — სიდინჯე, სიდინჯეს — სიმამაცე, სიმამაცეს კი — გულკეთილობა.

ყველაფერი, რაც ძველია, კარგი არ არის, და არც ყველაფერი ახალია ცუდი. ჭკვიანი საგნებს თავისი ჭკუით ზომავს, სულელი სხვის რჩევას ელოდება.

○

56 წლის ჯულიან ჯუმელონი, სან კარლოსის უნივერსიტეტის ბიოლოგიის მასწავლებელი, გატაცებულია ხატვით, მაგრამ ხატვისას იგი არც აკვარელს ხმარობს და არც ზეთის საღებავებს. თავისი ტილოების შესაქმნელად იგი იყენებს პებლებისა და სხვა მწერების ფერად ფრთებს. მეგობრებმა ჯუმელონს მუსიე ბატერფლაი (ინგ. — პეპელა) შეარქვეს. ეს თავისებური მხატვარი ფილიპინებზე ცხოვრობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი ნახატები საგულისხმოა არა მარტო შესრულების უზადო მანერის გამო, არამედ მხატვრული ღირსებებითაც.

○

19 წლის პრესტონ სტოკმენმა მთელი დღის განმავლობაში 8643 კაცს ჩამოართვა ხელი. ეს ამბავი მოხდა ნიუ-იორკის შტატში, პატარა ქალაქ ატიკას ერთ უნივერმაღში. სტოკმენმა მოხსნა მსოფლიო რეკორდი, 68 წლით ადრე (რომ დაამყარა ამერიკის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა: 1907 წლის პირველ იანვარს, თეთრ სახლში, მან 8513 კაცს ჩამოართვა ხელი და მიუღოცა ახალი წლის დადგომა.

○

იტალიის ქალაქ ვერონაში ყოველდღიურად 15—20 წერილი მოდის რომეოსა და ჯულიეტას სახელზე. შეყვარებულთა საფლავების მცველები გაუხსნელ კონვერტებს რომეოსა და ჯულიეტას სარკოფაგებთან სწვავენ.

□

ლიტერატურა ეპიზოდები

დასავლეთ ბერლინი

ფილმი სადაც... „ძალიან ბევრი თურქია“

ცნობილი ირანელი რეჟისორის სორაბ მაჰიდ სალესის ფილმებმა „უბრალო შემთხვევა“ და „წყნარი ცხოვრება“ სხვადასხვა დროს ექვსი საერთაშორისო პრემია დაიმსახურეს. ამას წინათ რეჟისორმა დასავლეთ ბერლინში გადაიღო მესამე ფერადი მხატვრული ფილმი. ფილმი ეძღვნება მუშა-ემიგრანტების ცხოვრებას.

დასავლეთ გერმანის ჟურნალ „შტერნის“ რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ფილმს, სადაც კარგადაა შერწყმული პოეტურობა და დოკუმენტური მწვავე სოციალურ-კრიტიკული მიმართულება. ვერც ერთმა გერმანელმა რეჟისორმა დღემდე ვერ შეძლო ასე ზუსტად და სამართლიანად მოეთხრო უცხოელი მუშების მდგომარეობის ამბავი.

სალესი, იგი ამჟამად დასავლეთ ბერლინში ცხოვრობს, მოგვითხრობს იმ აუტანელ ჩაგვრაზე, რასაც განიცდიან თურქი დაქირავებული მუშები გერმანიაში. ფილმი იმდენად მწვავე და კრიტიკულია, რომ მიუხედავად მისი მხატვრული ღირსებისა, იგი არ დაუშვეს დასავლეთ ბერლინის XXV საერთაშორისო კინოფესტივალზე. უარის მიზეზი შეიქნა ის, რომ აქაოდა რეჟისორს არ ჰქონდაო უფლება გერმანულ ფილმში მთავარი როლების შემსრულებლებად თურქი მუშები გამოეყვანა, და საერთოდ ფილმში... ძალიან ბევრი თურქი არისო.

გფრ

თომას მანის უცნობი ნაშრომი

თომას მანის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად დასავლეთ გერმანულმა გამომცემლობა „ს. ფიშერმა“ მოამზადა ერთი ტომი, სადაც შევიდა მწერლის ადრე გამოუქვეყნებელი და დღემდე უცნობი ნაშრომები. შემდგენლებმა — ჰანს ბიურგინმა და პეტერ დე მენდელსონმა — მოიძიეს ეს ნაშრომები ციურიხში არსებულ თომას მანის არქივში. მათ შორის არის „ტრისტანის“ მიხედვით შექმნილი სცენარი მუნჯური კინოსათვის, რომლის დადგმაც მოხერხდა, სპირტული სვანსების ოქმები, ფსიქოლოგი შრენკნოტცინგი რომ აწყობდა. ეს ჩანაწერები მწერალმა გამოიყენა თავისი რომანისათვის „ჯადოსნური მთა“. საიუბილეო კრებულში შესულია აგრეთვე გაუგზავნელი წერილები და ყოველდღიური ჩანაწერები. ამ ჩანაწერების დიდი ნაწილი მწერლის ანტიფაშისტური მოღვაწეობის პერიოდს განეკუთვნება.

ბეთჰოვენის როიალი

ამ როიალს მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს . 1820 წელს ვენაში ვინმე კონრად გრაფმა საგანგებოდ დაამზადა ეს როიალი ბეთჰოვენისათვის, რადგან იგი სწორედ იმ პერიოდში დაყრუვდა. ბეთჰოვენმა ინსტრუმე[illegible]ი განვადებით შეიძინა, მაგრამ ვერა და ვერ შესძლო თანხის ბოლომდე გადახდა და გრაფმა როიალი უკან წაიღო. 1889 წლამდე იგი ხელოსნის ოჯახში ინახებოდა, შემდეგ ქ. ბონის ბეთჰოვენის სახელობის სახლ-მუზეუმმა შეიძინა. უძველესი ინსტრუმენტი, — მისი ასაკი დაახლოებით 140 წელია, — მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა და ნიურნბერგის საკრავიერო ინსტრუმენტების სახელოსნოში გაუკეთეს რესტავრაცია.

დღეს ეს როიალი, ყრუ კომპოზიტორი რომ უკრავდა, ბონის მუზეუმში ინახება.

კანადა

სად გამოიგონეს ტელეფონი?

ეს საკითხი გახდა კანადასა და აშშ შორის უთანხმოების მიზეზი. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ამერიკაში გამოცემულ ერთ-ერთ კითხვარში „ჩიზჰოლმ ენდ პოტომაკ ტელეფონ“, მითითებულია, რომ თითქოს ტელეფონი 1876 წლის 10 მარტს გამოიგონეს ბოსტონში.

კანადელები აღშფოთდნენ და დაადანაშაულეს თავიანთი სამხრეთელი მეზობელი, რომ ისინი ცდილობენ კანადას წართვან „გამომგონებლობის პატივი“. ამის შემდგომ ამერიკაში კანადის საელჩოს პირველმა მდივანმა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს ვაშინგტონში გაუგზავნა ნოტა, სადაც მოჰყავს ბელის მიერ 1910 წელს ოტავაში წარმოთქმული სიტყვები: „მე გამოვიგონე ტელეფონი იქ, სადაც იმ დროს ვიმყოფებოდი, — კანადაში“. და დაუმატა, რომ პირველი ლაპარაკი ტელეფონით შედგა იქვე კანადაში, ხოლო ბოსტონში მხოლოდ დამზადდა ეს მოწყობილობა.

ინგლისი

წელს გამოჩენილ ინგლისელ მწერალს აგატა კრისტის შეუსრულდა 85 წელი. 1970 წელს ინგლისის დედოფალმა ბარონესას ტიტული უბოძა და აირჩია ლორდთა პალატის წევრად. ქალბატონი აგატა ოცხმოცდახუთი რომანისა და ჩვიდმეტი პიესის ავტორია. აგატა კრისტი თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობს XVIII საუკუნის რომანტიულ სახლში, ბერკშირის საგრაფოს პატარა სოფელ უოლინგფორდში. სახლში ბევრია ანტიკვარული ღირსშესანიშნაობანი და სუვენირები. ირგვლივ დიდი ბაღი აკრავს და თითქოს განზრახ შეუქმნიათო კრიმინალური ლიტერატურის საიდუმლო ისტორიების არენად. მწერალი ქალი ყოველ წელიწადს ერთ რომანს წერდა. რომანის წერის მანერა დღემდე არ შეუცვლია; როგორც კი თავში რაიმე ჩანაფიქრი გაუჩნდება, ჯერ ჩვეულებრივ რვეულში აკეთებს პატარა შენიშვნებს, მერე ბაღში სეირნობისას იგონებს მთელი მოქმედების მსვლელობასა და დიალოგებს. ამას მოსდევს მუშაობის ბოლო საფეხური დიქტოფონზე კარნახი.

აგატა კრისტი ყურადღებით აკვირდება ცხოვრებას. იგი მშვენივრად ერკვევა დღევანდელი დღის პრობლემებში — და შემდგომ ყველაფერს თავის შემოქმედებაში ასახავს. მისი საყვარელი თანამედროვე ავტორია გრემ გრინი. მწერალს არ უყვარს, როცა თავისი რომანების გმირებს ეკრანზე ხედავს. სამაგიეროდ თეატრთან მას ძალიან თბილი ურთიერთობა აქვს. დღემდე ფლობს მსოფლიო რეკორდს მისი დეტექტური დრამა „სათაგური“ ლონდონის ერთ-ერთ თეატრში. ეს პიესა აგერ უკვე 20 წელია ყოველდღე იდგმება.

შვეცია

გასული წლის 1 იანვრიდან შვეციაში შემოიღეს კანონი, რომლის ძალითაც ექვსთვიან დეკრეტიულ შვებულებაში გასვლის უფლება ეძლევა ერთ-ერთ მშობელს — ან დედას ან მამას. პირველი სამი თვე ბავშვთან, სურვილის მიხედვით, შეიძლება, დედა იყოს, ხოლო მერე — მამა. მიუხედავად ამისა გასულ წელს ამ უფლებით ისარგებლა მხოლოდ 100 მამამ. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა, როცა საქმე ეხება სახელმწიფოს, სადაც 8 მილიონი მოსახლეობაა. მათ შორის, ვინც ისარგებლა შვებულებით, იყო ახალგაზრდა სოციოლოგი გერან კრონი საკუთარ მაგალითზე იგი ამტკიცებს, რომ ბავშვი ისევე ეჩვევა მამას, როგორც დედას, და რომ ბავშვის სპეციფიური მიჩვევა დედისადმი თანდაყოლილი სულაც არ არის და ასევე შეიძლება მიეჩვიოს მამას. ზოგიერთი მამა, ვინც ამ შვებულებით ისარგებლა, ვერც წარმოიდგენდა, რომ ბავშვის მოვლა ასე რთული და დამღლელია. მაგალითად, ახალგაზრდა მამა ლარი სუნდკვისტი იმ იმედით გავიდა „დეკრეტულ შვებულებაში“, რომ საშუალება მისცემოდა თავისი საყვარელი საქმიანობისათვის, საპარაშუტო სპორტისათვის მეტი დრო დაეთმო. „ბავშვის მოვლა და შინ დიასახლისობა ადამიანს 18 საათს ართმევს დღეღამეში“, — თქვა იმედგაცრუებულმა მამამ.

ბევრმა მამაკაცმა დააფასა ქალის შრომა და მიხვდა, რა მძიმე და დამღლელია ბავშვის მოვლა და ოჯახში დიასახლისობა.

□

ბევრი ავტორიები

იუზას გრუშასი — ლიტველი მწერალი, დრამატურგი. 1925 წელს წაიწყო ბეჭდვა კლერიკალურ პრესაში. 1928 წელს გამოსცა მოთხრობათა პირველი კრებული „ქალბატონი ბერტულიენე". 1931 წელს დაასრულა კაუნასის თეოლოგია-ფილოსოფიის კურსი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „კარიერისტები" (1935 წ.), „ჰერკუს მანტას" (1957 წ.), „ქორწინების წლისთავი" (1959 წ.).

ლიტვურ საბჭოთა დრამატურგიაში პირველმა შემოიღო მან დრამატიული მოქმედების ერთ-ერთი ფორმა—ხასიათის გახსნა ყოფითი მოვლენების რეტროსპექტული ანალიზის მეშვეობით.

ი. გრუშასი ლიტვური საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი გმირები გამოირჩევიან ღრმა ფსიქოლოგიზმითა და ნათელი ხასიათებით ავტორის ერთ-ერთი მთავარი მხატვრული ხერხია შინაგანი მონოლოგი.

«С А У Н Д Ж Е»

Двухмесячный литературно-художественный а л ь м а н а х

(на грузинском языке)

№ 1

1 9 7 6

Издательство «М е р а н и»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

□ □ □

მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია: **მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია** *(პასუხისმგებელი მდივანი)* **მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

მხატვარი ემირ ბურჯანაძე
მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქირიძე
ტექრედაქტორი რევაზ იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 28/X I-75 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/I-76 წ.
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆ ნაბეჭდი თაბახი 21,0
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,04
ტირაჟი 10. 000. შეკვ. № 1096.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, კამოს ქ. № 18

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Камо № 18.